

776
1974/8

ଖଣ୍ଡମଳ

8

1974

KANSAS

საქართველოს მწვრალთა განვითარების ორგანო

ડ લી ડ ડ બ ડ ક ર ર



三三六三六〇

85806

698 03000

ერთხელ

8

□ 9 8 7 6 5 4 3 2 1 □

1974

8 Г

899.962.1(092)

გ. 847

ვთავარი რედაქტორი

გიორგი მერკვილაძე

პასუხისმგებელი მდივანი

ჯუმარ თითმარის

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,

აკაპი გაქრაძე,

დიმიტრი გენაშვილი,

მამი ღუდუჩავა,

გივი გარდოსანიძე,

ლევაროსი კალანდაძე,

გიორგი მარგვალაშვილი,

შელვა რადიანი,

ერმოს ქარელიშვილი.

△ △

КРИТИКА

Альманах

Орган Союза
писателей
Грузии

(на грузинском
языке)

№ 8

1974 г.

△ △

Издательство «Мерани»

Тбилиси,
пр. Руставели, 42

მისამართი: 380008. თბილისი, რუსთა-
ველის პროსპ., 42;

ტეл. 93-18-69.

7—2—3

ნოდარ დუმბაძე

▽ ▽

ვ ი ქ რ ე ბ ი

სეიტებიან ღარბაზში

მრავალეროვანმა საბჭოთა მწერლობამ, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ, მსოფლიოს ყველა პროგრესულმა მწერალმა საზეიმოდ აღნიშნეს საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის 40 წლისთავი.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართულ საზეიმო პლენუმზე ერთგვარად შეჯამდა ის გრანდიოზული შედეგები, რაც საბჭოთა მწერლობამ მოიპოვა ისგორიული ყრილობიდან დღემდე, კიდევ ერთხელ დადასგურდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის კხოველმყოფელობა, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ლენინური პრინციპების უკვდავება.

სსრკ მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმში მონაწილეობა მიიღო ქართველ მწერალთა დიდმა ჯგუფმა, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ნოდარ დუმბაძე სიცყვით გამოვიდა პლენუმის მონაწილეთა წინაშე. ეს იყო ფიქრები მწერალთა პირველი ყრილობის მნიშვნელობაზე, ჩვენს ლიტერატურაზე.

ჩვენთვის, ჩართველი მშერლებისენის, ეს დღე არა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ორმოცი წლის წინათ ხომ საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა დამფუძნებელმა შრილობამ

დასაბამი მისცა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ახალ ერას, დასაბამი მისცა თავისი ბუნებით ახლებურ ლიტერატურას — ლიტერატურას სოციალისტური რეალიზმისა, რომლის ფუძემდებალია მაქსიმ გორგი, ვინც ჩვენში, თბილისში, გაწეთ „კავკაზის“ ფურცლებზე დაიწყო თავისი დიდი შემოქმედებითი გზა.

მ. გორგი არის ის მძლეთამძლე ატლანტი, ვის მხრებსაც ეყრდნობა თანამედროვე ჩვენი ლიტერატურა.

მსოფლიოს ვერც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო ვერ ჟექმნიდა ამდენ სულიერ ფასეულობის ასე მცირე დროსა და ასე მძიმე პირობებში, ვერ შექმნიდა ლიტერატურისა და ხელოვნების იმდენ ძვირფას ნიმუშებს, რამდენიც შექმნა ჩვენმა თვალუწვდენელმა ქვეფანამ.

ეს ორმოცი წელი ხალხის არნახული სულიერი აღმავლობის წლებია.

ესაა ადრე გაუგონარი შრომითი და საბრძოლო გმირობის წლები.

ზღვა სისხლი და ცრემლი დაიღვარა ამ ბედნიერების, ამ მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად. ათასობით სახრჩობელის, ათასობით ძმათა სასაფლაოსა და უცნობი ჯარისკაცის საფლავის ფასად მოვიძოვეთ ეს ბედნიერება და თავისუფლება.

ესაა ახალ დამწერლობათა და ახალ ლიტერატურათა დაბადების ორმოცი წელი.

ესაა წლები, რომლებმაც აახდინეს თავისუფლების დიდი მოძღვრლის ოცნება:

Да здравствуют музы, да здравствует разум!

Ты, солнце святое, гори!

Как эта лампада бледнеет

Пред ясным восходом зари,

Так, ложная мудрость мерцает и тлеет

Пред солнцем бессмертным ума.

Да здравствует солнце, Да скроется тьма!

ესაა მშრომელთა ოფლით მეგობრობის უმტკიცესი ციხე-ბურჯის, თავისუფალი შრომისა და აღმშენებლობის ქვეენის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინსვლის წლები.

ახლა, როცა კვლავ და კვლავ კითხულობთ მ. გორგის მოხსენ-

ნებას მწერალთა პირველ ყრილობაზე, ცხადი ხდება, რომ ეს ჩვეულებრივი სიტყვა კი არა, პროგრამა — მომავალი თაობებისთვის მრავალი და მრავალი წლის მანძილზე სამოქმედოდ დასახული პროგრამა, რომელიც შემუშავდა დიდი ლენინის, კომუნისტების დიადი პარტიის მოძღვრებით.

სწორედ მან, გორკიმ დაადო თავისი უშველებელი მარჯვენა ჩვენს მრავალეროვან ლიტერატურის ჯერ კიდევ ბალდის მხრებივთ სუსტ მხრებზე და ლოცვა-კურთხევით დააყენა იგი გზაზე. ასე ავედრებს უფალს მამი შორეულ, მძიმე, ნარეკლიან, ჯერ გაუკვალავ გზას შემდგარ შვილებს და მათ მახვილით, სახნისით და წიგნით აიარებს, რითაც ანდერძად უგდებს:

მახვილით დაიცავით მამა-პაპათა ჩვენთა მიერ აქამომდე და ცული მიწა;

სახნისით ხანით და დამუშავეთ მამაპაპათა ოფლითა და სისხლით გაპოხიერებული მიწა;

სიბრძნეს წიგნით ეზიარეთ.

მან ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გვიანდერძა.

მან გვაზიარა სოციალისტური რეალიზმის საიუდმლოებას: ვწეროთ სიმართლე, ვწეროთ კარგად და გამოვხატოთ მსოფლიოში ყველაზე პროგრესული ტენდენცია, ტენდენცია სოციალიზმისა.

ორმოცწლიანი პერიოდი იყო პერიოდი ლიტერატურული გოლიათის, ოქროპირის, მზეჭაბუკის დაბადებისა და მისი სახელია — საბჭოთა ლიტერატურა.

მაგრამ ძველისძველი ბრძნული ანდაზისა არ იყოს, არარაისგინ არარიაბა თუ იშვის, ჩვენი ლიტერატურა ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა. მან შეისისხლხორცა ჩვენი სამშობლოსა და მსოფლიოს ყველა ხალხის ლიტერატურათა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ესაა სინთეზი ყველაზე სულიერი ფასეულობისა, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას ჩვენს ეპოქამდე. ჩვენი ლიტერატურის ძარღვებში დუღს მხურვალე, ძველი და ბრძნული სისხლი რუსთაველისა, ნიზამისა, რუდაქისა, პუშკინისა და ტოლსტოისა.

რით იყო მნიშვნელოვანი სსრ კავშირის მწერალთა I ერილობა ქართველი ხალხისათვის?

იმით, რომ ამ ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ყველას გასა-
 გონად, ხმამაღლა პირველიდ იყო საუბარი უძველეს ქართულ კულ-
 ტურასა და ცივილიზაციაზე, რომელსაც ადრე ევროპისა და შეოფ-
 ლიოს მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტი თუ იცნობდა. ამ ყრილო-
 ბის მაღალი ტრიბუნიდან მთელმა შეოფლიომ პირველად გაიგონა
 ქართველი ხალხისათვის, ქართული ლიტერატურისათვის წმინდა
 სახელები რუსთაველისა, გურამიშვილისა, ბარათაშვილისა, ილია
 ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასი.

ოდესადაც ძველი კოლხეთიდან გატაცებული ოქროს საწმინდის
 საქართველოში მობრუნებაზე ოცნების ახდენას თუ შეიძლება შეე-
 დაროს ის დღეები.

განვლო რა ჩვენი საზოგადოების განვითარების ეტაპები, და-
 წყებული რევოლუციის ბობოქარი დღეებით, შემდეგ, სამოქალაქო
 ომის ხანძრის, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პერი-
 ოდების, სანგრების, დანაღმული ველებისა და მეორე მსოფლიო
 ომის ნანგრევების გამოვლით, ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ,
 ჩვენი ხალხების სხვა ლიტერატურებთან ერთად, შექმნა ჩვენი დია-
 დი ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი თვალსაჩინო ნაწარმოე-
 ბები.

ესაა სასწაულებრივი პოეზია გალაკტიონ ტაბიძისა.

ესაა ძველი, დრომოშემული საზოგადოების ნგრევისა და ახლის
 დამკავიდრების სულისკვეთებით გამსჭვალული ბრწყინვალე რომა-
 ნები კონსტანტინე გამსახურდიასი, მიხეილ ჯავახიშვილისა, ლეო
 ქიახელისა, დემნა შენგელაიასი, სერგო კლდიაშვილისა, კონსტან-
 ტინე ლორთქიფანიძისა, ალექსანდრე ქუთათელისა და სხვათა.

ესაა ჩინებული ლექსები და პოემები გიორგი ლეონიძისა, ტი-
 ციან ტაბიძისა, პაოლო იაშვილისა, სიმონ ჩიქოვანისა, ალიო მირ-
 ცხულავასი, ირაკლი აბაშიძისა, გრიგოლ აბაშიძისა, კარლო კალა-
 ძისა და მრავალთა სხვათა.

ამ ორმოცი წლის მანძილზე ქართული ლიტერატურა გამ-
 დიდრდა ახალი ნათელი ტალანტებით, ახალი ხალხებით, რომელ-
 თა ჩამოთვლა აქ აუცილებელი არაა, რადგან ამ შემოქმედთ და მათ
 წიგნებს კარგად იცნობს საბჭოთა და არა მარტო საბჭოთა მკითხვე-
 ლი, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ესაა თაობები, რომლებიც
 ჩვენს ლიტერატურაში მოვიდნენ სამოქალაქო ომის სანგრებიდან,

შოვიდნენ ომისშემდგომ პერიოდში და სამოციან წლებში და გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე ჩვენი ლიტერატურის დონეს, დირსებულებსა და მიღწევებს სწორედ ეს მწერლები განაპირობებენ.

„რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველ მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალ-ღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა“.

ჩვენი ერის სულიერი მამის, დიდი ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები გასული საუკუნის მიწურულსა და ამ საუკუნის დასაწყისს მაჟთვნის. ასე რომ, ინტერნაციონალიზმისა და მადლიერების გრძნობა ჩვენთვის არც არასდროს ყოფილა უცხო. მაგრამ ეს პროცესი ცალმხრივი არ იყო. ეს უზარმაზარი პროცესი ურთიერთგამდიდრების ხასიათს ატარებდა. როგორც კავკასიის ალმასებრი მდინარეები და თავისე დაქანებული ზვანები ერთდებიან დაბლობებში, ასევე კავკასიის ხალხთა და სხვა ხალხების ლიტერატურები შეერთდნენ ჩვენი დიდი საბჭოების ლიტერატურის მძლავრს ოკეანეში.

ამ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენი მწერალთა ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა, ახლა იგი 450 მწერალს აერთიანებს. ხოლო მას აქეთ, რაც ქართულ პოეზიაში მოგვევლინა ვერლიბრი — ანუ თავისუფალი, ყველაფრისებან პირწმინდად თავისუფალი ლექსი, რომლის დაწერასაც, როგორც ერთხელ ისუმრა ლუკონინმა, დროდა სჭირდება და სხვა არაფერი, დიას, ამისთანა ლექსების მომრავლების შემდეგ მწერალთა კავშირის წევრობის მსურველთა რიცხვი ერთორად გაიზარდა. იმედი გვაქვს, რომ მომდევნო ყრილობისათვის ათასი მაინც ვიქნებით. ის კი არა და, შეიძლება ათას ხუთასიც კი ვიქნეთ.

ახლა ჩვენს რესაუბლიკაში განსაკუთრებული ვითარებაა, გინსაგუთრებული აღმავლობაა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და ეს ატმოსფერო არა მარტო ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის

სწრაფ აღმავლობას უწყობს ხელს, არამედ ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლასაც.

რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ მოგვიწოდა მწერლებს გავიღაშქროთ ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას ხელს უშლიდნენ წინსვლაში. ეს ნეგატიური მოვლენები თვალსაჩინო სიცხადით აისახა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ, მთელი საქართველოსთვის საეტაპო დადგენილებაში.

როცა კრიტიკულ პათოსზე ვლაპარაკობთ, კრიტიკობანა და ნიკილიზმი კი არა, უხამსობის, უზნეობის, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და დრომომჭმული მოვლენების უარყოფა უნდა გვქონდეს მხედველობაში.

ჩვენს რესპუბლიკაში გაფურჩქნული იყო საზიანო ფორმულა — რესპუბლიკის გარეთ ყველას დასანახად ნუ გავიტანთ ჩვენს ნაგავს, თორემ რესპუბლიკის ლირებას და ავტორიტეტს შევლახავთო. მადლობა ღმერთს, ამ ტენდენციას ყავლი გაუვიდა, რადგან ავადმყოფი, ვინც ექიმს თავის სენს უმაღავს, კვდება.

სიამაყის გრძნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართველი მწერლები ყოველთვის იდგნენ ასეთ პოზიციაზე და რჩებიან ამ წმიდა საქმეში ჩვენი პარტიის უახლოეს თანაშემწევებად.

კრიტიკული და მაღალი შემოქმედებითი პათოსით გამსჭვალულ ასეთ პერიოდში, პარტიის მოწოდებით, მშრომელ ხალხთან და წარმოებასთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებისათვის მწერლებმა მიაშურეს მშენებლობებს, მაღაროებს, ფაბრიკა-ქარხნებს, ვენახებსა და პლანტაციებს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც უკვე მიაღწიეს. მაგრამ ზოგმა მწერალმა ისე მედავითნესავით სწორხაზოვნად გაიგო წარმოებასთან სიახლოვე, რომ ზოგჯერ ვერ მიმხდარხარ ვინ დაწერა ლექსი — პოეტმა თუ ჩაის საკრეფთა მანქანამ. რაღა თქმა უნდა, მთავარი ეს როდია, მთავარი სხვაა — ბოლოს და ბოლოს, ბევრმა იგრძნო და გაიგო, რომ ლიტერატურა ეკროპის გარშემო ტურისტული მოგზაურობა არაა და საჭიროა სიღრმეთა წიაღ შეღწვაც.

ჩვენთან, საქართველოში, ლიტერატურისა და ხელოვნებაში დგას ჟამი დიდი მოლოდინისა და ამის ცხადი დადასტურება ყვე-

და თაობის მწერალთა, რესპუბლიკის კუკული მშრომელის არნახული აქტივობა, რაც გამოწვეულია სკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებით საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ.

დიახ, ჩვენ დიდი მოლოდინის ფამი გვიდგას. ნურავის დარჩება საწყენად, ნურც ჩემზე უფროს თაობას, ნურც ჩემს თანამოასაკეთ, რაც არ უნდა თვალსაჩინო წარმატებები გვქონდეს, ეს მხოლოდ დასაწყისია იმისა, რაზეც ოცნებობდნენ ლენინი და კორკი და რაზეც ვოცნებობთ ჩვენ. დაე, ნურავინ შიშობს, ვაითუ უკვდავებამ გვერდით ჩაგვიაროს და ჩვენი სახელიც წაიშალოსო. არა, ჩვენ უკვდავებისთვის ისიც გვეყოფა, თუკი თუნდაც სულ ცოტათომაინც გავანაყოფიერებთ ნიადაგს მომავლის ნერგებისათვის, გავკაფავთ გზს მათთვის, ვინც ჩვენს კვალში დგის.

დიდი იმედის გრძნობით ადევნებს თვალყურს მთელი მსოფლიო ჩვენს პლანეტაზე სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ქებელების სამშვიდობო მისით მოგზაურობას. ადამიანთა გულები სავსეა იმედით, რომ მთელი ჩვენი ქვეყნისა და პირადად ლეონიდ ილიას ქებელების ენერგიული ქმედითი ღონისძიებები ამაռო არ ჩაივლის და, კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვებს სანუკვარ მშვიდობას. ადამიანები იმედოვნებენ, რომ ბოლოს და ბოლოს, ახდება ოცნება პატარა ბიჭუნასი, რომელმაც სიყვარულის, სიხარულისა და აღტაცების წამს ცარცით მოხაზა სანეტარო სიტყვები, დაე, მუდამ იყოსო მზე, ცა, დედა და იგი — შეიღო.

და თქვენ, მწერლებს, რომლებიც მთელ თქვენს ნიჭსა და გამოცდილებას სწირავთ ხელოვნების ერთადერთ და ჰეშმარიტ უფალს — ხალხს, გისურვებთ გეშრომოთ ისე, რომ თითოეულ თქვენგანს სიცოცხლის დასალიერზე ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად გეთქვათ ის, რაც თქვა ჩვენმა დიდმა წინამორბედმა.

Явившиесь

 в Це Ка Ка
 идущих

≈ 10 ≈

светлых лет,
под бандой
поэтических
рвачей и выжив
я подыму,
как большевистский партбилет,
все сто томов
моих
партийных книжек.



«ს ა ე ნ ჯ ი ს»

სიცოცხლის დასაჭყისი

ვერც ერთი ერი ვერ შეიგანს თავის ღირსეულ წვლილს მსოფლიო კულტურის საგანძურში, თუ სათანადოდ ვერ გაითავისებს ყოველივე საუკეთესოს, რაც საუკუნეთა წიაღში შეუქმნია კაცობრიობას.

კლასიკის შედევრების სათანადოდ თარგმნა ყველა მოწინავე ერის ღირსების საქმეა, ყველა ეროვნული ლიტერატურის წინსვლის, განვითარების სასიცოცხლო პირობაა.

კლასიკურ მემკვიდრეობასთან ზიარება ხომ აუცილებელია და აუცილებელი, დღეს ასევე სასიცოცხლო ამოცანაა დაუხანებლად, დროზე გავეცნოთ ყოველივე ეპოქალურად მნიშვნელოვანს, რაც იქმნება მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. სხვა თუ არაფერი, მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურა 72 ენაზე იქმნება. აქამდე მთარგმნელობითი საქმიანობის გვირთი განაწილებული იყო ჩვენს სხვადასხვა სალიტერატურო თუ პერიოდულ ორგანოზე. ეს გვირთი მათ მთლიანად არც დღეიდან მოხსნიათ, მაგრამ დღეიდან მწერალთა კავშირს უკვე აქვს საგანგებოდ საამისოდ გამიზნული ორგანო — მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური აღმანაში „საუნჯე“.

ალმანახის გამოსვლას დიდი სიხარულით შეხვდა ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული კულტურა, ქართული მწერლობის დღევანდელი და ხვალინდელი მდგომარეობა.

უკვე გამოსულია „საუნჯეს“ ორი წიგნი — 50 ნაბეჭდი თაბაში!

ამჟამად არ ვაპირებთ ამ წიგნების შეფასებას. საერთო შთაბეჭდილებას კი ხაზს გავუსვამთ: ალმანახის სარელაქციო

კოლეგიას (მთავარი რედაქტორი კონსანცინე ლორთქიფანიძე) და რედაქციას დიდი მუშაობა გაუწევია, რათა შთამბეჭდავად დაეწყო საქმე, მყარად დამდგარიყო ფეხზე.

დიდი გზაა გასავლელი!

მივესალმებით ქართული სალიგერაცურო ორგანოების ოჯახის ამ ღირსეულ ახალ წევრს და წარმატებებს, შემოქმედებითს გამარჯვებებს ვუსურვებთ.

ალმანახ „კრიტიკის“ რედაქცია აღუთქვამს მკითხველებს, რომ თავის ფურცლებზე დროდადრო სათანადოდ შეაფასებს ალმანახ „საუნჯის“ შემოქმედებითი შრომის ავ-კარგს, რისთვისაც სიგყვას მისცემს ქართველ მწერლებს, პროფესიულ მთარგმნელებს, მეცნიერ-სპეციალისტებს, ყველა კომპეტენტურ მკითხველს.



დიცენაციან და ცერვისა

კონსტანტინი ლორთიშვილი —
1973 წელს გამოსცა მოთ-
ხობების პრეზული — „ცა-
ბუნია“. წიგნი შეტანილია ის
ნაწარმოებები, რომელთა გამო
მათ ავტორს მიენიჭა რუსთავე-
ლის სახელობის პრემია.

ცერვისა და მოსალი განრეალი



კარიელ კვანძილაშვილი



წიგნში ათი მოთხრობა და ოთ-
ხი „გახსენებაა“ შეტანილი. მო-
თხრობათაგან შვიდი ასახავს სა-
მამულო ომის ამბებს („ცაბუნია“,
„მამია ჭაიანი“, „სიყვდილი ცო-
ტას მოიცდის“, „მაისის დილა“,
„ცისფერი დუნაი“, „როდესაც
კაცი მარტოა“, „ერთი ღამის საუ-

კუნე“); ავტობიოგრაფიულ მოთხოვნაში „ჩემი პირველი კომენზურული“ გაცოცხლებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა დღეები და თვით ამ ისტორიული მოვლენის პირველი ამბები. ამ მოთხოვნას თემატურად უკავშირდება „ორთაჭალელი მეთევზები“, რომელშიც ნაჩვენებია ახალგაზრდა ბოლშევიკების რევოლუციური მოქმედება მენშევიკების ბატონობის პირობებში და ქვეყნის მაშინდელ მესვეურთა, მათი ოჯახების სულიერი ავლადიდება. მორალის რთულ საკითხს ეძღვნება მოთხოვნა „გაუმარჯოს დონ კიხოტს“. და თუმც სამამულო ომის ამბებზე დაწერილი მოთხოვნების რიცხვი სჭარბობს ამ კრუბულში, მაიც ვერ ვიტყვით, რომ წიგნი თემატურად ერთფეროვანია.

მწერალმა თავის ამ ნაწარმოებებს „უტყუარი მოთხოვნები“ უწოდა და ამით გაგვიმუდავნა „საიდუმლო“, რაც მკითხველის ცნობისმოყვარეობას ისედაც აღძრავდა. „სხვა მოთხოვნები კი სტყუან?“ — თვითონვე კითხულობს ავტორი და უარყოფითად უპასუხებს. მაგრამ თუ მწერალი საერთოდ ნანახსა და გაგონილს ხან კალაპოტს შეუცვლდს, ხან სა-

ლებავსაც და ისე თბზავს ნაწარმოებს, „მე კი აქ ერთი ამბავიც არ შემიცვლია, არაფერი არ დამიმატებია, არც შემილამაზებია, მხოლოდ ცოტა უფრო მეტი სიყვარული გავაყოლე ამ აღამიანებსო“. — გვეუბნება კ. ლორთქიფანიძე.

დავუჭეროთ ავტორის ამ განცხადებას? ჰოც და არც. უნდა დავუჭეროთ იმიტომ, რომ ათივე ნაწარმოების ყველა გმირი მარტოოდენ ისეთი კი არ არის, როგორიც სინამდვილეში შეიძლება ბოლო ყოფილი, არა დავაზღვედრია, გაგვიცვნია და დავაზღლვებივართ. მაგრამ მაინც „არ უნდა დავუჭეროთ“ ავტორის ამ განცხადებას თუნდაც იმიტომ, რომ თვითონვე გაგვიმხილა: „ცოტა უფრო მეტი სიყვარული გავაყოლე ამ აღამიანებსო“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაერია მათ ხასიათში, შემოქმედებითად დაინახა ისინი და გამოძერწა ნამდვილივით.

კ. ლორთქიფანიძე სხვა მხრივაც ცდილობს, რომ თავისი გმირების „ნამდვილობაში“ დაგვარწმუნოს. საამისოდ ის იყენებს სულ ცოტა ორ ხერხს მაინც. გერთი, ე. წ. „გახსენებით“ ხახ-

გამულია, რომ მწერალი უშუალოდ იცნობს თავის პერსონაჟს შეორე ხერხი კი თუმც ცნობილია, მაგრამ რამდენიმე მოთხოვნაში აქაც არის გამოყენებული და ამიტომ ღირს მისი ონიშვნა: ზოგჯერ ავტორი თვითონ გამოჭის ნაწარმოების პერსონაჟად და კონტაქტშია სხვა პერსონაჟთან. ამით მინიშნებულია, რომ ნამდვილია, რასაც მოგითხოვთ, მე თვითონ იქ ვიყავი, მე თვითონ ვმონაწილეობდი ამ ამბებული.

ამ მოსაზრების საილუსტრაციო მაგალითები:

ავტორთ „გახსენება (2)“, რომელიც წინ უძღვის მოთხოვნას — „სივლილი ცოტას მოიცდის“. აქ მოცემულია ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ანკეტური ცნობები პირდაპირ დოკუმენტის მიხედვით.

....და ბოლოს ეს პატარა მოთხოვნა იმ კაცის სახელს მინდა მიღუძღვნა, ვინც ამ წიგნის სათაური ჩამაგონა.

იმ მისი სამხედრო წიგნაკის პირველი გვერდი.

1. გვარი მებუკე
- 2 სახელი და მამის სახელი იონა ვალერიანის ძე.
3. წოდება და თანამდებობა მეკავშირე წითელარმიელი.

4. ნაწილის დასახელება 414 მდ. 1443 ასეული.

5. დაბადების წელი 1898.

6. დაბადების ადგილი სამტრედიის რაიონი, სოფ. ჭაგანი.

7. სკეციალობა ტრაქტორისტი“.

ეს იონა მებუკე არის 44 წლის ქართველი ქაცი, რომელიც ფრონტზე ახალგაზრდა ჭარისკაცებზე მამასავით ზრუნავს და ამიტომ „არამყითხე მამობილი“ შეატევს. ის არის უჩვეულო სიმაშავის ადამიანი, რომელიც თანამებრძოლის სიცოცხლის გადასარჩენად უხმოდ, მუნჯივით ზის ორმოში, — მას გერმანელი გუშაგი გასართობად ესვრის ხელყუმბარას, თუმც არ იცის, რომ ის ირმოში საბჭოთა შზერავი იონა მებუკე ზის. იონას შეუძლია თოფით გერმანელის მოკვლა და ამით მოსალოდნელი დაღუპვის თავიდან აცილება, მაგრამ ის თითსაც არ გაანძრევს, რაღაც ამას მოჰყვება ჩვენი მეორე მზერავის, არღაშელიას დაღუპვა, რომელსაც დავალების შესრულება მტრის ზურგში უდება. პირველი ყუმბარა რომ არ აფეთქდა, გერმანელმა მეორე ისროლა, ამან კი 12 ჭრილობა მიაყენა იონას, მაგრამ ერთიც არ.

დაუკვნესია, უხმოდ იტანს ტკი-
ვილს, რათა თავისი იქ ყოფნის
გამულავნებით არდაშელიაც არ
დალუპოს. ეს იყო ნამდვილი გმი-
რობა, — თავგანწირვა ამხანაგისა
და დავალებული საქმისათვის.
მოგვიანებით არდაშელიამ მო-
მაკვდავი იონა ნაწილში ზურგით
მიიყვანა, მას ფეხი მოჰკვეთეს.
შემდეგ ჰოსპიტალში გადაიყვა-
ნეს...

და ა, მოთხოვთ ფინალი:

„ერთხელ საუბარში წამომც-
ცდა: კიდევ ადვილად გადარჩი,
ჩემო იონა... იმ ორმოში რა
გულმა გაგაძლებინა, პირდაპირ
მიკირს-მეტვი...“

— ეხ, ჩემო კონსტანტინე,
სიკვდილი ცოტას ყოველთვის
მოიცდის, თუ კაცი არ შეუშინ-
დება! მხოლოდ სირცევილმა არ
იცის მოცდა, მოვა და მაშინვე
თავს მოგჭრისო! — მითხრა მან
და ნალვლიანად გამიღიმა“.

ჩვენს მიერ მოტანილ ამ მაგა-
ლითში ორივე ხერხია გამოყენე-
ბული: „გახსნენებაში“ ზუსტად
მითითებულია პერსონაჟის ბიოგ-
რაფიული მონაცემები, ხოლო
ფინალში პერსონაჟი და ავტორი
საუბრობენ. ჩვენი გაეცით, ეს
ორივე ხერხი ერთი დანიშნულე-
ბისაა — მკითხველი დაარწმუნოს
მონაცოლის ნამდვილობაში, ხო-
ლო ამით უფრო დამაჯერებელი

გახადოს ნაწარმოები, მისი მთა-
ვარი აზრი, მთლიანად ყველა-
ფერი.

ანალოგიური მაგალითები სხვა
ნაწარმოებებიდანაც შევვიძლია
მოვიყვანოთ. „ჩემი პირველი კომ-
კავშირელისათვის“ მწერალს ქვე-
სათაურიც დაურთავს — „ავტო-
ბიოგრაფიული მოთხოვა“. მარ-
თლაც, ავტორი თავისი ცხოვრე-
ბის ამბების მოყოლით იწყებს:
„გამომცემლობას ჩემი თხზულე-
ბების პირველი ტომი რომ ჩავა-
ბარე, რედაქტორმა მთხოვა, ერ-
თი-ორი სიტყვა ამ წიგნების დამ-
წერზედაც მეთქვა...“ მერე გვიმ-
ბობს: „...დავიბადე 1905 წელს.
7 იანვარს, სოფელ დიდ ჭახაიშ-
ში, პაპიჩემის დავით ვაშავიძის
ოჯახში...“ და ა. შ. ერთი სიტყ-
ვით, განსხვავებული ფორმით,
ნერამ მაინც აქ ავტობიოგრაფიის
გადმოცემაა. აქ არის ბავშვობის
ამბები, სწავლა ქუთაისში, ბი-
ჭოია ფურცვანიძესთან ერთად
მოწაფეობის დროინდელი თავგა-
დასავლები, მერე ქუთაისიდან
მენშევიკების გაქცევის ორომტ-
რიალი, ახალგაზრდა კ. ლორთქი-
ფანიძის მუშაობა მეურმედ, ქუ-
თაისის გადასვლა რევოლიტი
ში და მოულოდნელი შეხვედრა
წითელარმიელ ბიჭოია ფურცვა-
ნიძესთან, რომელიც რევოლუ-
ციის გარისკაცი გამხდარიყო...

და აი აქ ავტორი კვლავ ხვდება
მოთხრობის პერსონაჟს დ მწერა-
ლი თვითონ შემოღის ნაწარმოე-
ბის ერთ-ერთ პერსონაჟად:

„— გამარჯობა, კოშ! ვერ მი-
ცანი!

თვალებს არ დავუჭერე! ურემ-
თან ჩემი სკოლის ამხანაგი, ბი-
ჭოია ფურცხვანიძე იდგა.

— ბიჭოია, ჩემო ბიჭოია! მე
კი არა, დედაშენი ვერ გიცნობდა
ამ ტანსაცმელში! — შევძახე უსაზ-
ღვროდ გახარებულმა“.

ვფიქრობთ, მაგალითები იქმა-
რებს.

ცხადი გახდა, რომ „გახსენე-
ბის“ და პერსონაჟად ავტორის
გამოყვანის ხერხი ერთ მიზანს
ემსახურება — უფრო მეტი ხაზ-
გასმით დაარწმუნოს მწერალმა
მკითხველი, რომ მონაცოლი ნამ-
დვილია, უფრო სწორად, აღიქ-
ვას როგორც ნამდვილი.

გახსენება (1)

„კაჭი კვაჭანტირაძეში“ და
„გივი შადურში“ ამ ნაწარმოებ-
თა ავტორი რამდენიმეჭერ ხვდება
მთავარ პერსონაჟებს და მათთან
კონტაქტშია. მაგლითად, კვაჭი
თავისი მამის დაზღვევის საკით-
ხე ხვდება და ელაპარაკება
„დაზღვევის ინსპექტორ“ მიხეილ
2. „ქრიტიკა“ № 8.

ჯავახიშვილს. მწერალი კვაჭის
ხედაც რკინიგზის საღურშეც
და ა. შ. გივი შადური თავის თავ-
გადასვალს რომ უამბობს ქართ-
ველ მწერლებს, მათ შორის არის
ავტორიც, რომელსაც გივი პერ-
სონალურადაც მიმართავს, ბატო-
ნო მიხეილო, და ესაუბრება მას.

ეს ლიტერატურული ფაქტები
გამახსენა ბიჭოია ფურცხვანიძის
სიტყვებმა: „გამარჯობა, კოშ!“
ანდა იონა მებუკის მიმართავს;
„ეხ, ჩემო კონსტანტინე...“

* * *

„გახსენება“ ქ. ლორთქითანი-
ძის ერთ-ერთი შემოქმედებითი
ხერხია, რომელიც არა მარტო
ფაქტობრიობის შთაბეჭდილების
შესაქმნელად არის მოხმობილი,
არამედ მას როგორლაც თავისითა-
ვადი მხატვრული და ამასთანავე
შემეცნებითი ფუნქციაც აკისრია.
არ მხრივ, უწინარეს, პირველ
„გახსენებას“ მივაქცევთ მკითხ-
ველის ყურადღებას. იგი ერთ და-
მოუკიდებელ ნაწარმოებადაც კო-
ლირს როგორც თხრობის ოსტრ-
ტობის, ასევე ისტორიული ფაქ-
ტობრიობის აღდგენის თვალსაზ-
რისითაც. აქ ყველაფერი წარმოა-
ჩენს ომის გარემოს, რომელსაც
უფრო ვგრძნობთ, ვინემ ვხედავთ.
აქვე ცოცხლდება საინტერესო,

ჩეალურად არსებული პიროვნები — კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, რომელმაც თბილისის რკინიგზის სადგურზე ფეხთ თბილი წინდები გაიხადა და ფრონტზე მიმავალ კ. ლორთქიფანიძეს აჩუქა: აქვეა მწერალი რლო მოსაშვილი: აქვე ვერდავი საქართველოს კომპარტიის ც.კ.-ის მაშინდელ მეორე მდივანს კ. შეროზიას, ვისთანაც გამოძახებული იყო კ. ლორთქიფანიძე და ფრონტზე წასვლის დავალება მიიღო, თანაც დასძინა — მეც მოვდივარო... ფრონტზე მიმავალი მწერლის გაცილების ეს ეპიზოდი ძალზე მეტყველიცაა. აქედან იწყება კ. ლორთქიფანიძის სამწლიანი ფრონტული ცხოვრება, ქართულ საბრძოლო გაზეთში სამხედრო კორესპონდენტიდ მისი მუშაობის ჭაპანი...

შეხედეთ, რამდენი რამ არის ამ „გახსენებაში“ ფაქტობრივად საინტერესო, რაც ცნობილ პიროვნებებს ეხება მათი ცხოვრების ერთ მონაკვეთში. და, რაც მთავარია, როგორ იგრძნობა 1942 წლის თბილისის მძიმე მდგომარეობა, ომმა რომ წარმოშვა. ახლა თხრობა ნახეთ, რა ძუნწად ხმარობს მხატვარი საღებავს, მაგრამ რა მეტყველია ყველა დეტალი:

„გერ ისევ ლოგინში ვიწექი. ილო მოსაშვილმა რომ დამირეკა და მითხრა, კარგი ხაში თუ გინდა, ახლავე ჩემთან გადმოდიო.

ხაში და ისიც კარგი — ორმოცდაორი წლის ზამთარში ისეთი იშვიათი რამ იყო, რომ ხელად ჩავიცვი და წავედი.

იმ ხანებში ჩვენ ერთ სახლში უცხოვრობდით მარჯანიშვილის ქუჩაზე. არ გასულა ხუთი წუთი. მეც და ჩემი მასპინძელიც ორთველიან ჯამებს ვუსხედით და ცხელი წვნით პირს ვითუთქავდით.

გარეთ უხვად თოვდა.

მიყვარს, ასე რომ ბარლის ხოლმე, მაგრამ ახლა ფანჯრების ზოლ-ზოლად დაჭრილი მარლა იყო გაკრული და თოვლი კარგად არა სჩანდა...

ხაშის უშოვნელობა, ფანჯრებზე გაკრული მარლის ნაჭრები ისეთი დეტალებია, რომლებიც ომის სურათს აღადგენს. მსგავსი რამ ამ „გახსენებაში“ უხვადაა.

ომის ამბების ამსახველი მოთხრობები, ამ კრებულში რომ შეუტანია მწერალს, იმდენად ჯვარწმუნებს მათ ფაქტიურობაში, რომ თეორიული თვალსაზრისით აქ საინტერესო საკითხები წამოიჭრება. ჩვენ საშუალება არ მოვეცა გავცნობოდით კომპლექტებს იმ გაზეთისა, რომლის

ს.მხედრო კორესპონდენტიც კ. ლორთქიფანიძე იყო. ამ მოთხოვნების პერსონაჟებზე იმ განხეთებში ჩვენს მწერალს ხომ არ აქვთ გამაჯევეყნებული ნარკვევები, ჩანახატები, კორესპონდენციები? და თუ აქვს, მაშინ საინტერესო შემოქმედებით პროცესთან გვქონია საქმე: ის ადამიანები, ის თემები მწერალს წლების მანძილზე არ ასვენებდნენ. თან დასდევდნენ და აიძულებდნენ კვლავ დაწერა მათზე. მაშინ, ომის ქარცეცხლში ნაუციათევად დაწერილი ჩანახატი უკამარისობის გრძნობას აღრმავდა შემოქმედში და სხვაგარად თქმისაკენ ეძახდა გამუდმებით

მსგავსი ფაქტები ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი არ არის. ხომ ცნობილია, რომ ბ. პოლევიმი მარესიევზე ჭერ ნარკვევი გამოაქვეყნა „პრავდაში“, შემდეგ კი დაწერა ვრცელი მოთხოვნა „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“. ასევე იყო „ახალგაზრდა გვარდიის“ ამბავიც: ა. ფადეევმა კრასნოდონელ კომკავშირლებზე ჭერ ნარკვევი დაწერა, შემდეგ კი — რომანი. რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ მ. ჯავახიშვილი. მან 1906 წელს დაწერა პიესის ფორმის ფელეტონი „ოჯახი“, ხოლო 30 წლის შემდეგ ამა-

ვე ფაქტებზე შექმნა ცნობილი რომანი „ქალის ტვირთი“. ადგილი შესაძლებელია, რომ ქართული ფრონტული გაზეთები გვინახავდნენ ამ წიგნის მებრძოლ პერსონაჟთა წინამორბედებს, პროტოტიპებს. კარგი იქნება, ოდესმე ამ საკითხით დანარტერესება და იმის გაგება, თუ რა მეტამორფოზა განიცადა ყოველმა მათგანმა, რა შემოქმედებითი პროცესი გაიარა ამ ლიტერატურული ფაქტებმა.

მამია ჭაიანი, იონა მებუკე, გური არდაშელია, ლევან ბაზლიძე, ლევან ნაღიბაძე, გიორგი მუმლაძე და სხვები, ვინც კ. ლორთქიფანიძის მოთხოვნების დაუგიშყარ სახეებად ქცეულან, მკითხველისათვის ნამდვილნიც არიან და შეთხზულნიც! ეს მწერლის დიდი გამარჯვება.

სამამულო ომის ამსახველ ლოტერატურაზე და მათ ავტორებზე, ერთი დალმხრივობის გამო, საყველური უნდა ითქვას. ისინი უმეტესად ასახავენ ე. წ. შინ-მოუსვლელთა ან საგანგებო გმირობით გამორჩეულთა ამბავს, მაგრამ თითქმის არაფერი იწერება შინდაბრუნებულთა ან ომში მყოფი მილიონობით ჩვეულებრივი მებრძოლის ჭაპან-წყვეტი-

ზე. დამერწმუნეთ, რომ ომიდან უვნებლად დაბრუნება არც იოლი იყო და არც სამარცხვინო. ასევე ძნელზე ძნელი იყო იმ მებრძოლთა ხვედრი, ვინც გარემოებამ გმირად ვერ „აქცია“, თუმცა მთელი ომის მანძილზე მისი განუწყვეტელი ფხიზლობა, განუზომელი ჯაფა, ამტანობა და სიკვდილის პირისპირ დგომა თავისთავად უდინდესი გმირობა იყო! ახლა ზოგჯერ გამოჩნდება ისეთი ცინიკოსიც, ვინც მაშინ რაღაც მანქანებით მოახერხა და ომში თანატოლებთან ერთად წასვლის ნაცვლად შინ დარჩა, ურცხვად და ორონიულად ხუმრობს: „ჩვენ აქედან ზურგს გამაგრებდითო“.

რისი გამაგრება შეუძლია ისეთ კაცს, რომელიც ოთხ წელიწადს ომში ყოფნას კი არა, ოთხ საათს ვერ შეძლებს თუნდაც მშვიდობიან საგუშავოზე დგომას... სამწუხაროდ, არც ასეთ ლაპირებზე და ცინიკოსებზე იწერება რამე. ეგებ ეს გარემოება ხელს უწყობდა კიდეც მათ გაპარაშებას? ერთი სიტყვით, მწერლობა ვალშია შინმოსულთა და „ჩვეულებრივი“ მებრძოლების წინაშე.

სხვა ლიტერატურებში, კერძოდ რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში ამ მხრივ სხვაგვარი სურათია. უპირველესად, ომისშემდგომ მხა-

ტვრულ ნაწარმოებში ბევრი შთამბეჭდავი პასაკია შექმნილი რიგითი მებრძოლების ჩვეულებრივ საფრონტო ცხოვრებაზე ან მათს ყოველდღიურ შრომაზე ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ. ამასთან, შათი სიმამაცე დანახულია, როგორც ბუნებრივი მოვლენა, ჩვეულებრივი ამბავი, რომლითაც გმირები არ ტრაბახობენ. ქართულ ლიტერატურაშიც იყო ამის რამდენიმე მაგალითი, მაგრამ ისინი გამონაკლისია.

ჩვენი საყველური გ. ლორთქითანიძეს სწორედ რომ არ ეთქმის. ეს აზრი განსახილველმა წიგნმა ვაგვახსენა მხოლოდ.

ამ წიგნის კითხვისას უნებლივთ იბადება კითხვა, თუ რით აღწევს მწერალი ტიპების ისეთ გამოძერწვას, რომ ცოცხლებივით ხედავ და გრძნობ მათ, თითქოს გესმის მათი გულის ფეხქვა... იქნებ ამის ერთ-ერთი მიზეზია სხარტი და მეტყველი დიალოგი, ვთქვათ, ასეთი:

— შესმენილი კაცი ხარ, ლევან! ერთ რამეს შეგვეკითხები და ნიპასუხე.

— მკითხე, მამავ. — მიუგოლევანმა.

— ადამიანი ხვადაგისაგან რითი განსხვავდება?

„ვერ გამიგია, რას მიარა-

კებს!“ — გაიფიქრა ლევანმა და წყნარად ჩაიცინა.

— ნუ გეცინება, ბიჭო! მართლა გეკითხები.—სოქვა ზაქარიაშ.

— ეგ მეოთხე კლასში გვასწავლეს, მამავ. არ გახსოვს ილია ჭავჭავაძის „გუთნისდედა“? „შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი, ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება!“

— კარგი ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა! ილია ბრძენი კაცი იყო, მის სიტყვას დაჭერება მართებს...

ზაქარია გაჩუმდა. ეტყობა, ჭავჭავაძის ხსნებამ სათქმელ პირზე შეატეხა.

— სოქვი, მამავ! — უთხრა ლევანმა.

— ამ საგანზე მე ჩემი აზრი მაქვს, შვილო, თუ ცოდვად არ ჩამითვლი...—გაუბრედავად სოქვა ზაქარიამ და ლევანს მკლავზე ხელი მოჰკიდა: — ხვალაგმა სირცევილ-ნამუსი არ იცის, ბიჭო! ადამიანი კი... ადამიანი მხოლოდ სირცევილ-ნამუსი! თუ ეს დაპკარებე, მაშინ ყველაფერი დაკირგული გაქვს! შენ ძნელ საქმეზე მიღიხარ, ლევან. გახსოვდეს ჩემი სიტყვა...“

თითქოს იქ დგახარ და უსმენ კახელი გლეხისა და ოშში მიმავალი მისი ვაჟის ამ დიალოგს.

ამ სიტუაციაში, ამ აღამიანებს შორის გამართული ეს საუბარი არ შეიცავს არც რაიმე ზედმეტს და მას არც არა ყვლია რა. იგი ბუნებრივი და დამაჯერებელია. მერე აღარ უკვირს მკითხველს, რომ მძიმე წუთებში ლევანი მანას ამ ნამუსიან სიტყვებს მრავალჯერ გაიხსენებს და ასრულებს კიდეც.

წიგნში შეტანილი ყველა მოთხრობიდან შეიძლება ამონაწერების მოტანა. იქ გამართული დიალოგები მოსაუბრებს ცოცხლალ წარმოგვადგენინებს და თანაცმათი ხასიათისა და ბუნების რომელიმე თვისებას წარმოაჩენს.

მაგრამ მარტო დიალოგს არასოდეს შესძლებია თავს ედო ტიპების გამოკვეთის მთელი ტვირთი, მას სხვაც თუ არაფერი მიაჰვილა მწერალმა.

გარემოსთან, სიტუაციასთან საპასუხო მოქმედების შერჩევა და ჩვენება უდავოდ ხელს უწყობს ხასიათის გამოქანდაკებას და კ. ლორთქიფანიძე კარგად არის დაუფლებული ამ ხელოვნებას,

აბა შეხედეთ, როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი რომან-ტეიულ-პოეტურ და იმავდროს ზედმიწევნით რეალისტურ მოთ-

წრობაში, რომელსაც ერთი სამ-
 ტრედიელი ჭორფლიანი გოკო-
 ნის სახელი — ცაბუნია ჰქვია. —
 ფრონტზე წასული მამის წერი-
 ლები შეუშეყდა ოჯახს და მძიმე
 დარღმაც არ დააყოვნა. როგორ
 რეაგირებს ამაზე ჩვენი ცაბუ-
 ნია? საოცრადაა ნაჩვენები ეს
 მოქმედება: ყოველდღე ის მი-
 დის სამტრედის რკინიგზის სალ-
 გურზე, სადაც ფრონტიდან დაჭ-
 რილები ჩამოჰყავთ, და ყველას
 ეკითხება თავისი მამის ამბავს.

„ცაბუნია დახურულ კუპეში
 შეიხედავს და ჩუმად იყითხავს:

— ქერჩიდან მოლიხარ, ბიძია?

და სანამ სამანევრო ორთქლმა-
 ვალი სანიტარულ ვაგონს ჩიხში
 ჩაყენებს, ცაბუნია თითქმის ყვე-
 ლა კუპეს ჩამოივლის და დაჭ-
 რილ ჭარისკაცებს გამოელაპარა-
 კება.

— მეხუთე თვეა მამისაგან წე-
 რილი არ მიგვიღია. აბულაძეა
 ჩვენი გვარი. ხომ არ გინახავს
 სადმე?

— სახელი რა ჰქვია მამაშენს?

— ვალიკო.

— ვალიკო აბულაძე? არა, შვი-
 ლო, არ მინახავს.

— კარგი ბატონო.

...ასევე ჩუმად გადადის ერთი
 კუპედან მეორეში და ისევ ის-
 მის მისი მორიდებული ხმა:

— ქერჩიდან მოლიხარ, ბი-
 ძია?

მეითხველნიცა და დაჭრილი
 ჯარისკაცებიც გულგრილნი ვერ
 დარჩებიან პატარა ცაბუნიას ბე-
 ღდისადმი. აյი ასეც მოხდა: ერთ-
 მა დაჭრილმა სერუანტმა „ტე-
 თილშობილური ტყუილი“ უთხ-
 რა გოგონას, რომ მამაშენი კარ-
 გად არის. წამოსვლის დღეს ვნა-
 ხე და თქვენთან დამაბარა, ჩემი
 დარღი ხუ გექნებათო. ამ სიც-
 რუემ გოგოს ფრთები შექანა,
 დარღი იმდემა შეუცვალა; გა-
 მოაცოცხლა და გაახალისა. ამის
 მთქმელს გოგონა ჰოსპიტალში
 აყითხავდა, თან სკოლის ამნანა-
 გებიც მოჰყავდა, რათა იმ მეომ-
 რასაგან მოესმინათ ვალიკო აბუ-
 ლაძის გმირობის ამბავი, რასაც
 დაჭრილი ყოველდღე თხზავდა
 ცაბუნიას გასახარად. და როცა
 გაძნელდა ამდენი ტყუილის
 ობზე, დაჭრილმა უფროსებს
 სხვაგან გადაყვანა სთხოვა, რომ
 ჯასცლოდა იქაურობას და ცაბუ-
 ნია აღარ შეხვედროდა.

სხვათა შორის, აქ არა მარტინ
 ცაბუნიას გარემოს შესატყვისი
 მოქმედება იქცევს ჩვენს ყურად-
 ღებას, არამედ იმ დაჭრილი
 მეომრისაც, რომელიც მოკემულ
 სიტუაციაში ასე მოქმედებს და
 რითაც აშკარა ხდება მისი კუ-

თალღობილური ხასიათი, სწორი
გასაჭირის გულგრილად რომ ვერ
ჩაუვლის. ამ ხერხით მწერალი
წარინატებას აღწევს: გამოკვეთავს
ჟერსონაჟის ხასიათს, დასამახ-
სოვრებელს, ხორცებეს ხმულს
ხიდის მას.

ଏବାଲ୍ଲଙ୍ଘିତୁରୀ ମାଗାଲିତି ମହେଲୀ
ଓ ଫିଳନିଦାନ ଉତ୍ସବାଲ ଶେଷିଠିଲାଇ
ମନ୍ଦିରାବିନିକୁ.

ხასიათების ცოცხლად ჩვენების მთავარი საშუალება მწერლისათვის მაინც თითოეული პერსონაჟის თავგადასავალია. ამ თვალსაზრისითაც კ. ლორთქიფანიძე უკველად ოსტატის მაღლალ სახელს იმსახურებს. ომის პედებზე წერს თუ მენშევიკთა წინააღმდეგ მებრძოლ ახალგზრდებს გვიხატავს, მწერალი ყოველთვის ზრუნვს ამბის მოწიდების ფორმაზე, ცდილობს თითოეული პერსონაჟის მოქმედება, საქმეები ყოველი კუთხიდან გამჭუქოს, რათა ჩრდილიანი შხარე არ დარჩეს, რათა ნაცლად და სრულად აღვიქვათ ყველა პერსონაჟის თავგადასავალი. და იმის მიხედვით, თუ რას აკეთებენ ისინი, ჩვენ ვხედავთ მათ სულიერ სამყაროს, ადამიანურ ფვისებებს, ერთი სიტყვით, იმას. აუ ვინ არიან ისინი, ეს პერსო-

ნაერბი — გმირები არიან თუ
ლაჩრები, თავდაცებულნი თუ
გოლალატენი, პატიოსანნი თუ ნა-
მუსგარეცხილნი, მცონარანი თუ
ბეჭითნი და ა. შ.

მშერალი ამ სამოცანის გადა-
საწყვეტად იყენებს არა აღწე-
რის, არამედ ხატვის ხერხს, მკა-
ფიო ჩვენების ხერხს.

წინამდებობაში განვითარობს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, თუ ნებულობები ძალზე მცირე მოცულობისა არ არის, გმირი ნაჩვენებია განვითარებაში, დახატულია სასიცოდების ჩამოყალიბების პროცესი. ეს ხერხი ყველაზე უკეთესად მომარჩვებულია მოთხრობაში „ორთაჭალელი მეთევზები“, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირის — გაიანეს შეგნების ევოლუცია, გარდაქმნა აქ მცავით არის შესამჩნევი. გაიანე მოახლედ მუშაობდა მენშევიკური მთავრობის მინისტრის მოაღილის ოჯახში და კმაყოფილი იყო თავისი პელით, იმის გამო, რომ იმ შიმშილობის ჟამს მას ლუკმა არ იყლა. ამიტომ გაიანე ერთგულად ეშპსახურებოდა ოჯახის უფროსსა და მის მეუღლეს. ის დამცირებასაც იტანდა ქალბატონისაგან, ნაგრამ ბატონს მაინც ერთგულობრივ განვითარებას მოახდინ. ამიტომ გაიანე უკეთესად მომარჩვებულია მოთხრობაში „ორთაჭალელი მეთევზები“, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირის — გაიანეს შეგნების ევოლუცია, გარდაქმნა აქ მცავით არის შესამჩნევი. გაიანე მოახლედ მუშაობდა მენშევიკური მთავრობის მინისტრის მოაღილის ოჯახში და კმაყოფილი იყო თავისი პელით, იმის გამო, რომ იმ შიმშილობის ჟამს მას ლუკმა არ იყლა. ამიტომ გაიანე ერთგულად ეშპსახურებოდა ოჯახის უფროსსა და მის მეუღლეს. ის დამცირებასაც იტანდა ქალბატონისაგან, ნაგრამ ბატონს მაინც ერთგულობრივ განვითარებას მოახდინ.

ლობდა. გაიანე აღშეცოთდა, როცა მის ბატონს „წყენა მიაყენეს“ მეოვეზეებად გადაცმულმა აჩალ-გაზრდებმა, რომლებმაც მათი ოჯახის სტუმრებს პალტოს ჭიბუები ბოლშევიკური პროკლამაციებით აუვსეს. მეორე დღეს ეს ფაქტი გახმაურდა და გაიანეს ბატონს საფრთხე დაემუქრა. გაიანე მზადაა გადაცმულ მაძებართან ერთად დღეების მანძილზე იხე-ტიალოს თბილისის წვიმიან ქუჩებში და ის ბიჭები მოძებნოს, ოღონდ მათ სახეს მოჰკრას თვალი და მაშინვე მაძებარს ანიშნოს... როგორ გაიხარებს გაიანე, თუ ამას იზამს და ბატონს გაღიარენს... მაგრამ ხდება როგორც და რა რამდენიმე რამ. გაიანე დაინახავს, რომ ერთი იმ ბიჭთაგანი სტამბაში დაზგასთან დგას და წიგნს ბეჭდავს. ფანგრიდან ის ბიჭი მშევნივრად ჩანს, მათი თვალები ეროვნებს შეხვდა... ქალიშვილი მიხვდება, რომ ის ახალგაზრდა არ, ვეიძლება ბოროტმოქმედი იყოს; კაცი თუ წიგნს ბეჭდავს, შეუძლებელია ბოროტი იყოს... ბატონის ერთგულება სადღაც გაქრა, გაიანე ახალი შეგნების აღამიანი გახდა, იგი ამაღლდა. ჩევნ მოწმენი გავხდით პერსონა-უის ფსიქიკის გარდაქმნის რთული პროცესისა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კ. ლორთქიფანიძე ჰეროიკული ხასიათების მხატვარია. ეს ითქმის არა მარტო ამ წიგნის მოთხოვნების გამო, აյ გამოძერწილი ხასიათების გამო (მამია კაიანი, გოთრგი მუმლაძე, ლევანი და სხვ.), არამედ ადრე დაწერილი ნაწარმოებების მიხედვითაც (ვასილ უიგა, ლადო ვაშალომიძე, ბაბუა რუხლო და სხვ.). მწერლის გმირთა გალერეას თვალი რომ გადავავლოთ, დავინახავთ ჩევეულებრივ, მაგრამ სულით ძლიერ, პატრიოტ აღამიანებს, რომლებიც სიცოცხლესაც არად ჩათვლიან, თუ ქვეყანა ამას საჭიროებს, თუ მათი თავგანწირვა ქვეყანას სიკეთეს მოუტანს. ეს თვალსაზრისი ეხება არა მარტო იმ პერსონაჟებს, რომლებიც ომის ქარცეცხლში ტრიალებენ, არამედ მშვიდობიან პირობებში მყოფთაც. განა გმირობა არ არის ბიჭოია ფურცხვანიძის მოქმედება? რით არ არის გმირი ტარასი ხაზარაძე ან გაიანე და სხვები? მთავარია, სულით იყო ძლიერი, მაღალი ზენობისა იყო, ნამდვილი აღამიანი იყო და ეს თვისეუცები ომშიც და მშვიდობიანობაშიც გმირად გაქცევს. ასეთ აღამიანებს გვიხატავს მწერალი თავის ნაწარმოებებში და გვიღვივებს „კატა კაცობისაღმი“ სიყვარუ-

లొస గ్రహనంబాస.

సిద్ధార్తటల్లిసాదమి, ర్హేషణిథమి-సాదమి ఏర్తగుల్లెబా ఘ్రీరాల్స వ్యా-ల్లెబ్స గవిహ్వేన్స కీర్తింపుల్లోగాన్సి మెంక్రీప్పెబ్బిప్, థోగి అడామింసిస మాన-క్రీయరి త్వాస్టేబాప్ (మశిశారా క్రాష్టిం ఎన మత్తిరిస మెంక్రీప్పే గాఫాసమ్ముల్లి థమ-ల్లాల్చార్ట్), మాగ్రామ ఏస ఏర్తగువార్స లిసున్హన్సిం, రంమేల్చిప్ ఐసేవ్ వ్యేర వ్యానిన్హెబ్స న్యాచారమ్మేబ్తా క్షే-రొమిక్సుల్ క్షాత్రస్సు, రంగమ్మర్ చ్చి-ప్రిమలామ వ్యేర డాహర్లింలా „బాక్ట్రోమ్మిన్సిస“ గమించా గమించం.

బాసెంచిం (2)

తింటజ్మిస ఉపింట్ చ్చిలొస చ్చిన్సాత గామ్మోండా క్ర. లంంరిటజ్మింటాన్సిం చ్చిగ్ని „శ్యక్విల్వెబా“ డా మాశ్చే ర్హే-ప్రేన్చెంసిస డాచ్చేరా గాండాప్ప్యువోట్చ్. మిన్దింట్ థోగి రామ వ్యాంగ్రోమ్మిసాగ్వాన గామ్మేగం డా వ్యతించ్చు మిల్లెబా. మాశ్మిన్ క్ర. లంంరిటజ్మింటాన్సిం మాంగాన్సిశ్చో-లొస క్షుక్కాచ్చే క్షెంగ్రోమ్మిల్లా డా భి-న్స్సే మిమిలిం. క్షార్గుగా క్షాన్స వ్యిసామ్ము-ర్హేత. బ్యేగ్రి రామ ఒంజ్వా. మేర్కే ర్హే-ప్రేన్చెంచ్చ డాచ్చేరా డా డాంబ్చేష్ట్లా. ఇమ శ్యేఖ్వేదర్లిందాన ఉరొ రామిస గాబ్-స్సెబా క్షెల్స డాంముల్లాం మిమాం-సిం.

మ్య న్యాపుట్టింగ్రి మింగ్రాల్స అండా గ్వార్లో, — త్వేగా క్ర. లంంరిటజ్మింటాన్సిం క్రీమ, — త్రంమేబి అం డామిప్ప్యువోం. ర్హేంగ్వాన క్షార్గుల్ సింప్యువాస్తాన క్షి-ంలిల్ డిండి డార్ల మింజ్వస డా అం-

త్రంమ ప్రంతాస వ్య్యేర్లో. „క్షాల్కేతిస ప్రిస్క్రిస్“ సాతాంగ్రిస రామల్డెన్క్షేర్-మ్చే శ్యేప్లాం క్షేమ్మా మాసప్చిన్క్షేల్మా మ్ముల్మివ్యి ద్వీపింతా డా సింప్యువిస డా-క్షెచ్చిస్ గాన్నుప్ప్యువేట్చేల్చి స్యుర్వి-ల్లాం క్షెస్నా.

* * *

గాన్సాంబిల్వేల్చి చ్చిగ్ని సాగ్సేశ్మిం అంసాంత్రుల్రేబ్స చ్చేమంత గాబ్సేంగ్-ప్పుల్లా. క్ర. లంంరిటజ్మింటాన్సిం ఐసేవ్ శ్యేక్షుమ్ముల్లి డా డాంత్రేన్చి-ల్లాం, ఐసేతిం సింప్యుచ్చిం క్షెచ్చిం అంసిం డాంబార్హ్వుల్లి సింప్యువీరిం మాసాల్సా, రంమి సాగ్మంగ్యేబ్మం శ్యేఫ్మాస్మేబ్మిస లిం-సిం. ప్రంతా సింప్యువిం బ్యేగ్రిస క్షేమిం ప్యువేల్సా రండిం శ్యేమల్లాం. క్ర. లంంరి-టజ్మింటాన్సిం అం మెక్రివాప్ సాంజ్మిం.

అం ఏర్తిం అంగింల్చి మంతశ్రోమిం-లాన్ „సింప్యుదింల్చి ప్రంతాస మంచిం-ఫింల్సిం“:

„అమ్బాన్సాగి వ్యేర గామ్మేత్తా. అం క్షె-ర్హేబ్ముల్ క్షార్గిస్కాప్స ఒంట్యి వ్యేర ఏస్కోల్లా, ఒమ్మిత్తా వ్యాం రా మ్మెంగ్లిం ఒంగి ఏర్త చ్చిమ్మిం ఒంఫ్యేర సింప్యు-డింల్చి.

ఒంమంప్రుల్చాంతిం చ్చిలొస క్షుపి ఒంగి ఒంబా మెబ్ముక్కే, రంట్యిం ప్పు క్షెంగ్రోబ్బాశిం ఏస మింమ్చే చ్చిత్తి డాంప్పు-ల్లాగా. ఒగి మాశ్మిన్చు మింగ్రులా, రంమి మ్ముగ్గులి మిసి గాన్వులింల్ క్షెంగ్రో-బా, మంట్లిం మిసి ఒంమంప్రుల్చాంతిం

წელიწადი მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთი წუთის მოსამზადებელი წლები იყო“...

ვისაც ახსოვს ამ მოთხრობის შინაარსი და იცის, თუ რა არის ამ ამონაწერის წინ ან მის შემდეგ, დამერმუნება, რომ ამ დაბული, ღრამატული წუთის განცდას, დახასიათებას უფრო ლაკონიურად და მეტყველად ვერ დაწერ! რამდენი ანალოგიური ადგილის მოხმობა შევვიძლია ამ წიგნიდან. ისინი მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ კ. ლორთქიფანიძე ქართულ სიტყვას, მწერლის ამ კირსა და ქვას, ღილი მოძჭირნეობით ხმარობს, ზუსტად ოვის ადგილზე სვამს და ამგვარად ნაეგბი შენობა მტკიცე და ლაზაოიანი გამოდის.

კვირა კიდევ მივუთითოთ ორ ისეთ მომენტზე, რაც მწერალს ხელს უწყობს წარმატების შიღწევაში. ერთი მათგანია სათაურების შეცვენერი შერჩევა. ამ საქმეში მწერალი მართლაც ოსტატად გვევლინება. აბა შეხედეთ: „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „ერთი ღამის საუკუნე“... მკიოხველი მათში განსაკუთრებულს, იღუმალს თავიდანვე გრძნობს და ნაწარმოების სულმოუთმელად წაკითხვის განწყობილებაზე დგება.

მეორეა პერსონაჟთა უჩვეულო, რომანტიკულ-ამაღლებული, ლალი და შემართული საქციელი, რაც მკითხველის ინტერესს ამძაფრებს. მაგალითად, „ორავჭალელ მეთევზეებში“ განა მოულოდნელი, გაბედული და უჩვეული არა მეთევზეებად გადაცმული სპარტაკელების საქციელი, მინისტრებს პალტოს ჯიბეები ბოლშევიკური პროკლამაციებით რომ გაუვსეს! ეს გაბედული, მოულოდნელი, გამაოგნებელი, გნებავთ, აზარტული საქციელია. ამისი მსგავსი და ტოლფარდი სხვა მოთხრობებშიც უხვადაა.

ბუნებრივია, რომ ასეთი რამ მკითხველის ინტერესს იძლიერებს, ნაწარმოების წარმატებას ხელს უწყობს.

უყურადღებოდ ვერ ჩაიკითხავს კაცი ზნეობრივი სისპეტაკის დამცველი პათოსით აღსავს მოთხრობას „გაუმარჯოს დონ კიხოტს“. მასზე ბევრი დაწერა, პრესაში კამათიც გაიმართა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ყველა პატიოსანი აღამიანი მოწონებით შეხვდება მწერლის პოზიციას, ამ მოთხრობას რომ უდეგს საფუძვლად. არ შეიძლება არ აღშფოთდე ჩვენში ფეხმოკიდებული ლოზუნგის გამო: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“.

მოცარტის დაგმობილია მეშ-
ჩანის ეს კრედო.

განსახილები წიგნი შეიძლება
შეგადაროვა; მშვენიერ ბინას, რო-
მელშიც ნამდვილი აღამიანები,
მაღალი ზნეობის, მტკიცე და
უზრუნველყოფის, სამშობ-
ლოზე შეყვარებული და მისთვის
თავდაუებული აღამიანები ცხოვ-
რობენ... ეს აღამიანები ჩვენში

აღძრავენ საუკეთესო გრძნობებს
და სახელოვანი საქმეებისაკენ
მოგვიწოდებენ. მკითხველზე მა-
თი ზემოქმედების ძალა ძლიე-
რია ისევე, როგორც — ცოცხა-
ლი გმირისა მის ირგვლივ მყოფ
აღამიანებზე. წიგნის პერსონაჟე-
ბი ცხოვრებიდან მოსული და
ცხოვრების შუაგულში მოქმედი
აღამიანები არიან.



გ ზ ი ს ღ ა ს ე პ ყ ი ს ი

I

ჯიგნის გარეკანი, რომლის
მხატვრობაც თეიმურაზ გო-
ცაძეს ეკუთვნის, ასეთია:
მათემატიკური ფორმულებით
დაფარულ შავი ფერის სივრცე-
ში ჩანს დიდი ცისფერი ქოლგა.
ქოლგას რაიმე საყრდენი არ გა-
აჩნია. იქმნება შთაბეჭდილება,



ავთანდილ ნიკოლეიშვილი



რომ ეს ქოლგა, რომლის ცისფერი ფრთხები ფორმულებითაა დამიმებული, მიიღოვის მაღლაჭ სივრცეში, უსასრულობისაკენ, მაგრამ ფრთხებზე მიმოფანტული ფორმულების სიმძიმე თითქოს ქვევით ეწევა მის სიმსუბუქეს.

ეს, ერთი შეხედვით, უჩვეულო, უცნაური გაფორმება გარეკანისა მკითხველში გარკვეულ აზრობრივ, შინაარსობრივ გაგებას იძენს კრებულში წარმოდგენილი ლექსების გაცნობის შემდეგ. გურამ პეტრიაშვილის ლექსების პირველი წიგნის (ლექსები, „მერანი“, 1973 წ.) წაკითხვით მიღებული განწყობილება ქმნის სწორედ იმ თავისებურ, შეიძლება ითქვას, კრიტიკულ მიმართებას სამყაროს, ყოველდღიური ცხოვრების მრავალ, მხრივობასთან, მის მკაცრად განსაზღვრულ აუცილებლობას. თუ პირობითობასთან, რომელსაც ლირიკული გმირის პოეტური „გულუბრყვილობა“ თუ ხალასი ინტიმური ბუნება განაპირობებს.

გ. პეტრიაშვილის პირველ კრებულში წარმოდგენილი თითქმის ყოველი ლექსი თავისი შინაარსობრივი და ფორმისმიერი გაგებით მოიცავს ავტორისეულ ძებათა საინტერესო და მრავალფეროვან კომპლექსს. ყოველი ლე-

ქსი თავისებურ, თითქოსდა უჩვეულო ლირიკულ სიუჟეტურ ქარგაზეა აგებული. ნაწარმოების ქვეტექსტი, სათქმელის გამეღავნების ფორმა ავტორის მიერ ამგვარ შემთხვევითობაში თუ უჩვეულო სიტუაციაში დაჭრილი ფაქტების მიღმა იგულისხმება. გ. პეტრიაშვილი გვთავაზობს ფაქტს, შემთხვევას, გარკვეულ პოეტურ ინფორმაციას, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების რომელიმე საინტერესოდ მიგნებულ ფრაგმენტს და თხრობის ლოგიკურ მახვილს, აღმის სპეციფიკურ მდინარებას იქეთკენ მიმართავს, რომ მკითხველში აღძრას სასურველი ემოცია, რომელიც, როგორც შედეგი, უნდა ვლინდებოდეს ნაწარმოებში გადმოცემული ამბისაგან.

გუშინ ზომაღაზიაში
მოხდა დიდი უბედურება:
ხმა დაკარგა პატარა ჩიტმა.
პო, როგორ ეხეთქებოდა გალიის
ბადეს,

სიკვდილი სურდა...
დაიქანა, ზოს ნაღვლიანი
და პაწია პირს ამაღლ აღებს...
ვერასოდეს ველაზ იძღერებს
პატარა ჩიტმი...
ნოქარმა გამგეს მოახსენა
ჩიტის ამბავი.
გამგემ უსმინა,
უკმაყოფილოდ მოჟუმა პირი,
ბევრი იფირა,

ტელეფონით ვიღაცებს დაუკავშირდა,
გადაქენა დადი დავორები და
წესდებები,

ცნობარებში ასო ჩ-ზე ჩიტი ეძება...
და მერე გასცა განკარგულება.
დაუქნია ნოქარმა თავი,
გამოვიდა კაბინეტიდან,
ფანჯრის წვერი
საქმიანად ჩაიღო პირში
ენა გაუსვა...
ჩამოილო ჩიტის გალია
და იარლიყზე
„5 მანეთი“
„4 მანეთად“
გადასწორა.

ამ ლექსისთვის დამახასიათებელი ე. წ. „პროზაული სიმშიონე“ არაა უცხო მოვლენა გ. პეტრიაშვილის ლექსებისათვის. ავტორი თითქოსდა ჩაურევლად, ლირიკული გმირის სულიერი სამყაროსაგან განყენებულად, პოეტური კომენტარის გარეშე იძლევა ამა თუ იმ მოვლენას, მის შინაარსს ახსნა-განმარტებისა და შეფასების გარეშე აწოდებს მკითხველს. მაგრამ ყოველივე იმგვარ ხასიათს ლებულობს, ამბის თხრობა ისეთ ჩარჩოში ექცევა, რომ მკითხველი თვითონ ხდება თავისებურ თანავტორად. სხვანაირად შეუძლებელიყაა, ნაწარმოების ლირიკულმა აბბავმა, აზრობრივმა განვითარებამ თუ დასასრული მკითხველის ცნობი-ერებაში ვერ პოვა, ავტორის მიზანი მიუღწეველი დარჩება, ნა-

ვარაუდევი სათქმელის მთელი სილამაზე ამაო მოლოდინს შეეწირება.

რამდენად ახერხებს ახალგაზრდა პოეტი მიზნის მიღწევას, რამდენად „აიძულებს“ იგი მკითხველს გახდეს მისი თანავტორი, ეს უკვე სხვა მხარეა. შეიძლება ვთქვათ, რომ ხშირ შემთხვევში, მეტნაკლები დამაჯერებულობითა და სრულყოფით, გურამ პეტრიაშვილი ოღწევს მაზანს. პოეტური ინფორმაცია, ფაქტობრივი ფრაგმენტი გვეძლევა ისეთი ფორმით, რომელიც მომზადებულ, დაფიქრებულ მკითხველში მიიღებს სასურველ, დასრულებულ, ჩამოყალიბებულ სახეს.

გართლა თუ სკერათ ამ ასტრონომებს,
რომ თავიათ ტელესკოპებში
ვარსკვლავს ხედავენ?
კრიჭინებით სავსე ბულუზე
თუ არ წევხარ ზაფხულის ღამით
და არ იგონებ
შენს სახეზე
ქალის თმების პირველ შეხებას,—
განა ვარსკვლავს
ვარსკვლავი ჰქვია?

აქ, ამ პატარა ლექსში, პოეტმა მოახერხა ე. წ. პოეტური პირობითობის გამოტანა ლირიკული გშირის შინაგანი სამყაროდან ბუნებაში და მკითხველის ცნობი-ერებაში ვერ პოვა, ავტორის მიზანი მიუღწეველი დარჩება, ნა-

ჩების აქტივობის შედეგად სა-
თქმელმა დასრულებული სახე
მიიღო. ძალაუტანებლად, სავ-
სებით ბუნებრივად ჩნდება გუ-
ლუბრყვილო პოეტურ მსჯელო-
ბაზე დაფუძნებული ლამაზი ინ-
ტიმური განწყობილება და ეგ-
ზოტიკური კოლორიტი.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში
მსგავსი საშუალებანი ლექსის ჩა-
ნაფიქრის გამუღავნებისა, რომე-
ლიც გარკვეულ პოეტურ გულუ-
ბრყვილობასა და უჩვეული ინ-
ფორმაციულობას ეკისრება, იმ-
დენად მარტივდება და ზერელე
და ზედაპირული ხდება, რომ სუ-
რაილი და სინამდვილე აშკარად
ეთიშება ერთმანეთს; ვლებუ-
ლობთ აზრობრივ გულუბრყვი-
ლობად გარდაქმნილ სქემატურ
ჩანაფიქრს:

ჟე ბავშვობაში კუდბაწარა ვისროლე
მალლა.

მერე დიდხანს ვეძებე და
ვეღარ ვიპოვე...
ალბათ ახლაც გდია ჭირვებში...
მაგრამ ცოლა შემინდეთ მცირე,
თუ ხანდახან მასაც ვფიქრობ:
იქნებ
მართლა
ვუწიე
ვაძდე?

გურამ პეტრაშვილის ლექსე-
ბში გადმოცემული სინამდვილე
თავისი გარეგნული ფორმით ერ-
თგვარად უჩვეულო, ზოაპრულ

ელფერს ატარებს. ნაწარმოების
ეფექტური ზემოქმედება ხშირად
იმგვარ ზოაპრულ ელემენტებზეა
დაფუძნებული და საოქმელიც
იმგვარი ფორმით ვლინდება. მა-
გრამ თუ ზოგ შემთხვევაში ასეთ
ზოაპრულ ფორმაში გამუღავნე-
ბული ჩანაფიქრი მკითხველისა-
თვის გასაგები და მისაშვდომი
ხდება, ზოგჯერ ბუნდოვანი ფი-
ნალი მიუწვდომელს ხდის ნაწა-
რმოების ქვეტექსტს. რჩება შთა-
ბეჭდილება იმისა, რომ ავტორმა
სათქმელის გამოხატვა შუა გზაზე
შეწყვიტა, არ მიიტანა იგი ბო-
ლომდე და მკითხველის ალონსა
და მიხვედრილობას ზედმეტი რი-
სკით მიენდო. რისკი კი რისკად
დარჩა და დაწყებული სათქმე-
ლის ნათელი გამოშუქება ფინა-
ლში გაჩენილმა ბუნდოვანებამ
ჩაქრო.

მაგალითისათვის გავიხსენოთ
„ცისფერი ქუდი“. ამ ლექსის სი-
უჟეტი ასეთია: დედამ ცისფერი
ქუდი შემიკერა. მე ქუდი თავზე
დაიხისურე. გავედი გარეთ და მა-
შინვე მოვიდა წვიმა. მეორე დღე-
საც, როცა სკოლაში წავედი,
კვლავ გაწვიმდა. ასე გრძელდე-
ბოდა დიდხანს, გამოვიდოდი
სკოლიდან გარეთ და სახურავე-
ბის ფერად კლავიშებზე გაბმუ-
ლად ცემდა და ცემდა წვიმა. შე-
მიყვარდა წვიმა და დავეხეტებო-

დი ქუჩა-ქუჩა. მაგრამ ერთხელ ბიჭებმა მომპარეს ქუდი. აბურ-თავეს და მერე დაწვეს. ბევრი ვიდარდე იმ ქუდზე. ბოლოს დედამ გამანდო საიდუმლო: ის ქუდი! ძველისძველი ქოლგისაგაბშეეკერა თურქე. ისევ ატყდა ფანჯრებზე ხმაური, ისევ მოვიდა წვიმა და ჩემს ქალაქში კვლავ დადის ვიღაც ცისფერი ქუდით. ასეთია ლექსის შინაარსობრივი მხარე, რომელმაც ჩვენი აზრით, ვერ მოიცა სტულად ავტორის ჩანაფიქრი; სათქმელმა, რისთვისაც ლექსი დაიწერა, ვერ იპოვნა კონკრეტული გამჟღავნების გარემო. ჩვენთვის გაუგებარია, რა აზრობრივ-სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა ავტორმა ნაწარმოების ყურადღების ცენტრში საგანგებოდ მოქცეულ ცისფერ ქუდს. ასევე შეიძლება დავასახელოთ „მექუდე“, რომლის ფინალიც წინა მაგალითის მსგავსად მოკლებულია ჩანაფიქრის ცხად, ნათელ ილუსტრაციას.

მაგრამ გ. პეტრიაშვილის ბევრი ლექსი, რომელიც ასეთი ზღაპრული ელფერის მატარებელია, აღწევს სასურველ მიზანდასახულობას. ავტორის ჩანაფიქრისა და ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის ურთიერთშერწყმის შედეგად ახალგაზრდა პოეტი ქმნის საინტერესო ქვე-

ტექსტს, რომელიც მკითხველის ცნობიერებაში ღებულობს დასრულებულ კონკრეტულ სახეს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ლექსები: „კურდლელი“, „მხატვარი“, „თელა“.

გ. პეტრიაშვილის პირველ კრებულში ბევრი ისეთი სტრიქონი თუ პოეტური სახე გვხვდება, რომელიც თავისი ელვარებითა და მოულოდნელობით საინტერესო შთაბეჭდილებას ახდენს. შეიძლება ესა თუ ის შედარება ან მეტაფორა, რომელსაც ავტორი გთავაზობს, თავისი გულუბრყვილობითაც და ასოციაციური მასშტაბებითაც, ერთი შეხედვით, შორეულ მიმართებებს და პოეტურ რისკს ემყარებოდეს, მაგრამ ამგვარი ცდა ხშირად წარმატებით მთავრდება. ზოგჯერ მთელი ლექსის შინაარსსაც სწორედ ამგვარი პოეტური სახე განსაზღვრავს, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ ნაწარმოები ამ სახისთვის იყოს დაწერილი, არამედ იგი, როგორც ფუნქცია, გვეხმარებოდეს აზრობრივი ჩანაფიქრის გაგებაში:

მთელი ღამე

ბიძაჩემი

შფოთავდა ძილში...

ომში მის გვერდით ყუმბარა გასკდა

და ის უკვე ოცი წელია

თავში ჩარჩენილ

რკინის ნამსხვრევზე
 ფეხს იტეხენ და
 ბორბიკობენ
 მისი
 სიზმრები...

მსგავს მაგალითად გამოდგება აგრძელებული წარმოდგენილი შემდეგი ლექსები: „შენ მიმატოვე“, „ბედნიერი დღე“, „ორანჟერია“, „ლამით ქალაქში“, „სკოლა“ და სხვ. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მსგავსი ხელწერით შესრულებული პოეტური სახე ხელოვნურ ხასიათს იძენს და ნაძალადევ, გარეგნულ ეფექტზე დამყარებულ არაბუნებრივ მიმართებას ემყარება. (მაგალითად, გზა ახალგაზრდა პოეტს შემდეგნაირად აქვს გაგებული: ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერავინ ვერ გამავარინა, ვერც თმაჭალარა პროფესორებმა და ვერც ლექსიკონებში ამოვიკითხე მისი სრულყოფილი განმარტებაო. ბოლოს კი მივჩვდი, რომ „გზა თურმე მიწის ვიწრო ზოლია, რომელსაც მუდამ მოვყავარ შენსკენ“. აქ ავტორი მხატვრულ პირობითობას ისე ზედმეტად ენდო, რომ ვერ შენიშნა პოეტური გულუბრყვილობის უნდღი პრიმიტივად გარდაქმნა).

გულამ პეტრიაშვილი არ „კოპურიაობს“ სიტყვით. იგი ფრაზის სიკელუცითა და გადაჭარბებუ-

ლი გაშმენდა-გაკრიალებით კი არაა დაინტერესებული, არამედ ყურადღების ცენტრში აქცევს ლექსის მთლიან განწყობილებას. მის ლექსებში არ შეინიშნება ის სიფაქიზე და ფრაზის ცხოველ-მყოფელი სურნელი, რომელიც სხვაგვარი ხელწერის მქონე პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებით თვალშისაცმი შეიძლება იყოს. თითქოს მისი ლექსების გარეგანი ფორმა ავტორს საშუალებას აძლევს, ამ საკითხს შედარებით „მოშვებული“ ყურადღებითაც მოეკიდოს.

გ. პეტრიაშვილი ბუნებრივად ახამებს ერთმანეთთან რიტმის თავისუფალ, ე. წ. პროზაულ მდინარებას და მთლიან ჩანაფიქრს. მის ლექსებში უარყოფილია რითმი. ზემოთქმული ნიშან-თვისებანი არაა პოეზიაში ახალი და უჩვეულო მოვლენა, მაგრამ ვფიქრობთ, გ. პეტრიაშვილის ლექსების ლირიკული გმირი თავის საჯმელს ყველაზე ბუნებრივად სწორედ ამგვარი გარეგნული ფორმით გამოხატავდა. ეს სათქმელი, ახალგაზრდა პოეტის ნაწარმოებთა შინაარსობრივი მხარე, გამოხატავს პიროვნების თავისებურ კონფლიქტურ მიმართებას თანამედროვე „ტექნიკურ სინამდვილესთან“. ამგვარი დაპირისპირება ლირიკული გმირის

ხალასი ინტიმური შინაგანი ბუნებისა და საუკუნის ყოვლის-მომცველი ტექნიკური პროგრესისა მედავნდება პოეტის თითქმის ყოველ ლექსში პირდაპირ თუ არაპირდაპირ. ზემოთქმული და-პირისპირების თავისებური გამუღავნება ზოგჯერ ირონიულ ელფურს ატარებს, ამ ირონის მიღმა კი ავტორი ხაზს უსვამს მართალი ადამიანური ტკივილის არსებობას.

გ. პეტრიაშვილის ლექსების ლირიკული გმირის მთავარი საზრუნვად იძრძოლოს ინტიმისა და ოცნების გადასარჩენად, მიწის სურნელისა და ხის სიმწვანის შეგრძნების, მისით გახარების შესანარჩუნებლად; იგი ცდილობს აუმნებოლდეს გრძნობათა სიმშრალესა და ემოციების გამოფიტვის იმ საშიშროებას, რომელსაც ტექნიკური პროგრესი ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ აქცევს თანამედროვე მსოფლიოში. გ. პეტრიაშვილი ცდილობს თავისებური უშუალობითა და ინტიმური სითბოთი დაუკავშირდეს შექმნილ სინამდვილეს, ცდილობს ერთმანეთთან შეახმოს ლირიკოსი პოეტის ინტუიცია და მყაცრი განზომილების, ტექნიკური ტკივილის ჩარჩოებში მოქცეული ადამიანის ვნებათაღელვა. და თუ ხან-ვ. „კრიტიკა“ № 8.

დახან ერთგვარი შეშფოთებაც გაიღვებს ავტორის ჩანაფიქრში, ეს ყოველივე ამ ძვირფასი აღამიანური გრძნობების გადარჩენის მძაფრი წყურვილია, პირველ ყოვლისა.

... და როდესაც მიმოვიხედვთ,
 ყველგან, ყველაფერს
 უკვე
 თავისი
 ნომერი
 ჰქონდა.

ყოველივე იყო
 დათვლილი,
 გაზომილი და ოლრიცხული:
 ზღვები—მიწაზე,
 ორუბლები—ცაში,
 წვიმები და
 ვარდის ეკლები,
 ზოლები ვეფხეზე...
 ჭონა მთვარისა
 და ნალელიანი რომ უყეფს მთვარეს
 იმ ძალის ჟეფის
 ზუსტი სიხშირეც—მეგაპერცებში...
 კაბინეტში კა
 ფორმულებით გარშემორტყმული,
 იგდა წყნარი ადამიანი. და მისი სული დანომრილი, განეცული მტკრიან
 პალტოში მტკრიან წინკარში
 ობლად ეკიდა.

მაგრამ როცა გ. პეტრიაშვილის ლექსებს კითხულობ და ზემოთქმული მოსაზრებიდან აფასებ ყოველივეს, გიჩნდება იჭვიც, ნახსენები სიმშრალე, თუ ტექნიკური ინფორმაციულობის თავისებური ანარეკლი ზეღმეტად ხომ არ

ჭარღვევ გმირის შინაგან თუ სტილურ მთლიანობას? ამ მთლიანობის მიღწევა კი უმთავრესი ამოცანაა მწერლისა, რათა მას მკითხველმა დაუჯეროს. მწერლის ნებაა, როგორ გმირს შემოიყვანს რომანში, მაგრამ რაკი შემოიყვანს, მერე უკვე მას უნდა „მიჰყევს“, მისი თვალებით უნდა იცქირებოდეს, მისი გონიერით უნდა აზროვნებდეს.

სწორი მხატვრული ხედვა, გმირის ბუნების ანალიზი მას მერე არსებობს, რაც არსებობს თვითონ მწერლობა. რაც შეეხება მეთოდებს, გამომსახურელობით ხერხებს, იგი ინდივიდუალურიც არის და ეპოქისმიერიც.

თ. წივწივი აძე. თქვენი პასუხი ასე გავიგე: ეპოქას მოაქვს თავისი სტილი, რომელსაც უნდა შეერწყას მწერლის ინდივიდუალურობა, არა?

გ. ფანჯიკიძე. ეპოქას მოაქვს თავისი რიტმი, თავისი ინტრია. მწერალმა უნდა იგრძნოს ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული. რაც შეეხება ინდივიდუალურ მწერლურ თვისებებს, ნამდვილი მწერალი არ არსებობს ამ ინდივიდუალური მწერლური თვისებების გარეშე. მაგრამ თუ ეს თვისებები ეპოქის რიტმში და ინერციაში არ ზის, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და

ეპოქას შორის. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ წმინდა გამომსახველობით ხერხებს.

თ. წივწივი აძე. თქვენი დებულებებიდან გამომდინარე, რა მიგანიათ თანამედროვე პროზის უმთავრეს თვისებად?

გ. ფანჯიკიძე. რაციონალიზმი! დიახ, არაფერი ისე დამახასიათებელი არ არის ჩვენი ეპოქისათვის, როგორც რაციონალიზმი.

ამერიკის ქალაქებში მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე სახლების შენებისას იყენებდნენ ათასგვარ არქიტექტურულ სტილს. იქ ნახავდით ბერძნულ კოლონადებს და მიქალანჯელოს გუმბათს, როკოკოს და ბაროკოს, გოთურ და რომანულ არქიტექტურას. უცებნიუ-იორქში ააშენეს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორის რაიტის ყოვლად სადა შენობა, რომელიც თავდაპირებელად ანაქრონიზმად მიიჩნიეს არქიტექტორებმა. შენობა თავისუფალი იყო ყოველგვარი კოლონადებისაგან, ჩუქურთმებისაგან, გუმბათებისაგან. რაიტს თავს დაესხნენ, ხოლო მას ხუროთმოძღვრულ შედევრს არქიტექტურული პროფანაცია უწოდეს. და აი, რაიტმა ტოკიოში ააშენა თავისი ცნობილი „ოტელ-იმპერიალი“. 1924 წლის მიწაძევრის შედეგად ტოკიო დაინგრა. 10 დღის განმავა-

ლობაში კუნძული მოსწყდა მთელს კაცობრიობას. განუსაზღვრელი იყო რაიტის ღელვა, მას მტრები ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, შენი „ოტელ-იმპერიალისაგან“ ნანგრევებიდა დარჩაო. მაგრამ მეათე დღეს ტოკიოდან მოვიდა ცნობა: ერთადერთი შენობა, რომელსაც მინაც კი არ გაბზარვია, „ოტელ-იმპერიალი“ არასო. დიახ, ჩუქურთმების გარეგანმა ელვარებამ სხვა არქიტექტურულ ცნებებში გადაინაცვლა. რაიტის არქიტექტურაში გვხიბლავს მისი ღარისებრობა, ფუნქციონალიზმი. როდესაც ნიუიორქში რაიტის მუზეუმში შედიხართ, თავდაპირველად ვერც კი გრძნობთ მის არქიტექტურულ ღირსებებს, მაგრამ ისინი უჩინრად ზემოქმედებენ აღამინძე. იქ არ დაგჭირდებათ გზამკვლევები, როგორც სხვა მუზეუმების დარბაზებში. არც მალაქიტის, ბროლის და ვარმარილოს დეტალები იტაცებს თვალს, რომელთა ელვარებაში იყარებიან ფერწერული ტილოები და ქანდაკებები. იქ არქიტექტურული ზეგავლენა უჩინარია, უხილავი. ყველაფერი ისეა გაანგარიშებული და გადაწყვეტილი, რომ არქიტექტურა მოემსახუროს მთავარ ამოცანას: ხელოვნების ქმნილება რაც შეიძლება მაქსიმალურად

„მიაწოდოს“ მნახველს. ამ მე-თოდს რაიტია უწოდა რაციონალიზმი არქიტექტურაში.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაზე. მწერალმა თავისი სათქმელი მაქსიმალურად უნდა მიაწოდოს მკითხველს ყოველგვარი ზედმეტი ფრაზა, ზედმეტი სიტყვა, ზედმეტი შტრიხი თუ პერზაუი, რომელიც ხელს უშლის ამ ამოცანის გადაჭრას, მხოლოდ ბალასტია პროზაში.

როდესაც ლეოპარდი ემზადება ნახტომისათვის, იგი არაფერს ზედმეტს არ აკეთებს. ნახტომი გათვლილია მხოლოდ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოხერხებულად დააცხრეს მსხვერპლს. მისი ნახტომი ჩვენ უნდა შევაფასოთ არა კამარის სილამაზით, არამედ ლოგიკურობით, შედეგით, რაციონალიზმით.

მე არაჩვეულებრივ სიამოვნებას მგვრის მწერლის მიერ სწორად, რაციონალურად გადაჭრას ამოცანა. სამწუხაროდ, შეიძლება ზოგს რაციონალურად გადაჭრილი ამოცანა მხატვრულად გაღრიბებული, ან როგორც ახლა უყვართ თქმა, პუბლიცისტური ან ინფორმაციული მოექვენოს, რადგან მას აკლია გარეგნული (თუმ-

ცა ფუჭი) ულვარება. მაგრავ სწორედ აქ იმაღლება ის დიდი მწერლური ალლო, რომლითაც მწერალმა ათას ვარიანტს შორის მიაგნო ყველაზე რაციონალურს და თავისი საოქმელი მაქსიმალურად მიიტანა მკითხველამდე.

საილუსტრაციოდ გავიხსენებ თომას მანის მოთხრობას „პატარა ბატონი ფრიდემანი“. ძალიან მოკლედ შეგახსენებთ მის შინაარსს. როდესაც მახინჯ და კუზიან ფრიდემანს ბავშვობაში არ გაუმართლა პირველმა სიყვარულმა, მან სამუდამოდ უარყო ეს გრძნობა. მაგრამ ფრიდემანს ერთ დღეს მოეჩვენა, რომ მას თანაუგრძნობს ოლქის ახლად დანიშნული უფროსის მეუღლე. მის გულში ერთბაშად იფეთქა დიდი ხნისწინ მივიწყებულმა და ჩამარხულმა გრძნობამ. ეს რწმენა ფრიდემანს კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა ძეგლისის შემდეგ ქალმა პარქში მიიპატია მყუდრო ადგილის დაღმულ მერჩხე. და იგი ქალს დაუჩიქებს, მკლავზე ხელს წაატანს, თავს მის კალთაში ჩარგვს...

აქ ხდება მოთხრობის მთავარი ამბავი. მწერალმა დაისახა ორი ერთმანეთთან გადახიჭვული ამოცანის გადაჭრა: პირველი, ქალმა უნდა ჩაიდინოს ისეთი რამ, რაც ფრიდემანს აგრძნობინებს თავის

არარაობას, თავის მამაკაცურ არასრულფასოვნებას, რაც მას მიიყვანს თვითმკვლელობამდე, და მეორე, თავი უნდა მოიკლას არა შეურაცხოფილმა, აფექტში მყოფმა ადამიანმა, რომელმაც ერთი დღის ან ერთი საათის შემდეგ შეიძლება გადაიფიქროს კადეც თავის მოკვლა, არამედ კაცმა, რომელმაც იგრძნო თავისი მამაკაცური არასრულფასოვნება.

და აი, თომას მანმა იპოვა ყველაზე ზუსტი გადაწყვეტა. მოვიტან ციტატას იმ ადგილიდან, როდესაც დაჩიქილი ფრიდემანი ქალის მკლავებს ეპოტინება და თან ქალის მუხლებში თავჩარგული სასიყვარულო ფრაზებს ღერლავს:

„ქალმა არც თავიდან მოიცილა, არც მისევნ დაიხსრა. ოდნავ უკან გადახრილი თავაწეული იგდა და ვიწრო, ერთმანეთთან ახლო ჩამჭდარი თვალებით, რომლებშიც მოლივლივე მდინარე ირეკლებოდა, ფრიდემანის თავს ზევით სივრცეს მისჩერებოდა. მერე ამაყად, ზიზღით ჩაიცინა, ფრიდემანის გახურებული თითები ერთი გაბრძოლებით მოიშორა, ხელის კვრით მიწაზე დასცა, სწრაფად წამოდგა და ხეივანს შეერია“.

მე მგონი, გაგვიძირდება უკეთესი ვარიანტის პოვნა დასახული ამოცანის გადაჭრა. პირველი, ქალმა უნდა ჩაიდინოს ისეთი რამ, რაც ფრიდემანს აგრძნობინებს თავის

ეპიზოდის გარეგნული ელვარება კი არა, სწორი გადაწყვეტის ლოგიკურობა გეხიბლავს, რითაც ავტორს მაქსიმალურად მიაქვს მკითხველამდე თავისი საოქმელი.

ახლა ჩიგი მეორე ამოცანის გადაჭრაზე დგება, რომელიც არა მარტო ლოგიკურად გამომდინარეობს პირველისაგან, არამედ თავის მხრივ უფრო თვალსაჩინოს ხდის შინაპირობას. ფრიდემანი თავს იქლავს. თვითმკვლელობის ათასგარი ხერხი არსებობს, მაგრამ, კომერცებ, მწერლის წინაშე დგას ამოცანა, რომ თავი მოიკლას არა აფექტში მყოფმა კაცმა. რომელმაც ხვალ და ზეგ შეიძლება გადაიფიქროს თვითმკვლელობა, არამედ კაცმა, რომელმაც იგრძნო თავისი არასრულფასოვნება, სიმაზიჯე, არარაობა, თავისი ცხოვრების უაზრობა. თავი უნდა მოიკლას გამწარებულმა კაცმა, რომელსაც უკვე ვეღარაფერი შეაცვლებინებს თავის გადაწყვეტილებას. ერთი სიტყვით, მწერალმა უნდა იძოვოს თვითმკვლელობის ისეთი ხერხი, რომლითაც ჩვენ დავიჩერებთ, ფიზიკურად შევიზრნობთ ფრიდემანის სულიერ ტანჯვას. მოვიყვან ციტატას: „ფრიდემანი მუცელზე ხოხვით წყალთან მიფოფხდა, ხელებზე წამოიწია, წელამდე მიღნარეში ჩაწეა 5. „კოტეა“ № 8.

და გაქვავდა. ერთხელაც აღარ განძრეულა, არც თავი ამოუღია მდინარიდან და არც ნაპირზე დარჩენილი ფეხები გაუნძრევია“.

ზოგიერთს ეს ტრაგიკული ეპიზოდი შეიძლება გალარიბებული მოეჩენოს, უფრო მეტიც, უბრალო ინფორმაცია ეგონოს, რაღაც იგი „მორთულ-მოკაზმული“ არ არის ზედმეტი სამკაულებით, ოხვრა-ვიშით, შინაგანი მონალოგებით, ტრაქტატებით და ა. შ. აქ ვეხიბლავს მწერლის რაციონალიზმი, რომელიც თითქოს არ ჩანს, მაგრამ მისი ძალა სწორედ იმაშია, რომ საოცრად გვაჭერებს და გვაჩმუნებს. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი საღებავი. აქ გვხიბლავს არა კომენტარი, არამედ ზუსტად წიგნებული მოქმედება, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი აფექტი, სიცოცხლესთან განშორების ყოველგვარი სინანული.

აი, ამას ვეძახი მე რაციონალიზმს ლიტერატურაში. გავიხსენებ ისევ რაიტის ერთ დებულებას: როდესაც ჩვენ ვაშენებთ თვითმფრინაეს, მას არ ვუკეთებთ არავითარ ზედმეტ სამკაულს. აქ ყველაფერი გათვლილია იმისათვის, რომ თვითმფრინავმა კარგად და სამედოდ იფრინოს.

ვფიქრობ, ზუსტად იგივე ით-

ქმის ლიტერატურაზეც. ყოველ-გვარი ზედმეტობა, რაც ხელს უშ-ლის მწერლის ჩანაფიქტის მიტანას მკითხველის გულმდე და გონებამდე, ლიტერატურულ ზე-დმეტობად, არარაციონალობად მიმაჩნია.

თ. წივწივაძე. რას იტყო-დთ მწერლის ენის გამო?

გ. ფანჯიკიძე. მსგავს შე-კითხვებზე ამ რამდენიმე წლის წინათ ვუპასუხე უურნალ „კის-კრის“ რედაქციის. შეიძლება ით-ქვას, რომ მას შემდეგ აზრი თით-ქმის არ შემიცვლია.

პირადად მე წერის დროს არა-დროს არ ვფიქრობ ენაზე, რო-გორც ცალკე, დამოუკიდებელ პრობლემაზე. ვფკრობ მხოლოდ გმირებზე და თემაზე. ნაწარმოე-ბის გმირები კი ყოველთვის რო-დი დადან ავტორის ნება-სურ-გილზე და ხშირად ისინი განაპი-რობებენ ნაწარმოების ენობრივ ქსოვილს. წერა ბრძოლაა, ბრძო-ლა გმირებთან, თემასთან, ენას-თან. ამ რთულ ბრძოლაში პირ-ველადია ბრძოლა გმირებთან და თემასთან. თუ ეს ბრძოლა ჩანა-ფიქრში ჩემს სასარგებლოდ დამ-თავრდა, მერე იწყება ხოლმე ბრძოლა მეორე ფრონტზე — ენა-სთან, ოღონდ ეს ბრძოლა ენობ-რივ-სტილისტურ ფარგლებს არ სცილდება.

მწერლისა და გმირის ენა ხში-რად დიალექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ხშირად — უა-გონით. მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ უარგონის ხმარებისა. მთავა-რი ის კი არ არის, როგორი სხვა-დასტვა უარგონით ლაპარაკობენ ინუინერი და მუსიკისი, არამედ ის, თუ როგორ სხვადასხვანირად ალიქამენ ისინი ამა თუ იმ მოვ-ლენას. რაც შეეხება დიალექ-ტებს, მათი ხმარების დროს დი-დი ზომიერება გვმართებს. ნაწარ-მოებისათვის დალექტი უნდა იყოს სურნელების მიმცემი და არა — ფაქტურა. ნუ დაგვავიწ-ყდება, რომ დიალექტით შექმნი-ლი ხსიათი ზოგადია, ეთნოგრა-ფიულია.

მწერალი უფრო რთული პრობ-ლემის წინაშე მარინ დგას. რო-ცა მისი გმირები ეგრეთ წოდე-ბული „ინტელექტუალური სამყა-როს“ წარმომადგენლები არიან; როცა მათი ენა, ისევე როგორც ავტორის ენა, იდენტურად ერთია-ნი სალიტერატურო ენისა.

ამ შემთხვევაში ერთ რამეზე უნდა შეეთანხმდეთ; რას ვეძახით გმირთა ენას — მხოლოდ მის სინტაქსურ წყობას და ლექსიკას?

რასაკირველია, არა. გმირის ენა გრამატიკულ-მეცნიერული კატეგორია როდია, იგი უფრო რთული ფენომენია, სწორედ ამი-

ტომ მწერალმა გმირების ენა და საკუთარი ენა ერთმანეთისაგან უნდა განასხვაოს ტემპერამენტით, სიღინჯით. სისხარტით, იუ-მორით, სინაზით, უხეშობით, სიტყვაძვირობით, სიტყვამრავლობით თუ ცირიზმით, რასაკვირველია, გამომდინარე გმირის ხასიათიდან.

თუმცა, ლევ უსპენსკისა არ იყოს. ის კიდევ არაფერი, რომ მწერლის და გმირების ენა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, უბეღურება ისაა, როცა მწერლები თავის გმირებიანად აღარ განსხვავდებან ერთმანეთისაგან.

თ. წიც წიც აძე. ვინ მიგაჩნიათ კარგ მოქართულედ და რა თვისებების გამო?

გ. ფანჯიკიძე. რატომღაც ხშირად კარგ მოქართულეს ეძახიან იმათ, ვინც არქაზმების ხმარებაში დასტატულნენ ან დიალექტებს ფლობენ კარგად. მე პირიქით, ყველაზე კარგ მოქართულედ ის მწერლი მიმაჩნია, რომელიც კარგად გრძნობს ენის ევოლუციურ ბუნებას, კარგად ერკვევა იმ ძერებში, რასაც ეპოქის ცვალებადობა განაპირობებს ენაში. ამის ბრწყინვალე მაგალითებად მარტო იღია და აკაკი კმარან.

თ. წიც წიც აძე. ახლა ერთი ტრადიციული ციონება უნდა მოგცეთ: ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები და განიცდიდთ

თუ არა როდესმე ვინმეს გავლენას?

გ. ფანჯიკიძე. საყვარელი მწერალი ბევრი მყავს, მაგრამ ისინი მე არ მიყვარან ერთი რაიმე ნიშნით ან რაიმე პრინციპული ერთიანობით. ისინი სხვადასხვა ეპოქის და აბსოლუტურად განსხვავდებული მწერლური მანერისანი არიან.

რაც შეეხება გავლენას, ზოგი თვლის, ლატერატურული გავლენები არცოუ ისე სალანდავი მოვლენაა. შეიძლება ეს ასეც არის, არ ვდაობ. რაც შემეხება მე, თუ, რასაკვირველია, ეს არ მეჩენება, ისე ცხადად ვხედავ ჩემი, გმირებს და მათთან ერთად ისე ვარ ჩართული მოქმედებაში, რომ გავლენებისათვის აღარ მცალია. ვფიქრობ, გავლენები მაშინ იჩენს ხელმე თავს, როცა მწერალი არ წერს მისთვის ორგანულ თემაზე, საკუთარ განცდილზე და გადატანილზე. სწორედ ამ მომენტიდან იწყება სქემებით, თეორიით წერა.

თ. წიც წიც აძე. თქვენ, როგორც „ტექნიკური სფეროს“ წარმომადგენელს, რატომ არ გიცდიათ შეგვემნათ ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოები?

განა ნიშანდობლივი არსა, რომ
დღევანდელ მკითხველს მომავ-

ის ფანტასტიკა ისე აღარ აინტერესებს, რამდენადაც წარსული ამბები (წარღვნა, სტუმრები სხვა პლანეტიდან, მათაც და აცტეკების ცივლიზაციები და სხვ.). დღეს უიულ ვერნის „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალშეუზ“ უფრო დიდი ინტერესით იკითხება, ვიდრე რომელიც გრძებავთ დღევანდელი ფანტასტიკური ნაწარმოები. რაღა დარჩა ამ ნაწარმოებში ფანტასტიკური? აღარავერი. მაში რა განაპირობებს მის დად წარმატებას დღეს, კოსმოსურ ხანაში? პასუხი ერთია: მაღალი ლიტერატურული დონე. გავიხსენოთ ხასიათების როგორი ვალერეა შექმნილი კაპიტანი ნემოს, ნედლენდის, კონსეის სახით. გავიხსენოთ ნაწარმოების ჰერმანიშვი, დაუოკებელი ზიზი დამცყრობლებისადმი და თანაგრძნობა, სიყვარული და დახმარება ჩაგრული ერებისადმი. განაულელვებლად შეიძლება წაიკითონოთ ის თავი, სადაც კაპიტანი ნემო გადაარჩენს ინდოელ მარგალიტის მაძიებელს? განა შეიძლება მყითხველზე უდიდესი ზეგავლენა არ მოახდინოს მარჯნის სასაფლაომ ოკეანის ფსკერზე? ერთი სიტყვით, მწერალი, რომელსაც უნდა ფანტასტიკური ნაწარმოები ძირითადად მეცნიერულ-

ტექნიკურ ბაზაზე შექმნას, თავი-
დანვე განწირულია მარცხისა-
თვის.

თ. წიგწივაძე. ბოლოს კი
— ტრადიციული კითხვა: რაზე
მუშაობთ ამჟღაფ?

გ. ფანგიგიძე. ახლა ჩემი
უმთავრესი საზრუნავია რომანი
„ნაბიჯი პორიზონტს იქით“. ეს
იქნება რომანი ქართველ ფიზი-
კოსებზე. მაგრამ იგი იქნება რო-
მანი არა ფიზიკაზე, არამედ თანა-
მედროვე ინტელიგენციაზე, რო-
მელიც ძირითადად ქმნის ამინდს
ერთს ინტელექტუალურ სამყა-
როში.

ყოველ დღეს ახალი პრობლე-

მები მოაქვს. ახალ პრობლემებს
ცხოვრებისადმი ახალი დამოკი-
დებულებანი მოჰყვება. სერიო-
ზულ ლიტერატურას არასრულს
არ აქმაყოფილებდა და მით უმე-
ტეს ახლა არ დააკმაყოფილებს
გულწრფელი, ალალი, პატიოსანი,
მაგრამ პრიმიტიული გმირების
დახატვა. პირადად ჩემთვის უმ-
თავრესია მოზროვნე, შემოქმე-
დი, მებრძოლი ადამიანი, რომე-
ლიც წარმართავს და პქმნის დღე-
ვანდელ და ხვალინდელ დღეს,
დღევანდელ და ხვალინდელ აზრს,
დღევანდელ და ხვალინდელ ფი-
ლოსოფიას...



თეორიის კომპრენდენტი

1. პრიტჩა არის გაზომვა, შეიცავსა იმ იღუმალი განძილისა, რომელიც იდეალსა და შექმნილ ნაწარმოებს შორის ქვეს. „კრიტიკა გამოიყენება ნებისმიერ სფეროში და ამიტომ მას აქვს მრავალი სახეობანი“ (სენტ-ბევი). კრიტიკა არის მოცემულის შეფარდება შესაფარდებელ იდეალთან.

ტეორიები და ესტეტიკე

2. ასეთი შეფარდების ცნება პირობითია. ასეთ ფარდობითობას არ გააჩნია იმგვარი სიზუსტე, როგორც ვთქვათ, მათემატიკურ კრიტიკა—ხუთი ნაკლებია ექვსზე და მეტია ოთხზე. ლექსი ვარგა ან არ ვარგა უნდა შევაფარდოთ იდეალს. მაგრამ იდეალი არ არის ისეთი რამ, რაზედაც შეიძლებოდა თითოთ მიგვეთიობინა, როგორც გრძნობად სასრულო ფაქტზე. მაგრამ მისი ფილოსოფიური არსებობა რომ ფაქტია, ამის უარ-

△ △

ვანგანგ გოგუაძე

▽ ▽

ყოფაც არ შეგვიძლია. მაშასადა-
მე, ვერ ვიტყვით, რომ ესა თუ ის
ლექსი კარგია იმიტომ, რომ უტო-
ლდება ან აღვმატება „მერანს“,
ან ცუდია იმიტომ, რომ ჩამორ-
ჩება „მერანს“.

3. ყოველი ახალი მხატვრული
მოვლენა განუმეორებლობას, თვი-
ორმყოფალობას, ინდივიდუა-
ლობას გულისხმობს და მისი
განზომილებისათვის არსებული
ქმნილებანი შეფასებისათვის მხო-
ლოდ დამხმარე, მეორე რიგის
საშუალებას წარმოადგენს. თუმ-
ცა ამგვარი, მეორე რიგის საშუ-
ალების გარეშე კრიტიკას არსე-
ბობა არ შეუძლია. მაშასადამე,
ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს
ვერ გავზომავთ სხვა კონკრეტუ-
ლად არსებული ნაწარმოებით.
კონკრეტულად არსებული უნდა
გავზომოთ არაკონკრეტულით,
ზოგადობის ცნებით, ესთეტიკუ-
რის კრიტერიუმით. თუმცა ჩვენ
შეიძლება სრულებით არ ვფიქ-
რობდეთ ზოგადობის ცნებაზე,
ესთეტიკურ კრიტერიუმებზე, რო-
გორც ასეთზე, როცა რომელიმე
მხატვრული ნაწარმოების ღირე-
ბულებას ვაფასებთ.

4. კრიტიკა არის ერთეულის
შემეცნება, ესთეტიკა—ზოგადისა.
კრიტიკა არის ამა თუ იმ ნაწარ-
მოების კრიტიკა, ესთეტიკა კი
სწავლობს მხატვრულ ქმნილე-

შებს საზოგადოდ.

კრიტიკოსი მხატვრული ნაწარ-
მოების სულიერ ღირებულებას,
თუ შეიძლება ითქვას, ზომავს, წო-
ნის, მაგრამ ეს ოპერაცია შეფასე-
ბისა აქ გაცილებით უფრო სუ-
ბიექტს მინდობილი საქმიანობაა,
ვიდრე ესთეტიკაში. ე. ი. კრიტი-
კოსი, შეიძლება ითქვას, თვითონაა
კრიტიკის კრიტერიუმი. ყოველ
შემთხვევაში იგი მზა თეორიული,
მის გარეთ უკვე არსებული ფორ-
მულებით ვერ ისარგებლებს.

კრიტიკოსის შემეცნების აპა-
რატი რაღაც ცალკე განყოფილე-
ბასავით ჩადგმული კი არაა მის
ცნობიერებაში, არამედ შოთავას
მთელ მის პიროვნებას. ე. ი.
კრიტიკოსი მხატვრულ ფაქტს იმე-
ცნებს არა მხოლოდ გონიერის,
არამედ გულის საშუალებითაც.
კრიტიკოსი ფაქტის გემოვნებითი
შეფასებისას ხელმძღვანელობს
გრძნობით. გრძნობითი მომენ-
ტი აქ ისე რთულად ერწყმის ცნო-
ბით მომენტს, რომ მისი გაგლეჭა
კანტმაც ვერ მოახერხა.

5. ფილოსოფოსის ერთადერთი
იარაღი არის გონება, შემეცნება.
მართალია, შემეცნება აქაც არ
დაიყვანება მშრალ განსჯაზე. მაგ-
რამ კრიტიკოსი გაცილებით მეტად
უშუალო მიმართებაშია, ფაქ-

ტთან, ვიდრე ესთეტიკოსი, ზოგა-
 ლობის მყვლევარი. ზოგადობა,
 როგორც ითქვა, გონების სტიქია.
 საქმე გვაქვს პრინციპულ განსხვა-
 ვებასთან; ერთ შემთხვევაში —
 როცა გვაინტერესებს საკუთრივ
 „მერანი“ და მეორე შემთხვევაში
 — როცა გვაინტერესებს, „რა
 არის ის საერთო მუხტი, რომელიც
 „მერანს“, მიქელანჯელოს „და-
 ვითს“, ბეთჰოვენის „მთვარის სო-
 ნატას“... ერთნაირ არეში მოაქ-
 ცევს. ე. ი. ესთეტიკას აინტერე-
 სებს ის ზოგადსაყოველთაო მუხ-
 ტი, რომელიც ხელოვნების სხვა-
 დასხვანაირ მოვლენებს ერთი სა-
 ხელის — ხელოვნების — ქვეშ
 აერთიანებს.

6. კრიტიკოსი ხვდება ფაქტს
 რა მხოლოდ ცნობის, არამედ
 გრძნობის გზით. ასეთი გრძნო-
 ბისეული, გემოვნებისეული წინ-
 ჯვა ფაქტისა განსხვავდება წმინდა
 შემეცნებითი პროცესისაგან. ამი-
 ტომაც მიიჩნევენ, რომ კრიტიკო-
 სი პოტენციური ხელოვანიც
 უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ
 სტეფან ცვაიგს სენტ-ბევის, რო-
 გორც კრიტიკოსის, დიდ ღირსე-
 ბად მიაჩნია მისი მგრძნობელობა.

კლასიკური ნიშნით მეცნიერე-
 ბის ერთადერთი და საკმარისა
 აპარატი შემეცნებაა, გონებაა,
 მაგრამ კრიტიკაში მარტო გონე-
 ბის, შემეცნების უნარი კი არა,

შეგრძნებითი უნარიც მონაწი-
 ლეობს და თანაც დიდი უფლე-
 ბით.

ჰეგელი „ესთეტიკაში“ წერს,
 მუსიკის არსის გასაგებად საჭი-
 როა შევეხო მუსიკის კერძო სა-
 კითხებს — „... ტექნიკურ განსა-
 ზღვრებებს: ტონების თანაფარ-
 დობას, ინსტრუმენტების განსა-
 ზღვრებებს, კილოს, აკორდებს
 და ა.შ. მაგრამ ამ სფეროში მე
 ცოტა რამ გამევება და ამიტომ
 წინასწარ ბოდიში უნდა მოვიხა-
 დო, თუ შემოვიფარგლები უფრო
 ზოგადი თვალსაზრისების გან-
 ზოგადებით და კერძო შენიშვნე-
 ბით“.

რასაკვირველია, ჰეგელის ბო-
 დიში სხვათ უბოდიშობას ბევ-
 რად ალემატება ხშირად, მაგრამ
 იგი მუსიკის მცოდნე მართლაც არ
 იყო, თუმცა მუსიკის შესახებ,
 ალბათ, ძნელად თუ რომელიმე
 გამოკვლევა შეედაროს მის „ეს-
 თეტიკაში“ მოცემულ მუსიკის
 ფილოსოფიას. ანდა არც „დოქტორ
 ფაუსტუსის“ ავტორი — თომას
 მანია მუსიკის პრინციკის, მაგ-
 რამ მან შექმნა მონუმენტური
 ფილოსოფიური რომანი მუსი-
 კოსზე, ან შეიძლება ვოქვათ მუ-
 სიკალურის შესახებ. მაგრამ აქაც
 მუსიკის უზოგადესი სტიქია მო-
 ცემული, როგორც გერმანული
 სულის ყველაზე ზუსტი აღექვატი

და რადგან თომას მანს უნდა შე-
ექმნა რომანი „ყოველიც ეგრძა-
ნულის შესახებ“, მან მუსიკა აი-
ღო თემად, სიმბოლურ თემად.

7. როდესაც ესთეტიკასა და
კრიტიკას ერთმანეთს ვადარებთ,
აქ მიზანი არის მათი განსხვა-
ვების და შემდეგ ერთიანობის
დანახვა. თვალსაჩინოებისა-
თვის ესთეტიკასა და კრიტიკას
შორის შედარების ნაცვლად ხშირად
მივმართავთ შედარებას ეს-
თეტიკოსსა და კრიტიკოსს შორის.
რასაკვირველია, ასეთნაირად არ
დადგება საკითხი ზუსტი მეცნიერების
სფეროში, სადაც თვით მა-
თემატიკოსი კი არ არის მეცნიერულად
საინტერესო. იქ მთავარია
თვით მათემატიკა. აქ კი სუ-
ბიექტის მეცნიერებებთან გვაქვს
საჭმე, და ნახევარი მეცნიერული
აპარატისა თვით სუბიექტის გან-
კარგულებაშია. მათემატიკასა და
ფიზიკაში, სხვა მეცნიერებებში
მეცნიერული აპარატი ობიექტს
ემორჩილება და პიროვნებისაგან
მოითხოვს მხოლოდ მისი გონიერ-
ბის მობილიზებას, მაგრამ ესთე-
ტიკაში, და კიდევ უფრო მეტად
კრიტიკაში, მნიშვნელოვანია თვით
მკვლევარის პიროვნებაც.

8. კრიტიკოსი აწყობს შემუა-
სებელია, მაგრამ სწორედ აქა
დიდი სიფრთხილე საჭირო, რად-
გან ის, რაც ჩანს ზოგჯერ უკვე-

ლად, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ
ჩანს ასე და იმას იქით კი სხვა ამ-
ბავია. მოელი ლიტერატურის
ისტორია სავსეა ფაქტებით, როცა
დაფნის გვირგვინოსანი მწერლე-
ბი თავიანთ სიცოცხლეს თან წაჰ-
ყვებოდნენ ხოლმე. გოვთე იგო-
ნებს კარლეილის აზრს ერთი იტა-
ლიელი პოეტის შესახებ. ეს პოე-
ტი ქალაქში რომ გამოვიდოდა,
მთელი ქალაქი ეგებებოდა მუხლ-
მოდრეკილი, მაშინ, როცა დანტეს
კარლაკარ უხდებოდა წანწალი
ლუკმა პურისათვის. ამიტომ კრი-
ტიკოსი ლიტერატორის მოწოდე-
ბა უნდა იყოს, ჩადგეს მართალსა
და მოჩვენებით შორის და იგი
განუმარტოს ხალხს. რა თქმა უნ-
და, ისიც ფაქტია, რომ, საღაც
ჩქეფს დიდი ლიტერატურული
ცხოვრება, იქ დიდი კრიტიკოსები
თუ არა, დიდი კრიტიკოსი მანც
გამოჩნდება ხოლმე. ვინ იცის,
რამდენად შეუშე�ო ხელი რუსულ
ლიტერატურაში ავ-კარგინობის
დროულ გარკვევას დიდმა ბელინ-
სკიმ, თავი რომ გავანებოთ თვით
მისი დიდი შემოქმედების უდი-
დეს მნიშვნელობას რუსული ლა-
ტერატურისათვის.

კრიტიკოსი სჯის მის თანამე-
დროვე მწერლებს, რომლებსაც
იგი უმეტესად პირადად იცნობს,

ან იცნობს საზოგადოებრივი აზ-
რის საშუალებით, მათი ყველაზე
უმნიშვნელო ყოფითი თვისებე-
ბითაც, რომლებსაც მნიშვნელოვა-
ნი გავლენა შეუძლიათ მოახდი-
ნონ კრიტიკოსის შეფასებებზე.
მაგალითად, იპოლიტ ტენი თავის
გამოკვლევას დიკენსის შესახებ
ასე იწყებს: „სამწუხაროდ დიკენ-
სი ჯერ ცოცხალია“. რასაკვირვე-
ლია, დიკენსის სიცოცხლე არ
სწყინდა ტენს. ეს იყო ის პირო-
ბითობა გამოოქმისა, რომელიც
გულისხმობდა სწორედ პიროვ-
ნების ავტორიტეტის ხელისშემ-
შლელ გავლენას შეფასებაზე.

კრიტიკოსის პიროვნება ცხადად
შორის მის სტრიქონებში. ამიტო-
მაც აქ განსაკუთრებულ მნიშვნე-
ლობას იძენს ზნეობრივი ფაქტო-
რი, იმის უნარი, რომ დაძლიოს
ცოცხალ ურთიერთობათა წარმავ-
ლობის ორმტრიალის ცდუნებე-
ბი, რაც ხელს გვიშლის ცოცხა-
ლი მწერლის შემოქმედების ობი-
ექტურად შეფასებაში. კრიტიკოსი
ძალზე „ძნელადმისადგომი“ პი-
როვნება უნდა იყოს და აქებდეს
საქებარს, იწუნებდეს დასაწუნე-
ბელს. სხვა შემთხვევაში, ყველას
მაქებარს, არც მის მიერ შექე-
ბულნი ყაბულდებიან.

ერთი სიტყვით, კრიტიკოსი სა-
ზოგადოებრივი ფიგურაა, აწყობს
ცხოვრებით ცხოვრობს და ეკი-

სრება ფრიად რთული მცირა, იყოს
ცხოვრებასა და ლიტერატურას
შორის, როგორც პირუთვნელი
მოქალაქე, მაღალი გემოვნებით
მომაღლებული და ინტელექტით
დატვირთული.

რასაკვირველია, არც ესთეტი-
კოსი უნდა იყოს ცხოვრებას
ზურგშექცეული. მაგრამ, ასე თუ
ისე, ის მაინც ცხოვრებასთან შე-
დარებით გაშუალებულ კავშირ-
შია.

9. კრიტიკასა და ესთეტიკას,
კრიტიკოსა და ესთეტიკოსს შო-
რის განსხვავებაზე რომ ვლაპარა-
კობთ, ეს სრულებით არ თიშვეს
ამ თარ სფეროს ერთმანეთისაგან
და მათ მშეიღრო კავშირის შესუს-
ტებაზე არ მიუთითებს.

კრიტიკის ობიექტი არის ამა
თუ იმ ხალხის, ერის ლიტერატუ-
რა დროის გარკვეულ მონაცემთში.
მაგალითად, ქართული კრიტიკის
საგანია ქართული ლიტერატურა,
ესთეტიკის საგანი კი არის მშვენი-
ერება, როგორც ერთნაირი კუ-
თვნილება ყველა ხალხისა და ყვე-
ლა დროის ცნობიერებისათვის.
ამდენად, თუ კრიტიკა ამა თუ იმ
ხალხის ხელოვნების ფარგლებში
თავსდება, ესთეტიკას მსოფლიო
საგანთან აქვს საქმე. ე.ი. ქართვე-
ლი ესთეტიკოსი იყვლევს იმას,
რასაც იკვლევდნენ პიროვნები,
სოკრატე, პლატონი, არისტოტე-

ლე, კანტი, გოეთე, შილერი, ჰე-
გელი... რასაც იყვლევს მარქსის-
ტულ-ლენინური ესთეტიკა.

როგორც მშვენიერება არ არის
სინამდვილის ერთი, დალკე ყო-
ფი ნაწილი, არც მისი შემსწავ-
ლელი მეცნიერებაა მარტოდ და
განხე მდგომი მეცნიერებაა. რო-
გორც მშვენიერებაა ჩაწნული სი-
ნამდვილის სხვა თვისებებში, ეს-
თეტიკაც სხვა დისციპლინებთანაა
გადაჭივული. ესაა, პირველ ყოვ-
ლისა, მისი ღვიძლი ნათესავი ფი-
ლოსოფიური და შემდეგ კი მე-
ზობელი დისციპლინები. ესთეტი-
კის აქტიური კავშირი ამა თუ იმ
დისციპლინასთან დამოკიდებული
იყო იმაზე, თუ რომელი დისციპ-
ლინა წარმოადგენდა ეპოქის ფი-
ლოსოფიური ტონის განმსაზღვ-
რელს. - პითაგორის ესთეტი-
კა მათემატიკასთან და, საერ-
თოდ, მის კოსმოგონიურ მოძღვ-
რებასთანაა მჭიდროდ დაკავ-
შირებული. როგორც თვით პითა-
გორი არ არის მხოლოდ ესთეტი-
კოსი, ან მხოლოდ ფილოსოფოსი,
არც მისი ესთეტიკური მოძღვრე-
ბა შეიძლება განვიხილოთ მისი
მთლიანი შემოქმედებისაგან მო-
წყვეტით. პლატონის ფილოსოფი-
აში მშვენიერების მოძღვრებას
მნიშვნელოვანა ადგილი უჭირავს
არა განცალკევებულად,—ეს მო-
ძღვრება ორგანული ნაწილია მისი

მეტაფიზიკისა. ასევე ითქმის ეს-
თეტიკის ისტორიის ყოველ შემო-
ქმედზე. კანტისა და ჰეგელის ფი-
ლოსოფიაში მათი ესთეტიკური
მოძღვრებანი, მათი ფილოსოფი-
ური საყაროს გუმბათს წარმოა-
დგენენ. ჰეგელის „ესთეტიკის“
გრანდიოზული მნიშვნელობა, ცხა-
დია, შეიცვლებოდა, ეს თეორია
მისივე „ლოგიკის“, „სულის ფე-
ნომენოლოგიის“, „რელიგიის ფი-
ლოსოფიის“, „სამართლის ფილო-
სოფიის“, „ისტორიის ფილოსო-
ფიის“, „ფილოსოფიის ისტორიი-
ს“ საყრდენებს რომ არ ემყარე-
ბოდეს.

ესთეტიკა რომ ფილოსოფიური
დისციპლინაა, ეს იმას ნიშნავს,
რომ მასში იგულისხმება ყოველი
ფილოსოფიური დისციპლინის
თვისებებიც, ე.ი. ესთეტიკისი
ფილოსოფოსია. ეს ნიშნავს, რომ
იგი პრაქტიკულად ლოგიკოსიცაა,
ეთიკოსიცაა და ა. შ.

რაც შეეხება ესთეტიკისა და
კრიტიკის კავშირს, ასეთი კავშირი
აუცილებლად არსებობს. ესთე-
ტიკისში ყოველთვისაა კრიტიკო-
სი, მაგრამ ამგვარ კრიტიკოსობას
ზოგჯერ ლოგიკურობასაც უუწი-
დებთ. კრიტიკოსობის მომენტი
ესთეტიკისში, პირველ ყოვლისა,
მაინც კონკრეტული, მხატვრული

მასალისადმი მიმართებებს, თეორიისადმი პრაქტიკის მისადაგების უნარს გულისხმობს. კრიტიკისა და ესთეტიკის კავშირი რომ ცეშმარიტი სრულყოფილებით გამოვლინდეს, ამისათვის ტალანტია საჭირო.

კრიტიკასა და ესთეტიკას შორის ურთიერთშემაგრებლობა ხშირად ფასადურია და, ნაცვლად ორგანული კავშირისა, საქმე გვაქვს მექანიკურ კავშირთან. მაგალითად, როდესაც ესთეტიკის ცოდნით, საკუთარი ერუდიციით იხიბლება კრიტიკისი, მისთვის მთავრია საკუთარი აზრები, განუჩევლად იმისა, რამდენად მოერგება იგი მისი კვლევის ობიექტს. ამ შემთხვევაში, ხშირად, ერუდიტ-დილეტანტი თავისი წინასწარი ქარგით სჯის. მას რომ გამოვაცალოთ მისი საკვლევი ობიექტი, უდღეული ნაწარმოებები და მის წაცვლად რამენარია შექსპირის სონეტები შეგაპაროთ, კრიტიკოსის შონილოგიურ აზროვნებაში არსებითი ცვლილება არ მოხდება. იგულისხმება უნივარაგო, უკონტაქტო მიმართება კვლევის ობიექტთან ან, კვლევის ობიექტის წინასწარვე საკუთარ აზრებში გახვევა.

როდესაც ესთეტიკოსზე ვლაპარაკობთ, ერთია ესთეტიკოსი, რომელიც ცეშმარიტი ესთეტიკური

ნააზრევის ავტორია, შემოქმედია, მეორეა ის, ვინც „მსახურობს“ ესთეტიკაში. ესთეტიკოსობა ძალზე ძნელი, იშვიათი საქმეა, ესთეტიკის ისტორიის ცოდნა კი — სრულიად შესაძლებელი რამ. შემთხვევითი არ იყო კანტის მიმართვა სტუდენტებისადმი: „მე მინდა თქვენ გასწავლოთ არა ფილოსოფიას, არამედ ფილოსოფოსობაონ“.

10. ერთია ის გარემოება, როდესაც შემოქმედი ესთეტიკოსი მანამდე არსებულ აზრს მიიღებს ან როგორც თავისი პოზიციის გამაღრმავებელს, ან მის საწინააღმდეგო რეაქციის გამაძლევებელს. მეორეა ის ვითარება, როდესაც აზრს ჩვენი ცნობიერება გადმოიწერს და მაშინ გაამოვანებს, როცა საკითხი სახელდობრ ამ აზრს შეეხება. პირველ შემთხვევაში აზრი შთანთქმება, მიიღება მოაზროვნე კაცის მიერ, როგორც აზროვნების ძალა, ენერგია და გადადის ცნობიერების ღრმა ფენებში, როგორც მოქმედი, პრაქტიკული ძალა. მეორე და უკეთეს შემთხვევაში კი ესაა ერუდიცია, უარეს შემთხვევაში — დილეტანტობა, ანუ ბრძნული აზრების ფოსტალიანობა.

კრიტიკოსისა და ესთეტიკოსის ერთ-ერთი იარაღია ავტორიტეტთა აზრების მოხმობა. თავისი შესედულებების ციტატებით გადმო-

ცემა, შეიძლება ითქვას, უანრის დონეზე აიყვანა გენიალურმა მი-შეღ მონტენმა.

ციტატები საკუთარი თქმის მნი-შენელობას იძენს თუ იგი ჩვენი საოქმელის ლერძება აკინძული, მა-გრამ თუ კაცი ციტატებს აჰყვა და სხვათა თქმებში გაიბლანდა, მაშინ საქმე გვაქვს აზრების უბრალო კოლექციონერთან.

დასავლეთის ფილოსოფოსები ძალიან იშვიათად მიმართავენ ცი-ტატებს. გოეთე წერდა, კაცობრი-ობა იმდენად ჰქვანია, ქვეყნად იმდენი ბრძნული აზრი თქმულა, რომ ახალს ვერაფერს ვიტყვიო. უახლესმა პოეტებმა მასწავლეს, მთავარია — ვთქვათ ახლებურად.

ახლებურად თქმას თავისი დამო-უკიდებელი მნიშვნელობა აქვს ხე-ლოვნებაში, მაგრამ ზუსტ მეცნიე-რებებში ნიუტონის კანონი ნიუ-ტონის კუთვნილებაა და რამდენად ახლებურადაც არ უნდა ითქვას, ის თქვენი არ იქნება. რასაკვირვე-ლია, რამდენადაც ცნობილია, მა-თემატიკასაც აქვს უმოკლესი ვა-რიანტების მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ სცვლის კანონის არს, და თუ სცვლის, მაშინ სხვა კანონი მიიღება. როგორც ვიციო, შექსპი-რამდე არსებობდა „ოტელო“, „პა-მლეტი“, „კორიოლანოსი“ და ა. შ. მაგრამ ამ ნაწარმოებებმა დამამ-კვიდრებელი მნიშვნელობა შექს-

პირის მეოხებით მოიპოვეს. გოე-თემ შთანთქა აღრინდელი „ფაუს-ტები“. გოეთეს „ფაუსტს“ ვერა-ფერს დააკლებს თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“, მავრამ თომას მანდა მაინც იპოვა ახალი ასკეპტი კონგვინიალური ნაწარმო-ების შესაქმნელად და გვითხრა, ამით ფაუსტის თემა საბოლოოდ ამოიწურაო. ერთი სიტყვით, მხატ-ვრულ ნაწარმოებებს ერთი და იგივე თემა, იდეა, აზრი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ფორმა, იმ აზრით, თუ როგორ ფორმიოს სიახლეს შესძენს იგი ცნობილ შინაარსს. ამიტომ ჰქვია ხელოვნე-ბას შემოქმედება.

ესთეტიკაც, ფილოსოფიაც ბუ-ნების მეცნიერებათაგან იმით გან-სხვავდება, რომ იგი, გარკვეული აზრით, არა მხოლოდ მეცნიერე-ბაა, არამედ შემოქმედებაცაა. ამი-ტომაა, რომ ესთეტიკოსობა, ვან-სხვავებით ესთეტიკის ისტორიის მცოლეობისაგან, შემოქმედებაა. მაშასადამე, ესთეტიკაში მხოლოდ განსხვა კი არაა ერთადერთი პარა-ტი, მასში მონაწილეობს ესთეტი-კოსის პიროვნებაც; მართალია, არა ისეთი „ლია“, უშუალო შემ-ფასებლის სახით, როგორც კრიტი-კაში,

როცა კანტის ესთეტიკური მო-
 ლვრება გააანალიზეს, აღნიშნეს,
 რომ ცალკეული აზრები კანტს
 აღებული ჰქონდა ლაიბნიცისაგან,
 კიკოსაგან, მურატორისაგან, ინ-
 ლისელი ფსიქოლოგებისაგან და
 ა. შ. საქმე იქამდე მივიდა, რომ
 დაისვა კითხვა — რა თქვა კანტმა
 ახალი? პასუხი ასეთი იყო: კანტმა
 სისტემა გამოსჭედა, ყველაზე
 უფრო სრულყოფილი სახე, დასა-
 ბუთების ძალა მისცა ყველა მა-
 ნამდე არსებულ აზრს. ლესინგს
 მიაჩნია, ესთეტიკაში არისტოტე-
 ლეს შემდეგ ახალი არაფერი
 თქმულამ, მაგრამ თვით ლესინგი
 ამის გამო არ წყვეტს ესთეტიკო-
 სობას. ჰეგელი სრულიად უბოდი-
 შოდ შთანთქავს მანამდელი ესთე-
 ტიკოსებისა და ხელოვნებათმცო-
 ლებების მონაპოვართ ისე, რომ ეს
 წინარე, მსოფლიო კულტურის
 ცოდნა ჰეგელის სამყაროში ორგა-
 ნულ ნაწილებად უჩინარდება.

ამგვარად, შემოქმედებითად
 უნდა გვესმოდეს დაგროვილი
 კულტურული მექვიდრეობის
 აოვისება მეცნიერების შემდგომს
 განვითარებაში.

ერის კულტურის სულიერი სიმ-
 წიფე განსაკუთრებით ნათლად
 ვლინდება მის თეორიულ აზროვ-
 ნებაში და, პირველ ყოვლისა,

ისეთ სფეროებში, რომლებითაც
 ერი თავის თავს შეაფასებს. ესთე-
 ტიკისა და კრიტიკის საერთო, უმ-
 თავრესი სენი ეროვნული კულტუ-
 რის კვლევისას თავს იჩენს ან მე-
 ხოტებობაში, ან განმქიდებლობაში.
 განსაკუთრებით სახითათოა მეხო-
 ტეობა. ძველ საბერძნებთში კულ-
 ტურის ასეთ განმდიდებელ მკვლე-
 ვარებს ირონიულად შეარქვეს დო-
 ქსოვრაფები, ანუ ქება-დიდების
 აღმწერნი. ხოტება ან ძაგება იოლი
 საქმეა, რაღაც იგი გონებრივ ჯა-
 ფას არ მოითხოვს, მისთვის მთავა-
 რია მეტყველების მოშვებულობა.
 შეფასება, შეფარდება კი სწორედ
 გონებისა და გულის რთული საქ-
 მიანობაა.

ჩვენი ფილოსოფია, ესთეტიკა,
 კრიტიკა წარქსისტული იდეებითაა
 შეიარაღებული და ამდენად, მას
 ნათლად აქვს წარმოდგენილი უ-
 საითქენ უნდა წავიდეს ჩვენი ცხო-
 ვრება და გონებრივი მოღვაწეობა.

ამოცანაა: ქართული ესთეტიკუ-
 რი და კრიტიკული აზროვნება ინ-
 ტელექტუალურად, მოქალაქეობ-
 რივად ერწყმოდეს ერომანეოს;
 ვითარდებოდეს იმ მაღალი შეგნე-
 ბით, რომ იგი არამხოლოდ ეროვ-
 ნული კულტურის მკვლევარია
 არამედ თვითონაცაა ეროვნული
 კულტურის ორგანული ნაწილი.

ଓଡ଼ିଆ କୋର୍ପୁର୍ବାଦୀ

კოლეგიალუ შენიშვნები

განსაჭირო ლიტერატურული პრო-
ცესი, იბივექტურად შეაფისოს
იგი თანამედროვეობის მაღალი
ესთეტიკური პოზიციებიდან.

1973 წელს ქართულ საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობას შეე-მატა არაერთი საინტერესო წიგნი, რომლებშიც ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა წარმოდგენილია უანრობრივი მრავალფრთხოვნებით (გამოკლევიბი,



სავით თევზაძე



კრიტიკული წერილები, ზოგადი ხასიათის მიმოხილვები, მოგონებები და ა. შ.). მ წერილში გვინდა შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ საყურადღებო კრებულსა და წიგნს, რომლებშიც დამსულია ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიისა და კრიტიკის პრობლემები.

დამთავრდა აკაკი ბელიაშვილის თხზულებათა ექვსტომეულის გამოცემა. მეოთხველი უკვე გაეცნო მწერლის მე-6 ტომს, რომელშიც, დაუმთავრებელი რომანის „შვიდკაცას“ გარდა, შევიდა 50-იან წლებში დაწერილი ლიტერატურული და კრიტიკული წერილები. ამ პერიოდში აკაკი ბელიაშვილი, ნაყოფიერ ბელეტრისტულ მუშაობასთან ერთად, აქტიურად მოღვაწეობდა ლიტერატურის მცოდნეობისა და კრიტიკის დარგშიც: კულახდილად საუბრობდა მკითხველებთან, ცხარედ ეკამათებოდა მწერლებს, კრიტიკოსებს, ბეჭდავდა წერილებს ლიტერატურული კრიტიკის, კინოდრამატურგის, პროზისა და პოეზის საკითხებზე... ამ წერილებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა არა მხოლოდ სტორიული თვალსაზრისით, არამედ სწორედ სადღესაც ამოცანების აქტუალობით. მათში გვხიბლავს აზროვნების სიცადე

და საკითხების პრინციპული გადაწყვეტა, გონიერამაცვილური არგუმენტაცია და კრიტიკული პათოსი.

მაგრამ უნდა ვკითხოთ ექვსტომეულის გამომცემლებს — მთლიანად დაბეჭდილია მწერლის ლიტერატურული შემკვიდრეობა, კერძოდ, ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტური ხასიათის მისი წერილები?

დაბეჭითებით შემიძლია განვაცხადო, რომ არა! აკაკი ბელიაშვილის — ამ პოპულარული მწერლის ლიტერატურული შემკვიდრეობა ჯერ კიდევ შესწავლასა და სრულყოფილ გამოცემას მოითხოვს.

გასული წლის ლიტერატურის-მცოდნეობის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა მწერალ-აკადემიკოს დემნა შენგელაის მეოთხე ტომის გამოცემა: მასში შევიდა ლიტერატურული წერილები, შრომები, ფოლკლორული და ფილოლოგიური გამოკლევები. ავტორი გვაძებს აზროვნების მასშტაბურობით, საინტერესო მიხედვებით და არგუმენტაციით. თუ რაოდენ ფართოა ავტორის ინტერესების წრე, ამაზე მიგვითოვებს წიგნის ომატიკური მრავალფეროვნება: სულხან-საბა ორბელიანი და ზაქარია ფალიაშვილი

ლი, ლევ ტოლსტოი და უშანგი ჩხეიძე, ჩხერვი და ფიროსმანი, გოგოლი და დავით კაკაბაძე, დავით კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, ნ. ლორთქიფანიძე, გალავტიონი, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, ს. კლდიაშვილი, ქეთევან ირემაძე, ი. აბაშიძე...

1973 წელს გამოქვეყნდა შ. რუსთაველის სახელმძის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა განყოფილების კრებული „XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან. II“.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ გ. ხერხეულიძის ნაშრომს, რომელიც ეხება ოციანი წლების ქართული ლირიკის ისტორიის საკითხებს, კერძოდ, „აკადემიური ასოციაციისა“ და „არიტონინის“ ჯუფის ლირიკოს პოეტების შემოქმედებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრებული მთლიანად ეძღვნება ქართული საბჭოთა შექრობის თანამედროვე ეტაპს. კერძოდ, მასში დაბეჭდილია გ. გაჩეჩილაძის „გალაკტიონ ტაბიძის ბოლო პერიოდის ლირიკა“, გ. მარგველაშვილის „კარლო კალაძე“, ზ. აბზიანიძის „დაფიქრება ადამიანის ბეღზე“ (გ. აბაშიძის ლირიკა), გ. კალანდაძის „ლადო 6. „კრიტიკა“ № 8.

ასათიანი“, მ. გვეტაძის „მუხრან მაჭავარიანის პოეზიის შესახებ“, ა. ვასაძის „უახლესი თაობა ქართველი პოეტებისა“.

გავიხსენოთ პირველი კრებულის შინაარსი (გ. მერკვილაძე, „თანამედროვე ქართული ლირიკის ნოვატორული ხასიათი“, აკადემიკობიძე, „ოციანი წლების ქართული პოეზიის სტილური სიხსლენი“, გ. ხერხეულიძე, „ვაჟა ფშაველას ლირიკა მეოცე საუკუნეში“, გურამ კანკავა, „იოსებ გრიშაშვილის რევოლუციამდელი ლირიკა“). ეს იმიტომ, რომ „მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიის“ მოჩიგი ტომები გამოვა შემდეგშიც. და ხომ არ არის საჭირო მეტი ვიფიქროთ ამ კრებულების შედგენაზე?.. ხომ არ აგობებს ამ კრებულებში უმეტესად შევიტანოთ პრობლემური ხასიათის ნაშრომები, უფრო აქტუალური, უფრო დისკუსიური, უფრო განმაზოგადებელი ხასიათისა! ერთი სიტყვით, ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულის მასალა მეცნიერულ-პრობლემური თვალსაზრისით უნდა განსხვავდებოდეს საურნალო სტატიებისაგან.

ზოგიერთი შენიშვნა ზემოთ ნახსენებ მეორე კრებულში გამოშვეყნებულ ნაშრომებზე:

გ. ხერხეულიძე წერილში „თანამდებროვე ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ კვალიფიციური და მიმოიჩილავს „აკადემიური ასოციაციისა“ და „არიტიონის“ ლიტერატულ ნიმუშებს. წერილში წამოყენებულია ბევრი საყურადღებო დებულება და ორიგინალური მოსაზრება, რაც ნაშრომს თვალსაჩინო აღვილს აკუთვნებს თცანი წლების ლიტერატურაზე შექმნილ გამოკვლევათა შორის. ამავე დროს, აეტორის ზოგიერთი დებულება შეიძლება სადაც მივიჩინოთ. „ისევე, როგორც ცისფერყანწელთა ლიტერატურული მრწამსი, არც აკადემისტთა შემოქმედებითი პრინციპი იყო პროგრესული და მისაღები. ვათი პოზიციაც განხე იდგა თანადროულობის მოთხოვნილებათაგან და მონაწილეობას არ ღებულობდა ახალი ხელოვნების ჩამოყალიბებაში“, — წერს მკვლევარი. (გვ. 176).

არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ, გავაიგივეოთ ცისფერყანწელთა და აკადემიური ასოციაციის მრწამსი. ცნობილია, რომ ცისფერყანწელები ფორმალისტები იყვნენ, ხოლო „აკადემიური ასოციაცია“ რეალიზმის პოზიციებზე იდგა (მ. გავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, კ. მაყაშვილი და სხვ.).

შემდეგ, ცისფერყანწელებმა მიიღეს რევოლუცია, ხოლო „აკადემიური ასოციაცია“ პირველ ხანებში რევოლუციას დაუპირისპირდა.

ამგვარად, მათს შემოქმედებით მეთოდებსა და მრწამსზე არ შეიძლება ერთგვაროვნად ვილაპარაკოთ.

განა მიხეილ გავახიშვილზე, რომელიც აკადემიური ასოციაციის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო, შეგვიძლია ვოქვათ, რომ მისი შემოქმედებითი კრედოც „დასავლეთ ევროპულ-ბურუუაზიული ესთეტიკით განისაზღვრება“?

ასევე სადაც შეიძლება მივიჩინოთ მოსაზრება იოსებ გრიშაშვილის ურთიერთობაზე ცისფერყანწელებთან.

კრებულში გამოქვეყნებულია გიორგი გაჩეჩილაძის ნარკვევი „გალავტიონ ტაბიძის ბოლო პერიოდის ლირიკა“. იგი მაღალ დონეზე შესრულებული მეცნიერული ნაშრომია. ამასთან აღსანიშნავია, რომ, გ. გაჩეჩილაძე აღრე თუ ართულებდა ფრაზას, აზრს ამძიმებდა ზედმეტი ექსკურსებითა და არგუმენტაციით, ახლა მისი სტილი ნათელია. გალავტიონის შემოქმედების მისეული პერიოდიზაციის აღრინდელი მოდელი ავტორს კვლავ შე-

უნარჩუნებია, მაგრამ ამჯერად იძლევა პერიოდების ახლებურ მეცნიერულ ახსნას.

გ. გაჩეჩილაძის აზრით, 1928 წელს თითქმის უკვე მთავრდება იმ ღიღი პოეტური სისტემის მთლიანი პანორამა, რომელიც გ. ტაბიძემ მოხახა. 30-იანი წლებიდან გ. ტაბიძის პოეტური სტილის განვითარების გზაზე იწყება ეპოქის სოციალური შინაარსისა და ახალი რიტმის შესატყვისი ენის ძიების პროცესი...

ეს პროცესი ერთიანი შინაგანი მთლიანობითაა ოლბეჭდილი 1928-1945 წლების ლექსებში, ხოლო 1945 წლის შემდეგროინდელი პოეზია მკვლევარს მისაჩნდა პოეტის შემოქმედების ბოლო პერიოდად; ამ პერიოდში „უკვე დასრულებული სახით ვლინდება საგნებისა და მოვლენების პოეტური ოლქმის ახალი პრინციპები და ლექსის კულტურის ის ახალი ტრადიცია, რომლის დამკვიდრებასაც მან ხელი მოჰკიდა“ (გვ. 7).

1948 წლიდან გ. ტაბიძემ 300-მდე ლექსი დაწერა, ხოლო მკვლევარი განიხილავს სულ რამდენიმეს, მაშინ, როცა საჭირო იყო პოეტის ბოლოდროინდელი ლირიკის მთლიანობაში შესწავლა და მათგან ტაპოლოგიური ნიშნების დადგენა. ამასთან მკვლევარის ანალიზი უფრო თემატურ-მოტი-

ვური ხასიათისაა, ვიღრე მხატვრულ-სტილური.

პრებულში დაბეჭდილია გ. მარგველაშვილის წერილი „კარლო კალაძე“. ეს ერთ-ერთი საფუძვლიანი ნაშრომია პოეტის ლირიკის შესახებ, მაგრამ აქაც გვხვდება ლაფსუსი. ავტორი სცდება, როცა კარლო კალაძის პირველ გამოქვეყნებულ ლექსად მიაჩნია „მუხა და ქარიშხალი“. ჯერ ერთი, კ. კალაძე რევოლუციამდე ბეჭდავდა ლექსებს კავი ეწერელის ფსევდონიმით, მეორეც — მისი პირველი მნიშვნელოვანი ლექსი გამოქვეყნდა არა 1921 წელს, არა მედ 1920 წელს გაზ. „საქართველოს კომუნისტში“. თავისი ორტომეულის პირველ ტომში თვით კ. კალაძე წერს: „პირველი ლექსები 1920 წელს დამიბეჭდეს გაზეთ „საქართველოს კომუნისტში“, როცა ჯერ კიდევ ქუთასის რეალური სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე ვიყავით“ (გვ. 7).

საინტერესო დაკვირვებებია გამოქმული აკაკი ვასაძის ნაშრომში „უახლესი თაობა ქართველი პოეტებისა“, მაგრამ წერილის მთავარი ნაკლი ისაა, რომ სია, რომელსაც იყო გვთავსზობს (ორი თაობის), არასრულია, ამასთან

კატეგორიულია. კერძოდ, იგი წერს, რომ ორმოცანი წლებიდან „გამოიკვეთა ორი საინტერესო თაობა პოეტებისა... ორივე თაობას, — განაგრძობს ავტორი, — ფრიად ნიჭიერი, ენერგიული წარმომადგენლები ჰყავს: ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭელიძე, ლალო სულაბერიძე (ერთი მხრივ), და მეორე მხრივ. ოთარ ჭილაძე, ხანსულ ჩარკვიანი, გივი გეგეშვილი, ტარიელ ჭანტურია. ზაურ ბოლქვაძე, ვახტანგ ჯავახაძე“ (გვ. 148).

სხვები? მათზე ავტორი არა-ფერს გვეუბნება.

რევაზ მიშველაძის „კრიტიკულ მონოლოგებში“ განხილულია თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და მწერლობის საღლეისო საკითხები, აგრეთვე ბოლოდროინდელი მხატვრული კრებულები, ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, ავტორი ეხება ლიტერატურისმცოდნეობის ზოგად-თეორიულ პრობლემებსაც.

კრებულის უპირველესი ღირსებაა მისი კრიტიკული პათოსი. ავტორი უპირველესად სწორად ხსნის ლიტერატურულ მოვლენებს, გაბედულად გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს, წერს თა-

ვისუფლად, მოტანილი დებულებების დასასაბუთებლად მოხმობილი აქვს სათანადო მაგალითები ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან. პოლემიკური ტონი, რომელიც თან ახლავს მის კრიტიკულ წერილებს, ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია. სასიამოვნოა, რომ რ. მიშველაძეს უდავოდ აქვს მახვილი თვალი და ალო, რომელიც ასე აუცილებელია კრიტიკოსისათვის. მაგრამ სარეცენზიონ წიგნის ავტორს გვინდა გავუზიაროთ ზოგიერთი შენიშვნა:

რ. მიშველაძის ზოგიერთ წერილს ახასიათებს ზედმეტად კატეგორიული ტონი, ნაცვლად ანალიზისა, დასბუთებისა, განსხისა. ერთ წერილში იგი წერს: კრიტიკოსმა უნდა გაარკვიოს და მწერალს განუმარტოს ახალი სოციალური ურთიერთობანი და ხშირ შემთხვევაში თემებიც უნდა უკარნახოს მწერალს (გვ. 23). წიგნის ავტორი სხვა შემთხვევაშიც მოითხოვს, რათა კრიტიკოსმა მწერალს „სწორად განუმარტოს თანამედროვეობის უმთავრესი პრობლემები და ლიტერატურაში მისი გამოხატვის სპეციფიკა“ (გვ. 21). რასაკვირველია, აქ კრიტიკოსის როლისა და მოწოდების გადაჭარბებით შეფასებასთან გვაქვს საქმე. სხვა ადგილის, თვითონ კრიტიკოსი მართებულად

მიუთითებს: „არ შეიძლება ყოვლისმცოდნის პოზით ელაბარაკო მწერალსთ“ (გვ. 13).

წიგნში შეტანილი წერილი „დიდი ეპოქის მემატიანე“ სინთეზური ხასიათისაა; თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ მოვლენებს ავტორი ორგანულად უკავშირებს ლიტერატურის პრობლემებს. არსებოთად ანალოგიური ხასიათისაა წერილიც — „თანამედროვეობა და ლიტერატურის ამოცანები“. ცხადია, ამგვარი მიმოხილვები, ზოგადი ხასიათის წერილები საჭიროა და მათ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ უპირატესად ახალგაზრდებისათვის, მაგრამ აჭობებდა ამ წერილებში მეტი ადგილი დამობოდა მხატვრულ-ლიტერატურულ პრობლემებს.

წიგნში გვხვდება არაზუსტი გამოთქმები და ლაფსუსიც. კრიტიკოსი, განიხილავს რა ო. ჩხეიძის მოთხოვა „გრაგნილს“, შენიშვნას, მოთხრობისაგან მიღებულ სიამოვნებას საგრძნობლად ანელებს ო. ჩხეიძის ენა და სტილით (გვ. 159). ეს როგორ? სიამოვნების მიღება განა ენისა და სტილის გარეშე შეიძლება?

რ. მიშველად წლების განმავლობაში გვიმტკიცებს. რომ უაზრობაა ერთ რომანზე ორი ურთიერთ რადიკალურად საჭირა-

აღმდევონ შეხედულების არსებობა. „არ შეიძლება ორი მოწინავე ავტორიტეტიანი კრიტიკოსი ერთსა და იმავე რომანზე (რომანის შეფასების საქმაოდ ზუსტი კრიტიკორიუმების არსებობის თანამედროვე პირობებში) სრულიად სხვადასხვა აზრისა იყოს“ (გვ. 26). ამის შესახებ ადრეც წერდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“. სხვა შემთხვევაშიც გვხვდება ანალოგიური ხასიათის მსჯელობა: „ჩვენი უურნალები გვაისო სერიოზულ კრიტიკოსთა სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხვი შეხედულებებით ერთსა და იმავე ნაწარმოებზე, — ჩვენის იგი, — ერთი განიხილავს შეფასების თავისებური მეთოდით და მოსწონს, მეორეს თავისი „მრწამსი“ გააჩნია და არ მოსწონს. გადახედავ ორივეს და თითქოს არც ერთ მათგანს არ აკლია გემოვნება, ერუდიცია. ლოგიკური მსჯელობის უნარი...“ (დასახელებული წიგნი, გვ. 136). ჩვენ არა გვგონია რაიმე არგუმენტირება იყოს საჭირო ამ დებულების უარსაყოფად. ეს ხომ ჩიხში მიიყვანდა მწერლობის, ხელოვნების განვითარების საქმეს?

აჭარის სახელმწიფო გამომცემ-ლობამ 1973 წელს გამოსცა ნელი დუმბაძის მონოგრაფიული გამოკლევა „ქართული სიმბოლიზმი“. სიმბოლიზმზე ბევრი ნაშრომი დაიწერა ბოლო წლებში რუსულ ლიტერატურის ცუცნებაშიც.

ზოგს ქართული სიმბოლიზმი მიაჩნია ევროპულ-რუსული ორთოდოქსული მიმღინარეობის ნაირსახეობად და ათაანი წლების დასასრულის გაბატონებულ ლიტერატურულ მოვლენად. ზოგი სავსებით უარყოფს სიმბოლიზმს ქართულ მწერლობაში, ზოგიც არსებითად კვლავ ახდენს აქცენტირებას სიმბოლიზმის რეაქციულ ბუნებაზე, ე. ი. ქართული სიმბოლიზმის ამ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და არ ითვალისწინებს სიმბოლიზმის ესთეტიკურ მნიშვნელობას და ა. შ.

ჩანს, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული სათანადო „შავი სამუშაო“ იმისათვის, რომ ობიექტურად გავაშუქოთ ქართული სიმბოლიზმი, როგორც უახლესი ქართული მწერლობის ერთ-ერთი, რეალიზმის შემდეგ ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიმღინარეობა... ჩვენი მკვლევარები კმაყოფილდებიან ამ როგორი პროცესისადმი მხოლოდ თითო-ორიოდა სამეცნიერო ნაშრომის მიღვნით, სწავლობენ

ქართული სიმბოლიზმის ცალკეულ წარმომადგენლებს, ცალკეულ პრობლემებს ან ზოგადი ხასიათის თვალსაზრისს გამოთქვამენ და აქამდე ვერ ახერხებენ ამ როგორი პრობლემის მეცნიერულ გაშუქებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცნობდით მონოგრაფიულ განვივლევას ქართულ სიმბოლიზმზე. ეს დიდი და ჩვენი ლიტერატურის მცოდნეობის მეტად საპატიო, საშური საქმე ითვავა ნელი დუმბაძემ. ამდენად მისი ნაშრომი პირველი „სასინჯი ქვაა“.

„ქართული სიმბოლიზმის“ ავტორი შეეცადა საკვლევი თემის ფართო ანალიზს. ამ მიზნით საინტერესოა მისი ექსკურსები და პარალელები ფრანგულ და რუსულ სიმბოლიზმთან, იმის ცდა, რომ საფუძვლიანად შეესწავლა „ცისფერი ყანწების“ თეორიული წანამძღვრები, დაეკავშირებინა იგი მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან, ეროვნულ ინტერესებთან; მკვლევარი აანალიზებს ცისფერყანწელთა შემოქმედებას.

ამ თვალსაზრისით ნ. დუმბაძე გვთავაზობს ბევრ საყურადღებო მეცნიერულ დაკვირვებასა და უებულებას, რომლებიც სათანადოდაა არგუმენტირებული: კვლევის სფეროში შემოაქვს ისე-

თო სტორიული და ლიტერატურული ფაქტები, რომელიც აქამდე არ გვხვდებოდა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული სიმბოლიზმის პრობლემა და მისი ანალიზი იმდენად რთულია, რომ იგი აღემატება ერთი მკვლევარის „შესაძლებლობას, რამდენადაც ოცნებიულ ანალიზს წინ უნდა უსწრებდეს ფართო ხასიათის სტორიულ-ფილოლოგიური, მხატვრულ-ესთეტიკური, საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის შესწავლა.

უთუოდ ამის შედეგია ნ. დუმბაძის გამოკვლევის ხარვეზები.

არ შეიძლება ქართული სიმბოლიზმი გავაიგივეოთ „ცისფერი ყანწების“ ჯგუფთან; ქართული სიმბოლიზმი და „ცისფერი ყანწები“ იდენტური ცნებები როდი; პირველი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, გაცილებით ფართო ხასიათის მოვლენაა. იგი თავისებურად განიცადა გალაკტიონ ტაბიძემაც და ზოგიერთმა სხვა პოეტმაც. ამდენად, „ცისფერი ყანწების“ ამ ქართული სიმბოლისტური სკოლის ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპების ანალიზი, როგორც ეს ავტორს აქვს მოცემული, ვერ ამოწურავს ქართული სიმბოლიზმის ნაირსახეობას. კერძოდ, შეუძლე-

ბელია ქართული სიმბოლიზმი წარმოვიდგინოთ გალაკტიონის გარეშე, ისე, როგორც შეუძლებელია გალაკტიონის პოეზია განვიხილოთ სიმბოლიზმის გარეშე (ემ პრობლემას წიგნში ერთ-ერთ ცენტრალური აღვილი უნდა დაეკავებინა).

ავტორს გვერდი არ უნდა აევლო კითხვებისათვის:

ა) თუ არა ცისფერყანწელთა სკოლა, გალაკტიონი და ქართული პოეზია განიცდიდა თუ არა ფრანგულ-რუსული სიმბოლიზმის გავლენას?

ბ) ქართული პოეზია და, საზოგადოდ, მწერლობა მიაღწევდა თუ არა განვითარების ამ დონეს? აშკითხვებზე პასუხი თავისთავად წარმოაჩენდა „ცისფერი ყანწების“, როგორც სიმბოლისტური სკოლის, როლსაც ქართულ მწერლობაში.

შემდეგ. თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის სიმცოდნეობა სიმბოლიზმის მიმართულებას განიხილავს არამხოლოდ როგორც იდეურ მიმართულებას, არამედ ესთეტიკურსაც, რომელმაც ფორმის თვალსაზრისით დადებითი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ლექსის კულტურაზე. ამასთან, არ უგულებელყოფს სიმბოლისტთა

შემოქმედებაში იმ პროტესტანტულ ხმას, რომელიც ობიექტურად და აშეარად მიმართული იყო სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, თითქოსდა ამ პოზიციაზე დგას ნ. დუმბაძეც. წიგნის შესავალ ნაწილში კითხულობთ: „როგორც ვხედავთ, სიმბოლიზმი ფრიად თავისებური მოვლენა იყო და მასში თავიდანვე შეინიშნებოდა შინაგანი წინააღმდეგობანი, უარყოფითიცა და დადგებითიც, პროგრესულიცა და რეაქციულიც. რა თქმა უნდა, სიმბოლიზმის ესთეტიკა ყალბი და მიუღებელია. იგი ანტირეალისტური მიმდინარეობაა. მაგრამ ამის გამო სიმბოლისტების გაიგივება რეაქციულ, პოლოგეტ ბურუუზიულ მწერლებთან შეცდომა იქნებოდა. არ შეიძლება უარყოთ ის უცილობელი ფაქტი, რომ სიმბოლისტები ვერ ურიგდებოდნენ კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ სინამდვილეს და უარყოფდნენ მას, ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. ეს იყო მათი შემოქმედების პროგრესული მხარე... ორგვე ეს მხარე სიმბოლიზმის ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და, შეცდომა რომ არ დავუშვათ, ისინი დიალექტიყურ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ“ (სარეცენზიო წიგნი, გვ. 19).

ეს პრინციპი თითქოს პოსტულატი უნდა ყოფილიყო მკვლევარისათვის ცისფერყანწელთა მოღვაწეობისა და შემოქმედების განხილვისას, მაგრამ წიგნში ასე როდია. ნ. დუმბაძე ცდილობს პოლიტიკური საფუძვლები უპოვოს ცისფერყანწელებს (საეჭვოა, რომ მათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პლატფორმა ჰქონდათ), კორძოდ, მათ უკავშირებს არჩილ ჯორჯაძის ეროვნულ შეხედულებებს. „არჩ. ჯორჯაძის შეხედულებები ეროვნულ ჟაკითხზე, — წერს იგი, — ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებაზე ჩვენი ვარაუდით სახელმძღვანელო პრინციპებად გაიხადეს ქართველმა სიმბოლისტებმა, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ 1915 წელს „ცისფერი ყანწების“ სახელწოდებით“ (გვ. 54).

შემდეგ ავტორი წერს: „დამოუკიდებელ საქართველოზე ბურუუზიულ-ნაციონალისტური ილუზიების ტკცეობაში ცისფერყანწელები დარჩნენ თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე...“ „ამგვარად, — დაასკვნის წიგნის ავტორი, — „ცისფერი ყანწების“ ორგანიზაციის ისეთ გამოჩენილ თეორეტიკოსს როგორც ტ. ტაბიძე იყო და ბურუუზიულ-ეროვნული პარტიის

შელალს არჩ. გორგაძეს ერთნაირად ესახებოდათ საქართველოს მომავალი პოლიტიკური წყობილების იდეალი“ (გვ. 60, 64).

სხვაგან ნ. დუმბაძე წერს: „ცის-ფერყანწულთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა ეს არის ძველი საქართველოს იდეალიზაცია: მთელ რიგ ლექსებში გატარებულია ნატერა ძლიერი ფერდალური ხანის (კერძოდ თამარის ნ. დ.) დაბრუნებაზე, აღდგენაზე, მოცემულია ფერდალური საქართველოს იდეალიზაცია“. (გვ. 64).

როგორც მკითხველი შენიშნავს, აქ ყველაფერი ისეა მოცემული, თითქოსდა საქმე ეხებოდეს ქართველი რომანტიკოსების დახსიათებას, მაგრამ ცნობილია, რომ ქართველი რომანტიკოსებიც კი არ დადგნენ ამ გზას და ნუთუ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ქართველი ნიჭიერი პოეტები — ცისფერყანწულები ძველ საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაზე ოცნებობდნენ?..

ამ მცდარი დებულების დასამტკიცებლად ნ. დუმბაძე იშველიებს ტიციან ტაბიძის ლექსს „გაჭიანურებული მაღრიგალი“. ამ სტრიქონების მკითხველს ვთხოვ დაკვირდეს მკვლევარის მსჯელობას. ამასთან მის მიერ მოხმობილი ლექსის სტრიქონებს, რომლებიც პატრიოტული და

გამოხატავს ქართველი ვაჟკაცის მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულს და არა „ძველი დიდების აღდგენას“, როგორც ნ. დუმბაძე ფიქრობს.

„ძველი დიდების აღდგენის სურვილი ტიციან ტაბიძეს, — წერს იგი, — მაშინაც კი არ განელებია, როცა იგი ორი სამყაროს — ძველისა და ახლის გასაყარგზაზე იდგა. 1925 წელს დაწერილ ლექსში „გაჭიანურებული მაღრიგალი“ ვკითხულობთ:

საქსეა ისევ საქართველოს ღვანის
მარწებით

და რაინდები გადაღიან ყანწებს
ყანწებზე,

გერ არ მომკვდარა აქ ვაჟკაცი სხვა
დანანებით

რომ არ ედიღოს საქართველოს
უკვდავების მზე”.

და განა საქართველოს
უკვდავების მზის დიდება
ძველი ფერდალური
საქართველოს აღდგენი
ნის სურვილია?

სხვათა შორის, ლალი ავალიანს
ნ. დუმბაძის „უეპელ დამსახურებად მიაჩნია ამ ჯგუფის ეროვნულ-პოლიტიკური და ესოცეტიკური მრწამსის დაკავშირება არჩილ ჭორგაძისა და კ. აბაშიძის შეხე-

დულებებთან“ (იხ. „კრიტიკა“, № 7, გვ. 121).

ბუნებრივად ისმება კითხვები:

ა) როგორ შევათავსოთ ეს შეფასება ტიციან ტაბიძის ცნობილ ლექსთან „პეტერბურგი“, რომელიც ავტორმა დაწერა ოქტომბრის რევოლუციის დღეებში, ან პ. იაშვილის ლექსთან „უცარი ლექსი პოლონეთს“ (1917)?

ბ) როგორ შევათავსოთ ეს დებულება ტიციან ტაბიძისა და სხვა ყანწელთა საზოგადოებრივ-პრაქტიკულ საქმიანობასთან და იმ პოლიტიკურ სტატიცბთან, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესაში, მათში ხომ გაქრიტიკებულია მენშევიკური წყობილება და მოწინებულია ლენინური პოლიტიკა კულტურის სფეროში?

გ) როგორ ავხსნათ, ის ფაქტი, რომ ცისფერყანწელთა ერთ-ერთი ბელადი პაოლო იაშვილი შეგნებულად შეხვდა რუსეთის მუშათა კლასის დახმარებას და წითელი არმიის ნაშილების შემოსვლას საქართველოში? მანვე 1921 წლის 25 თებერვალს ხომ წაიკითხა ლექსი „ახალ საქართველოს? შ. აფხაძის სიტყვით, პ. იაშვილს, ისევე, როგორც ტიციან ტაბიძეს და „ცისფერყანწელთა ჯგუფის სხვა წევრებს, მანამდეც (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იმედს გამოთქვამდა, რომ მუშაობის ფართო ასპარეზი გაიშლებოდა“ (ივე. ვვ-210)? თავს ნებას მივცემ მკვლევარს მოვაგონო სხვა ფაქტებიც: სწორედ ცისფერყანწელი ტიციან ტაბიძე 1918-1921 წლებში სისტემატურად გამოდიოდა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ: საქართველოს თვალი გავადევნოთ იმდროინდელ პრესას, რომ ამაში დავრჩიმუნდეთ.

ლოესი კავშირი ჰქონდა დამყარებული და ახლო მეგობრობდა ბესოლომინაძეს, არჩილ მიქაელს, ლევან ლოლობერიძესა და სხვა მათივე თაობის კომუნისტებთან“ (იხ. შ. აფხაძე, „ადამიანები და წიგნები“. გვ. 74, 1964), ხოლო 1921 წელს, თებერვალში, როცა კონტრრევოლუციონერები საშინელ ხმებს ავრცელებდნენ ბოლშევკების შესახებ, თბილისში წესრიგის დამცველთა შორის იმყოფებოდა ტიციან ტაბიძეც („დასახელებული წიგნი“ გვ. 142), ს. ცირეკიძეც „ერთ-ერთი პირველთაგანი ესამლებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იმედს გამოთქვამდა, რომ მუშაობის ფართო ასპარეზი გაიშლებოდა“ (ივე. ვვ-210)? თავს ნებას მივცემ მკვლევარს მოვაგონო სხვა ფაქტებიც: სწორედ ცისფერყანწელი ტიციან ტაბიძე 1918-1921 წლებში სისტემატურად გამოდიოდა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ: საქართველოს თვალი გავადევნოთ იმდროინდელ პრესას, რომ ამაში დავრჩიმუნდეთ.

„ყველა, ვინც რუსებაში მოელოდა ახალ გარდატეხს და რომელნიც გრძნობენ რევოლუციის პათოსს, — წერდა ტ. ტაბიძე 1918 წელს, — დღეს ბოლ შევიკებთან არიან.. ბოლ-

შევიკებმა ხელოვნებაშიაც იშოვეს ახალი მეგობრები: ანდრეი ბელი, ალექსანდრე ბლოკი, ვალერი ბრიუსოვი, მიხეილ კუზმინი, მთელი სკოლა რუსეთის ფუტურისტებისა ბოლშევიკების მომხრეა, საიმპერატორო თეატრები

გადაკეთდნენ სახელმწიფო თეატრებად და ათასი კრიტიკის დროს მხოლოდ მხატვრები და არტისტები არ არიან მოკლებულნი მთავრობის მზრუნველობას. გამოცხადდა მონაპოლია გამოცემებზე; პუშკინიდან დაწყებული ბლოკადე. ამ გამოცემებს საუკეთესო სპეციალისტები ჰყავთ მიჩენილი და უკვე გამოვიდა რამდენიმე სერია“ (გაზ. „საქართველო“, № 202, 1918).

ცნობილია, რომ ცისფერყანწელებმა უყოყმანოდ მიიღეს რევოლუცია: „ჩვენ აგრეთვე აშკარად ვამბობთ, რომ ჩვენ ვიყავით და ვიქენებით რევოლუციის მხარეზე“. — წერდნენ ისინი თავიანთ დეკლარაციაში (იხ. გაზ. „ბარიოკადი“, № 4, 1922).

ტიციან ტაბიძე, რა თქმა უნდა, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერალია. ამასთან ტ. ტაბიძემ იცის, რომ „ეროვნული თავისუფლება და ამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლება და სთან და რევოლუციის დაცვა

ეს არის ეროვნების იდეის დაცვა, რადგან შრომის განთავისუფლებასთან განთავისუფლდება ერიც“ (ხაზგასმა ჩემია — დ. თ. იხ. კრებული „რევოლუციის პოეტები“, წინასიტყვაობა, გვ. IV. თბ. 1921).

ზემოთ მითითებული კრებულის („რევოლუციის პოეტები“) გამოცემა 1921 წელს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ ცისფერყანწელები და კერძოდ, ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, სავსებით შემზადებულნი შეხვდნენ რევოლუციას.

მაში, როთი აფხსნათ ამ სკოლის დამოუკიდებელი ინტერესები?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცისფერყანწელებს არ ჰქონიათ რაიმე ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა და თავიანთ დანიშნულებას ესთეტიკურ-მხატვრულ პრინციპებში ხედავდნენ. ერთ-ერთი ქართველი ორთოდოქსი სიმბოლისტის შ. აფხაძის სიტყვით, ქართულ სიმბოლიზმს აინტერესებდა „უფრო ფორმალური მხარე, ვიდრე იდეური. მიზეზი ისიც არის, რომ ჩვენში სიმბოლიზმია ადვილად და თითქმის უბრძოლველად მიიღო პოზიციები მოპირდაპირის“ (გაზ. „ბახტრიონი“, № 3, 1922). ამ შე-

ხედულებას ადასტურებს „ცის-ფერი ყანწების“ 1924 წლის გან-ცხადებაც, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“ (13 ივ-ლისი). „ჩვენ დღესაც ვერავის დავუთმობთ პოეზიის პოზიციებს,— ვკითხულობთ განცხადებაში,—...ჩვენი მთავარი მიზანი იყო ქართული კულტურის გან-მტკიცება და მისი გამოყვანა ეთ-ნოგრაფიული საზღვრებიდან მსო-ფლიო კულტურის და შემოქმე-დების ასპარეზზე. ვაგრძელებთ ჩვენს მიმართულებას ქართულ-ლიტერატურაში და ოქტიუ-რად ვთანამშრომლობთ ქართული კულტურის განვითარე-ბისათვის საბჭოთა ხელი-ს უფლებასთან“ (ხაზგასმა ჩემია — დ. თ.).

ნ. დუმბაძეს უნდა ვაეთვალის-წინებინა ჩვენს მიერ ზემოთ მო-ხმობილი ფაქტები.

საგულისხმოა, რომ ავტორი ხშირად ვარდება წინააღმდეგობა-ში: ხან წერს, რომ უურნ. „ცის-ფერ ყანწებს“ გარკვეული ჩამო-ყალიბებული პოლიტიკური პრო-

გრამა, იდეალები ჰქონდა“ (მაგ-გვ. 64, 90, 95), ხან კი ამბობს: „უურნალს არ ჰქონდა გარკვეუ-ლი სახე. ის უფრო ეკლექტიზმის გზაზე იდგა“... (გვ. 87).

სქემატურია წიგნის ბოლო თა-ვი — „სოციალისტური რეალიზ-მის გზით“. ეს უფრო ცალკეული მწერლის შემოქმედებითი გზის ზოგადი მიმოხილვაა, მასში არ არის ნაჩვენები ჯგუფის შიგნით არსებული წინააღმდეგობანი და მხატვრულ - ორგანიზაციული ბრძოლები იმპროინდელი მწერ-ლობის ფონზე. ავტორს უყურად-ლებოდ არ უნდა დაეტოვებინა ყანწელთა ფართო კულტურულ-ლიტერატურული, საზოგადოებრი-ვი მოღვაწეობა და მათი ლიტერა-ტურულ-კრიტიკული წერილები, რომლებშიც ბევრი საინტერესო ლიტერატურული პრობლემაა და-ყენებული.

ასეთია ჩვენი რამდენიმე შე-ნიშვნა გასულ წელს გამოცემულ ზოგიერთ კრიტიკულ თუ ლიტე-რატურისმცოდნებითს ნაშრომ-ზე.

ასტურენის დღე

მამოცხვალებელი

პონსტანტინე გამსახურდიას
20-იანი ფლების ნოველების
ერთი ნაწილი ავტორის ფი-
ლოსოფიური შეხედულებე-
ბის მხატვრული ილუსტრი-
რიბაა. ამასთანავე გამოიყოფა
მეორე სააზროვნო მდინარება.
ჩნდება გარესამყაროსადმი მწერ-
ლის მიმართების ახალი კუთხე,
უზოგადესი ნიუანსების ძიება
აღუნებს თანამეოროვეობის შეგ-

პ. გამსახურდიას ღრი ნოველა

რძნების უნარს. მკაცრი ეპოქის
ქარბორბალა ჭვრეტის ასპარეზს
არ იძლევა. ამიტომ ღირებულე-
ბათა გადაფასების პერიოდში ფა-
სეული გამოჩნდება თვით პროცე-
სის აღქმა და განცდა. მხატვრის
მერყევი მსოფლგაგება ამძაფ-
რებს პიროვნულ ტრაგიზმს. კ. გა-
მსახურდიას წინაშე დგება საკით-
ხი ან რევოლუციის მიღებისა ან



სოსო სიგუა



შისგან ნეიტრალური განდგო-
 მისა. ფილოსოფიური უნივერ-
 სალიების რეალი ბოლო პოზიცი-
 იდან წარმოსახული ქვეყნის სუ-
 რათებია. მაგრამ პარალელურად
 იღვიძებს სურვილი მრისხანე უ-
 მის იღუმალებათა წვდენისა. ეს-
 თეტი, ერუდიტი, კონსერვატორი
 მწერალი, რომელიც გაღმერთე-
 ბული კულტურით ცხოვრობდა,
 უცებ ვერ იჩწმუნებდა მასების
 ბობოქარ ძალასა და ულმობელ
 სიმართლეს: სოციალური მოტი-
 ვები არც აესახა მის კალამს. ამი-
 ტომ ნელნელა, მძიმედ, ზიგზაგე-
 ბით უახლოვდებოდა სადღეისო
 სინამდვილეს. გამოვლინდა კონკ-
 რეტული ოემა: ეპოქა და პატარა
 ადამიანები. მიმდინარე ცხოვრე-
 ბის სურათები ნაწილობრივ გა-
 მოიკვეთა. იღუპებიან ახალი ვი-
 თარებით თვალიანელილი ინდი-
 ვიდები. ზეღმეტი და უცარი
 სინათლე აბრამვებს მათ. ჯერ კი-
 დევ ვრცელი გზაა გასავლელი
 „მთვარის მოტაცებამდე“. ჯერ
 მხოლოდ დიდი პანორამის ესკი-
 ზები ითხვება, იხატება ძველი
 ყოფის ადამიანები. რევოლუცი-
 ამდე ჩამოყალიბდა მათი პრიმი-
 ტიული მსოფლალება. ამიტომ
 უჭირთ მიღება ახალი სინამდვი-
 ლისა: შეუჩვეველს ვერ შეეჩვე-
 ვან. ისინი ბორკილებით დაი-
 ბადნენ. ამიტომ არ იციან, რა გა-

აკეთონ, როცა ხელ-ფეხი გაეხს-
 ნებათ (ოქმპირ, დიდი იოსე-
 ბი...): სიტუაციაში გაურჩევა-
 ლობა დაღუპვას ნიშნავს. საუკუ-
 ნეთა ტვირთი და ცოდვა უსაშვე-
 ლოდ დააწვა მათ მხერებზე. ამ
 რკალის ნოველებში მწერალს არც
 უცდია, ახალი ღროის ადამიანი
 აესახა.

„მოსა გახს“. გრძელდება
 ხატვა რევოლუციის მიერ განაღ-
 გურებული კლასისა. გადაშენების
 პროცესი საშინელია, მაგრამ
 აუცილებელი. მწერალი ემოციუ-
 რად მიდის პერსონაჟებთან, იზი-
 არებს მათ ხევდრს. არსად შეიმ-
 ჩნევა იუმორი და ირონია. გრან-
 დიოზული ფაქტის შემეცნება მხა-
 ტვრისათვის ყოველთვის როდი
 ნიშნავს, ულმობელი იყოს განწი-
 რულის შიმართ. დაღუპვის ესთე-
 ტიკაც მხატვრულად დიდად ფაქ-
 ულია. მომაკვდავი კლასის უკანა-
 სკუნელი გაბრძოლება, იგონია, ვნე-
 ბები და ინტერესები უნდა აისა-
 ხოს შზატვრის მიერ, რათა დარჩეს
 მომავლისათვის როგორც ეპოქის
 მართალი და მღელვარე დოკუ-
 მენტი. მწერალს შემოქმედებითი
 პოზიცია, მსოფლშედველობა,
 სტილი ხელს აძლევდა ყოფილიყო
 თავადაზნაურობის გაქრობის მე-
 ბატიანე.

ნოველის რამდენიმე დაცილე-

ბული პლანი ამთლიანებს: ა) ნაწარმოები იწყება ნადირობის სცენით. ეს აკტორის საყვარელი ხერხია, რათა კოშმარული ამბავი სალალობის შესავლით გაღმოგვცეს. აუტორი ნოველაში დამოუკიდებელ პერსონაჟად შემოძის. იგი მოუცილებელი მხლებელი და მჭვრეტელია ტაგუ სამუგიასი. ექსპოზიციაში საფუძველდებულია უმთავრესი მოტივები; ბ) ქოსა გახუს გამოჩენას ახალი ნიუანსები შემოაქვს. კვანძი შეიკვრება, ჩნდება უჩინარი გზა მოვლენების გაშლისა. თითქოს ამ მეორე პლანისათვის დაიწერა ნოველა. შეგრამ ჩნდება მესამე პლანიც; გ) ქოსა გახუს თავგადასავალს ჩაერთვის ტაგუს მონაყოლი. იგი ისტენებს ახალგაზრდობის წლებს. რეტროსპექტი გვაძლევს ახალ ვიკრონოველას. ასე მიიღება სამნაშილიანი ობზულება. ფაქტიურად იგი სამი ნოველის ბუნებრივი შერწყმაა.

აისახება სამეგრელოს ბუნების სპეციფიკა. „გვიმრნარი“, „ეწერის კატაბარდები“, „ფაცხა“, „სიმინდების ზღვა“, „თხმელა“, „ოჯალეში“... მეგრულ გვარებს ატარებენ პერსონაჟები: „სამუგია“, „ოჩივავა“, „ალანიები“, „გიორლენდიები“, „მაქაცარიები“... მუერალი კოლორიტის დაცვის მიზ-

ნით იშველიებს მეგრულ სიტყვებს: „ათაში“, „თოლიგე“, „სეან-სანთელო“, „ყურდგელი“, „იახა-დო“, „ქილორი“... მესამე პლანში მოქმედებენ აფხაზები: „მახა შერვაშიძე“, „განსულ აგირბა“, „ანჩაბაძეები“... კონკრეტდება ნოველის გოგრაფიული არე.

პერსონაჟები ნათდებიან ტრაგული სინათლით. მათი ცბიერი, გაიძვერა, შენიღბული სახეები მწერალებით იმოსება:

ა) იონა ნოველის პასიური პერსონაჟია. ნახუცარი ეფუთში ეძებს „ბოლშევიკების წასვლის“ თარიღებს. მოქმედების უნარი მას წართმეული აქვს. იგი შეეგუა სიტუაციას, მაგრამ ვითარების გამოცვლის უმს მასაც არ შერჩება უწყინარი ხასიათი;

ბ) ტაგუ სამუგიას საიდუმლო იონამ გაამუღავნა. მწერალმა ჩვენთან ერთად „გაიგო“ რომ ტაგუ მანუჩარ ბატონიშვილს მკვიდრ დასთან — ხათუნასთან ეყოლა, ეს ამბავი სამმა კაცმა იცოდა: მანუჩარმა (ხათუნა შვილოსნობას გადაჰყვა), ტაგუმ და კარის მოძღვარმა იონამ. ახალმა დროებაში უნდობლობა კიდეც წაშალა და კიდეც გააღრმავა. იონა პასივისტია. ის ყოველივეს განუდგა. ამიტომ დაარღვია ვაშინე რსი. ტაგუს

მოქმედების ფარული მოტივი ანაზღეულად გამომყდავნდა. ჩვერ კიცით მისი ნებისმიერი მოქმედების ფარული არსი. ტაგუ გლეხის ნიღაბაფარებული თავადია. ის ულოდება შესაფერის სიტუაციას, რათა ნამდვილი სახე გვიჩვენოს. ავტორი ახასიათებს ტაგუს უპნაურ და ძლიერ ბუნებას. რეტროსპექტულად გაღმოიცემა მისი ახალგაზრდობის ფათერაკები. მოქმედებით ვლინდება სამუგიას ვაჟკაცური, შეუბოვარი და ვერაგი ხასიათი. მოვლენები ვითარდება თათია ჩაჩაბას ირგვლივ. ობიექტისაღმი მიმართებით გამოიკვეთება ორი პიროვნების ბუნება — ჭანსულ აგირბასი და ტაგუ სამუგიასი. მათი ურთიერთობა დემონსტრირებაა ვაჟკაცური ეთოსის შენიღბული ქიშისა. ქვეცნობიერი დავის საგანია თაოთა ჩაჩაბა. სიტუაციაში ახალი ობიექტის შემოჭრა აჩენს მოულოდნელ და იღუმალ ნიშნებს. მეგობრებს შორის ჩნდება პირველი ვზარი ჭანსულის დაღუპვით გაიხსნა გზა ოცნების მისაწვდომად. თათია ტაგუს ცოლი გახდა. მიზანი უსისხლოდ არ მიიღწევა. თათიას მოტაცებამაც არაერთი ვაჟკაცი შეიწირა. ქოსა გახუს დაკარგვით სასიცოცხლო ძალა წაერთვა სამუგიას. თემრა და გახუ იმედის უკა-

ნასკნელ სანთლებად ენთნენ. ტაგუ დარჩა მარტოდმარტო ახალი, მღვრიე ცხოვრების დაუნდობულ ტალღებში: „თვალი ვკიდე: მანუჩარ ბატონიშვილის ნიღაბაფარებული სისხლი იყო ეს. სისხლი ნაყაჩიარისა და ფეოდალის, რომელიც სააშვარაოზე ვეღარ ჰპერავდა გამოსვლას“;

გ) გახუ ნოველის მთავარი პერსონაჟია. იგი ახალ ცხოვრებას შეშლილის ნიღბით შეეფარა. ამით სურდა გაღაერჩინა თავისი არსება და ერთადერთი მემკვიდრე — თემრა. გარდა მამაშვილური სიყვარულისა, ამ ფაქტში სოციალური მოტივიც იმღება: თემრა გააგრძელებს მანუჩარ ბატონიშვილის ტრადიციებს. ის ფარული უნდა გაიზარდოს, რათა არ მოხვდეს რევოლუციის ცელი, ხოლო როცა მოაღწევს შესაფერი უამი, ბატონიშვილად გამოცხადდება. ეს მოვლენა პოტენციურად არის მოცემული. თავად ქისა გახუ კი უაღრესად საცოდავი და შესაბრალისი პიროვნებაა. ივი იტანს ყოველგვირ დაცინვას, დამცირებას, შეურაცხყოფას, რათა ძეს სიცოცხლე შეუნარჩუნოს. ამ განადგურებულ და ღირსებააურილ აღამიანს შემოუნახავს ფაქტი და ნაზი გრძნობები: „როგორ არ ვიტირო, ჩემო ბატონო, ის

აღარაა, ვისთვისაც ვეწამე, ვისთვისაც ქვეყნის სასაცილოდ ვავიხადე თავი”; „ტაგუც მე დამცინოდა. მე რა მექნა მარტონხელის და უბედურს. ჩემი ძმები საზღვარგარეთ გაიქცნენ. ტაგუს ხელი არ ახლეს, სამუგია ეგონათ. იაპა ფო, მე გადავრჩი. მაგრამ ვაი ამისთანა გადარჩენას. იახა დო, მეც გავიქცეოდი, მაგრამ თემრა ვისთვის დამეტოვებინა. თემრა, ჩემი თემრა“... გახუს სიცოცხლეს აზრი დაეკარგა. მან მდინარეში დაიხრიო თავი;

დ) თემრა ხიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. იგი უდანაშაულო არსებაა. მაგრამ წინაპრების ცოდვები გადაშენებით ემუქრება შთამომავლობას. მექვიდრეობით უხამით იღუბებიან პერსონაჟები: „უწია მანუჩარ ბატონიშვილის ცოდვებმა ქოსა გხეუს, უწია, უჩვენოდ უწია“; „მამათა ჩუენთა ცოდეს და ჩვენ შეცდომათა მათთა მოვიხუათ“;

ე) ავტორი პასიური მონაწილეა პერსონაჟთა მოქმედებისა. იგი შრილებით და მხატვარია ვათთი ადამიანური განცდებისა. აღრეული ნოველების ლირიკული ნაკადი ავტორ-პერსონაჟად იქცა. ფაბულის გამძაფრებამ შეანერა ლირიკულ გადახვევათა სიხშირე.

7. „ქრიტიკა“ № 8.

ავტორი ვახდა გმირებისაგან დამოუკიდებელი. მათთან ემოციური შიახლოების მიუხედავად, საგრძნობია ავტორის პოზიცია. ის თითქოს იზიარებს მათ განცდებს, მაგრამ გონებით უარყოფს: მათი შეხედულებანი ცხოვრებისაგან ვანმდვარი უნაყოფო ოცნებაა.

ნოველის სიუჟეტის განვითარებას ემსახურება ყოველი პასაკი დომინირებს საუწყებელი ამბავი — ავტორისეული თვალსაზრისი ობიექტურ საგნებთან მიმართებით აშკარავდება. ავტორი ძირითადად ნეიტრალურია წარმოსახეთით გაცოცხლებული გარემოს მიმართ. ამ ნოველით ჩნდება ახალი შტრიხი კ. გამსახურდისა პროზაში: ლირიკულ ნაკადს წაერთვა წამყვანი ფუნქცია. იგი დაუქვემდებარება ამბის გადმოცემის საეციფიკას. ეპიკური საწყისი გაბატონსდა. ლირიკულ-ეპიკური წონასწორობა დაირღვა. გაიმარჯვა პროზის უპირატესმა თვისებაში. ლირიზმი გაფორმდა როგორც ვადასვევა მაგისტრალიდან. მაგრამ შენარჩუნდა ასახვის პოეტური მანერა. ობიექტის ეპიკურობა გაიშალა ლირიკული ნიუანსებით: „ხაზავდა ცას უჩინარი ხელი ქვიშისფერი, მუქი წამლებით. ითქვიფებოდნენ, იშლებოდნენ ბუნ-

ღოვანი სახეები, მონახაზები — ნამ კიდევებთან მინანქარით ნაკვირისტევი. იმატა ცაზე მუქფე-როვნებამ და უსიამო, მოწითალო სხივის რიალი ადგა მზის დასავლიდან: გადაურბინა კავკასიონს ელვის კიაფმა და გადაევლო ბენგალის ცეცხლისებური ანთება ლითონის ფერად მოვარვარე სიმინდების ზღვას“. საგანი და ნახატი არ უდრის ერთმანეთს. საგანი მხოლოდ წინაპირობა და აუცილებელი ელემენტია თხრობისა. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად სწორია სურათი ნატურასთან მიმართებით. ლირიკული ნაკადით დეფორმირდება სინამდვილის სახე.

აյთია მწერლის ტენდენცია ცალკეული პასაუგების მიხედვით. შავრამ მთლიანი თხზულება აღმიანურ ვნებათა გამოხატვის სიზუსტით წარმოაჩენს ობიექტურ სამყაროს. ვლინდება მოვლენის არსი, რომლის ჩვენების ღრის შესაძლოა, დაირღვეს ემპირიული გარემოს მთლიანობა: უმოავტესის გადასარჩენად უმცირესი გადაგვარდება. პათოსი და აშეული ტონი ხერხია პერსონაჟებთან ემოციური მისვლისათვის.

ვეტორი რამდენადმე მკითხველსაც „განასახიერებს“. ხშირად საინტერესოა არა ის, რაც აღიწე-

რება, არამედ როგორ გალმოვცემს მშერალი. მაგრამ ეს არ ითქმის მთელ თხზულებაზე: ნაწარმოებში უმთავრესია სწორედ ობიექტივიზმებული ხასიათების, სახეების, მიმართებათა ჩვენება. ამ ბრწყინვალე ნოველაში სრულად მყლავნდება ვეტორის სახეობრივი არტისტიზმი; მუსიკური წერის პრინციპი სტატიკურ აღწერებს (ბუნება, საკონძრივი დეტალიზება...) პოეტურ ხატად აქცევს. ხოლო როცა იძაბება სიუჟეტის განვითარება, კულმინაცია მიიღწევა, ვითარება ფსიქოლოგიურად იხატება სწრაფი და მოკლე ფრაზებით. სტრიქონები „გრძნობენ“ პერსონაჟთა მღელვარებას:

„როცა თეთრჩაბალახიანებმა ცხედართან მიაღწიეს, ტაგუ სამუგიამ ანთებული თვალები შევალო ჭიქურად ჩვენსკენ მომავალთ, მაგრამ კრინტი ვერ დასძრა.“

სანთელივით გათეორდა.

ისევ გაწითლდა.

სისხლი აუვარდა სახეზე.

თვალი ვკიდე: მანუჩარ ბატონიშვილის ნიღაბაფარებული სისხლი იყო ეს. სისხლი ნაყაჩაღარისა და ცეოდალის, რომელიც საშკარაოზე ვეღარ ჰდედავდა გამოსვლას.“.

„დიდი იოსები“. ნაჩვენე-

ბია უბრალო აღამიანის მეტა-
მორფოზები. საინტერესოა არა-
მთლიოდ დიდი პიროვნებანი, არა-
მედ შეუმჩნეველი არსებებიც.

დიდი იოსები რაჭველი მეკურ-
ტნეა. ის თითქოს უსულო ნივ-
თია. ცხოვრება მიედინება მის
წინ. იგი ზღვისაგან გარიყული ნა-
უკარაა, რომელსაც შემოუნახავს
შორეული ტალღების ხმაური.
კასტრირებული ოცნებანი არ
სჭირდება მღვრივ სინამდვილეს.
დიდი იოსები მონა იყო საკუთა-
რი ბედისწერისა. იგი ცოცხლოპ-
და მექანიკურად, უნჯბლიერ. მაგ-
რამ მოხდა საოცრება: 1921 წლის
25 თებერვალი ცელის ცხოვრების
დღინებას. ინგრევა არსებული ჩეს-
რივი. მისთვის ნივთებმა დაკარგეს
ადგილი და ღირებულება. იოსები
ხელავს, რომ რაღაც როგორდაც
იცვლება. ის ინსტინქტურად მო-
ქრიანს და მოქმედებს. მწერალი
იძლევა პიროვნების გარდაქმნის
სურათებს. იოსები კეთილშობი-
ლი მუშაა. მისგან შორსაა ანგარე-
ბა. იგი დასჭერდა მას, რაც ღმერ-
თმა უბოძა: მუშად დაიბადა და
მუშადვე უნდა მოკვდეს. ამიტომ
არ მიურბის თვალი სხვისი სიმ-
დიდირისაკენ: „სახლის პატრონს
ერთხელაც არ შეუნიშავს, რომ
მეკურტნეს რომელიმე ნივთისათ-
ვის თვალი გაეყოლებინა შურისა-

გან არეული, სხანდა უცნობი იყო
მისთვის ყოველივე თვალბორო-
ტება“; „იოსებმა დაპირედა საჭ-
მელს, მაგრამ მოერიდა ნაოხარის
ჭამას“.

იოსები უნებლიერ დაეპატრონა
მშვენიერ ბინას. ცხოვრებამ ხელ-
ში ჩაუგდო ღვთასნიერი ნობა:თი.
მეკურტნის არსებაშიც იღვიძებენ
მოთოკილი სურვილები, მა-
სში მთლიანად არ მომკვდარა
სწრაფვა ამქვეყნიურ სიამეთა და-
საუფლებლად. სულის ფსკერზე
რიალებდნენ ლანდები აღმრანუ-
რი ღირსებისა. ისინი სიტუაციას
ელოდნენ, რათა გარეგანი ჰოტი-
ვების ბრძანებით გარეთ გაშრი-
ლიყვნენ. მხოლოდ პიროვნების
მიღმა გამწერივებულ საგნებს
შეეძლოთ მსგავსი ცეცხლის აგზ-
ნება. ამიტომ, როცა შეიგნო იო-
სებმა, რომ ბინა მას დარჩა, „უც-
ნაურმა სიხარულმა აანთო მისი
მიმქრალი სულის ოდნავ შპეც-
ტავი პატრუჭი“. ეს პირველი სივ-
ნალი იყო: მან მიისაკუთრა უპატ-
რონო ბინა. ჩნდება ეგოისტური
ელემენტები: ვინ გაიგებდა, რომ
მეკურტნემ სხვისი ქონება მიით-
ვისა? „საგნები გაბატონდნენ მას-
ზე“. იგი გარდაიქმნა. წლების მან-
ძილზე სულში დალექილი მტვე-
რი ერთბაშად გადაირეცხა. გა-

ცოცხლდა ინსტინქტი კერძო მე-საკუთრეობისა. დეკლასირებული მუშა, რომელსაც არავითარი იდეალები არ გააჩნდა, ბუნებრივად გრძნობს ახალ ასპარეზს. მი-ტომ აცხადებს: „მე მუშა აღარა ვარ“. იგი უარყოფს თავის წირ-სულს. წვრილბურუჟაზიული ტე-ნდენციები ბატონდება ვასზე, თვითონ ეპოტინება იმ უფლე-ბებს, რომლებიც თრგუნავდნენ.

მაგრამ ბინა ჩამოართვეს იო-სებს, თვითონ კი მეეზოვედ და-აყენეს. მოულოდნელად აბრიალე-ბულ ოცნებას ფრთხები შეეკვეცა. ცდილობს ისევ მეკურტნეობას დაუბრუნდეს. ეს არ გამოდის, ვი-ნაიდან ვითარება ნამდვილად გა-მოიცვალა: ავტომობილები და იეზიდები ასრულებენ მეკურტნის ფუნქციებს. იოსებს გზები აერია. როგორც კი გაბედა არ დასჭრე-ბოდა ცხოვრებისაგან კუთვნილს, მყისვე დაემსხვრა ილუზიები უხეშ სინამდვილესთან შეჯახებით. მისი მონური ფსიქიკა და შეგნება არ იყო საბრძოლველად მომარ-თული.

ცხოვრებისაგან — გზააბნეული იოსები უმეგობრდება საეჭვო ქცევის სტუდენტს. მან უკვე და-აგდო პატიოსანი მეკურტნის გზა. პირველ შეცდომას მოჰყვა მეორე. ნელ-ნელა იგი ანტისაზოგადოებ-რივ ელემენტად გარდაიქმნა. ახალ

სინამდვილეს ალლო ვერ აუღო. ახალ ქვეყანაში ცხოვრებასაც მომზადება სჭირდებოდა. არ იყო დრო იმისა, რომ გაერკვიათ უმ-ცირესი დეტალების მრუდი და მართალი. იოსების აღსაზრდელად ვერავინ მოიცლიდა. მას თვითონ უნდა ეგრძნო შუქის სინათლე.

მეურტნე ავტომობილშა გაი-ტანა.

ეს სიმბოლური აქტია: ძველს სპობს ახალი. კომპრომისი მხო-ლოდ დროის ფაქტორია. უამი გა-ივლის და ის, რაც ახალ ცხოვრე-ბას არ (თუ ვერ) მიიღებს, ალი-გვება მიწის პირისაგან.

მწერალმა ყურადღება მიაპყრო მუშათა გაუთვითცნობიერებელი ნაწილის ბედის. მუშათა კლასი არ ყოფილა ერთგვაროვანი და ერთ-სულოვანი. აქ გამოიყოფოდა არა-ერთი ფენა. არ იყო უცილებელი, რომ შემოქმედს გმირებატა კლა-სის კრებადი თვისებანი. მან არ-ჩია განაპირა და უჩინარ ადა-მიანებზე საუბარი.

ამბავი ეპიკური სისრულითა და სიზუსტით იშლება. მოძებნილია მრავალსკლიანი ქარგა ნოველისა. პასაუების განლაგებაში შეიმჩნევა არითმეტიკული პროპორციულო-ბა. ოხრობა სინათლითაა საკსე. გაღმოცემას ექვემდებარება ყოვე-ლი კომპინენტი. მოქმედება არ იძინდება. ბუნდოვანი გარემონდან

გამოიყვანება პერსონაჟის გამჭვირვალე ხასიათი. სიტუაცია ყოველთვის იძლევა მისადგომ გზას. შესაძლოა, ხელოვანს იგი არ მოეწონოს და ჯიქური იერიშით ახალი გზა გაიკვლიოს. ამჯერად მიგნებულია ბუნებრივი მისასვლელი მასალასთან. როული, მძიმე, ძნელი უამი მოითხოვდა ნათელ ასახვას. ქაოსი ელოდა სისტემურ დაღლაგებას. წერის მომეტებული სტილიზება მთლიანად მოვცემული იყო კრეტისაგან. მიზანი იყო გარეგანის გაშინაგნება. ლირიკული ნაკადისათვის თითქმის ადგილი არ მოიძებნებოდა. ამიტომ იგი ავტორ-პერსონაჟად გაფორმდა. ავტორი მოქმედებს თავის გშირებს შორის. იგი პასური მხილველია მათი მოძრაობისა. ეს არის ერთგვარი ხერხი რათა ფანტაზიაშ ჩამოყალიბებისა, რათა დავაკრმებულდეთ, რომ კედავთ სინამდვილის ნამდვილ სურათებს.

სახულია ქალაქური დარემო. თბილისი პირველად გამოჩნდა კ. გამსახურდიას ნოველებში. ადრე მან მხოლოდ ორი გეოგრაფიული არე შემოგვთავაზა — ფრაგმენტები ურბანიზებული ევროპიდან და პატრიარქალური კოლხეთი. ამჯერად მიგნებულია შუალედური ხაზი. სტილიზებაც ბუნებრივ ხარისხში მოექცა. მწერალი ტო-

ვებს მოდერნიზმის სფეროს. მაგრამ არქეტიპულად ცოცხლობენ მასი ტენდენციები: მეღავნეობა საგნებთან იმპრესიონისტული მიმართება.

თბილისი დანახულია რომანტიზების გარეშე. ნაჩვენებია ყარაბილული ბოჭემის ნამუსრევი. ეს შინაგანად გამართლებულია. ავტორს მიაჩნდა, რომ ჭრელი და ჰიბრიდული ქალაქის ფონზე ყარაბილელობის აპოლოგია პროგრესულად უღერდა. ეს იყო დროებითი კომპრომისი. საერთოდ, მიზანი არც ყოფილა იდეალურის გამოხატვა. წარმავალი და წვრილმანი საგნები, როგორც განტოტება გრანდიოზული პანორამისა, წამიერად იმორჩილებენ მწერას. იტანჯებიან პატარა ადამიანები პატარა ოცნებებით. მაგრამ ეპოქის მღელვარება მათ სულშიც სტოვებს შერელ ხაზებს. მახვილდება დისტანციის გრძნობა. პერსონაჟებისადმი ლირიკული მიმართება კულტურისა და ჰემანიზმის გამოვლენაა. ავტორს მათთან საერთო არაფერი აქვს. იგი თანაუგრძნობს მხოლოდ მათ აღამიანურ ტეივილებსა და ტანჯვას. პატარა ადამიანები ვერ გამოდგებიან მწერლისეული იდეების აღამდარებად: ავტორი პირმშოა კუ-

ლტურისა და ციფილიზაციისა. რეგრესირებული პერსონაჟები ყურადღების ღირსია ზოგადი ადამიანური ოვალსაზრისით, სუბიექტურ შეხედულებათა საილუსტრაციოდ. ასეთები არიან როგორც მექურტნე, ისე სტუდენტი გივი და მისი საყვარელი. რამდენიმე სიტყვით იხაზება გარემო: „ყურს უგდებ თუ ვით სჩივიან ქალაქის აღმასკომის მიერ მაგრად დაბეგრილი ვაჭრები, როგორ საუბრობენ მეეტლები, მეთულუხები, ზეინკლები, ოქრომჭედლები, ჭონები, ხარაზები, ბაყლები, მემწვანილები, მეთევზები, მუშკონბის რძისა და ნავთის დამტარებელნი, გამყივანი ხმით რომ ჰყვირიან მთელი დღე, ალბათ ის კაციც აქ შემოიგლის ხოლმე, სოლოლაკში რომ ჩხავის „ღვინო, ღვინო“ (მისი ყვირილი ახლაც მესმის, როცა ამას ვწერ").

ნოველაში მოძრაობს რამდენიმე პარალელური სიმბოლიკა. ზოგიერთი საგანი არსებობს როგორც სიმბოლო. შემოდის მოდერნისტული პოეტიკის არსენალიდან წამოლებული ხერხები. დაზი იოსები ჯერ სიზმრულ ნათელნილვაში პვრეტს მომარჯვებით. შედეგების ასახვა სამერმისოდ გადაიდო.

შემდეგ ეს ზმანებული აუცხადდება, მაგრამ გააზრების უნარი ღვთაებას არ უბოძებია. ამიტომ სიზმარივით ქრება წამიერად გაელვებული უცნაური სიკეთე. იოსების ცხოვრებაც ხომ დუნეა და ინერციული. ეგებ მისთვის სიზმრული გამოცხადება უფრო ბედნიერება იყოს, ვიდრე პირქუშლანდებთან თანაარსებობა. იგი ბრძანასავით მოძრაობს. ამიტომ ურჩევნია გარინდება და ზმანებებით გარემოცვა, თორებ ამოქმედებისას შესაძლოა საგნებთან დაკახებით დაიღლეწოს. ძალასაც სიმბოლური ასპექტი აქვს მოძებნილი. იგი პატრონზე მეტად გრძნობს დრო-უამის ცვალებადობას. არ არის აუცილებელი გრანიტოზული აფიშების გამოფენა: წვრილმანი დეტალებით იხატება ეპოქის სულა. ნაჩვენებია სოციალური გარდატეხის პროცესი კონკრეტული მასალის მომარჯვებით. შედეგების ასახვა სამერმისოდ გადაიდო.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, „ქოსა გახუთი“ და „დიდი იოსებით“ მწერალმა დაარღვია ე. წ. „დისტანციის თეორია“ და ახლოს მივიდა რევოლუციურ სინამდვილესთან.

კრიზიპის ისტორიის

ალექსანდრე შავგეგი ჩარ-
თულ ლიტერატურაში გამოჩე-
და 1880 წელს, როდესაც გაწეო
„დროებაში“ დაიბეჭდა მისი სტა-
ტია „მოხევეები და მათი ცხოვრე-
ბა“. მალე ამას მოჰყვა პატარა მო-
ახრობა „ციცქა“. ამავე წლიდან
ქართული საზოგადოებრიობა სცე-

ყაზბეგი და კრიზიპა

ნიდან ეცნობა ყაზბეგ-დრამა-
ტურგის, როცა მაჟო ხაფართვა-
აბაშიძის სახენცფისოდ იღვმება
მისი „ერთი უბედურთავანი“.

ამ დროიდან ვიდრე 1886 წლა-
მდე, სულ რაღაც ხუთიოდე წლის
მანძილზე, ყაზბეგი უჩვეულო ენე-
რგიას ამჟღავნებდა მხატვრული
პროზის და დრამატურგიის სფე-
როში. წერდა ლექსებსაც.

ზედიზედ გამოქვეყნდა „ელგუ-



ლადო მინაშვილი



ჯა“ და „მამის მკვლელი“, „ელა-სო“ და „განკიცხული“, „ხევის-ბერი გოჩა“ და „მოძღვარი“. მათ ავტორს, მიუხედავად იმისა, რომ ოცდათხუთმეტ წელს მიღწეული ახალგაზრდა კაცი იყო, უკვე ზეპ-რი რამ ქონდა ნახული და განც-დილი.

საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა დიდი მოწონების გრძნობით კითხულობდა მოხუცი გრიგოლ ორბელიანი „ელგუჯას“ და „მამის მკვლელს“. საზოგადოდ თავშეკა-ვებულ პოეტს მათი წაკითხვისას აღფრთოვანების გამომხატველი მინაწერები გაუკეთებია გაზეთ „დროების“ გვერდებზე, სადაც ეს ნაწარმოებები იყო დაბეჭ-დილი.

მაღალი აზრისა ყოფილა ყაზ-ბეგის ნიჭიერი დიდი ილია. მას გან-ზრახული ქონია „მამის მკვლე-ლის“ შესახებ წერილის დაწერა. მოღწეულია ილიას შენიშვნები ამ რეცენზიისათვის.

ყაზბეგის ნაწარმოებებს გაუტა-ცნია დავით კლდიაშვილი, რომე-ლსაც მოთხოვდა „განკიცხულის“ წაკითხვის შემდეგ აღფრთოვანე-ბის წერილიც კი მიუწერია მწერ-ლისათვის: დ. კლდიაშვილმავე დატოვა საგულისხმო მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ დააწე-რინეს ასოთამწყობებმა ყაზბეგს ვრცელი „ელგუჯა“, ნაცვლად თავ-

დაპირველად ნავარაუდევი პატა-რა მოთხოვდისა.

თუ მკითხველი საზოგადოება დიდი მოწონების გრძნობით შეხ-ვდა ყაზბეგის ნაწარმოებებს, ერ-თვევარად განსხვავებული აღმოჩნ-და მწერლის თანამედროვე ლი-ტერატურული კრიტიკის დამოკი-დებულება მისი შემოქმედებისა-დმი.

როგორ გამოეხმაურა ქართული სალიტერატურო კრიტიკა ყაზბე-გის შემოსვლას ქართულ მწერლო-ბაში? რა მხარეები შეამჩნია და გამოყო კრიტიკამ მის შემოქმედე-ბაში?

ყაზბეგის ლიტერატურული მო-ლვაწეობა დაემთხვა ჩვენში ხალ-ხოსან მწერალთა გამოსვლას. ამ ღროისათვის ლიტერატურის ძი-რითად შინაარსად იქცა გლეხვაცი გილი ყოველდღიურობით, მისი ტანხვითა და ტკივილებით. ჯერ კიდევ სამოციანელების მიერ და-მკვიდრებული აზრი ჩვენი ქვეყ-ნის ცხოვრებაში მიწის მუშის წა-მყვანი როლის შესახებ გაბატონე-ბულ აზრად იქცა. დაისახა ამო-ცანა მშრომელი ხალხის სიბნელი-დან გამოყვანისა, შისი ამოზიდვი-სა და აქაც მწერლობამ იტვირთა მთავარი სიმძიმის აწევა.

ამასთანავე ჩვენს ლიტერატუ-რაში ცოცხლობდა ის ტენდენცია, რომელმაც განსაკუთრებული

მყაფიობით სამოციანი წლებიდან იჩინა თავი და ას წლების ლიტერატურის ხასიათიც განსაზღვრა — ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის, ეროვნული თავისთავადობისა და ლიტერატურის დაცვისათვის, რაც პატრიოტული მოტივის სახით კლინდებოდა. 80-იანი წლებისათვის ეს ტენდენცია ფართოდ იყო გადასული მხატვრული ლიტერატურიდან პუბლიცისტიკაზე და აქაც ჩვენი სამოციანელები ილია და აკაკი იყვნენ ტონის მიმცემი.

ასეთი იყო ლიტერატურული ატმოსფერო ალ. ყაზბეგის სამწერლო მოღვაწეობის დაწყებისას. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში სწორედ ამ დროს გამოჩენდა მისი „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“...

თავდაპირველად ყაზბეგი თეატრალური კრიტიკოსების ყურადღების საგანი გახდა, როგორც ქართული თეატრის დრამტურგი. ისინი გაზეთ „დროებაში“ მოთავსებულ წერილებში მსახიობთა თამაშთან ერთად ხშირად მსხელობდნენ დადგმული დრამის ავ-კარგზე. ამდენად იგი უფრო „ერთი უბედურთაგანით“ იყო საინტერესო კრიტიკოსთა-თვის.

თეატრალური რეცენზები

კ. მაინცდამაინც არ ანებივრებდნენ მწერალს. ერთი მათგანი, მცგალითად, ამბობდა, რომ ალ. ყაზბეგის ღრმაში ღრმაში ული არაფერი იყო. დაახლოებით ასეთსავე შეფასებას აძლევდა ალნიშნულ ღრამას მეორე რეცენზენტი „ქართული თეატრის მოყვარის“ ფსევდონიმით. მისი აზრით, თვითონ ღრამა კომპოზიციურად შეუკვრელი იყო, ხოლო პერსონაჟები სქემატურად გამოიყურებოდნენ. იგი მხოლოდ პირველ მოქმედებას იწყიარებდა „საცა საკმაოდ გამოხატულია ჩვენის ქართლის ოჯახის შინაური ყოფა-ცხოვრება. ავტორმა ამ მოქმედებაში იჩინა თავი როგორც კაცმა, რომელსაც ჰქონია თვალიც დასანახავად, ყურიც სასმენლად და კალამიც გამოსახატავად“.¹

უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ა. ყაზბეგიც განსაკუთრებით მტკიცნეულად თავისი დრამატული მოღვაწეობის კრიტიკას განიცდიდა; ზოგჯერ პასუხობდა კადეც თავის რეცენზენტებს. პასუხებში იგი თავშეუკავებელი ჩანს, გაცხარებული, ხშირად მიმართავს კრიტიკოსთა მისამარ-

1. „დროება“, 1880, №104.

თით გამქენწლავ სიტყვებს, მა-
გარ გამოთქმებს.

ყაზბეგის, როგორც პროზაი-
კოსის, გამოჩენას სალიტერატუ-
რო კრიტიკა ერთგვარი დუმილით
ჟეხვდა. ეთნოგრაფიული წერი-
ლი „მოხევეები და მათი ცხოვრე-
ბა“ და მოთხოვბა „ციცქა“ კრი-
ტიკას შეუნიშნავი დარჩა.

მხოლოდ „ელგუჯამ“ დაარღვია
დუმილი, როცა ამ ნაწარმოების
შესახებ ი. მეუნარგრამ შედარე-
ბით ვრცელი წერილი დასტამბა
გაზეთ „დროებაში“. ეს წერილი
„ელგუჯას“ შესახებ პირველიც
იყო და ერთადერთიც.

ა. ყაზბეგის თანამედროვე
კრიტიკოსთა შორის ი. მეუნარგია
გემოირჩა უწყვეტი ინტერესით
მისი ლიტერატურული მოღვაწე-
ობისადმი. მან კიდევ ორი სტატია
უძღვნა ჟაზბეგს. ამ სტატიებში
კრიტიკოსი თანმიმდევრული მო-
ჩანს თავისი შთაბეჭდილებების
გადმოცემისას, როგორც ლირსე-
ბის. ისე ნაკლის აღნიშვნის თვალ-
საზრისით.

ლიტერატურის ისტორიკოსთა
თვალში ი. მეუნარგიას როლს
ა. ყაზბეგის ნაწარმობთა განხილ-
ვა-შეფასების საქმეში, ჩანს, ერთ-
გვარი ჩრდილი მიაყენა თვით
ყაზბეგის მღელვარებით სავსე
მკაცრმა პასუხმა მეუნარგიას
სტატიაზე „მოძღვარის“ გამო.

1883 წელს ქუთაისის გაზეთ
„შრომაში“ ორი ანგარიშგასა-
წევი წერილი მოთავსდა ყაზბე-
გის შესახებ. ერთ-ერთ მათგანს
ესტატე ბოსლეველი აწერდა
ხელს.

ყაზბეგისადმი ქართული ლი-
ტერატურული კრიტიკის ინტერე-
სი მომეტებულად მისი ცხოვრე-
ბის ბოლო წლებში გაიზარდა და
გაღრმავდა. ამ დროს მის შემოქ-
მედებას საგულისხმო წერილები
უძრვნეს გ. მაიაშვილმა, ი. ხახა-
ნაშვილმა, სტ. ჭრელაშვილმა და
ა. შ.:

თითქმის აველა კრიტიკოსმა,
ვინც კი ყაზბეგის შემოქმედებას
შეეხო, თემატიკურის თვალსაზ-
რისით მნიშვნელოვან ფაქტად
ის მიიჩნია, რომ ყაზბეგმა ქარ-
თულ ლიტერატურაში შემოიტანა
„მთის თემა“, რომ მან პირველ-
მა გააცნო ქართველი მკითხველი
მთის ცხოვრებას; მოქალაქეობ-
რივი უფლება მოუპოვა მწერლო-
ბაში მთას; ამით მან ქართველი
კაცის წარმოდგენა თავის სამშობ-
ლოზე კიდევ უფრო გააფართოვა,
გააშინაარსიანა და ვამრავალფე-
როვნა. სწორედ ამ ფაქტში იქნა
—

1. ა. ყაზბეგის შემოქმედებას საერ-
თოდ ან მის ცალკეულ ნაწარმოებს შე-
ეხნენ მწერლის სიცოცხლეში ნ. ხია-
ნიშვილი, ა. ლაისტი, ი. გოგებაშვილი
და ა. შ.

დანახული ყაზბეგის მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისათვის.

ჯერ კიდევ ო. შეუნარგია აღნიშნავდა, რომ „ელგუჯას“ ავტორმა ქართველ საზოგადოებას ლიტერატურულად უცნობი მხარე წარმოუდგინა, რომ არა მარტო გაგვაცნო ეს მხარე, არამედ შეგვაყვარა კიდეც „უბრალო გაუხარებელ სოფლის ცხოვრებაში, კლდოვანს და მიუვალს აღგილზე, ცხვრის ფარისა და დაოვების გვერდით ახალგაზრდა მწერალმა გაგვაცნო ისეთი ცხოვრება, რომელიც მთელს მხარეს აყვარებს გატაცებულ მკთხველს“. ალ. ყაზბეგის დიდმა ნიჭიმა, ო. შეუნარგიას თქმით, „გააპო მთიულის მაგარი და სქელი კანი და დაგვანახა ლბილი და ნორჩი მისი გული, ლრმად მგრძნობიარე და პატიოსანი“¹.

გაზეთ „შრომას“ კრიტიკოსი ო. ყაზბეგშე მსჯელობისას წერდა: „უმთავრესი ღირსება მოჩხუბარიძის მოთხრობათა ის არის, რომ იგი ცხადად გვიხატავს მოხევეთა ცხოვრებას. მათ ჩვეულებას, სარწმუნოებრივს რშმუნებას, ხასიათს, ძველის ჩვეულებათაღმის მიღრეკილებას და სიყვარულს და

თითქმის ლაპარაკის კილოსაც ქი“².

ა. ხახანაშვილის აზრით, ო. ყაზბეგის როგორც მწერლის მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ „არა თუ მთიელი ხალხი გაგვაცნო, არამედ სხვა მოდგმის ხალხიც, ჩვენთან მეზობლობაში დაკავშირებულნი“³.

ს. ჭრელაშვილიც ყაზბეგის თხზულებათა განხილვისას მიზნად სწორედ იმას ისახავდა, ეჩვენებინა, თუ როგორ გამოიკვლია ყაზბეგმა მთის ხალხის ცხოვრება⁴.

არა მარტო ქართველი კრიტიკოსი, არამედ უცხოელი ო. ლაისტიც ქართული ლიტერატურის მიმოხილვისას ყაზბეგის შემოქმედების მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ მის „სანუკვარ საგანს მთიელების ცხოვრების აღწერა შეადგენს. ეს ცხოვრება მდიდარია დრამატულ, გულსაზარ ეპიზოდებით“⁵.

ხევის გამოჩენა ჩვენს მწერლობაში, მთის ხალხის ყოფაცხოვრების ასახვა, მათი სულიერი რაობისა და ზნე-ჩვეულებათა დახატვა, ზოგიერთი კრიტიკოსის მიურ ხალხოსნური პოზიციის გა-

² „შრომა“, 1883, № 9.

³ „ავტორია“, 1891, № 218.

⁴ „ივერია“, 1892, № 59-95.

⁵ „დროება“, 1884, № 5-6.

მოხატულებადაც იქნა მიჩნეული და ყაზბეგი ხალხოსან მწერლად ჩაითვალა. ხალხოსან მწერლად ა. ყაზბეგი პირველად გ. მაიაშვილმა გამოაცხადა თავის ერთობ საყურადღებო სტატიაში ყაზბეგის შემოქმედების შესახებ. სტატია მან პირდაპირ ასე დაასათურა „ქართველი ხალხოსანი“¹ „საგულისხმოა, რომ გ. მაიაშვილი „ხალხოსნური მიმართულების ცნობილი წარმომადგენელი, 90-იანი წლებისათვის უკვე მიმართულებაშეცვლილი, ხალხოსნობისა და ბურუუზიული განვითარების შეთანხმებისათვის მებრძოლი ჩანადა“.²

ა. ყაზბეგის ხალხოსნობა შემდეგ გაზიარებულ იქნა ალ. ხახანაშვილის, გ. თუმანიშვილის მიერაც.

მართალია, ახლა ყაზბეგის ხალხოსნობაზე აღარავინ მსჯელობს, მაგრამ 20-იან, 30-იან წლებში ეს აზრი არა მარტო ცოცხალი, არამედ ერთგვარად აღიარებულიც იყო.

ყაზბეგის საგანგებო ინტერესი „მთის ოემისადმი“ ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, მისი შემოქმედების თემა „ეთიკური შეზღუ-

დულობის“ მაუწყებელი იყო. ივარაუდებოდა, რომ ყაზბეგის შემოქმედების პრობლემატიკა, მხოლოდ მთის ინტერესების გამოხატველია, რომ ამ ნაწარმოებებში საქართველოს გარკვეული კუთხის ყოფა-ცხოვრება, ტკივილები და სწრაფვაა გამოხატული და არა მთელი საქართველოსი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ა. ყაზბეგის მნიშვნელობა არ უტოლდება იმ მწერალთა მნიშვნელობას. რომელთა შემოქმედება მთლიან საქართველოს ინტერესებს გამოხატავს და უპასუხებს, რომ ყაზბეგი არაა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დიაპაზონის მწერალი. მართალია, ამის შესახებ ყოველვის მკაფიოდ არ ლაპარაკობდნენ ჩვენი კრიტიკოსები. მაგრამ მსჯელობა ალ. ყაზბეგის შემოქმედების მარტოოდენ ეთნოგრაფიულ მხარეზე ფაქტიურად სწორედ ამას გულისხმობს.

ყველა სხვა კრიტიკოსზე თვალნათლივ ამ აზრს გამოთქვამდნენ ი. მეუნარგია და გ. მაიაშვილი.

ი. მეუნარგია 1883 წელს ა. ყაზბეგის ერთი მოთხოვნის შესახებ წერდა: „თავისი საყოფა-ცხოვრებო მხარეებით ბ. მოჩხუბარიძის მოთხოვნას შეიძლება ეწოდოს მთლად ეთნოგრაფიული მოთხოვნა, მისგან აღწერილ ზეჩვეულებათა და ურთიერთდამო-

¹ «იოვის ინიციატივი», 1892, № 2767.

² ს. ხუციშვილი. ალ. ყაზბეგის შემოქმედების შესწავლის ისტორია. თურ შომები, XXXV ნ. ვგ. 9.

კიდებულებათა უბრალოება, მე-
 გობრისა მიცემული სიტყვისადმი
 ქრთვულება, მორჩილება ღმერ-
 თისა და უხუცესისადმი, სისხლის
 ოლება და შურისძიება შეურაც-
 ხყოფისათვის, უშიშროება, პირ-
 დაბირნბა, ოჯახური კერის სიწ-
 მინდე და ქართული მოდგმის
 მთიელების სხვა დამახასიათებე-
 ლი მხარეები იმდენივე საინტერე-
 სონი არიან, რამდენადაც ჭკუის
 საწავლონი".¹

1886 წელს „მოძღვარის“ გამო-
 დაწერილ წერილში ი. მეუნარ-
 გიამ უკვე ა. ყაზბეგის მთელი
 შემოქმედების მიმართ თქვა: „იმი-
 სი ლიტერატურული ასპარეზი
 ძალიან შევიწროებული არის.
 ჩვენ მწერლობას მხოლოდ ის შე-
 უძლია მოსთხოვოს იმას, რაც იმი-
 სათვის ბუნებას მიუკია. ე. ი.
 ლიტერატურული პეიზაჟები კავ-
 კასიის მთებისა და ენთოგრაფიუ-
 ლი სურათები. ასე რომ მისი ნა-
 წერების ტერიტორია ლარსში
 იწყება და ღუშეთში თავდება...
 არა მგონია, რომ ამ წრეს გარეშე
 ბ. მოჩხუბარიძემ გააქეთოს რამე
 ხეირიანი“.²

ამავე აზრს უფრო მკაფიოდ
 და სხვა ფორმით გამოხატავდა
 გ. მაიმოვილი „ნოვოე ობოზე-

¹ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლე-
 ბი, II, 1957, გვ. 83-84.

² „ივერია“, 1886, № 91.

ნიეში“ 1892 წელს (№ 2767) გა-
 მოქვეყნებულ წერილში.

მეორეს მხრივ, ყაზბეგის სიცო-
 ცხლეშივე ისიც აღინიშნა, რომ
 მის ნაწერებს არა ვიწრო, ეთნო-
 გრაფიული, არამედ საერთო ერო-
 ვნეული მნიშვნელობა ჰქონდათ,
 რომ აյ მთელი ქართველი ხალ-
 ხის ინტერესები იყო გამოხატუ-
 ლი. ს. კრელაშვილი წერდა, რომ
 ყაზბეგი მთის ხალხში „საკობ-
 რიო მაღალ იდეალებს და გრძნო-
 ბების ნიშანწყალს პოლობს“;³
 ა. ხახანაშვილის სიტყვებით, ყაზ-
 ბეგმა დაგვანახა, რომ „ჩაჩანი და
 მოხევე ისეთივე ადამიანები იყ-
 ვნენ, აღსაკვეთ უხვის გრძნობითა
 და გულის ზრახვითა, როგორც
 ყოველი მომაკვდავი“.⁴ ამავე ავ-
 ტორის აზრით, ყაზბეგის ნაწარ-
 მოებებს ის მნიშვნელობაც ქონ-
 დათ ქართველი მკითხველისათ-
 ვას, რომ აյ მხატვრულად იყო
 განსახიერებული ჩვენი ქვეყნის
 ახლო წარსული და წათლად განა-
 ცლევინებდა XIX საუკუნის პირ-
 ელი ათწლეულის ვითარებას.⁵

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი
 ლაპარაკობდა ყაზბეგის შემოქმე-
 დების თემატურ ერთფეროვნე-

³ „ივერია“, 1892, № 59.

⁴ „ივერია“, 1893, № 276.

⁵ „ივერია“ 1891, № 218.

ბაზე. ქმათი „შთაბეჭდილებით ა. ყაზბეგის „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, თუ „მოძღვარი“ ერთ უემაზე დაწერილი ნაწარმოებია, განსხვავება მათ შორის მხოლოდ შინაარსობრივი ხასიათისაა, ეს არის ერთი და იმავე ოემის გამეორება მცირე ვარიაციით. ხოლო ძეგლან ის დასკვნაც იქნა გაეთხებული, რომ ა. ყაზბეგის პერსონაჟები ერთიმეორეს გვანანო.

o. მეუნარგია ჭერკილევ 1883 წელს წერდა, რომ ა. ყაზბეგის ნაწარმოებების ძირითადი ნაჯლი ესაა „შინაარსის ერთგვარობა თითოეულ მათგანში. პირველი, ეს ქალთა შეხვედრა, შემდევ სიყვარული და გატაცება, მერე შურისგება, საპყრობილე და ბოლოს მოქმედი პირების სამწუხარო, ტრაგიკული სიკვდილი. ვერც ერთმა მოთხრობამ ვერ აიცდინა თავიდან ეს შინაარსი“.!

რასაკვირველია, ეს იყო ცალმხრივი შეფასება დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებისა.

როგორც ამბობენ, მწერლის ხელოვნების შესაძლებლობათა მცაფიო მაჩვენებლები ბუნების მისეული აღწერა-დახასიათებაცაა. ამ აზრის საფუძვლად ინაა

მიჩნეული, რომ ადამიანთაგან განსხვავებით ბუნება თავისითავარ უტყვია, მისი დახატვა მის „ამეტყველებას“ ნიშნავს. ბუნების პოეტური შინაარსის გადმოშლა მისი „ამეტყველება“ თვითონ ხელოვანის სულიერი სიმდიდრის, მის შესაძლებლობათა ჩვენებას გულისხმობს, რადგან ბუნებაში მწერალი იმას დაინახავს, იმ შინაარსს შეიტანს მასში, რაც თვითონ მას გააჩნია.

ჭერკილევ ა. ყაზბეგის თანამედროვე კრიტიკოსებმა, მისმა პირველმა შემფასებლებმა მიუთითეს მწერლის დიდ ნიჭიერ ბუნების აღწერა-დახასიათების თვალსაზრისით. ამ მხრივ ყველა ერთსულოვანი იყო. კონკრეტული დახასიათება ბუნების გრძნობის თვალსაზრისით მწერლის ხელოვნებისა არავის არ უწარმოებია; კრიტიკოსთა შეფასება არსებითად მოწონების ეპითეტებს არ გასცილებია.

კრიტიკოსები ა. ყაზბეგის მომავლის რწმენის საკითხსაც შეეხებენ. მისი გარდაცვალების დღეებში ითქვა, რომ „მოჩხუბარიძის ყოველ ნაწარმოებს ბუნების წინააღმდეგ ატყვია უნუგეშო ბეჭედი ავტორის სულის ვითარებისა, რომლის სახეზედაც ბრწყინვალე ლიმილს ვერასოდეს ვერ დაინახედით, ამით თუ აიხსნება მისი

1 o. მეუნარგია, ქართველი მწერები, II, გვ. 84.

ყოველი ნაწარმოების უბედურად დაბოლოება.¹

ა. ხახანაშვილმა ეს თავისი აზრი შემდეგ უფრო დაბეჭითებით გაიმპორტა, გამოაცხადა რა ა. ყაზბეგი პესიმისტ მწერლად.

ა. ხახანაშვილი წერდა: „საყურადღებოა ის გარემოება, რომ ა. ყაზბეგის მოთხრობები ყოველთვის უბედურებით თავდებიან. ავტორი პესიმისტია, მისი შეხედულებით სიბნელე და უსამართლობა სჩაგრავს ყოველს კეთილ და სამართლიანს“.²

ასეთია ძირითადად ის საკითხები, რაც ა. ყაზბეგის სიცოცხლეშივე დააყენა ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ.

ქართველ კრიტიკოსთა ზემოთწარმოდგენილი შეხედულებანი არსებითად შთაბეჭდილებების ფორმითა მოწოდებული და ბუნებრივია, რომ მათი სტატიები არაა გამოკვლევის დონემდე ასული ნაშრომები, რამდენადაც კრიტიკოსები თავიანთ შეხედულებათა არგუმენტირებას ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით არ აწარმოებენ. ამიტომაც არის, რომ მათი მოსაზრებანი ხშირად წინა-

აღმდეგობრიობის შემცვლი არიან.

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ა. ყაზბეგის სიცოცხლეში ფაქტიურად ვერ ახსნა მკითხველთა ის მაღალი და მოუღლელი ინტერესი, რასაც ისინი ყაზბეგის მიმართ იჩენდნენ და იჩენენ.

ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი საუკუნის ათასი წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა კრიტიკოსი, რომელმაც არსებითად ახსნა და უპასუხა ამ დიდ ინტერესს. ეს კრიტიკოსი კიტა (ივანე) აბაშიძე იყო. მისი „ეტიუდების“ მეორე ტომში, ჩომელიც 1912 წელს გამოვიდა, მოთავსებული იყო ვრცელი, გამოკვლევის დონეზე შესრულებული ნარკვევი ა. ყაზბეგის შემოქმედების შესახებ, კიტა აბაშიძის ეს ნარკვევი შეიძლება მიუიჩნიოთ ახალი ეტაპის დასაწყისად ყაზბეგის შემოქმედების კვლევის საქმეში. კრიტიკოსმა გვითხველ საზოგადოებას წარუდგინა ა. ყაზბეგის შემოქმედება არსებითად განთავისუფლებული იმ შენიშვნათაგან, რომლებიც მწერალს მისმა თანამედროვე კრიტიკამ წაუყენა.

მინც რა საკითხები დააყენა

1 „რევრია“, 1893 № 276.

2 ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვერების სტორია (XIX საუკუნე), გამოც. II, 1917, გვ. 195.

კრიტიკოსმა ყაზბეგის „შემოქმედებასთან დაკავშირებით, რა ახლებური მიღომით გამოირჩა იგი სხვათაგან?“

გამოდიოდა რა თავისი საყოველთაოდ ცნობილი კონცეფციიდან, რომელიც ფრანგი კრიტიკოსის ბრუნეტიერის თვალსაზრისიდან იღებდა სათავეს, კ. აბაშიძემ ა. ყაზბეგი ახალი ლიტერატურული მიმართულების გამამულავნებლად მიიჩნია ჩვენს ლიტერატურაში — ნეორომანტიკოს მწერლად გამოაცხადა იგი. ამ შემთხვევაში კ. აბაშიძეს არ უვარაუდია ამ ცნებაში ის შინაარსი, რომელიც ამ ლიტერატურულ მიმართულებაში სიმბოლისტ მწერლებსაც ათავსებს. ნეორომანტიკოსად ა. ყაზბეგის მიჩნევის უმთავრესი მიზეზი იმ მაღალი და განსაკუთრებით გაფაქიზებული გრძნობებისადმი იჩტერესი იყო, რაც ასე მჟაფოიდ ჩანს ა. ყაზბეგის შემოქმედებაში. კ. აბაშიძის აზრით, თუმცა ა. ყაზბეგის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას არ იყო პირობა ნეორომანტიზმის განვითარებისა, მაგრამ იგი „ნ. ბარათაშვილისა არ იყოს, უცნაური მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში... არც მწერლობის მდგომარეობა და არც საზოგადო პოლიტიკური კითარება ხელს არ უწყობდა იმ დროს ჩვენში ყაზბეგის ნეორომ-

მანტიზის მის აყვავებას“. კ. აბაშიძის სიტყვებით ყაზბეგის რომანტიზმი იმაში ვლინდება, რომ „ის საეროვნო აზრი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისიდან ასულ-დგუმულებდა ჩვენს ლიტერატურას ცხადად თუ ფარულად, სავსებით და ნათლად გარკვეულია ყაზბეგის ნაწარმოებებში, რამდენადაც ეს შესაძლო იყო იმ ძროში სიტყვაკაზმული მწერლობისათვის ჩვენს ქვეყანაში და ამის მიხედვით ეს აზრი მის ნაწარმოებებში თთქმის უმაღლეს წერტილადე არის მიყვანილი“. 1

თუმცა ეტიუდის დასასრულს კ. აბაშიძე დაბეჭიოთებით წერს: „როგორც გინდათ განსაჯეთ, მაგრამ ყაზბეგის ნაწარმოებები ერთი ბეჭრობიც არ არის დაშორებული სინამდვილეს, ერთი წუთითაც არ გაფიქრებინებთ, რომ იქ აღწერილი მოვლენები ბუნების კანონების წინააღმდეგ იყოს; იქ არ არის არავითარი სასწაული. არც მისტიური რამ, არც კაცთა გრძნობის გარეშე მოვლენებია ნაჩვენები; და ამით იგი სრულიად რეალური ნაწარმოებია. კიდევ მეტი, საუკეთესო მხარე ამ მოთხოვნებისა მეცნიერულ კვლევაზეა დამყარებული... ამ მხრივ

1 კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, II, ქუთაისი, 1912, გვ. 80-83.

ცერავინ ვერ უსაყვედურებს ყაზ-
ბეგს, რომ მისი ნაწარმოებები სი-
ნამდვილის დასახიჩრება იყოს,
სინამდვილის დამახინჯება. რამდე-
ნადაც ცდილობს სინამდვილეს
შეხედოს ობიექტურად, ცდილობს
სინამდვილის ახსნასა და გამორ-
კვევაში თავისი პირადობა, თავი-
სი „მე“ უკანა პლანზე დააყენოს...
იმდენად იგი რეალისტია, მისი
წერის კილო, მისი სკოლა რეა-
ლიზმის სკოლაა, რეალიზმის
კილოა“.¹

ჩვენს ლიტერატურულ კრიტი-
კუში ა. ყაზბეგი პირველად კ. აბა-
შიძემ დაუკავშირა ი. ჭავჭავაძეს,
მის რეალისტურ სკოლას, წაუმ-
ძღვარა რა ეპიგრაფად ეტიუდს
ილიას სიტყვები „მგზავრის წე-
რილებიდან“: „მიგიხვდი ჩემო
მოხევევ...“ ეტიუდის პირველსავე
სტრიქონებში კ. აბაშიძე ამბობს:
„ილია ჭავჭავაძის მიმდევარია
პროზაში ალ. ყაზბეგი“.²

კ. აბაშიძემ საგანგებოდ გახა-
ზა ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა მძლა-
ვრი სოციალურ-პოლიტიკური
უდერადობა, საზოგადოდ მწერ-
ლის მიღრეკილება სოციალურ-
პოლიტიკური პრობლემატიკისად-
მი.

1. კ. აბაშიძე, ეტიუდები, II, გვ. 177.

2. იქვე, გვ. 80.

8. „კრიტიკა“ № 8.

კ. აბაშიძემ პირველმა ქარ-
თულ სინამდვილეში წარმოადგი-
ნა ერთობ ფაქტზი და ფართო ანა-
ლიზი იმ საკაცობრიო შინაარსის
გრძნობებისა, რომელთა სილრმე-
ების წვდომა და გადმოშლა ა. ყაზ-
ბეგის, როგორც ხელოვანის, ერ-
თი დიდი დამსახურება; მათ შო-
რის ეტიუდის დიდი ნაწილი დათ-
მობილი აქვს სიყვარულის გრძნო-
ბის ყაზბეგისეული ასახვის დახა-
სიათება-შეფასებას. კრიტიკოსი
ფაქტი ანალიზის საფუძველზე,
საილუსტრაციო მასალის უხვად
წარმოდგენით გვიჩვენებს ამ
გრძნობის დიდ ბუნებრიობას, მის
დიდ ძალას. განხილულია ცალკე-
ულ ნაწარმოებში ამ გრძნობის
გამოვლენის თავისებურება.

აქვე კრიტიკოსი განიხილავს
მეგობრობის გრძნობის ა. ყაზბე-
გისეულ ასახვას.

უნდა ითქვას, რომ კ. აბაშიძის
შემდეგ და მისი ნაყოფიერი გავ-
ლენის შედეგად ჩვენს ლიტერა-
ტურის მცოდნეობაში დამკვიდრდა
ან თემების მიხედვით ა. ყაზბეგის
შემოქმედების დახასიათება. და-
ხასიათების ამგვარი გზა ერთგვარ
ტრადიციად იქცა და მას ჩვეულე-
ბრივ სასკოლო პრაქტიკაშიც მი-
მართავენ.

კ. აბაშიძე საგანგებოდ შეეხო
ბუნების გრძნობის ასახვას ა. ყაზ-



შეგის შემოქმედებაში. კრიტიკოსი გადმოგვცემს საუკეთესო აღ-
გილებს ყაზბეგის თხზულებები-
დან, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის
ზეიადი ბუნებაა დახატული. იგი
ერთმანეთს უდარებს ამ თვალ-
საზრისით ყაზბეგის და ვაჟა-ფშა-
ველას შემოქმედებას და საგუ-
ლისხმო დასკვნას აკეთებს. კ. აბა-
შიძის აზრით, „ვაჟა უფრო ობი-
ექტურად უყურებს ბუნებას,
ვაჟასთვის ბუნება თავისთვავად
მშვენიერია, თუ კი იგი სიცოცხლის
გამომხატველია. ვაჟა ბუნებას
უფრო რეალურად უყურებს, ყა-
ზბეგისათვის კი ბუნება არსე-
ბობს, როგორც ერთგვარი ნიაღა-
ვი, რომელზედაც გამოიხატება
მისის გმირების ინდივიდუალობა,
პირადობა“.¹ ამ დაკვირვებაში
სრულიად ნათლად იგრძნობა ის
თვალსაზრისი, რაც ვაჟა-ფშაველას
მიერ ბუნების გრძნობის თავის-
თავადი ლირებულების აღიარება-
სა და ამგვარად გამოხატვაში და
ა. ყაზბეგის მიერ ბუნების დაქ-
ვემდებარებული შინაარსით წარ-
მოდგენის სახით დამკვიდრდა
ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურა-
ში.

ჭერ კიდევ აღრე, ა. ყაზბეგის
სიცოცხლეში გ. მაიაშვილმა მიუ-
თითა, რომ მწერლის შემოქმედე-

კ. აბაშიძემ ეს აზრი განავითარა; მან ა. ყაზბეგი ფსიქოლოგიური რომანის დამამკიდრებლად მიიჩნია ჩვენს ლიტერატურაში. კ. აბაშიძის თქმით, „ყაზბეგის მოთხრობები ს ოციოლოგიურ რის ტიპისანი არიან, ვინაიდან ას მოთხრობებში ავტორი იყვლებს საზოგადოებრივ მოვლენებს, მათ ღრმა ცვლილებას მისდევს. მაგრამ ყაზბეგი ამით როდი კმაყოფილდება, ის მთიელთა გულსა და სულსაც გადმოგვიშლის და დაგვანახებს, რა მოძრაობას იწვევს გარევანი ბრძოლა მათ სულიერ განწყობილებაში. მაშასაღამე, მისი მოთხრობები ფსიქოლოგიურ რის რომანის როლსაც კისრულობდენ“. და შემდეგ უფრო მკაფიოდ ამბობს: ა. ყაზბეგი „შეიქმნა ქართულს ლიტერატურაში ფსიქოლოგიურ რის რომანის დამამკიდრებელი“.²

როგორც ჩანს, პ. აბაშიძე
ა. ყაზბეგს ფსიქოლოგიური რო-
მანის დამამკვიდრებლად იმ სა-
ფუძვლით მიიჩნევს, რომ ყაზბეგი
თავის ნაწარმოებებში ოწევებს

1 კ. აბაშიძე, ეტაულები, II, გვ. 101.

² კ. აბაშიძე. ეტიუდები, II, გვ. 151.

ფაქტიზ და დამაჯერებელ ანალიზს აღამინთა გრძნობებისა.

ამრიგად, კ. აბაშიძე იყო პირველი რევოლუციამდელი კრიტიკოსი, რომელმაც ა. ყაზბეგის შემოქმედება დამაჯერებლად ჩართოთ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ეს კი

მეტად ნაყოფიერი პოზიცია იყო და შემდგომი კვლევა-ძიებაც ამ აზრის ვაფართოებას და გაღრმავებას შეუდგა.

ასეთი სახით წარმოსდგა ა. ყაზბეგის შემოქმედება რევოლუციაში დედე ლ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

□ □ □

ନୂଆରୀ ରୀ ଜାହାରୀ

დღევანდელი ქართული პი-
ნოხელოვნების ზინაშე მთელი
სისრულით დგას პრობლემა, რო-
მელიც საბოლოოდ გადაწყვეტს
მის როლსა და მნიშვნელობას
ჩვენი ეროვნული კულტურის შე-
მდგომი განვითარების საქმეში.
ეს პრობლემაა ერთგვარი კარ-
ჩაკეტილობისაგან თავის დაღწევა
და თანამედროვე მსოფლიო კი-
ნემატოგრაფიის ორბიტაზე უც-
რო გაბეჭული გასვლა.

„დიდოსტატის მარჯვენა“
— ვ ი ლ ა ი

პროვინციულ კარჩაგეტილობას კონსტანტინე გამსახურდია „ორლობის მწერლობას“ უწოდებს ხოლმე. თვით კ. გამსახურდიას ომანები ნათელი დაღასტურებაა იმისა, თუ ჭეშმარიტმა ჟემოქმედმა ორგორ უნდა იძრძოლოს „ორლობის მწერლობის“ წინააღმდეგ, მშობლიური ხალხის ისტორიისა თუ დღევანდელობის საუკეთესო მხარეთა გამოხავლინებლად და უკედაგსაყოფად.

გიორგი ლოლიძე

△ △

აი, სწორედ ამ სიმაღლიდან გვსურს მივუდგეთ ქართულ ფილმს — „დიდოსტატის მარჯვენას“. მას საფუძვლად დაედო პ. გამსახურდიას ომანი და ამდენად, სხვაგვარი თვალსაზრისით, სხვა სიმაღლიდან მას ვერ მივუდგებოდით. სხვა თუ არაფერი, ხელოვნების ისტორიას ახსოეს, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს არა თუ შეუნარებუნებია თავისი ღირსებები ხელოვნების სხვა დარგში გადასვლისას, არამედ გაცილებით მეტი ბრწყინვალებისათვის მიუღწევია კიდევ. გავიხსენოთ თუნდაც დიუმას სიტყვები: „50 წლის შემდეგ არავის გაახსენდებოდა ჩემი „კამელიუბიანი ქალი“, მაგრამ ვერდიმ უკვდავყო იგი“.

აღსანიშნავია, რომ „დიდოსტატის მარჯვენაც“ მესამე სიცოცხლეს განიცდის: 1961 წლს ჩვენს საოპერო თეატრში რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა დაღვაშვალვა მშველიდან თბერა „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც, სამწუხაროდ, მიუხედავად შეტაც საინტერესო მუსიკალური მასალისა, ისე მაინც ვერ დამკვიდრდა რეპერტუარში, როგორც, ვთქვათ, „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“. ეს შედარება შემთხვევით არ მოგვიტანია, რადგან ჩვენ აქაც

ასეთი სიმაღლეები გვაინტერესებს და არა ისეთი უდღეული სპექტაკლები თუ ფილმები, რომელთა ყოფნა-არყოფნა არც რამეს შემატებს და არც რამეს მოყლებს ჩვენს კულტურას.

რა შეიძლება ითქვას „დიდოსტატის“ მესამე სიცოცხლეზე, რომელიც კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ შემოგვთავაზა ვახტანგ ტაბლიაშვილისა და დევიაბაშიძის რეჟისორობით?

ამთავითვე უნდა ვთქვათ — სწორედ ეკრანიზაციით დაიწყო არსებობა ჩვენმა მხატვრულმა კინომ. ეს იყო ჯერ კიდევ რეკოლუციამდელ საქართველოში ა. წუწუნავის ფილმი „ქრისტინე“, ე. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხოვნის შიხედვით. შემდეგ ამას მოპყვა ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, რომელთა ეკრანიზაციის დროს დავაუკაცდა ქართული კინო.

მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს ეს, კ. გამსახურდიას კინემატოგრაფიული დებიუტი კი მხოლოდ ახლახან ვინილებთ.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კინემატოგრაფი ამდენ

ხანს ვვერდს უვლიდა კ. გამსახურდიას? აქ, აღბათ, მრავალი ობიექტზე თუ სუბიექტზე მიზეზია, მაგრამ ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას.

არიან მწერლები, რომლებიც, სტილისა და კომპოზიციის მიხედვით, საოცრად „კინემატოგრაფიულად“ წერენ. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ჩეხოვი, პოეტთაგან კი — პუშკინი და მაიაკოვსკი, რომელთაც შეტად ახასიათებთ კინემატოგრაფისათვის ესოდენ არსებითი სახეობრივი სისტემები, კონკრეტულობა, დინამიკა, ხედვითი მხარე.

თუ მხოლოდ ამ თვალსაზრისით მივუდებით კ. გამსახურდიას ნაწერებს, ვნახავთ, რომ წერის მანერის ასეთი თვალსაზინო, გარეგნული, მე ვიტყოდი, ყველასათვის თვალში მოსახვედრი კინემატოგრაფიულობა მათ არ ახასიათებს, რაც აბსოლუტურად არ არის კ. გამსახურდიას, როგორც მწერლის ნაკლი. კ. გამსახურდიას, როგორც მწერლის ნაკლი. კ. გამსახურდიას მწერლია და არა კინოსცენარისტი, შემოქმედების პროცესში იგი სულაც არ ფიქრობს იმაზე, როერას შექმნიან მისი ნაწარმოების მიხედვით თუ კინოფილმს.

თუ ეს გარეგანი, ყველასათვის თვალში საცემი კინემატოგრაფიული ფორმა არ გააჩნია, სამაგიე-

როდ, კ. გამსახურდია ისეთ მწერლებს მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედება უდიდეს პოტენციურ კინემატოგრაფიულობას შეიცავს. კ. გამსახურდია სიტყვის ნამდვილი დიდოსტატია და როგორც კი მის რომელიმე წიგნს დახურავთ, თქვენს წინ არაჩვეულებრივი სიცხადით, სკულპტურული ვამოძერწილობით, კონკრეტულობით აისვეტება მისი გმირების ვანუმეორებელი და შთამბეჭდავი მხატვრული იერსახეები, რომლებიც მთელი ჩვენი ცხოვრების შეგზურები ხდებიან. განა ასეთი არ არის „ყინვცისის შემუნვარე ანგელოსივით სევდიანი“ შორენა ან გიორგი მეფე, „უშიშო, ვითარცა უხორცო“, რომელთაც დიდი შემოქმედებითი წვის უტყუარი ბეჭედი აჩით!

მაგრამ იმისათვის, რომ ფილმში სრულყოფილად გაღმოიცეს ამ სახეთა ძირითადი აზრი და სული, საჭიროა შესაფერისი მხატვრული სიძლიერის, ტოლფასოვანი კინემატოგრაფიული ექვივალენტების პოვნა. თუ ამას შევძლებთ, მიზანიც მიღწეულია, რადგან მივიღებთ ხელოვნების დამოუკიდებელ ნაწარმოებს, რომელიც კინემატოგრაფისა და მხოლოდ კინემატოგრაფის მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს დაეყრდნობა.

ასე და ამრიგად, ლოგიკის ელემენტარული წესით, ჩვენ მივეღით იმ პირველ და მთავარ კითხვამდე, რომელიც არსებითად წყვეტს ფილმის ვარგისიანობის საკითხს; კერძოდ, შესძლეს თუ არა ფილმის ავტორებმა ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრულ სახეთა ტოლფასოვანი კინემატოგრაფიული ექვივალენტების პოვნა და მიღწევა, შესძლეს თუ არა ხელოვნების ამ ახალი დარგის — კინემატოგრაფიის ენაზე ისე გადმოეცათ რომანის სახეობრივი სისტემა და მისი ამაღლებული, რაინდულ-რომანტიკული სული, რომ არ შეებლალათ ჩვენი წარმოდგენები, რომლებიც ბავშვობიდანვე მტკიცედ ჩაეჭიდნენ ჩვენი სულის უფაქიზეს ხეულებს და მას შემდეგ ყოველგვარ მოძალებულ სტიქიონებს უძლებენ?

კ. გამსახურდიას რომანი იმდენად რთული, მრავალპლანოვანი ნაწარმოებით, რომ, როცა მისი სცენარი იწერებოდა, აღბათ ყველაზე დიდი პრობლემა იყო ძირითადი სიუჟეტური ხაზის გამოკვეთა, რაც მთავარი და ძვირფასია ამ რომანში. შეიძლება ითქვას, რომ სცენარის ავტორებმა გაართვეს თავი ამ რთულ ამოცანას. ფილმის ექსპოზიცია ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვ-

ლისა, ჩანაფიქრის გადაწყვეტის პროფესიული დონითა და საერთო მასშტაბური ხასიათით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის მძლავრი აკორდი, რომელსაც საჭირო უღერადობისა და მონუმენტობის ბიძგი უნდა მიეცა ფილმისათვის. ფხოველთა ერთსულოვანი ჯანყის ასეთი შემოტანა ექსპოზიციაშივე ნამდვილად საჭირო იყო, რათა მაყურებელი მომზადებული შეხვედროდა ფილმში დატრიალებულ დიდ ვნებებსა და ქარტეხილებს.

როცა იმაზე ვლაპარაკობდით, თუ რაოდენ აუცილებელია ლიტერატურული პირველწყაროს სახეობრივ სისტემათა ტოლფასოვანი კინემატოგრაფიული ექვივალენტების გამოქვებნა, შეეღველობაში გვქონდა ფილმის რამდენიმე შესანიშნავი სცენა, რომლებმაც არ შეიძლება არ მიიბყროს მაყურებლის ყურადღება. ასეთია, მაგალითთაღ, გავარვარებული ხმლების წრთობის სცენა. რომანში იგი სულ სხვა კონტექსტშია მოცემული, მაგრამ ავტორებმა, ამ შემთხვევაში, კარგი კინემატოგრაფიული ხედვის აღლო გამოამუღვანეს, როცა სათანადო კონტექსტი მოუქდებნეს ამ სცენას და ორგანულად შეასისხლორცეს

ფილმის საერთო მხატვრულ ქსოვილს. ასევე შთამბეჭდავია ფარსმანის მიერ დამზადებული ხმლების გამოცდის სცენა, და კათალიკოსის საყდრიონის სვლა ქორსატეველის ციხისაკენ, თუმცა ეს უკანასკნელი რამდენადმე პრეტენზიულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეგებ ურიგო არ იყოს და საღმებოლოში კი არა, არამედ აქვე სხვა ასპექტებთან ურთიერთკავშირში, გვესაუბრა ფილმის აქტიორულ დონეზეც; სხვა თუ არაფერი, ხელოვნება, მოგეხსენებათ, აზროვნებაა სახეებით, სახეებს კი ფილმის ავტორებთან ერთად მსახიობები ქმნიან, უფრო სწორად, ისინი გვაწვდიან მხატვრულ სახეთა სულის მოძრაობის საბოლოო ფიზიკურსა და პლასტიკურ ნახაზს. ფილმის აქტიორულ ანსამბლზე საუბარი, ბუნებრივია, მოიცავს არა მარტო მსახიობთა ნიჭიერებას, არამედ იმასაც, თუ რა მასალა არსებობდა ამ ნიჭირების გამოსავლინებლად, ე. ი. როგორი იყო სცენარის სეული სახეები და როგორ შეესხა ხორცი მათ ეკრანზე.

რომანის ყველა სიუჟეტური მოტივის გადმოსაცემად ორი კი არა, ათი სერიაც არ გვეყოფოდა, მაგრამ, აქ კომპოზიციურ ხლართებსა და მოქმედ გმირთა სიმრავ-

ლესთან ერთად ვგულისხმობთ იმ ფსიქოლოგიურ სიღრმეებსა და და ფილოსოფიურ სენტენციებს, იმ ფერთა საოცარ სიუხვეს და სინატიფეს, რაც გამსახურდიასეულ გმირებს ასე უხვად აქვთ მომაღლებული და რაც მათ მსოფლიო აზროვნების მაღალ ინტელექტურ ღონებე აყენებთ.

სამწუხაორი, სცენარი ამ მხრივ ვერ დგას ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრულ სიმღლეზე, რამაც საგრძნობლად შეასუსტა ფილმის იდეურ-ემოციური ზემოქმედების ძალა. უპირველეს ყოვლისა, ეს იგრძნობა თუნდაც აქტიორულ ანსამბლში, რომელიც არაპარმონიულ შთაბეჭდილებას ტოვებს: ცალკეული შესანიშნავი სახეების გვერდით გვხდება უფერული, სქემატური, „გამოშიგნული“ სახეებიც, რომელთა „შექმნაში“ არცთუ ისე ძლიერი გაარკვიო, ვის უფრო მეტი ბრალი მიუძღვის, სცენარისტებს, რეჟისორებს თუ თვით მსახიობებს. მაგრამ, ასე თუ ისე, საბოლოო ჯამით, მაინც მსახიობის თავზე ტყდება ყველაფერი, რაღვან კადრში სწორედ ის ჩანს, მაყურებელი სწორედ მას ხედავ და განსჯის.

საქმე ისაა, რომ მსახიობებთან მუშაობაში არ იგრძნობა ერთიანი რეჟისორული ხელი. დავი-

წყოთ თუნდაც იმით, რომ ფილმში რამდენიმე კინოაქტიორული დებიუტია, შედეგი კი — სხვადასხვა.

არსებობს ერთგვარი, ასე ვთქვათ, ყალიბი, რომელიც ჩეუსისორმა მთელ აქტიორულ ან-სამბლს უნდა დააჩინოს, აი, მაგალითად, როგორც ვია დანელიას ხელი ეტყობა მისი ფილმის „არ იდარდოს“ ყველა პერსონაჟს უკლებლივ. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ყოველ ფილმში, უნდა იგრძნობოდეს მთლიანი ავტორისეული ხელწერა, რომელიც ამ ფილმს და მის ავტორს სხვა ფილმის ავტორისაგან მუშაობის მანერის თუ მეთოდის მხრივ განასხვავებს. სწორედ ეს არის ინდივიდუალურობა, დამოუკიდებლობა, რაც ასე ჭირდება ხელოვანს.

რეჟისორული მიკნებისა და აქტიორთან ნაყოფიერი მუშაობის სანიმუშო შედეგი ემჩნევა ზოდად სპასალარის სახეს, რომელსაც არაპროფესიული მსახიობი ჯუან-შერ ჯურხაძე ასრულებს. ალბათ, არც შეიძლება არსებობდეს ორი ასრი იმის გამო, რომ ჯურხაძისეული სპასალარი ნამდვილი აღმოჩენაა ჩვენი კინოსათვის და ჩვენც გულწრფელად მივესალმებით მას. ასევე მისასალმებელია თითქმის ყველა დებიუტანტის ნამუშევარი. ესენი

არიან: დიმიტრი მჭედლიძის თალაგვა კოლონკელიძე, ა. ტავიძის შევლებ ტოხაისძე, ს. მაღალაშვილის მარიამ დედოფალი და თ. მუშკულიანის ჭიაბერი (თუმცათ. მუშკულიანს მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს კინოს დებიუტანტი, რადგან მას მთავარი როლი აქვს ნათამაშევი ნ. სანიშვილის ფილმში „აბეზარა“). მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ ჩამოთვლაში არ მოხვდა არც ერთი მთავარი გმირი.

ეგებ აქვე დაგვესვა კითხვა — მაინც, ვინ არის ფილმის მთავარი გმირი? რა თქმა უნდა, მეფე გიორგი.

შესაძლოა მომავონონ თვით კ. გამსახურდიას სიტყვები: „ზოგიერთ კრიტიკოსს აგრე მოეჩვენა, თითქოს მთავარი გმირი ამ რომანისა გიორგი პირველი იყოს და არა კონსტანტინე არსაკიძე...“

მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამბავი, ე. ი. განწირული ბედი დიდი ხელოვნისა ტირანულ სახელმწიფოში.

მაგრამ კ. გამსახურდია იქვე შენიშნავს: „ბალობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მის-

დამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი...

ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი II, ბულგართამმუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აბენინის ნახევარკუნძულიდან ბასიანამდის, ბალკანეთის უკიდურესი სამანებიდან არაბეთის უდაბნოს კიდემდის, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილი იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დამარცხა კეისიარი ბიზანტიისა, და ამ უბადლო ვაჟვაცს, რომელსაც მატინე უშროდებს „უშიშოს, ვითარცა უხორცოს“, ქართულ ქრინიკებში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას უუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა“.

ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ფილმის მთავარი მოქმედი გმირი, როგორც ჩვენ ეს გამოთქმა გვესმის, სწორედ გიორგი მეფეა და არა არსაკიძე. გიორგი მეფე გაცილებით მეტი სისრულითა და სიყვარულითაა მოცემული.

როცა გიორგი მეფეზე კლაპა-

რაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი გემოვნება, რაც ამ სახის გარეგნულ ნიღაბსა და კოსტიუმში ჩაუქსოვიათ ფილმის მხატვრებს. ყოველივე ეს კი, მსახიობ ოთარ მელინეთუბუცესის დიდ შინაგან არტისტიზმთან ერთად, ქმნის იმ ჰარმონიას, რომლითაც გიორგი მეფე გაცოცხლებულ ფრესკას გვაგონებს და იმთავითვე გვაჯაღოებს. მე ვერ დავასახელებ ო. მელინეთუბუცესის ვერც ერთ სცენურ თუ ეკრანისეულ სახეს, რომლებშიც ასე, მთელი თავისი დიდებულებითა და ბრწყინვალებით, გამოჩენილიყოს ქართველი კაცის ამაღლებული გმირულ-რომანტიკული სული. „ქრისტეს სჯულით უნდა შევკრა განდგომილი საერისთაოები ერთ ძლიერ საქართველოდ“ — ამ სიტყვებით შემოდის მისი გიორგი მეფე ფილმში და როცა ექსპოზიციას ეცნობით, რწმუნდებით, რომ მხოლოდ გიორგისთანა ძლიერ, ნებისყოფიან, უკომპრომისო მეფესა და სწორუბოვარ რაინდს შეეძლო სე აღზევებულ ფხოველთა დათრგუნვა და შემოერთება.

ო. მელინეთუბუცესის გიორგი მეფე ნამდვილი აღამიანური აღამიანია. მას მართლაც რომ თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი უტარებია ჩვენი ხალხისა,

ვაჟკაციც იყო და მშიშარაც, გულწევიდი და ლოთიც, სიძვის ღიაცების მდევარიც და მონადირეც, ერთი სიტყვით, როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი იტყოდა, ადამიანი იყო და არა-ფერი ადამიანური არ ეცცხოვებოდა, მაგრამ თავისი ხალხისათვის არასდროს უდალატნია. ეს აზრი მართლაც რომ წითელი ზოლივით გასდევს მთელს როლს და დიდ შემეცნებით ღირსებასაც ანიჭებს.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ გიორგი მეფის სახეს, რომელიც მთავარ გმირებთან შედარებით ყველაზე მთლიანია, ორჯერ შაინც უჩნდება არასასურველი ბზარი.

მეფის რისხვა და მეფის უბრალოდ ყვირილი — სულ სხვადასხვაა და ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ. რამდენადაც, თუ შეიძლება ითქვას, მართლაც მეფურია გიორგის რისხვა იმასთან დაკავშირებით, რომ კათალიკოსს სურს სვეტიცხოველი ბიზანტიულებმა ააგონ, იმდენად უფრო არამეფური, უკადრისი და შეუფერებელია გიორგის უთავბოლო ყვირილი და გაანჩხლება ფინალში, როცა არსაკიძის დასჯას ითხოვს. სხვათა შორის, ეს საერთოდ არ იყო საჭირო. აქ ფილმის ავტორებს ერთხელ კიდევ უნდა

ჩაეხედათ რომანში, სადაც ვკითხულობთ: „მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დაკარგა ეროსისგან გახელებულმა. თანაც თრიაქით იყო მთვრალი“. ეს არის და ეს. როგორ გვინიათ, რომ ყოფილიყო საჭირო ვიორგის რაიმე ეთქვა, კ. გამსახურდია ამას ვერ მოახერხებდა? მწერალს არა აქვს აქ რაიმე ფრაზა, ფილმში კი არის. ე. ი. ფილმის ავტორებმა შეთხხეს იგი. სხვათა შორის, ასეთ შემთხვევაში ავტორები ყოველთვის აგებენ.

ახლა მეორე ბზარის შესახებ. ეს ეხება მეფის სიკვდილს, რომელიც რეშისორულად და აქტიორულად სუსტად არის გადაწყვეტილი. ჯერ ერთი, კაცი ვერ გაიგებს, რატომ კვდება გიორგი, თუ წიგნი არ აქვს წაკითხული. აქ საჭირო იყო კინემატოგრაფიულად გაეხსნათ ის, რაც მწერალმა ერთი ფრაზით მოხაზა — გიორგის ნაწლავები გადაესკვნება.

სახის მთლიანობის გამო იგივე ითქმის კათალიკოსზე, რომელსაც განასახიერებს ვასო გოძიაშვილი. კათალიკოსის სახის მთლიანობა იმით ირვევეა, რომ მას სხვა ახმოვანებს. აქ ორი მოქნეტია საინტერესო: სხვა მსახიობის ხმა, თავისთავად რაოდენ

საინტერესოც უნდა იყოს იგი, ერწყმის კათალიკოსის სახის გარეგნულ ნახატსა და შინაგან ტემპერამენტს; და მეორეც, — რაც ესოდენ დამახასიათებელია ამ ფილმისათვის, — მხედველობაში გვაქვს კამერის უმოძრაობა, რომელიც თეატრალურ ელფერს აძლევს ყველაფერს. ამით კი ყველაზე მეტად კათალიკოსმა წააგო.

ჯერ კიდევ ედვინ პორტერმა განაცხადა ამ საუკუნის დასაწყისში, რომ თეატრი — ერთი პლანია, პლანების მონაცვლეობა კი — კინოს ქმნისო.

აი, კათალიკოსი ძელიცხოვლის ჯგარით ეწვია მამამზეს და სიტყვას ამბობს. მის სიტყვას უკავია 55 მეტრი ფირი, როცა აპარატი მხოლოდ მის სახეს გვიჩვენებს და მთელი ეს პირდაპირი, ტექნიკური არასინქრონულობა თუ საერთოდ მისი ხმის ხასიათისა, გარეგნულობისა და შინაგანი ბუნების შეუთანწებლობა საოცრად არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს.

კიდევ შეიძლება ისეთი მაგალითების მოყვანა, როცა აპარატი, თითქოს თეატრში ვიყოთ, მხოლოდ იმას უყურებს, ვინც ლიადარაკობს. მაგალითად, გავიხსენოთ სცენა, როცა დილეგში გამოკვეტილ მამამზესთან კოლონგვა-

ლიძე და შავლეგი მიღიან და ა. შთანამედროვე აქტიორულმა სკოლამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ ახლა ძველ თეატრალურ გადმონაშთად ითვლება, როცა კადრში მხოლოდ იმას ვუყურებთ, ვინც ლიადარაკობს...

კიდევ ერთი მომენტი კათალიკოსის სახესთან დაკავშირებით. ეს უკვე დრამატული ხინჯია. მკითხველმა იცის, რომ როცა კათალიკოსს ქორსატეველას ციხისაკენ ძელიცხოვლის ჯვარი მიაქვს, ამ შემთხვევაში მეღქისედევი ბრძანა იარაღია მეფის ხელში: გიორგი მეფემ დაუმალა კათალიკოსს, რომ ჯვარი მოწამდებულია. მაყურებელმა კი რომელსაც რომანი არა აქვს წაკითხული, ეს არ იცის და ამიტომაც დაიკარგა ის მოსალოდნელი და აუცილებელი დრამატული სიმძაფრე, ურომლისოდაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, კათალიკოსის საყდრიონის მთელ ამ სვლას ქორსატეველას ციხისაკენ ერთგვარი პრეტენციოზული ელფერი დაპკრავს.

ასეთივე დრამატურგიული ხინჯებია შორენასა და არსაკიძის სიყვარულში. ვერ გაიგებთ, კერძოდ, მათნც როდის იწყება მათი სიყვარული. წიგნში, რა თქმა უნდა, ყველაფერი გასაგებია. როცა არსაკიძეს ეტყვიან, შორენა არ

არისო შენი ძუძუმტე, მწერალი შენიშვნაგა: „უცნაური რამ მოხდა მაინც: ერთის დაკვრით შეიცვალა სიყრმის მევობარი მის თვალში.“

სარევისორო ჟცენარში იყო სცენა, უფრო სწორად ერთი ფრაზა, რომელსაც უნდა „ეტვირთა“ მოელი ეს ამბავი. „ჩემმა გულმა შენ ავირჩია, ჭიაბერი კი მშობლებმა და გარემოებამო“, — ეუბნებოდა შორენა არსაკიძეს და აქ თითქოს გასაგები ნებოდა მათი ურთიერთობაც, მაგრამ როგორ შეეძლო გამსახურდიასეულ შორენას ასე ელაპარაკა არსაკიძესთან! ამიტომაც, კიდევ კარგი, ეს უხეირო ფრაზა ამოვარდა ფილმიდან.

როგორც ვთქვით, რომანისეული დიალოგების შეცვლა საკუთარით, უხერხელ მდგომარეობაში აყენებს ფილმის ავტორებს.

...მეორე სერია. შორენა გადასწყვეტს შური იძიოს მამის გამო, მიდის არსაკიძესთან და შეთქმულებას უმხელს. არსაკიძე გონს მოუხმობს. მაშინ შორენა სავსებით მოულოდნელად მისი კდემამოსილი ბუნებისათვის სრულიად შეუფერებელ ფრაზას ესვრის — „მიჯნურთან (ხაზი ჩემია — გ. დ.) მოვედი და ვიხილე მეფის ხუროთმოძღვარი“. *

სავით გასკდა ეს სიტყვა „მიჯნური“, ისიც შორენასაგან თქმული. ვერც რომანში და ვერც ფილმში არსაკიძე ერთ სიტყვასაც ვერ ათქმევინებს შორენას თავის გრძნობებზე, ქალი მხოლოდ თვალებს ხრის ხოლმე ასეთ დროს. კვამსახურდია ზემოციტირებულ ფრაზას ასე ათქმევინებს შორენას: „მე არ მოვსულვარ შენთან, რათა თანადგომა რამე გთხოვო“. არც აქ და არც, თუ არ ვცდები, საერთოდ რომანში ნახსენებიც არ არის სიტყვა „მიჯნური“. მაგრამ საქმე სიტყვა კი არაა, არამედ ამ შემთხვევაში მისი სრულიად უხეირო, უაღგილო ხმარება, რომლითაც საოცრად უსიამოვნოდ გაშიშვლდა „ყინცვისის მჭუნვარე ანგელისივით სევდიანი“ შორენას ქალური კდემამოსილება და საერთოდ, მისი უფაქიზესი გრძნობა არსაკიძისადმი. აი, რა მოჰყვება მხატვრული სიტყვის დიდოსტატთან მკრეხელურ ჭიდილს!

ორიოდე სიტყვა ამ გრძნობაზე რომანში იგი, უფრო სწორად, მისი ნამდგილი სახე, გვიან შელავნდება, მაგრამ ისეთი ძალით იფეთქებს, თითქოს გამოსყიდვა უნდაო წლების დანაშაულისა. ფილმში კი ბოლომდე არ ჩას,

* საოცრადია პირდაპირ, ყუმბარა-

მართლა უყვართ თუ არა ერთმანეთი შორენასა და არსაკიძეს, ის ერთი ბედკრული სიტყვა—„მიჯნური“ რომ არ იყოს.

კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი. მაგრამ აյ მარტო გამსახურდის უფლის ტექსტის უხეირო შელმაზებას კი არ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, არამედ, მოკლედ რომ ვთქვათ, ხმის ოპერატორის ნამუშევარსაც.

ყველა ეპოქას, ყველა წელს თავისი შესაბამისი მეტყველება ახსანიათებს. ამიტომაც, მარტო რეჟისორმა კი არა, ხმის ოპერატორმაც, უფრო მეტად კი სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა იზრუნოს იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მეტყველების ტონი და მანერა მოცემული ეპოქის, მოცემული სცენისა თუ გმირთა საერთო ურთიერთვანწყობილებას. ფილმის გმირები კი მეთერთმეტე საუკუნეში ცხოვრობენ, მაგრამ ხანდახან ისე მეტყველებენ, რუსთაველის პროსპექტზე გეგონებათ თავი. და მეორეც: ფილმის ავტორები ყოველმხრივ უნდა შეკცადონ, თუ ვერაფერს შემატებენ პირებულწყაროს მხატვრულ ფერებსა და საღებავებს, ნუ დაკლებენ მაინც. თუ ეს არ გავთდა, მაშინ ეკრანიზაცია მშრა-

ლი იღუსტრაცია ხდება და არც რაიმე ინტერესს იწვევს.

ამ ორი მომენტისა და საერთოდ, ლიტერატურული პირველწყაროსა და ფილმის მხატვრულ დირებულებათა ურთიერთშეპირისპირებისათვის, რაც დასკვნისათვის გამოგვადგება, მკითხველს უნდა შევასხენოთ მეორე სერიის დასაწყისი და სათანადო ადგილი რომანიდან.

ფილმის სამონტაჟო ფურცელი:

„არსაკიძე, ბოდოკია და მონათა ჯგუფი ქვებს აჩუქურთმებენ.

შორენა (კადრის გარეთ): უტა!

სკეტიცხოვლის გალავანი ხალხითაა სავსე. შორენა გამოეყოთავის ამაღლას, მას არსაკიძე მიუახლოვდა.

შორენა: სად დაიკარგე, უტა?

არსაკიძე: ასე მგონია სიზმრად გხედავდე.

შორენა: რა მოგივიდა, უტა?

არსაკიძე: რას იკითხავ, შორენა?

შორენა: გამხდარი ხარ (ამ დროს მოხანს არსაკიძე სკეტიცხოვლის მშენებლობის ფონზე), გაყვითლებული.

არსაკიძე: ხელოვნება გუ-

ლის სისხლს მოითხოვს საფასოდ, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომბის, არათერი გამოგივა ხელიდან“.

ამ ნაწყვეტს კომენტარი არ მინდა გავუკეთო, მაგრამ შესაბამის ადგილს კი მოვიტან რომანიდან და მკითხველისათვის ისე-დაც ნათელი განდება ფილმის სისუსტე პირველწყაროსთან შედარებით:

„საჩიხეში შესულიყო თავად შორენა, როცა ირეში შეკრთა უცხო პირის მიახლებისას.

ველის ყაფაჩოსავით შეუწიოთლდა ღაწვები ქალს. თვალებიდან იელვა ზღვისფერმა სილურჯემ.

გახარებულმა მიაძახა:

„უტა!“

ეს არ იყო ბავშვობაში შერქმეული უბრალო სახელი, არამედ გაცილებით უფრო ტკბილი, ვიდრე მოგონება სიყრმისა...

ამ სიტყვაში პილავ განეცხადა მას ის ბედნიერი წუთები, როცა პირველად შეხვდნენ ისინი ურთიერთს ფხოვში, როცა არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, თუ რა იყო მათ შორის ქალი და ვაჟი.

ახლა?

ახლა უკვე დობილის ხმა როდი იყო ეს, არამედ ძახილი ქალისა.

არსაკიძე მიეჭრა, მაგრამ კვლა-

ვინდებურად გადახვევა ვეღარ შეპბედა, ორივე ხელი დაუკოცნა სახეალეწილმა.

შორენა გაოცდა ანაზღად, მაგრამ არა უთხრა რა, მარჯვენა ლოკაზე აკოცა ვაჟს.

მყისვე შეამჩნია ყვავილის მიერ ოდნავ დაკენკილი სახე. ეკოთხება შემკრთალი:

„რა მოგივიდა, უტა?“

არსაკიძეს არც კი ასხოვდა, ნაყვავილევი რომ აჩნდა სახეზე, იფიქრა: ძველებურად რომ არ მოვეწვიე, ეუცხოვაო ქალს, ალბათ.

„რაო, რას იკითხავ, შორენა?“

„რა მოგივიდა სახეზე, უტა?“

„ყვავილი მოვიხალე მცხოვა-ში.“

„ვინ გივლიდა, ბედშავო?“

„ვომურში ვეგდე უბატრონოდ, გარეუბანში, მონაზონი მივლიდა სამადლოდ ერთი“. *

არსაკიძის თვალი შორენას ანაგობას მისწვდა.

ალმასის ქუდი ექურა ერისთავის ქალს, კვერნის ქათიბი ზედ ეცვა, მარგალიტის საყბეურებით და ხობბისყელისფერი საწმერთული, ოქროსმკედით ტოტებმოქარებული.

წინა ღამის სიზმარი მოაგონდა ანაზღად, ყაფაჩოებისა და თავე-

ლების თაყვანისცემა. თავთუხის-ფერი თმები ჰქონდა შორენას, თვალებში უელავდა ლაზისტანის ზღვისა სილურჯე.

გაოცდა არსაკიძე: ჩა მალე მიხდაო ზმანება“.

აქ, რომ იტყვიან, კომენტარი მართლაც ზედმეტია, იმდენად ხატოვნად, ფერთა საოცარი სიუხვითა და ღრმა ემოციური დატვირთვით ხატავს მწერლის მაღლიანი ხელი მთელ ამ სურათს.

შორენა ერთ-ერთი უბრწყინვალესი სახეა ჩეენს ლიტერატურაში. შორენა მარტო „არამიწიერი მშვენიერებით როდი პრწყინვაზდა“, იგი შესანიშნავი მოჯირითე, პატრიოტი და, მე ვიტყოდი, დიპლომატიც არის. სამწუხაროდ, ეკრანზე ვერ ვიხილეთ ასეთი შორენა სცენარის სქემატურობისა თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო; ვერ ამაღლდა იგი გამსახურდიას ყინცვისის მჭმუნვარე ანგელოზამდე თუ ამორძალივით მოჯირითე რაინდმდე.

განსაკუთრებით ბეკრი დააკლო ფილმს ფარსმანისა და არსაკიძის სახეთა გადარიბებაში. სცენარის სეული ფარსმანი და არსაკიძე ისე გაძარცული არიან მწერლის შემჭიდილი ღირსებებისგან, კაცმა რომ თქვას, აღარც აქვს აზრი მათ შორის რაიმე კონფლიქტის ჩვენებას, იმის მინიშნებას, თუ

რატომ „დასწელნენ არსაკიძეს და რატომ ესროლეს იგი ფარსმანს როგორც ხელგატი მწიფე ნაყოფს“. ამიტომაც ისინი მხოლოდ მახვილსიტყვაობასა და ფილოსოფიურ კამათში ეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს. „არაბულ ალქიმიაში ფრიად განსწავლული, უებრო ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქმი“ ფარსმანი მხოლოდ ფანასკერტელის უასაკო ქალის გამხრწნელად და შეფის ჯაბაზად არის გამოყვანილი. ხუროთმოძვარი არსაკიძე კი, ერთგვარ, მჭმუნვარე სახის რაინდად, რომელიც ხანდახან ტაძრის მშენებლობაზეც შეივლის და ერთიორჯერ შორენასთან ცხენს გააჯირითებს. სწორედ ეს, მე ვიტყოდი, უარს აკიდეობა აფილმის მთავარი ნაკლი, რადგან, ვიმეორებ, სწორედ არსაკიძე უნდა ყოფილიყო მთავარი გმირი. ფილმის რთულ სიუჟეტურ ხლართებში სადღაც მიიჩქმალა თემა, რომელიც მაგისტრალურ ას ად უნდა ქცეულიყო; დაიკარგა გმირი, რომლის გამოც დაიწერა რომენი და დაიდგა ფილმი, მით უმეტეს მაშინ, როცა კ. გამსახურდია თავისი რომანის შესავალშივე გვაფრთხილებს, რომ მწერალი თუ შემოქმედი საერთოდ „მიჩქმალული გმირობის ქომაგიაო“...

აი, ეს „გამოქომაგება“ ვერ ვი-
 გრძენით ფილმში იმ უბრალო მი-
 ზეზის გამო, რომ თვით გამოსაქო-
 მაგებელი კაცი არ ჩანს, მისი საქ-
 მე და მისი პიროვნება. არ ჩანს
 არსაკიძე, ის ბრწყინვალე ხუ-
 როთმოძვარი, ვინც მართლაც
 დიდი ხელოვნების იგავმიუწვდე-
 დენელი ქმნილება“ — სვეტიცხო-
 ველი დაგვიტოვა, რომელიც აგერ
 მეათე საუკუნეა, ატკბობს კულა
 მნახველის სულ და გონებას...

დრამატურგიული უფერულო-
 ბის თვალსაზრისით, იგივე ითქ-
 მის გირშელზეც, რომელიც მწე-
 რალს დევგაცად, შესანიშნავ რა-
 ინდად ჰყავს წარმოდგენილი, სცე-
 ნარში კი რაღაც აქვეყნიურ
 ღირსებებს მოკლებულ მამაკაცს
 უფრო ჰგავს და, რაც მთავარია,
 არ ჩანს, რომ იგი სწორედ გიორ-
 გის ჯიბრს გადაჰყვა. ამით გიორ-
 გის ხასიათსაც დაკლდა. აკი რო-
 მანში მეფე ეუბნება „ჩემთან
 ჯიბრი ვადაგიტანსო“ და უსრუ-
 ლებს კიდეც — გირშელს გიორ-
 გი მეფის ნაჩუქარი ხმლით კლავს
 გოდერძი ქალინდაური.

ბუნებრივია, ასეთ სქემატურ
 სცენარისეულ სახეებს, ვერავი-
 თარი ნიჭიერი მსახიობი ვერ გაა-
 ცოცხლებდა. ასეც მოხდა. მაყუ-
 რებელს არც არსაკიძე (თ. არჩ-
 ვაძე) აქმაყოფილებს და არც გი-
 რ. „კრიტიკა“ № 8.

რშელი (გ. გელოვანი). რაც შეე-
 ხება ფარსმანს (აკ. ვასაძე) ეს
 ჩვენი ძეველისძველი ნაცნობია,
 ტრადიციული «Театральнныи
 эподей» და არა მწერლის მიერ
 დახატული ბრძენი, შეკიანი და
 გაიძვერა ფარსმანი.

შედარებით პროფესიულ დონე-
 ზე ლეილა აბაშიძის ვარდისახა-
 რი, ლ. ასათიანის გურანდუქტი,
 დ. აბაშიძის მამამზე, კ. დაუშვი-
 ლის ბოდოკია და ზ. ქაფიანიძის
 პიპა.

ორიოდე სიტყვა რამდენიმე
 ცუდ კინოილუსტრაციაზე. იი,
 თუნდაც, მონის სიკვდილის სცენა.
 ასეთი რამ საერთოდ არ არის
 რომანში და სცენარში აღმართ
 მხოლოდ იმისათვის გამოიგონეს,
 რომ როგორმე ფილმში შემოეტა-
 ნათ ის სიტყვები, რომელთაც გან-
 მგეთუხუცესი არსაკიძეს ეუბნე-
 ბა, კერძოდ, მაძლარი მონები ვე-
 რაფერს ვერ შექმნიანო და ა. შ.

იგივე ითქმის იმ სცენაზე, რო-
 ცა არსაკიძეს მკლავს სჭრიან.
 სცენა მოკლებულია ყოველგვარ
 მხატვრულსა და ფსიქოლოგიურ
 სიმართლეს. ეგებ ვინმემ თქვას,
 ეს არც რომანშიაო, მაგრამ, სამა-
 გიერთოდ, კ. გამსახურდია ერთი
 მოქნეული ფრაზით ვაღმოსცემს
 მთელ ამ ტრაგედიას და აღწევს

კიდეც უდიდეს ლიტერატურულ გამომსახველობას. იგი წერს: „როცა დასიცხულ ავადმყოფს მარჯვენა წაცალა ტფილისელმა ჯალათმა, თვით საღირასაც ცრუმლი ჩამოსდიდა ერთადერთი თვალიდან“. ფილმში კი გაჰქრა ეს სიმძაფრე, მიუხედავად იმისა, რომ აյ პირდაპირ ვხედავთ სისხლსაც, ჯალათსაც და ნაჯახსაც.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რამდენადაც შთამბეჭდავია (ჩანაფიქრი მაშტაბურობით) ფილმის ექსპოზიცია, იმდენად უსუსურია ფინალი ყოველმხრივ. აქ იგულისხმება როგორც გიორგი მეფის ყვირილი, ისე მარიამ დედოფლის მოქმედი, არსაკიძისათვის მკლავის მოჭრა, შერე მისი იატაკზე ბობლვა და, რადა თქმა უნდა, ფილმის ბოლო კადრები, როცა მოთქმით მოდის არსაკიძის დედა.

ყველა ამ კომპონენტითურთ ფილმის ფინალი არ შეეფერება არც ამ ნაწარმოებს, არც თანამედროვე რეჟისორულ თუ მსახიობურ ხელოვნებას, არ შევეფერება ჩვენ — თანამედროვე მაყურებლებს.

შორს წაგვიყვანდა სხვა, ასეთი სახის ფაქტობრივი შენიშვნება. კათალიკოსი, მაგალითად, როგორც ცნობილია, ჯორზე უნდა იჯდეს, ეს ელემენტარული წესია

უმაღლესი სასულიერო პირისათვის; როცა მეფე ეუბნება ტყვე არსაკიძეს, გაბედავ მცხეთაში, არავეგისა და მტკვრის შესართავთან ააგო სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი, ამ დროს კადრში ისე დამშრალი მტკვარი ჩანს და გარემოც ისეთი უბადრუკია, რომ უბრალოდ უხერხული სანახავია; გვეცდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ესანრობრივი „შემსუბუქების“ ნიმუშებიც, როცა ავტორები ვერ უძლებენ სათავგადასავლო ფილმების იაფფასიან ცდუნებებს. ასეთია, მაგალითად, ცეკვა, დამაბლული ხმლები თუ კარების ჩარაზვა კოლონკელიძის საახლეში; პირველი სერიის ფინალი ანდა კოლონკელიძის დასჯის სცენა, როცა ჯალათი ვავარგარებული ფირფიტებით ხელში ვანზრას გაჭიინურებითა და ხაზგასმული შემზარაობით მიიწევს კოლონკელიძის თვალებისაკენ და ა. შ. სხვათა შორის, მოვაგონებთ მკითხველს, რომ რომანში ეს სულაც არაა ასე გაზვიადებულად მოცემული. კ. გამსახურდიამ განვებ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ჯალათისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. აი, ეს ნაწყვეტი. „ამოილო საღირამ ჯიბიდან ორი რევალი ფირფიტა რკინისა... ორ შამფურზე წამოაცვა ორივენი, გაჩაღებულ ცეცხლში

შესდო, მშვიდად, აუღელვებლად უცდიდა მათ გახურებას. მერმე გამოილო კვლავ და ასე მშვიდად (ხაზი ჩემია — გ. დ.) მიადო... კოლონკელიძეს” (გვ. 537).

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ეკრანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, მაშინ აღწევს მიზანს, ე. ი. მაშინ ხდება სრულფასოვანი კინემატოგრაფიული ნაწარმოები, როცა ეკრანიზაციის ავტორები შესძლებენ არა მარტო რომელიმე ცალკეული ნაწარმოების ეკრანზე გადატანას, არამედ შიაღწევენ იმას, რომ ეკრანზე გადაიტანონ საერთოდ შემოქმედის სული, მისი სამყარო. ამიტომაც, „რომეოსა და ჯულიეტას“ თუ „ანა კარენინას“ ეკრანიზაციისას ასე მოვითხოვთ ხოლმე თვით შექსპირისა და ტოლსტოის სამყაროს გასხნას, მოვითხოვთ, მაგრამ ხშირად ისევე ამაოდ დაგშთებით ხოლმე, როგორც ახალ ქართულ ფილმში სრულფასოვნად ვერ ვინდეთ გამსახურდის სამყარო.

ცნობილია ფრანგი კინორეჟისორის კლოდ ოტან-ლარს სიტყვები ეკრანიზაციასთან დაკავში-

რებით: ლიტერატურული ნაწარმოები ის პატიოსანი თვალია, რომელსაც კინო ახალი ბეჭდის ბუდეში ათავსებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ახალ ბეჭდებში ჩასმისას ამ პატიოსანმა თვალმა თავისი წინანდელი ფერი და ელვარება არ დაკარგოს.

კარგი ეკრანიზაცია, კარგი ფილმი ისაა, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენს წარმოდგენებს რომელიმე ლიტერატურულ გმირსა თუ საერთოდ ნაწარმოებზე. ხოლო როცა პირიქით ხდება, მაყურებელი არც მაშინ მიდის მთლად უნუგეშო და იმედგაცრუებული სახლში. მან იცის, რომ შინ ძევლი სიყვარული ელოდება, — ბავშვობიდან შესისხლხორცებული რომანი, რომელსაც ერთხელ კიდევ, ახლა უფრო გაცილებით მეტი მგზნებარებითა და მთავონებით ეწაფება, რადგან დაჩწმუნებულია, რომ იგი არ უდალატებს და თვალწინ გადაუშლის ნეტარ გრძნობათა სამყაროსა და ნათელ პოეტურ ხილვებს.

ჩვენი სოციუმი

ასე გეიძმა „ბათა ქექია“

კითხვა: გვითხარით, როგორია „ბათა ქექიას“ შექმნის ისტორია, რამ განაპირობა მისი დაწერის აუცილებლობა, რა წინაპერიოდები უძლოდა მას და საერთოდ, როგორ მიხვდით „ბათა ქექიამდე“?

პასუხი: ჩემი ბავშვობა დაქმთხვა რევოლუციამდელ პერიოდს. დედა გლეხის ქალი იყო; ძირითადად მშრომელ ხალხში ვიზრდებოდა. ჩემი თვალით ვხედავდი მშრომელთა მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადარეობას...

მე მომსწრე ვარ 1905 წლის რევოლუციისა. მაშინ ჩვენ თბილისში, ნაძალადევში ვცხოვრობდით. მიტინგები ჩვენი სახლის ფანჯრების წინ იმართებოდა.

ბავშვობის შთაბეჭდილებები ძლიერია და მეც ვერა და ვერ ვივიწყებდი იმას, რაც დანახული და გაგონილი მქონდა. 1927 წელს, როცა „ბათა ქექიას“ წერა დავიწყე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გამოქვეყნებული

„ბათა ქექია“ 30-იან წლებში დაწერა დემნა შენგელაშვილი. წიგნმა იმთავითვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. იგი, როგორც საბჭოთა ლიტერატურის პირველხარისხეობის რომანი, ბოლომდე ინარჩუნებს მომხიბელელობასა და აქტუალობას.

ამას წინათ დ. შენკელია ამ რომანის შექმნის თაობაზე ესაუბრა აღმანახ „პრიტკის“ თანამშრომელს ნინო ახალგაცს.

ვაქვეყნებთ საუბრის შინაარსს.



შექმნდა „გურამ ბარამანდია“ და „სანავარდო“, ბავშვობის შთაბეჭდი-ლებები მაინც ცოცხლობდნენ ჩემს გონიერაში. საჭირო იყო მათი მხატვა-რული ათვისება. ამასთანავე, მე ვთვლიდი, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში საჭირო იყო ქართველი გლეხის ცხოვრების ამსახველი ფართო პლანის ნაწარმლების შექმნა.

წერა დავიწყე ხუცესისა და ბათას ურთიერთობიდან. როგორც იცით, ახლა ეს გახლავთ რომანის მეორე ნაწილი — „ერი და ბერი“. როცა წერა დავამთავრე, მივხვდი, რომ სათქმელი კიდევ მქონდა და თანაც, იმით არ უნდა დამტკიცო, რითაც და-ვიწყე. მეორე დავწერე პირველი ნაწილი — „კერია“. წიგნი დავასრულე მესამე ნაწილით. ასე შეიქმნა „ბათა ქექია“. მე ვთვლი, რომ იგი საპოლე-მიკო რომანია.

კი თ ხ ვა: ბათა უკიდურესი ათე-ისტია. ხომ ვერ გვეტყოდით, საიდან მოდის თქვენი ლიტერატურული გმი-რის ასეთი ხასიათი, მისი სახის შექ-მნის დროს ვინ გყავდაა მშედველო-ბაში; როგორ შეისხა ხორცი ბათას საინტერესო პორტრეტმა?

პასუხი: ჩვენი ოჯახი ანტი-რელიგიური იყო. მამაჩემი არ სცნობდა არავითარ რელიგიას; მეც ასე მზრდიდა. ათეისტი იყო მიძაჩემიც; რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მღვდლებს დასცინდა. მღვდლები კი ხშირად იყენენ ჩვენს

ირგვლივ; სამი მღვდელი გვყავდა ნათესავი, რომელთა დანახვაც სიცილს გვგვრიდა და მოურიდებლად ვაქიაქე-ბდით დიდებიც და პატარებიც. ამას განსაკუთრებული გულმოდგინებით აკეთებდა ბიძაჩემი — კაცი ენამაჩ-ვილი და იუმორით საესე. რომანის ძალიან ბევრი ეპიზოდი სწორედ მისი ნაამბობია, მაგალითად — თხის მო-პარების ამბავი. ბიძა ძალიან დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემზე და ბათა ქექიას სახეც სწორედ მის „მი-ხედვით“ შევექმნი (ძალიან ბევრი გმირი კი, ბუნებრივად, ფანტაზიის ნაყოფია); მე მისგან „ამოვდიოდი“ და ჩემი განცდები და შთაბეჭდილე-ბები კი მასში გადამქონდა. ასე მივა-ღებინე მას მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში.

ბოლოს რა უნდა ექნა ბათას? — არაფერი! დაბერდა და ამან გვიშველა ნეცა და იმასაც; და რაც ბათა ქექი-ამ ვერ გააკეთა, ის შესანიშვნავად შეს-ძლო ლ. ქიაჩელის გვადი ბიგვამ.

კი თ ხ ვა: თქვენ ერთხელ წერ-დით, რომ ბათა სისხლი სისხლთა-განი და ხორცი ხორცთაგანია ფალს-ტაფისა და გარგანტუასი, სანჩო პან-სასი და ლემქე გუდსაკესა, კოლა ბრუნიონისა და ლუარსაბ თათქარი-ძისა; რომ მას ნათესაობა არ შეუწყ-ვეტია არც „კალმასობის“ მთავარ გმირთან და არც ნაცარქექიასთან.

გვითხარით, როგორ უყურებთ მის უშუალო წინაპარს — ქართულ ლიტერატურაში ასახულ გლეხს? წელან კი ბრძანეთ, რომ „ბათა ქექია“ საბოლოო რომანია; ხომ ვერ გვეტყოდით, რაში მდგომარეობს მისი პოლემიკურობა, სად „ზის“ (თუ შეიძლება ასე ითქვას) პოლემიკური მახვილი?

პასუხი: „ბათა ქექიას“ წერისას მე ვფიქრობდი, რომ ქართულ ლიტერატურაში არ იყო ასახული ქართველი გლეხის სახე ისე, როგორც მას შეეფერებოდა და ეკუთხნდა. მე ვეკამათები და არ ვეთანხმები ჩვენს მწერლებს — ეგნატე ნინოშვილსა და შიო არაგვისპირელს მათ მიერ დახატულ გლეხთა ტიპების გამო. ჩემი აზრით, მათ მთელი ყურადღება სოციალურ ამბებზე გადაიტანეს და მხედველობიდან გამორჩათ არანაკლებ მთავარი — ქართველი გლეხის პორტრეტი. მე უფრო საინტერესოდ და მომზიდვლებად მესახებოდა ქართველი გლეხი, რომელმაც იცის შრომის, სიყვარულის და დროსტარების ფასი; არის ხალისიანი და იუმორით სავსე. არ, ასეთი გმირის დახატვას შევეცადე.

მხიბლავს ილია ჭავჭავაძის პეტრე „სარჩიობელადან“. იგი გულუბრყვილო, კაცომოყვარე და სიკეთით სავსე,

დარბაისელი და ჭკვიანი გლეხია. ბათა კი ჭკუამახვილი და ენაკვიმატი, მოქნილი და მხიარული, ერთი შეხედვით, უდარდელი, ზოგჯერ თავხედი და უტიფარიც კია, მაგრამ მაინც საყვარელია. რა ვენა, მე ასე ვფიქრობ.

კი თხე: რა ცვლილებები განიცადა რომანმა მისი დაწერის შემდევ? ახლა როგორ უყურებთ იმას, რომ წიგნი მთლიანად პირველ პირში არის დაწერილი. ხომ არ აპირებთ რომელიმე ადგილის შეცვლას ან ამოღებას?

პასუხი: ერთხელ ლეო ქიაჩელმა მითხრა, არ მომწონს ბათა რომ ცოლისდას ეარშიყება. მაშინ მე დაცუთანხმე და შევპირდი, რომ იმ მონაკვეთს სხვანაირად გადავაკეთებდი, მაგრამ დღემდე არ გადამიკეთებია. რომელი ადგილებიც გაჭიანურებულად მეჩვენებოდა, უკვე შევამცირებოლო გამოცემისთვის. რაც შევხება პირველ პირში თხრობას, ამას დიდ ღირსებასთან ერთად დიდი ნაკლიც აქვს. იმის გამო, რომ თავიდან ბოლომდე ბათა ჰყვება ყველაფერს, მე მას ვერ ვაზემევინე ყველაფერი ის, რის თქმასაც ვაპირებდი და რაც მსურდა, რადგან ბათას არ უნდა სცოდნოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ის, რაც მე მეცოდინებოდა. ასე დამრჩა ბევრი რამ უთქმელი.

გასაუბრება მუთხველთან.

Աթաւ Շռնատ Ցարատո մօվօլը.
մօսո ազգորհուս—քեդացօցիս Քէրկո-
պէծոտ, „մֆյշրալո հռմ ցանց,
աշուշուղեցելո առ արուս ցանսացուռ-
րէծուղո նօքու. Տակորուս ոյս ՍՇազ-
լուղո, յարց մռյալայք, աղքուր-
չուղո մ՛շցնօցրո օգցեծոտ, Տակո-
րուս ացրեցը Մհրմա ճա ցանքնօშո,
ցանչացուա-ճանելուցնեծա. Եյցեն հաս
ունցու՞“

მწერალი და გილი შემოქმედება

ରାଶ ବିଶ୍ୱାସିତ ଦା ମିଳି, ରହି ଯୁଗ-
ଲା ଧିନୀ ମିଶ୍ରରାଲୀ ଗାନ୍ଧାତଲ୍ଲେବୁଲୀ
ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଁ ମାଗରାମ ଯୁଗେଲା କୈବି-
ନି, ଶ୍ରୀଗଣ୍ଡିଲୀ, ଶ୍ରୀସୀରାମ ମହା-
ଲାକ୍ଷ୍ମୀ, ମହାବୀନ୍ଦୀରି ଦିନେବିତ ଗାମି-
କ୍ଷେତ୍ରାଲୁଲୀ ଅଧିକାରୀଙ୍କ ମିଶ୍ରରାଲୀ ପାଇଁ
ଜୀବେଦା ଦେଖିଲୁଛାମ୍ଭେ, ଏକ ଶୈଳିମୂଳ୍ରେବା
କ୍ଷାପି ମିଶ୍ରରାଲୀ ଗାବଦ୍ଧେସ, ତୁ ମାର
ମୋତ୍ତରୁଲୀ ନିଷିଦ୍ଧ ଏକ ଗାହିନୀବା. „ତୁ
ମୋତ୍ତରୁଲୀ ନିଷିଦ୍ଧ ଏକେ, ମିଶ୍ରରାଲୀ
ମହାଲ୍ଲାଙ୍କ ମାଥିନ ଶେଷଲ୍ଲେବେ ମିଳ-
ିବେଳେ କ୍ଷେତ୍ରାହିତ ଫାରମାଟ୍ରେବେଦା,
ରହିଲୁଛୁ କ୍ଷେତ୍ରବିଦ୍ୟେଶ ତାଙ୍କଠିନ ସା-
ମୁଖୁନିର୍ମାଣ ଯୁଗେଲାଟିକ ମହିନାବେ ମିଳ-

ვლადიმერ ჯიბუტი

100

ფლმხედველობას და მას თავის ირგვაულ ავლადიდებად აქცევს“ (ი. ბექერი). ეს ერთი. მეორე, რა თქმა უნდა, მოქალაქეობრივ ღირსებას მოკლებული „უბირი და პატივმოყვარე კაცი არ შეიძლება დიდი ხელოვანი იყოს“ (ლ. ტოლსტიო). „ვინც კაცად არ ვარგა, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვა რადმე“. ე. ი. — არც მწერლად, არც მეცნიერად. მაგალითად „ვეფხისტყაოსანი“ არ შეეძლო დაწერა ცინიკოსს, ეგოისტს, ბუნებით უგულო და ტლანქ კაცს. მისი ავტორი უეჭველად იყო მხენე, ხალისიანი, ზეობრივად წმინდა, ფიზიკურად და სულიერად ჯანსალი და ფაქიზი, ჭეშმარიტად სრულქმნილი და დიდი ადამიანი. ამჩინად, შეუძლებელია იყო მწერალი, თუ მხატვრული ნიჭი არ გაგაჩნია, არა ხარსაზოგადოებრივი ადამიანი, ხალხის ინტერესების, ამაღლებული აზრების მატარებელი შემოქმედებასა და ცხოვრებაში. რაც შეეხება ვაწაფვა-დახელოვნებას, შრომა-ვარჯიშს, ეს აუცილებელია. უშრომლად ქვეყნად კარგი არა-ფერი შექმნილა, მით უმეტეს, ხელოვნების დიდი ქმნილება. ყოველი ქმნილება, ყოველი მხატვრული ნაწარმოები ტიტანური შრომის ნაყოფია.

ახლა, მაგალითად, ლექსს თითქმის ყველა წერს, მაგრამ განაყველა ლექსია, მით უფრო, მოყვარული პოეტებისა? ზოგჯერ იგი გარეგნულად გამართულია, თითქმის ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ არ გაღელვებს, გულს არ გითრთოლებს. იმიტომ, რომ ვანცლით, ტკივილით არ არის დაწერილი. ერთხელ გიორგი ლეონიძემ თქვა: „მხოლოდ მაშინ ვწერ ლექსს, როცა მთელ ჩემს ასებას ცეცხლი მოედება. მაშინ კაცმა რომ მნახოს, უეჭველად იფიქრებს, გიორგი ჭეუაზე გადასულაო. ნამდვილი ლექსი ის არის, ხელმოუწერლად რომ იცნობ და იტყვი, ეს ამა და ამ პოეტს ეკუთვნისო“.

აქვე გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „პოეზია უცნაური მაღლია და პოეტი ამ მაღლით მოსილი კაცია“.

შემდეგ წერილის ავტორი მეკითხება: — „მწერლის მოქალაქეობრივი სახე ჩანს თუ არა ნაწარმოებში?...

— რა თქმა უნდა, ყოველი მწერალი — ამბობს გოთე, — თავის ნაწარმოებებში გარკვეული ზომით საკუთარ თავს გამოსახუს, ხშირად თავისი ნების წინააღმდეგაც კი. ოთარაანთ ქვრივი ი. ჭავჭავაძის კეთილი ბუნებისა და ძლიერი ხსისოის

ანარეკლია; „გამზრდელში“ ნათლად ჩანს აკაკის ზნეობრივი სამყარო.

ვინც ჩვენი დროის გამოჩენილ მწერალს ნოდარ ღუმბაძეს პირადად იცნობს, მან შესანიშნავად იცის, რომ იუმორი მისი ხასიათის მუდმივი თვისებაა. ბუნების მიერ მინიჭებული ეს მაღლი ბელეტრისტის ნაწარმოებების შინაგანი სიცოცხლის ღრმა და ძლიერი ნაკადია, რომლის გამოყოფა მათი საერთო შინაარსიდან ყოვლად შეუძლებელია. რადგან სიტყვა 6. ღუმბაძის რომანებზე ჩამოყარდა, იმასაც ვიტყვით, რომ ცხოვრებიდან ლიტერატურაში მოსულმა მისმა გმირებმა, თუმცა ოსტატის ბრძმედი გამოიარეს, ბოლომდე შეინარჩუნეს ბუნებით მინიჭებული ხასიათი. მათი მოქმედება, მოძრაობა, ჟესტი, მანერა, ხმა უშუალოა, უშუალობა კი ხელოვნების აუცილებელი პირობაა. არც მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეების“ პერსონაჟებია ფერუმარულით გათხუანული. ბებერი მეზურნეები – კეშმარიტი ხალხური სახეებია. მათს ურთიერთ სიყვარულში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში ნათ-

ლად ჩანს უბრალო ხალხის უმაღლესი სულიერი ბუნება, სინდისის სიწმინდე, ალალი და მართალი გული. „ბებერ მეზურნეებში“, რომელშიც მარჯვედ არის გახსნილი ხასიათები, ნაჩვენებია მათი ცხოვრების ნიუანსები, დამახასიათებელი ყოფითი სურათები, გმირთა ფსიქოლოგია.

— ხშირად მსმენია ლ. მრელაშვილის „ყაბახის“ ქება. დავინტერესდი და წავიკითხე. მართლაც, რომ კარგი ნაწარმოებია... — ნათქვამია წერილში.

— კეშმარიტი მწერალი არ არის ის, ვინც სინამდვილეს ნატურალისტურად აღწერს და პასიური კვრეტით კმაყოფილდება. ნამდვილი შემოქმედი აქტაურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დაუცხრობლად იღვწის მისი გაუკეთესებისათვის. სწორედ ასეთი მწერალია ლადო მრელაშვილი. ამას მოწმობს მისი ფართო პლანის რომანი, რომელშიც გამოკვეთილია სახეები და ხასიათები. მასში მხილებულია ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები ეს მხელება აგრეთვე არის პრძოლა მშვინერებისათვის.

მნიშვნელოვანი უძრავი წიგნების სიმარტი

1958 წლის 4 ნოემბრის
დღე ჩემს ხსოვნაში სხვანაი-
რი, განსაკუთრებული, სხივ-
ნათელი შუალითაა გაცის-
პროცენტული. ჯერ ისევ თბი-
ლა და ფანჯრის ჩარჩოების კვა-
ლიტული პროექციებით დაჭრი-
ლი მზე დამაბრმავებელ ნატეხე-
ბად ბზინავს კიშინიოვის საუნი-
ვერსიტეტო კლუბის იატაკზე. მე,

სიტყვა მასშტალებელზე

ახალბედა ფიზმატელი პირველ-
კურსელი უადგილოდ დავრჩი ხა-
ლხით გაჭედილ დარბაზში. ალუ-
ბლისფერ, დამტვერილ ხავერდის
ფარდას ამოფარებული კარებთან
ვდგევარ და სცენას თვალს ვერ
ვაშორებ. ეს-ეს არის დამთავრ-
და მოლდავეთის მწერალთა ყრი-
ლობა. ყრილობის რამდენიმე დე-
ლეგატი და მოსკოველი სტუმარი
მობრძანდნენ, რომ სტუდენტების
წინაშე სიტყვით გამოსულიყვნენ.
წვერმოშვებული, მკერდზე გმი-

△ △

ფელიქს ჩუევი

▽ ▽

რის ოქროს ვარსკვლავდაბნეული ვერშიგორას გარდა აღარ მახსოვს კიდევ ვინ იჯდა პრეზიდიუმში, იმიტომ, რომ მე მხოლოდ ერთ ადამიანს ვუშენებდი. ჩემი კერძი, ჩემი პოეტური ღმერთი იაროსლავ სმელიაკოვი იყო. იმ დღეს აქეთ, რაც მისი „მკაცრი სიყვარული“ წავიკითხე, თითქმის ყველა მისი გამოქვეყნებული ლექსი დავიზებირე და ხშირად ვიმეორებდი ხოლმე.

Так мне кажется —
Сердце тише,
Придавив
Неокрепший лес
Над высокой
Немецкой крышей
Подымается
Самолет.
Восемь парней,
Глазам не веря,
Зубы скав,
Говорят:
— Пока!
Некрасивый мужчина
Геринг
Грустно смотрит
На облака.

მოსკოვში გიორგი დიმიტროვის შეხვედრისადმი მიძღვნილი 1934 წელს დაწერილი ეს ლექსი 58-შიც ისევე აოცებდა მკითხველს, როგორც ახლა.

და აი ის ცოცხალია, მას ვხედავ ახლა; მას, და არა მარტო სტრიქონებს. მესმის მისი მკაცრი, მოგუდული ხმა; ხმაში თითქოს ფარული, ჯერ მთელი სიმბ-

ლაგრით ჩაურთველი ძრავა აქვს ჩამაღული. ჩვიდმეტი წლის ვარ და პირველად ვხედავ ნამდვილ, თვალსაჩინო, ცოცხალ პოეტს, და მერე ვის — უსაყვარლეს სმელიაკოვ! ჩემი პოეტური ჭაშნიკი დროდადრო უკვე იბეჭდება ხოლმე ადგილობრივ ახალგაზრდულ და საუნივერსიტეტო მრავალტირაჟიან გაზეთებში. პოდა, ვდგავარ კარებთან, მზადა ვარ კისრისტებით დავეშვა კიბეზე, გასახდელში, რადგანაც შეხვედრა მთავრდება; წუთიც და ნამდვილად წავიდოდი, რომ უეცრად სმამაღლა დასასხლეს ჩემი გვარი. „ადი, ადი სცენაზე, შენ გეძახიან“ — ახმაურდნენ ბიჭები. ფეხები მომეკვეთა. მაინც მივედი პრეზიდიუმის მაგიდასთან. მოღიმარე სმელიაკოვი ხელს მიწვდის, ცალ ხელში ჩემი ლექსების კრებული დავუნახე, ერთ ლექსს თითო დაადო და მითხრა — ეს წაუკითხე დარბაზსო. დაბნეული კითხულობ. შუამდე რომ მივაღ, სმელიაკოვი დგება და მაწყვეტინებს, „დალაპვროს ეშმაკმა, მეც აგრე დავწერდი“!

ახლა კი ვხედავ, რომ სუსტი იყო ის ლექსები. სმელიაკოვს ცალკეული სტრიქონები თუ მოეწონა. სცენის უკან გამიყვანა და

თავისი მოსკოვური მისამართი
მომცა.

თავგზადაკარგულმა მივირბინე
საერთო საცხოვრებელში, სა-
წოლზე გავიშოტე და თავქვეშე-
ლებამოდებული დიდხანს ვიწექი
— უზომო, დაუმსახურებელი ბე-
დნიერებით გაბრუებული. ვერ
მივწედარიყავ, რა უზარმაზარ
ტვირთად მაწვებოდა ეს ბედნიე-
რება ჯერ მოუღონიერებელ
მხრებზე.

მოსკოვში ერთი წლის მეტე
მოგხვდი და 1959 წლის სექტემბ-
რის ცივ ჟინჯლიის დღეს გადა-
ვაბიჯე სმელიაკოვის პარია კაბი-
ნეტის ზღურბლზე „დრუჟბა ნა-
როდოვის“ რედაქციაში. სწორედ
ამაზეა ლექსი:

Я приехал в Москву.
Он сидел в кабинете
в осеннем пальто.
Он стихи перелистывал,
как участковый,
И свирепо милен,
если нравилось что...

იაროსლავ ვასილის ძემ თითქ-
მის უსიტყვოდ ჩაიკითხა ჩემი
ფურცლები, ერთი მათგანი გადა-
აბრუნა, ზედ კვთილი სიტყვები
წააწერა და მივაშურე ნიკოლოზ
სტარშინოვს ჟურნალ „იუნისტ-
ში“, რომელშიც მალე დაიბეჭდა
სმელიაკოვის მიერ გზადალოცვი-
ლი ჩემი ლექსები. რამდენიმე
წლის შემდეგ სმელიაკოვიმა წი-

ნასიტყვაობა დამიწერა „მოლო-
დაია გვარდიაში“ გამოსაცემი
ჩემი რეკული ლირიკის წიგნისა-
თვის. მის წერილებს, როგორც
უძვირფასესს, ჩემთვის წმიდათა-
წმიდა რელიქვიებთან ერთად ვი-
ნახავ.

მასთან ხშირად როდი დავდო-
ოდი. უფრო ხშირად მღანძლავდა
ხოლმე, რაღა თქმა უნდა, დამსა-
ხურებულად, ვიდრე მაქებდა, მაგ-
რამ მასთან ყოველი შეხვედრა
მოვლენა, ზემით იყო ჩემთვის.
სმელიაკოვი ლექსებს მუდამ ძალ-
ზე მკაცრად სჯიდა — ისე აქებ-
და, თითქმ აძაგებდა და აძაგებ-
და, თითქმ აქებსო. იგი ჩემს
უმაღლეს შინაგან მსაჯულად იქ-
ცა, და როგორც ბევრ ახალგაზრ-
და პოეტს სჩვევია, ვუფროთხოდი
ხოლმე მის მსჯავრს, რამეთუ
მუდამ ვხვდებოდი სმელიაკოვის
ჭეშმარიტ მნიშვნელობის საბჭო-
თა პოეზიისათვის. ვთქიქობ, რომ
მისი, ვითარცა პოეტის შეფასე-
ბის ჟამი, დანამდვილებით ჯერ
არ დამდგარა, ეს ჯერ ისევ წინაა,
მომავალში.

უკანასკნელად მას ლიტერატორთა სახლში შევხვდი. სახე ავადმყოფობისაგან ძალზე მობერებოდა. „მალე ვაგანკოვნში წამიღებენო, — მითხრა, — და მაშინ წერილს დასწერ ჩემზე“. შეკვეურებდი მის დაღლილ, მშვე-

ნიერ, ნიჭით სავსე სახეს და არ ძალმედო რეალურად დაჯერება იმისა, რასაც იგი მეუბნებოდა, ისევე როგორც ოდესლაც, ბავშვობაში, ვერ წარმომედგინა, რომ მამა აღარ მეყოლებოდა. გულში იოტის ოდენი ეჭვიც არ გამივლია, რომ მალე, ძალზე მალე,

მგლოვიარე მოსკოველ პოეტთა რიგში მხრით შევუდგებოდი წითელ კუბოში ჩასვენებულ ჩემს მასწავლებელს და რომ ნამდვილად დამიღებოდა ეს ძნელი დღეც — დამეწერა უკანასკნელი სამადლობელი გამოჩენილი საბჭოთა პოეტისადმი.

გოსამვი.



ბიბლიოგრაფია. მათხევა. ნაცენზია.

ლიტერატურისცოდნეობის
ტერმინთა ღებასიცონის ქარ-
თულ ენაზე გამოცემის არც-
თუ დიდი, მაგრამ გარკვეული
ტრადიციები და გამოცდილება
გვქვე.

ჯერ კიდევ 1928 წელს გა-
მოვიდა „ლიტერატურისა და
ენათმეცნიერების ტერმინთლო-
გია“. ეს რუსულ-ქართული ტერ-

ლიტერატურის თაორიენტირებული მცირე ლექსიკონი

მინთლოგიის დადგენის პირველი
ცდა იყო.

1957 წელს გამოქვეყნდა ო. ჭილა-
ისა და ო. შუშანიას „ლიტერატუ-
რულ ტერმინთა ლექსიკონი“, ხო-
ლო 1966 წელს ავტორთა კოლექ-
ტივის ნაშრომი — „ლიტერატუ-
რისმცოდნეობის მოკლე ლექსი-
კონი“, განკუთვნილი საშუალო
სკოლის უფროსი კლასების
მოსწავლეთა და ლიტერატუ-
რის მოყვარულთათვის. 1971
წელს გამოდის ანდრო ჭი-
ლიას ვრცელი წიგნი — „ლიტე-
რატურისმცოდნეობის ძირითადი“.

△ △

ლიმიტრი ქუმსიშვილი

▽ ▽



ცნებები“, გამიზნული სტუდენ-
ტი-ფილოლოგებისა, მასწავლე-
ბელთა და ლიტერატურისტო-
ნების საკითხებით დაინტერესე-
ბულ მკითხველთა ფართო წრი-
სათვის.

თუ მხედველობაში მივიღებთ
იმ გარემოებას, რომ ამ სახის
ლექსიკონებით მაინც და მაინც
მდიდარი არ არის საბჭოთა ლექ-
სიკონგრაფია, ჩვენ, სხვებთან შე-
დარებით, უკეთესი მდგომარეო-
ბა გვაძეს. ასე მაგალითად,
რუსულ ენაზე გამოცემული იყო
ლექსიკონი — ლ. ი. ტიმო-
ფევის და ნ. ვენგროვისა —
«Краткий словарь литературов-
ведческих терминов». გან-
კუთვნილი საშუალო სკოლის მთ-
ხრავლეთათვის და ა. კვიატკოვს-
კის «Поэтический словарь»;
ახლახიან გამოვიდა სომხურად ედ.
ჯრბაშიანისა და გ. მახჩანიანის
„ლიტერატურისმცოდნების ლე-
ქსიკონი“... სულ ეს არის და ეს.

ამა თუ იმ ერის კულტურული
დონის ერთ-ერთი ძირითადი მა-
ნევრებელია ამ ერის ენაზე ენცი-
კლოპედიების, განმარტებითი,
ორთოგრაფიული, დარღვებრივი
და სხვა ლექსიკონების არსებობა.

ისაც ცნობილია, რომ კულტურის ეროვნული ხასიათი, ერის სულიერი ცხოვრება უმთავრესად

მხატვრულ ლიტერატურაში ვლი-
ნდება. მხატვრული ლიტერატუ-
რის არსებობა და განვითარება,
განსაკუთრებით, მისი ანალიზი
და სათანადო შეფასება, კი წარ-
მოუდგენელია ნათლად ჩამოყა-
ლიბებული ლიტერატურისმცოდ-
ნეობის ტერმინოლოგიისა და
ცნებების გარეშე. ამიტომ, ისეთი
ლექსიკონების გამოცემა, რომ-
ლებშიც შეცნიერულად ზუსტად
დადგენილი და განმარტებულია
ლიტერატურისმცოდნეობის ტერ-
მინოლოგია, უდავოდ, დიდი ერო-
ვნული და მისასალმებელი საქ-
მება.

დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა
ის დრო, როდესაც ცოდნის დარ-
ებს ზუსტ და არაზუსტ მეცნიე-
რებებად პყოფდნენ, ხოლო ლი-
ტერატურისმცოდნეობას არა-
ზუსტ მეცნიერებად აცხადებდ-
ნენ. განსაკუთრებით დღეს, მეც-
ნიერულ-ტექნიკური რევოლუცი-
ის ეპოქაში, როდესაც კიბერნე-
ტიკა, სტრუქტურალური ანალი-
ზი და საზოგადოებრივი მეცნიე-
რებები უჩვეულოდ ვთარები-
ან, ლიტერატურისმოცდნეობა
ზუსტ მეცნიერებად უნდა იქცეს.

ვანსაკუთრებით დიდი ამოცა-
ნები დაისახა ლიტერატურის ცო-
დნების წინაშე „ლიტერატუ-

რულ-მხატვრული კრიტიკის შე-
სახებ” ჩვენი პარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტის დადგენილე-
ბის შემდეგ.

ლიტერატურისმცოდნ ე ობის
ცნებები და ტერმინები იმ აუცი-
ლებელ საშუალებას წარმოადგე-
ნენ, ურომლისონდაც შეუძლებე-
ლია მხატვრული ნაწარმოების
შინაარსისა და ფორმის მეცნიე-
რული ანალიზი, მისი სწორად
შეფასება, მისი ადგილის განსა-
ზღვრა მხატვრული აზროვნების
განვითარების პროცესში, შეუძ-
ლებელია პროფესიული, კვალი-
ფიციური კრიტიკის არსებობა...
იმისთვის, რათა კრიტიკოსმა შეძ-
ლოს მწერლის მიერ მხატვრული
სახეებით ასახული სინამდვილის
ცნებების ენაზე გადატანა და მკი-
თველის „შეგზურობა“ ლიტერა-
ტურული ნაწარმოებების სწო-
რად გაგებაში, იგი დაუფლებული
უნდა იყოს ლიტერატურისმცოდ-
ნების ცნებებსა და ტერმინებს.

საყოველთაოდ ცნობილია ის
სამწუხარო ფაქტიც, რომ ზოგად-
საგანმანათლებლო სკოლებში სა-
თანადო დონეზე არ დგას ლიტე-
რატურის თეორიის საკითხების
სწავლება, რის შედეგად ნაკლები
ყურადღება ეთმობა მხატვრული
ნაწარმოების ფორმის ანალიზს.
სკოლებში მშობლიური ლიტერა-
ტურის სწავლების დონის ასა-

მაღლებლად ასევე აუცილებელია
ლიტერატურისმცოდნეობის ტე-
რმინთა კვალიფიციურად შედგე-
ნილი ლექსიკონი.

ლიტერატურისმცოდნეობის ტე-
რმინების ლექსიკონის გამოცემას
განსაკუთრებული მნიშვნელობა
ენიჭება დღესდღეობით, მაშინ,
როდესაც ქართულად არამც თუ
ლიტერატურული ენციკლოპედია,
არამედ მოკლე ენციკლოპედიური
ლექსიკონიც კი არ მოვამბოვება.
ასეთ ბირობებში ლიტერატურის-
მცოდნეობის ტერმინთა ლექსი-
კონს ფასდაუდებელი წვლილის
შეტანა შეუძლია ლიტერატურის
თეორიისა და ესთეტიკის ცნებე-
ბის ქართულ ენაზე დაზუსტებასა
და გამოკვეთაში.

ამიტომ ყოველგვარ წახალისე-
ბასა და მაღლობას იმსახურებს
1972 წელს გამომცემლობა „ნაკა-
დულის“ მიერ დასტამბული
„ლიტერატურის თეორიის
მცირე ლექსიკონი“ მ. დუდუხაგას საერთო რედაქციი-
თ. როგორც წიგნის ანტაცი-
იდან ვგებულობთ, „ეს ლექსიკო-
ნი გადამუშავებული და შეეს-
ბული გამოცემა „ლიტერატუ-
რისმცოდნეობის ტერმინთა მოკ-
ლე ლექსიკონისა“, რომელიც
1966 წელს გამოვიდა“.

ავტორთა ჯგუფს, ნ. ალანიას,

ბ. დობორჯგინიძის, მ. დუდუჩავას, ნ. ჭოლოვავას და პ. შარიას შემადგენლობით, უდავოდ, დიდი შრომა გაუწევია და დიდი სიძნე-ლებიც გადაუღიავს, რომლებიც ამ სახის ლექსიკონის შედგენასთანაა დაკავშირებული.

სარეცენზიო წიგნის მეცნიერულ და შემეცნებით ღირებულებას განსაკუთრებით ზრდის ცალკეული ტერმინების საილუსტრაციოდ გამოყენებული მასალის „ქართული“ ხსნიათი. თითქმის ყველა ტერმინი და ცნება განმარტებულია ქართული მწერლობიდან მოვანილი მავალითებით, რაც განმარტებულ ტერმინებს ქართველი მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომს და გასაგებსაც ხდის. მეორე მხრივ, ეს მასალა ნათელ წარმოდგენას იძლევა ქართული ლიტერატურის ეროვნულ სპეციფიკაზე.

1966 წელს გამოცემულ ლექსიკონთან შედარებით, ახალი ლექსიკონი მრავალი ისეთი ცნებისა და ტერმინის განმარტებას იძლევა, რომლებიც შედარებით გვიან იქნა შემოღებული ლიტერატურისმცოდნებაში. მაგალითად, ლექსიკონის ახალ გამოცემაში განმარტებულია ტერმინები: ანტი-თეატრი, ანტირომანი, ეგზისტენციალიზმი, იდიოსინკრა-

10. „ქრიტიკა“ № 8.

ზია, ინტუიტივიზმი და სხვა, რომლებიც არ იყო 1966 წლის გამცემაში.

ლიტერატურისმცოდნების ტერმინთა ლექსიკონის შედგენა და კავშირებულია მრავალ სიძნე-ლექსთან. პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტერმინების მეტი ნაწილი უცხოურად წარმოშობისაა (ბერძნული, ლათინური, ფრანგული და ა. შ.), რაც მოითხოვს დამატებით განმარტებას იმ ენზე, რომელზეც შედგენილია ლექსიკონი.

მეორე მხრივ, ლიტერატურისმცოდნების მრავალი ტერმინია სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ნათლად განსაზღვრული და სხვადასხვა გაგებითაც კი იხმარება. მითომ საჭირო ხდება ამა თუ იმ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობის გათვალისწინება და აღნიშვნა. ავტორთა კოლექტივმა, საერთოდ, დასძლია ეს სიძნელეები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ლიტერატურისათვის დამახსიათებელი ისეთი ცნებების განმარტებანი, როგორიცაა „არიფონი“, „გაბაასება“, „ჰშა“, „რუსთველური“, „ფისტიკაური“, „შავთველური“, „ჩატრუნქაული“, „ცისფერი ყანწები“, „ავადემიური ჯგუფი“ და სხვ.

საყოველთაოდ მიღებული უც-
 ხოური წარმოშობის ზოგიერთი
 ტერმინი ლექსიკონში შეცვლი-
 ლია შესატყვისი ქართული სი-
 ტყვებით. ასე მაგალითად, „კა-
 ფია“ — ექსპრომტის ნაცვლად;
 „სხარტულა“ — ეპიგრამის, შარ-
 ეის შესატყვისად; მუხლი, ტერ-
 ფი, ტაქტი და სხვა. მაგრამ, სამ-
 წევხაროდ, სრულიად არ არის
 ლექსიკონში ისეთი ტერმინების
 განმარტება, როგორიცაა „მატია-
 ნე“, „მატგილობა“, „ცხოვრების
 ენარი“, „მიმოსვლა“ და სხვა, ქა-
 რთული ლიტერატურისათვის
 სპეციფიკური ტერმინები.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა,
 რომელთა გათვალისწინებაც ჩვე-
 ნი აზრით, ამ წიგნის შემდგომ
 გამოცემებს გააუმჯობესებს.

1. დავიწყოთ წიგნის დასათაუ-
 რებიდან. სარეცენზიო გამოცემის
 სახელწოდება — „ლიტერატუ-
 რის თეორიის მცირე ლექსიკონი“
 არ შეესატყვისება მის შინაარსს.
 საქმე ის არის, რომ სარეცენზიო
 ნაშრომი მოიცავს არა მარტო
 ლიტერატურის თეორიის ტერმი-
 ნებისა და ცნებების განმარტებას,
 არამედ კრიტიკისა და ლიტერა-
 ტურის ისტორიისაც. გაუგებარია,
 რა მოსაზრებით შეცვალეს ავტო-
 რებმა ძველი გამოცემის დასაქ-
 ლება — „ლიტერატურის მცოდნე-
 ობის ტერმინთა მოკლე ლექსიკო-

ნი“ ახლით — „ლიტერატურის
 თეორიის მცირე ლექსიკონი“.

2. ავტორთა კოლექტივის მიერ
 შექმნილ ლექსიკონში, მართალია,
 მითითებულია ამა თუ იმ ტერმი-
 ნის ენობრივ წარმომავლობაზე
 და მოცემულია მათი ქართული
 ტრანსკრიფცია, მაგრამ, ჩვენი
 აზრით, ეს საკმარისი არ არის.
 უკეთესი იყო უცხოური წარმო-
 შობის ყველა ტერმინს თან ხლე-
 ბოდა შესაბამისი ტრანსკრიფცია
 ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ
 და რუსულ ენებზე მაინც. ეს მკი-
 თხველს საშუალებას მისცემდა
 უკეთ გაითვალისწინოს განმარტებული ტერმინის ეტიმოლოგია,
 თავდაპირველი მნიშვნელობა და
 წარმომავლობა. ამით აღნიშნული
 ლექსიკონის მეცნიერულ-შემეცნებითი ღირებულებაც უფრო გა-
 იზრდებოდა.

3. ლიტერატურის მცოდნეობის
 ტერმინთა ლექსიკონის შემდგენ-
 ლებს ზოგიერთი ცნება არასრულად,
 ძალზე მოკლედ ძველ გან-
 მარტებული, ზოგიერთი მათვანი
 კი მათი ყურადღების გარეშე და-
 რჩენილა. მაგალითად, საკმარისი
 სიზუსტით არაა განმარტებული
 ისეთი ტერმინები, როგორიცაა
 „ისტორიიში“ და „ანტიისტორი-
 ზმი“, „პრაგმატიზმი“...

მარქსისტულ-ლენინური ესთე-

ტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის — ისტორიზმის შესახებ ღეჭვიკონში მხოლოდ შემდეგს ვკითხულობთ: „ისტორიზმი — მხატვრულ ნაწარმოებებში გამოხატული კონკრეტული ისტორიული მოვლენების რეალური ნიშნებით ჩვენება, სწორი განსახოვნება.“

ამ ცნებას იყენებენ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა ცოდნისა და სწორი ასახვის აღსანიშნავადაც“.

აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ისტორიზმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის, და კერძოდ, მარქსისტული ლიტერატურისმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომ სინამდვილისა და ხელოვნების ნაწარმოების სწორი გავება და შეფასება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ისტორიზმის პოზიციებიდან. ასევე არადამაკმაყოფილებლადაა განმარტებული ტერმინი „პრაგმატიზმი“, ხოლო მისი უფრო რეაქციული სახეს სხვაობა „პრეზენტიზმი“, რომელიც გავრცელებულია ბურჟაზიულ ლიტერატურისმცოდნეობაში, სულაც არ არის ნახსენები.

4. ზოგიერთი ცნება ღეჭვიკონში სწორად არა განმარტებული, ზოგი კი დაზუსტებას მოითხოვს.

მკითხველს ვერ დააკმაყოფი-

ლებს ღეჭვიკონში მოცემული ისეთი ცნებების განსაზღვრებანი, როგორიცაა თემა და იდეა, სიუ-ჟეტი და ფაბულა, რომანტიზმი და რეალიზმი; და, თქვენ წარმოიდგინეთ, მხატვრული სახის (ინაგრა) განმარტებაც უზუსტობებს შეიცავს.

ცხადია, ამ შემთხვევაში, საყვადური მარტო ჩვენს ავტორებს არ ეთქმით. საქმე ისაა, რომ ამ ტერმინების შინაარსის გავებაში სხვადასხვაობა და არევ-დარევა შეინიშნება საერთოდ ლიტერატურისმცოდნეობაში. ამიტომ ამ მხრივ, ჩვენს ავტორთა კოლექტივს დიდ პრეტენზიებს ვერ წაუყენებთ, მაგრამ სასურველი იყო მას მეტი დამოუკიდებლობა, მეტი მეცნიერული შემართება ვამოებინა და ამ ტერმინების დაზუსტებისა და ნათელყოფის საქმეში თავისი წვლილიც შეეტანა.

მაგალითისათვის ავიდოთ „თემისა“ და „იდეის“ განსაზღვრებანი. ქართულ ღეჭვიკონში მოცემული „თემის“ განმარტება საკმაოდ ვრცელი და სიტყვამრავალია, მაგრამ თითქმის არაფრის-მთქმელი; და საბოლოო ჯამში, არც კი იძლევა „თემის“ ცნების განმარტებას. აქ ლაპარაკია იშაზე თუ როგორი თემები არსებობენ,

ჩა ურთიერთობაშია თემასთან შემცირებითი მეთოდი და იდეური პოზიცია და სხვ. საკუთრივ „თემის“, როგორც ცნების განსაზღვრება კი მოცემული არ არის. უფრო მეტიც, დაშვებულია შეცდომები: ავტორის აზრით, „თემა ზოგჯერ ემოციები იდეას, მაგ. ზოგ პატრიოტულ-ლიტერატულ ნაწარმოებში თემა და იდეა არსებითად ერთი და იგივეა“. ანდა: „თ ე მ ა (ბერძ. საფუძველი, მთავარი აზრი) — ზოგადი გამოხატულება (სახელწოდება) მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სინამდვილის ან სინამდვილით აღძრული გრძნობებისა, განწყობილებებისა, სულიერი მდგრადი არებისა“ (გვ. 51-52).

როგორც ვხედავთ, ამ განსაზღვრებაში თემისა და იდეის შინაარსი ერთმანეთშია აღრეული. სინამდვილეში კი საჭიროა ამ ორი ცნების ერთმანეთისგან გამოჯვნა და თითოეულისათვის „საკუთარის მიგება“, რაღაც „თემა“ და „იდეა“ ვანსხვავებული შინაარსის მატარებელი ცნებებია.

ასე მავალითად, ერთსა და იმავე თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში შეიძლება სხვადასხვა იდეა იყოს გატარებული, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ მწერლის მსოფლგავება, თუ რა პოზიციებიდან ასახავს და აშე-

ქებს იგი სინამდვილიდან აღებულ ცხოვრებისეულ მოვლენებს. მეორე მხრივ, სხვადასხვა თემაზე დაწერილი ნაწარმოებები, შესაძლებელია ერთი და იმავე, ანდა მსგავსი იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურებოდნენ.

თემა ყოველთვის ისტორიულად განსაზღვრული კონკრეტული სინამდვილის რაიმე მხარეა, აღამიანის ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებული ასახვის ობიექტია, ხოლო იდეა — მხატვრულ ნაწარმოებში გატარებული ძირითადი აზრია, რომელიც საბოლოო ანგარიშში მწერლის დამოკიდებულებას, მწერლის შეხედულებებს და შეფასებას წარმოადგენს. მწერლის იდეით არის მოტივირებული მხატვრული ნაწარმოების ყოველი შემადგენლი ნაწილი, კომპოზიცია, სიუჟეტი, სახეების სისტემა და სხვა.

ამიტომ თემისა და იდეის გაიგივება დაუშვებელია.

5. ჩვენ ვვეჩვენება, რომ ლექსიკონში შეტანილი ტერმინის „ეპნრის“ შინაარსის განმარტება დაზუსტებას მოითხოვს.

ცნობილია, რომ ლიტერატურისმცოდნებაში ტერმინი „ჟანრი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ასე, მავალითად, ლტიმიფევის და ნ. ვენგროვის ლიტერატურისმცოდნების ლექ-



შიკონში „უანრი“ გვართან არის გაიგივებული. იქვე ისიცაა ნათ-
ქვამი, რომ ზოგიერთი მკვლევარი
უანრს უწოდებს კოშელიას, რო-
მანს, მოთხრობას და სხვას.

ამიტომ, უკეთესი იქნებოდა,
ავტორთა კოლექტივს უარი ეთქ-
ვა ამ ტერმინზე, რომელიც არ
არის ზუსტი და სხვადასხვა მნი-
შვნელობით იხმარება. მით უმე-
ტეს, რომ ქართულად გვაქვს
შშვენიერი და გარკვეული ტერ-
მინები „გვარი“ და „სახეობა“.
სჯობია რუსული როდის შე-
სატყვისად ვიხმაროთ „გვარი“,
ხოლო ვИД-ისა — „სახეობა“.

და თუ მაინცდამაინც ვიხმართ
ტერმინ „ჟანრს“, მასში უნდა ვი-
გულისხმოთ რესული ვიდ ან-
და ქართული „გვარი“. ეს მით
უმეტეს უფრო მართებულია, რომ
ფრანგული genre — გვარს
ნიშნავს, სხვა არათერს.

6. ჩამდენიმე სიტყვა ცნებების „პომპოზიციის“, „სიუჟეტისა“ და „ფაბულის“ განმარტების გამო.

კომპოზიციის ცნება გაცილე-
ბით ფართოა, ვიდრე სიუჟეტისა.
ამიტომ არ იქნება სწორი ეპიკუ-
რი და დრამატული გვარის ნა-
წარმოებების კომპოზიციის ძი-
რითად საფუძვლად სიუჟეტის გა-
მოცხადება. ნაწარმოებების კომ-
პოზიცია ანუ არქიტექტონიკა
მოიცავს მხატვრული ნაწარმოე-

გის ყველა კომპონენტს.

ლიტერატურის მცოდნეობაში
ძალზე ხშირად აიგივებენ ფაბუ-
ლისა და სიუჟეტს, ზოგჯერ კი
ლიტერატურის თეორიისადმი მი-
ძღვნილ შრომებში ტერმინ „სიუ-
ჟეტით“ აღნიშნავენ მხოლოდ ძი-
რითად კონფლიქტს, ხოლო ამბავთა
იმ კონკრეტულ ჯაჭვს, რო-
მელშიც ხორციელდება ეს კონ-
ფლიქტი, უწოდებენ ფაბულის.

·ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ერთ-ერთ ჩვენს გამოქანილ ლიტერატურის თეო-რეტიკოსს ღ. ტიმოფეევს, რომე-ლიც არ თვლის მიზანშეწონილად ტერმინ „ფაბულის“ გამოყენებას ლიტერატურისმცოდნეობაში:

«Попытки разграничить сюжет и фабулу ведут лишь к усложнению терминологии, отдаляющему от реального анализа произведения, к отысканию в нем терминов ради них самих.

Понятие фабулы, следовательно не помогает нашему анализу, а лишь осложняет его».

ამიტომ ლ. ტიმოფევი უარს
ამბობს ტერმინ „ფაბულის“ შემ-
დგომ გამოყენებაზე ლიტერატუ-
რის ცოლნებაში. კარგი იქნება,
თუ ავტორთა კოლექტივი გაიზია-
რებს ლ. ტიმოფევის ამ საყუ-
რაო ობიექტის მოსაზრებას.

7. „ლიტერატურის თეორიის

მცირე ლექსიკონის“ ერთ-ერთ ხარვეზად ჩვენ ისიც მიგვაჩნია, რომ ზოგჯერ ესა თუ ის ცნება სათანადო ლიტერატურული მასალით ნაკლებადაა ილუსტრირებული. მაგალითად, გაოცებას იწვევს „დადებითი გმირის“ ცნების საილუსტრაციოდ მოყვანილი მასალა. აյ ჩამოთვლილია მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟები, რომლებიც არ შეიძლება მივიჩნიოთ დადებით გმირებად — ალექსანდრე რაინდიძე, თავადი მიშკინი, ალიოშა კარამაზოვი; მაგრამ აյ რატომღაც არ არიან დასახელებული საბჭოთა ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი დადებითი გმირები — ტარიელ გო-

ლუა, პავლე კორჩაგინი, ალექსი მერესივევი, ახალგაზრდა გვარდიოს გმირები და სხვ. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

როდესაც ზემოთ მოყვანილ შენიშვნებს ვაკეთებდით და ყურადღებას ვამახვილებდით „ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონის“ ზოგიერთ ნაკლოვან მხარეზე, ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვამოძრავებდა: დაგხმარებოდით ავტორთა კოლექტივს ლექსიკონის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფაში. ჩვენი შენიშვნები არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის პრაქტიკულ და მეცნიერულ ღირებულებას.



ასეისთის წიგნი



ელიშერ გიორგაძე



ამჟამინდელ პრიტიკაში მომძლავრდა მურალი მანერით, უთვალავი მიცნერული ტერმინოლოგით დატვირთული შერილები, რომლებიც დოგმატურობის დამტკიცულ და არიან



აღბეჭდილნი. ამ ე. წ. „პვლევითი“ წერილების გვერდით არსებობს მეორე ნაკადიც — სახოტბო კრიტიკა. ეს კრიტიკული „ქმნილებანი“ იწვევენ თავქვეზე ხელნაკრავი ადამიანის ყვირლ-შეძახების ასოციაციას. არსებობს მესამე ნაკადიც — ნაკადი სულ არაფრის მთქმელი წერილებისა. გაურკვეველი რჩება თუ რატომ და რაზე წერს ავტორი. იშვიათია აზრითა და ემოციით ჯეროვნად შეზავებული კრიტიკოსისაოვის აუცილებელი მხატვრული მანერით შესრულებული სტატიები...

მაგრამ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურულ კრიტიკაში ბევრი თვალსაჩინო ნაშრომიც გამოჩნდა.

ჩვენში საკმოად ძლიერია ესე-ის ტრადიცია. ამ უანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო გ. ქიქოძე. კრისტიანტინე გამსახურდიას „ახალი ევროპა“ სანიმუშო ესეების კრებულია. ამ ხაზის გამგრძელებელი გახლავთ აკაკი გაწერელიაც თაგისი შესანიშნავი წერილებით დ. კლდიაშვილის, ლ. ტოლსტოის, ა. ბელის და სხვათა შესახებ. მნიშვნელობის თვალსაზრისით აქვე უნდა ვახსენო რ. თვარაძის „გალაკტიონი“, თუმცა იგი მოცულობის გამო ესეიდ ვერ ჩაითვლება.

ესეისტურ კრებულად მოგვაჩ-

ნია გამომცემლობა „მერანის“ მიერ 1974 წელს გამოცემული ოტია პაკისტანიას წიგნი „დრო და სახელები“.

როთ იქცევს იგი ჩვენს ყურადღებას?

პირველ ყოვლისა, გვინდა აღნიშნოთ, რომ ეს წიგნი გარიდებულია ისეთ ორნამენტულობას, როცა გარეგნული სამკაული ჩრდილავს და ძალას აცლის აზრს.

წიგნი იხსნება სიტყვით კონსტანტინე გამსახურდიასადმი. „დიდ მწერლებს არ ედავებიან, მათ მხოლოდ ემადლიერებიან“, — ამბობს ავტორი და შემდგომ განაგრძობს: „მან, ვინც მთელი არსებით შეითვისა ხალხის წარსული — ირწმუნა მისი ისტორიული მისია და მომავალი, ერთიანად გაუხსნა გულისკარი საქართველოს, შექმნა უცრცესი ეპიური ტილოები, სოციალური განახლების ამსახველნი. მან შემოსა როული და პლასტიკურად გამოკვეთილი ხასიათები ეროვნული თვითმყოფადობის სამოსელით და ზოგადი სოციალური აქტივობით აღჭურვა ისინი. მან დაუტოვა ქართულ ლიტერატურას ქართველი ხალხის სათნოებისა და პოეტური სულის სულქმნილი განსახიერება, მოხეტიალე და მი-

უსაფარ მარტოსულთა განწირულების თალხი ფერი, ახალი ცხოვრების შემოქმედი ინტელიგენტის პარმონიული სახე... მან თამაშად მოუხმო სიტყვას და ისე შეაბიჯა ქართული ენის წიაღში, ერთ-ერთმა პირველთაგანმა იზრუნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბეჭდა და მომავალზე... იგი იმათვანია, ვისაც ყოველთვის ერგება აღიარება თაობათაგან და წინააღმდეგობის გაშევის, უარყოფის ცდაც, რადგან კეშმარიტი მწერალი ემოციურ ზემოქმედებასთან ერთად, ემოციურად და ინტელექტუალურად მისდამი მორჩილებიდან თავის დახსნის სურვილსაც აღძრავს და ეს აღიარებაა, მხოლოდ აღიარება”.

რაც უნდა დიდ საფუძველს იძლეოდეს განსჯის საგანი, ძნელზე ძნელია არ გადაპარბო, ანდა სიყალბეში არ გადავარდე. ამ ტირადაში კი გამოხატულია მხოლოდ სიგულწრფელე და სიმართლე. ეს პატარა წერილი თავდება ფრანგი მოქანდაკის ბურდელის მიერ ნოტრ-დამის ტაძრისადმი აღვლენილი ქებათაქებით. ეს ანალოგია გამოიყენა კრიტიკოსმა და ქართული მწერლობის ერთ-ერთ ბურჯს მიუსადაგა.

მეტად შთამბეჭდავია სამი აწ გარდასული მწერლის — გ. შატ-

ბერაშვილის, გ. რჩეულიშვილის და ნ. ჩხეიძის სილუეტები. ავტორი გაერიდა არასაჭირო ინტიმურობას (მიუხედავად მათი ახლო ნაცნობობისა); გაერიდა აკადემიურ, დურბინიდის შორითი საშერით ჰერეტიკაც. მას ვოძებნილი აქვს თითოეულის დამახასიათებელი ძირითადი შტრიხი.

„პოეზია არ არის პროფესია, პოეზია ბეღისწერაა“. ამ ფორმულითა გაშუქებული ნ. ჩხეიძის რთული, მწერლობით სულდგმული ბუნება.

ძლიერ შთამბეჭდავადაა ერთი დეტალით დანახული გ. რჩეულიშვილის ბუნება: „მე დამამახსოვრდა ერთი საღამო. ქუჩა სუსტი ბგერებისა და ნაბიჯების რიტმით თრთოდა. ბინდში მასადაკარგული სახლები მოჩვენებას ჰგავდა და გაუფლებოდა არარეალობის მერყევი განცდა.

იგი იდგა ანთებული, დაძაბული, ლაპარაკობდა ჩურჩულით და რიცა უცებ ხმამაღლა გავიცინე, უსიამოც შეიცმუხნა; ჩემი სიცილი ფანჯრების მტვრევასავით არღვევდა საღამოს ფაქიზსა და ფრთხილ მელოდიას.

შემდეგ ნაჩქარევად გამომემუვიდობა, წავიდა და ოდნავ დაზიდული ფართო ბეჭებით გაფლითა საღამოს სიმყუდროვე.

წავიდა და დამიტოვა ფიქრი“.

საკუთარი თავისადმი დიდი მო-
 მთხოვნელობითაა დაწერილი წე-
 რილები: „თუთარჩელა“, „მეათე
 მოწმე“, „ერთი კარგი წელიწა-
 დი“, „ცოდვილი“, „კვლავ მანდი-
 კორელთა გამო“. ამ წერილებში
 ზოგადი ლიტერატურული მოსაზ-
 რებანი შეპირისპირებულია, ანდა
 თანდამთხვეულია კონკრეტულ
 შემთხვევებთან. აქ ჩანს მწერლის
 მიერ სიტყვის სიყვარულის დიდი
 დაფასება. აქაა ქება, აქაა კრიტი-
 კაც. ამ წერილებში ვერსალ ნა-
 ხავთ ნაწარმოებს ე. წ. „გარჩე-
 ვას“, მიუხედავად იმისა, რომ ავ-
 ტორი ანალიზისას დროდადრო
 ზედმიწევნით დეტალურობასაც
 არ ერიდება. ავტორისეული მსჯე-
 ლობა არც ლოგიკური კონსტრუ-
 ქციებით თავშექცევის ტკბობის
 განცდას იწვევს, არც იურიდიუ-
 ლი განაჩენისას. ესაა მწერალთან
 კრიტიკოსის თანადგომის შესა-
 ნიშნავი გამოხატულება.

ო. პაჭკორის წიგნში ჩანს პირ-
 უთველი, გულისხმიერი და ერთ-
 ნარად თბილი დამოკიდებულება
 კრიტიკოსისა მწერლისადმი.

ჭეშმარიტი ლიტერატურული
 იერი, რომელიც მთელ ამ კრე-
 ბულს მოსავს, ამართლებს გრძელ
 ეპიგრაფებსაც, რომელიც მშვე-
 ნივრადაა შერჩეული. (უნდა აღი-
 ნიშნოს, რომ ეს ეპიგრაფები

თვით ო. პაჭკორის მიერაა ნა-
 თარგმნი). ამ ერთი მათგანიც:

„მე, ერნან კორტესი და უფ-
 ლისწული? მადლობა მითხრან, სა-
 ლამანკის უნივერსიტეტში რომ
 შევიხედე და გამსწავლულის სა-
 ხელი რომ დავიგდე.“

არა, დიაცო, უფლისწულები
 ახალი მიწისკენ არ მიიღოვან. ძველი სამყაროს მფლობელები
 გახლავნ და იქ ერთობიან ომე-
 ბით, შეთქმულებით; აქვთ სერა-
 ლი და ჰყავთ ქალები.

შენ უნდა იცოდე, ახალი ნაპი-
 რი ჩვენთვის, უპოვართათვის აღ-
 მოაჩინეს. შემიძლია ნაძლევი და-
 გიდო, ესპანეთის მეცე არასოდეს
 მოაბრუნებს ბელტს ამ მიწაზე,
 მისთვის და მისი შთამომავლობი-
 სათვის რომ მოვიპოვეთ.

მხოლოდ ბატონ არარას შეუ-
 ლია დიდებული ესპანეთი ამ ვე-
 ლური მხარის ხიფათსა და სიღა-
 ტაკეზე გაცვალოს“.

წერილში, რომელსაც ეს ეპი-
 გრაფი აქვს წამძღვარებული
 („წარმოსახვის ძალა“) და რომე-
 ლიც ლათინური ამერიკის ხალხ-
 თა ლიტერატურას ეხება, ისტა-
 ტურადაა გადაჭაჭვული ფიქრები
 მშობლიური ლიტერატურის შე-
 სახებაც.

ალსანიშნავია აგრეთვე ქვე-

ტექსტობრივი დატვირთულობაც, რომელიც იგრძნობა წიგნის წაკითხვისას.

გვაქვს თუ არა სასაყვედურო ავტორთან?

გვაქვს!

ალაგ-ალაგ იგი ზედმეტად დაკუშმულად გადმოსცემს აზრს, ცდილობს ერთ წინადადებასა ანდა ერთ აბზაცში ჩატიოს ვრცელი მოსაზრება, ეს კი ლაკონიურობის ნაცვლად ნაჩქარეობის განცდას იწვევს. კრიტიკოსი ხშირად მიმართავს აგრეთვე მისი მანერისათვის უცხო ტერმინებს. მაგალითად: „ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ინტინკური სხვაობა მითოლოგიურ პლასტებსა და ყოფით პლასტებს შორის. ექსპოზიციის რამდენიმე ამაღლვებელი ტონი მითის მეტაფორული თვისების უკუთხენაა“. „მითი თავისი არსებით იღენტურია პოეტური შემოქმედებისა“. „რა თქმა უნდა, გარკვეულმა ეგზალტაციამ თავისი პოეტური გამოხატულება ექსპოზიციაში პოვა“.

ანდა ავილოთ მეორე მაგალითი. „...უბრალოდ ჩნდება საბაბი, რომ ეს თავშეკავებული კაცი საბოლოოდ გახდეს „თავისიანი“ იმ ტრაგიკულით და არაჩვეულებრივით (ჭავჭავების ახსნით, რაც პიეტაა).

ეს „რაც პიეტაა“ აქ მეტნაკლებად პრეტენციოზულ უღერადო-

ბას იძენს (მიუხედავად ავტორი-სეული განზრახვისა).

როცა იგი ზოგიერთ ნაწარმოებს მეტისმეტად მაღალი ლიტერატურული დონიდან სჭის და საზღვრავს (სავარაუდოა, სუთივე ლიტერატურის „შექმნის მიზნით), „დრო და სახელების“ ავტორს ხომ არ მიუღებოდა მის მიერვე ეპიგრაფად მოტანილი სიტყვები ჰერმან ჰესესი:

„...და ზერელედ მოაზროვნე ადამიანებს ეგონთ, თითქოს არასებული უფრო უპასუხისმგებლოდ და იოლად გადმოსაცემია სიტყვებით, ვიდრე არსებული... არაფერი ისე არ გაურბის სიტყვიერ სამოსს და ამავე დროს ისე ჯიუტად არ მოითხოვს აღამიანთა სამსჯავროზე გატანას, როგორც ის, რის არსებობის დამტკიცებაც ძნელია, თითქმის შეუძლებელიც“.

ო. პაჭეკორია ხშირად გამოოქვამს ზედმეტად „ვუალირებულ“ აზრებს. მაგალითად, იგი ამბობს: „ცოდვილის“ შესახებ: „მხოლიდ უარყოფა არ კმარა ახლის დაფუძნებისათვის. სტილისა და ენის პრობლემა ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის სამსახურში იყო ჩამდგარი და მისი ფუნქცია ორნამენტული მეტყველებისათუ „სილამაზის“ არეს შორს სცდებოდა. და აქ სიფრთხილუ გვმართებს. — ფუფუნების საგ-

ნებს სტილის ჭეშმარიტი ღირებულებანი არ უნდა გადავაყოლოთ“.

ამ მოსაზრებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტი „სიშიშვლე“ სჭირდება.

დაბოლოს, გვინდა ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ წერილი სტენდალზე („სტენდალი“) ეს წერილი უდავოდ ჩადგება ქართული კრიტიკის უკეთესი ნიმუშების რიგში. მოვიყვანთ ერთ ადგილს. „იგი უცხოა თავისიანებს შორის და უცხოა ადამიანთა შორისაც, რადგან მისი მარტოობა მხოლოდ სხვა სოციალურ ფენაში შეჭრილი ადამიანის მარტოობა როდია. იგი საკუთარი პიროვნებით იგარსება და ამ განსაზღვრულ სფეროში თავისებურად სრულყოფილიყაა და სულიერად საოცრად ღარებიც. მან ჭეშმარიტების ძიების ტკივილიც იცის და აღარც გაოცება ან აღტაცება ძალუდს. მისი ცოდნა უაღრესად განსაზღვრულია და განუსაზღვრელიც, რაღაც ამ ცოდნის დასაბამი და დასასრული მისივე პიროვნებას არ სცილდება. მას არ ეშინა სიკვდილისა, მასაც საკუთარ თავში ათავსებს და არ აღიქვამს როგორც რაღაცასთან (თუნდაც ბიოლოგიურ არსებობასთან) კავშირს, იგი თანდათანობით უარყოფს ყოველგვარ სულიერ მოთხოვნილებას (კარიერისტულ-

საც კი) და თავისთვის მხოლოდ ფიზიკურ შეგრძნებებს იტოვებს, მი შეგრძნებებს, სხვა რომ ვერ გაიზიარებს და ვერც მიხვდება, რადგან ეს მხოლოდ საკუთარი ტკივილია, საკუთარი არსებობის ფიზიკური შეგრძნება, რომელიც დამთავრდება მაშინ, როცა დამთავრდება სიცოცხლე და არ გადაეცემა არავის; მას არა აქვს გაგრძელება და არც მემკვიდრეობა, ეს მხოლოდ მისი, პირადად მისი მარტოობაა. ხოლო სიტყვები — „მე ამ ქვეყნად მარტოს არ მიცხოვრია“ — უფრო სურვილია, ვიღრე ფაქტი.

„პატარა აბატი“ მიღის ამქვეყნიდან დამცხრალი და დამშვიდებული, მან ვერაფერი მოიპოვა, გარდა წარმავლობისა და ამაოებისა, ვერაფერს მიაღწია, გარდა მოულოდნელად და გვიან ნაგრძნობი სიყვარულისა. ერთადერთი, რაც შემორჩა, ულრუბლო დილა, გამამხნევებელი სიგრილის ფიზიკური შეგრძნება და პოზაა; მაიც პოზა — მან ამაყად განვლო გზა ეშაფოტისკენ, თითქოს ყრუ იმედი ასულლდებულებდა — ამ გზით წავიდნენ უკვდავებისაქენ დანტონი, სენ-ჟუსტი, რობესპიერი“.

ესაა ნიმუში შზატვრული ნაწარ-

მოების პერსონაჟის შინაგანი ბუნების გახსნისა.

მთელ წიგნს ერთი დაღებითი თვისებაც აქვს. მისი წაკითხვა შე-

იძლება ისეც, რომ არ იცნობდებისარსს განხილული ნაწარმოებებისა.



„ნუთი, რომელიც ლირს მოგონებად“

თანგიზ ჩატუშაძის პოეზიას დაუვიწყარი წუთი ასაზრდოებს, „წუთი, რომელიც ღირს მოგონებად“. იგი უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორია. ამ წიგნებიდან წრფელი სიყვარულით შეძრული, საოცრად გულკეთილი, დაფიქრებული პოეტი შემოგვყურებს.

გარად სუჯევდეს მომხიბლაობა. თ. კაკუშაძე თავის ღეჭსებში არა იმდენად მეოცნებე პოეტია, რამდენად ჯერ უხილვ საოცრებათა პირველმხილველი. ერთია პოეტური ხილვა, მაგრამ სხვაა ემოციურ განცდათა ის სამყარო, რომლის ხილვა მხოლოდ გაოცების ნიჭის შეუძლია. თ. კაკუშაძის პოეზიას სწორედ ეს გაოცების



რამაზ პატრიკე



მადლი ასაზრდოებს. ამიტომ გა-
საგებია პოეტის სურვილი:

ო, უღრუბლო ზეცას ლავეარდო
და უშორესი წლების ჩრდილებო,
განციფრებათა ძალავ დიალო,
მსუბს ჩემთან ხშირად მოსვლა ინებო.

წარსულში უკვე განცდილის
აღქმა და ჭვრეტა, მისი უკვდავ-
ყოფა მხოლოდ გაოცების მადლ
შეუძლია:

ნათლით აცხებულ სიერცის წინაშე
დაცემულია ხის ჩრდილი მინცრად,
როდის დავბრუნდე წლების წიაში,
გაოცებულმა გაცქირ მინდა.

ამ ემოციურ გრძნობას ჩვენ
პოეტის გაოცების ძალით განვიც-
დით.

ძველი შეუცნობელი სიყვარუ-
ლის მოგონებაც კი გაოცების და-
უვიწყარი ძალით არის უკვდავ-
ყოფილი:

თვალებში გენთო ფიჩის კოცონი
და ვემტვრეოდა სუსტი როგორი.
იმდრონდელი გაოცებისგან
ახლაც კანკალებს ქუთუთოები.

პოეზია „საოცრებათა“ ხილ-
ვაა, ხოლო საოცრებათა მომხიბ-
ლობა პოეზიის მარადიულობით
არის ობეჭდილი, „რომ იმ უამ-
რავ საოცრებათგან მარად სუფევ-
დეს მომხიბლაობა“.

მადლობა წუთებს. გაოცება
თუ აღტაცება დაუვიწყარ წუთ
ჰბადებს. არის წუთის სინტერე-

სო გააზრება თ. კაკუშაძის წოე-
ზიაში. პოეტი მოგონებათა წუ-
თებს უკვდავებას ანიჭებს. პოე-
ტის წუთი განცდის სიმძლავრითა
და ემოციური სისავსით არის უკ-
ვდავყოფილი. წუთი აღარ არის
დროის განზომილება. ძვირფას
წამს. ერთ წამს მარადიული სი-
ცოცხლე ენიჭება, რადგან დაუ-
ვიწყარი პოეტური განცდითაა
უკვდავყოფილი.

იმ დღით აივსო მოგონებები,
იმ ერთი დღით და იმ ერთი წამით.

უკვდავყოფილი წუთის მოგონე-
ბა წარსულსა და შორეულში გან-
ცდილის გაცოცხლება. თ. კაკუ-
შაძემ თავისი ლექსების მეორე
წიგნს ამიტომ წარუმბრვარა სა-
თაურად: „წუთი, რომელიც ღირს
მოგონებად“.

წუთი შორეული წარსულიდან
უხილავი გზებით შემოდის პოე-
ტის არსებაში. წუთებს — დამარ-
ცვლილ წვეთებს პოეტის სული-
ერ სამყაროში მოუპოვებიათ უკ-
ვდავი არსებობა. მათ დავიწყება
აღარ უწერით.

მოგონებათა ინტიმითაა გამთ-
ბარი თ. კაკუშაძის პოეზია. მო-
გონებათა სამყარო სამშობლო
ქვეყნის ღრმად განცდილი სიყვა-
რულია. როცა ამ პოეტურ სამყა-
როს კარი ეღება, იქ დაუვიწყარ

დღეების სილამაზე და ძველი სა-
ნთლების ჩაუქრობელი შუქი ცია-
ლებს.

მშობლიური შუადლეები. არის
შუადლისეული სიჩუმის, გარინ-
დების ჟამი. შუადლის „მხეში
თვლემენ ყანები“, ან ირინდება
„ყანა სიმირნისის“; ბუნების წიაღში
„შუადლე იწვის“; „დაჭიმულია
შუადლის სიმი“; და ისმის „გაგუ-
დული შუადლის ხმები“.

შუადლისეული ინტიმი, შუად-
ლის სიმშვიდე სიმყუდროები მძა-
ფრი ემოციური სისავსით არის
განცდილი ლექსში „სიმშვიდის
წუთი“:

შეღვა შუადლე, სიმძიმეს იტანს,
ნიავს მოელის, ხელისკვრელს ეძებს...
გადაიხრება მზე წერტილიდან,
ზრდას დაიწყებენ ჩრდილები ქვებზე,
შენ გამაფენ ბროლივით კისერს,
სულს ამოითქვამს ბუჩქი პატარა,
შუადლეებით სიცოცხლეს ვიგებდ,
იმ წარსულმა რომ გამომატანა.

პოეტს მოგონებების სიმძიმით
დააქვს მშობლიური შუადლეების
სითბო და ხსოვნა:

ამ მშობლიური შუადლეების
არ მტოვებს სითბო სივრცის
იმპიმით.

„ცონბისმოყვარე ქალი მილი-
მის“. შუადლის მგზავრგამოლეულ
და უკაცრიელ გზაზე პოეტი მა-
ინც არ არის მოკლებული მშობ-
ლიურ სითბოს. სადღლც ჩრდილებ-

ში მიმალული მზერა ინთება:

ცონბისმოყვარე ქალი მიღმის
ღრუბლებში გამონახედ მზესავით.

არის ამ ღიმილში რაღაც მოუ-
ლოდნელიც, უეცარიც, და მშობ-
ლიურიც. ეს ღიმილი ღრუბლებში
წუთიერ გამონახედ მზესავით ინ-
თება. თვით ღიმილი წუთიერია
და ეს წუთი ამ ღიმილითაა უკვ-
დავყოფილი. ეს ღიმილი დრო-
დადრო თითქოს კვლავ კიაფობს,
როგორც მზით ანთებული მშობ-
ლიური მწვანე კორდები. ადამია-
ნურ კეთილშობილებასა და პოე-
ტურს სულს ეს უნაზესი, წრფე-
ლი ღიმილი ასულდგმულებს და
შვებას ანიჭებს.

ქარიანი დღე იმერეთში. ზენა
ქარს დასავლეთში სიცხე და გვა-
ლვა მოაქვს. პოეტის მიერ უკვ-
დავყოფილ წუთებში გაცოცხ-
ლებულია დასავლური ეს კოლო-
რიტიც. იმერეთში ზენა ქარი
ქრის:

ისე გუგუნებს ჩუმი და ყრუ ხმით
ცაცხვი — ქარების მთავარსარდალი.

იქ ღობე-ყორის გაყოლებით,
ერთ მხარეს ბროწეულებია; ღო-
ბის გადაღმა, გზის პირზე, ანწლი
ხარობს. პოეტი ქარიანი ამინდის
კოლორიტულ მხატვრულ ტილოს
ჰქმნის:

ზენა ქარს მკვანე ბროწეულები
ჩამოუყრია ანწლიან გზაზე.

మంగంచేదాతా ద్వేలి సింహ రథం-
ధారణ స్వేచ్ఛ మంత్రిభాద్యా దా కొ-
గ్రథి తాగిని అధికించుటాలి ధల్చు-
చెదిన సింపుచుల్లస „ఎచ్చిర్చెదా“.

తాన డాష్పుచెదిన క్వేలి లఱ్చెది
దా మంత సింపుచుల్లస ఉన్డా వెంటినీ,
సింపుచ్చె, మంబిల్లం అంగిన క్యేదిత
దా బుశ్రిని క్వామ్లిత తంంగచ్చెంటి.

జారి కాదగా. జ్యేరాది మేసర్చెది
దా బిల్లిక్కెంట్చె గాపుచెతిల్లి కుంచి-
ంచుచెది కుంచుచ్చ తాగిని మించించు-
చుంచిత నిచ్చిక్కెదిని:

పోగాన ఏంచుచెది శ్చేమ్పుచెంటినీ,
సామి అంస చ్చినం కాదగ్గెన జార్చెది,
గ్యేది మిందిన జ్యేరాద మేసర్చెది
దా గాపుచెతిల్లి కుంచుచుంచెది.

జారిశి మంబిల్లం అంచెది క్రి
కుంచుచ్చ సింపుచ్చె అందిన అంపుచు-
చుంచిని:

ఒందించెదిన తింటుస బాగ్గెతా
ఉంచుచ్చ నీచేత త్యాతిలి ఉతిల్లుచెది
దా రంగంరు సింపుచ్చి శాస్త్రార్థుచ్చెతా,
ఉగానిన అంచెది అశించుంచెది.

ఘుణిసిప్రమిసగాన గామతిదారి చ్చు-
చెది. చ్చారుసుల్లిస ఉప్పించుంచెది
లూంచుచెది శ్చుఫ్-హిరించిల్లి అపుంచి-
చెది; మంగంచేదాతా లూంచుచెది శ్చుఫ్-
హిరించుచెది తిరితిని; మంత్రించుచెది
ప్రేరి దా నీర్చువా హిరించిల్లి దా సి-
నాతల్లు, సుల్లి మంగంచేదాతా కొం-
చెదిత నృశ్చెది:

అమ క్వేల లూంచుచెది అంచుసు శ్చేమ్పుచ్చి,
ఉప్పుచ్చ అశించెది నీచే లాంగారి,
తింటుస జార్చెదిత ఘుమ్మితాపుంచిల్లి
ఉప్పుచ్చ శాపుంచెది నూంచాండారి.

మీ అప్రించుచెది హిరించుచెది శ్చోంశా
గాంతించించిన శ్చేలాంచెదించె.

కొంచెతి అంసుదా సుల్లింగ్ సింపు-
చెది మించుంచెది, అంగించి గాంచు-
చెది కొంచెతి సాతించువారి:

మంగంచేది అంచుచెది అంచుచెది ప్రేలి
శ్చేంచుచెది శామి వించుచెంచుచెది,
గాంచుంచుచెది మించె నొంచె క్యేలి,
శ్చేనొ నూంచుచెది చ్చుల్లుచెది అంగించె.

ఖస్ముంశి అప్పాంచుచెదుల మంగంచే-
చెది, సుల్లింగ్ సించితం దా శ్చుఫ్తా
సించితిల్లి శ్చేమ్పుచ్చెత, రాచ అందిం-
చుర సుల్లింగ్ లింగుచెదాతా సాంచి-
చుంచిదారి:

మి ఉప్పించుంచెది లూంచుచెది జుంచుచెది,
టించు జార్చుచెది గాంచుచెది శాపుంచుస,
ప్రోంచు, రాసాచ గ్యేది ఉప్పు శ్చుచె అంచె,
శ్చేమ్పుచుంచుస దా శ్చేమ్పుచెంచుచెది
సించుచెది శ్చుఫ్తా సించితిల్లి,
ప్రుంచుచెంచుచెది గామతిదార చ్చుతెదిత,
కొ అం క్యేరించెది, కేమి శాంచుచునొ,
మంచుంచు గాముంచుం గ్యేది క్యేరుంచుచెది.

,,కేమి శాంచి అం అంస చ్చు-
చెది!“ చ్చారుసుల్లిస మంగంచేది దా-
చుంచుచెది చ్చుతెది, సాంచుచెదాతా
మంచుంచుంచుచెది దాసాసారుంలి అం
అంచె. ప్రుంచుచెత్తు కొంచెతి సుల్లింగ్
శామ్యాంచుశి శ్చుచుంచుచెది అం. అం
అం మంగంచేదాతా ఏకొ శమించుశి:


రంగంరు శామతారుశి నొప్పాంచుచుంచుచెది,
శ్చుంశి గించుంచెది నీచే లాంగారి,
తింటుస జార్చెదిత ఘుమ్మితాపుంచిల్లి
ఉప్పుచ్చ శాపుంచెది నూంచాండారి.

სიცოცხლე წლებითა და დროის
მდინარებით არ განიზომება. სი-
ცოცხლე არც სივრცეა და არც სი-
ვრცის მიმართულება აღმოსაფლე-
თითა თუ დასავლეთით:

ბუნება! ხმებო! ჩემო სიცოცხლევ,
ჩემი საზომი არ არის წლები,
აღმოსავლეთით იხრება ჩრდილი,
დასავლეთიკენ მიღიან წყლები.

შენ ცალკე სიცოცხლით კი არ
ცოცხლობ, სხვათა არსობა შენი
სიცოცხლის ნაწილია, მათი სიცო-
ცხლით სულდგმულობა, შენშია
იყი, ვინც შენა გვავს.

სიცოცხლე წუთისა და წუთიე-
რის განცდა, საოცრებათა მომ-
ხიბლაობის ხილვაა, მაშინ ჩვენში
უკვლავების ნიშანი ნეტარებს:



განცვიფრებათა ღმერთი ნეტარებს,
რა არის ჩვენში, სიკვდილს რომ
უფრთხის,
და ასე ძლიერ ვგავართ ერთმანეთს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ
თენებიზ კაჯუშაძის ზოგიერთ
ლექსს ალაგ-ალაგ აკლია საბო-
ლოო დამუშავება და დახვეწა,
ზოგჯერ განწყობილების არა შე-
საფერის, არა იდენტურსა და ეს-
თეტიკურად გაუმართლებელ გა-
მოთქმებს გხვდებით. ზოგი ლექ-
სი არ გამოქვეყნებულიყო, აჯობე-
ბებდა.

პოეტს წინ კიდევ დადი გზა
აქვს და, ფიქრობ, ის რაც დასაძ-
ლევია, შეიძლება დაიძლიოს.

მოხარუჭია „ვეზენსტყაოსნის“ მთარგმენტი



წოდარ ალანია



ჩართველი და რუსი ხალხე-
ბის კულტურულ-ლიტერატუ-
რული გეგმებროგისა და
ურთიერთობის ფისცები
საუკუნეთა სიღრმიდან მოდიოს. ეს
ურთიერთ პატივისცემა და სიყვა-

რული გასულ საუკუნეში კიდევ მეტად გაფართოვდა და გაძლიერდა, მან საფუძველი დაუდო ჩვენს დროში დიდი რუსი და ქართველი ხალხების ერთ დიად საბჭოთა ოჯახად შედედაბებას.

XIX საუკუნის დიდი რუსი მწერლებისა და მთაზროვნების მსგავსად, გამოჩენილმა პოეტმა და მთარგმნებმა კონსტანტინე ბალმონტმა უნაზესი სიყვარულით შეიყვარა საქართველო, ქართული კულტურა და ქართველი ხალხი. ბალმონტი რამდენჯერმე ესტურა საქართველოს, იმოგზაურა მის ქალაქებში, გამართა ლიტერატურული საღამოები, მჭიდროდ დაუკავშირდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, მთელ რიგ პოეტურ ნაწარმოებებში გამოთქვა თავისი აღტაცება და სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი. მაგრამ ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბალმონტმა დიდი რუსი ხალხის ენაზე პირველმა განახორციელა ქართული ეროვნული გენის — შოთა რუსთაველის საიქადულო პოემის „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი.

სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ბალმონტმა აღმოაჩინა ის რიტმი და მეტრი, რომელსაც შემდეგ გვერდი ვერ აუარეს „ვეფხისტყაოსნის“ სხვა მთარგმნელებმა რუსულ და სხვა სლავურ ენებზე. ბალმონ-

ტმა პირველმა აღიარა „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უფრო მაღალი და სრულყოფილი სიყვარულის პოემად. მან შოთა რუსთაველი პომერის, დანტეს, სერვანტესისა და შემსპირის გვერდით დააყენა.

ქართველი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს დიდი რუსი პოეტის ამ კეთილშობილურ ღვაწლსა და ამაგს. ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული ლია ანდლულაძის მონოგრაფიული საშრომი „ბალმონტი და საქართველო“.

ამ მეტად საინტერესო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მთელი ის გამოქვეყნებული ოუგა-მოქეყენებელი მასალა, რომელიც შეიცავს საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს კ. ბალმონტზე, როგორც პოეტსა და მთარგმნელზე, მის საქართველოსთან, ქართულ კულტურასა და ქართველ ხალხთან კავშირზე. შრომის ავტორს შესაშური გულმოდგინება, სიყვარული და შრომისმოყვარეობა გამოუჩინა. მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ის უამრავი მასალა, რომელიც მიმონეულია რუსულ და ქართულ პრესაში; შეუსწავლია მოსკოვის, ლენინგრადის და რუსეთის სხვა ქალაქებისა თუ საქართველოს არქივებში დაცული მასალები, გამოუყენებია როგორც პოეტის ქალიშვილის ნინო

კონსტანტინეს ასულ ბალმონტ-ბრუნისა და პოეტის მეუღლის, ეკატერინე სერგეის ასულ ანდრეევას გამოუქვეყნებელი მოგონებები, ისე პოეტის თანამედროვეებისა და ახლო ნაცნობების მიერ მოწოდებული ცნობები. ამ მხრივ წიგნი უამრავ ისეთ მასალას შეიცავს, რომელთა დიდი ნაწილი საკმაოდ უცნობია არამარტო ქართველი, არამედ რუსი მკითხველისთვისაც.

საკვლევი მასალის სიყვარულმა განსაზღვრა ლ. ანდრულაძის მონოგრაფიის არა მხოლოდ შემცნებითი, არამედ მისი მხატვრული ღირსებაც. წიგნი შეუნელებელი ინტერესით იყითხება.

ლიტერატურის ისტორიაში კ. ბალმონტი ცნობილია, როგორც რუსული სიმბოლიზმის, რუსული მოდერნისტული მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ალექსანდრე ბლოკთან, ვალერი ბრიუსოვსა და ანდრეებისთან ერთად იგი ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამასთან, მის შემოქმედებაში თანდათან შენელდა თავდაპირევად არსებული სამოქალაქო მოტივები, სოციალური პათოსი; მისთვის დამახასიათებელი გახდა ინდივიდუალიზმის, „სპილოს ძვლის კოშკში“ გახიზვნის ის უკიდურესი ტენდენციები, რაც საერთოდ დამახასიათებელია ფრანგული და რუსული სიმბოლიზმისათვის და რამაც

საბოლოოდ ბალმონტს ადგილი დაუმკვიდრა, რუსული სამბოლისტური პოეზიის ბაირახტართა შორის.

სამართლიანადაა აღნიშნული. რომ უაღრესად თვალსაჩინოა ბალმონტის მიერ XX საუკუნის რუსულ მწერლობაში, რუსული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილი. კერძოდ, დიდ წარმატებას მიაღწია ბალმონტმა ლექსის მუსიკალური ორგანიზაციის, ბგერწერის სფეროში. მისი აღიტერაციები, შინაგანი რითმები, ლექსის სიმახვილე და გეთილხმოვნება პოეტის ჭეშმარიტ ვირტუოზობაზე მეტყველებს. ჩვენი საუკუნის რუსულ პოეზიაში კ. ბალმონტმა ყველაზე თანმიმდევრულად დაცვა და განახორციელა ვერლენის მოწოდება: „შუსიკა — უპირველეს ყოვლისა“.

მონოგრაფიის ავტორის მართებული განცხადებით, საქართველოსათვის კ. ბალმონტი, უწინარეს ყოვლისა, შოთა რუსთაველის „ვეჯხისტყაოსნის“ მთარგმნელია. მაგრამ ავტორის მიზანს არ შეადგენდა მკითხველისათვის იმ მასალის მიწოდება, რომელიც თარგმანის შექმნის ისტორიას შეეხებოდა მხოლოდ. მას არ უცდია ამ თარგმანის მეცნიერული განხილვა და მისი ავკარგის ჩვენება (თუმცა დრო და დრო ამას

კვერდი მაინც ვერ აუარა); მისი მი-
ზანი იყო უამრავ პირად მოგონებე-
ბზე. პოეტის ჩანაწერებზე, მის პი-
რად წერილებზე და სხვა მემუარულ
მასალებზე დაყრდნობით ეჩვენები-
ნა, როგორ დაიპყრო რუსთაველის
გენიალურმა ქმნილებამ პოეტის სუ-
ლი, როგორ „აიძულა“ მან პოეტი
ახლოს გაეცნო რუსთაველის შემქმ-
ნელი ქვეყანა და ხალხი, როგორ
დაუახლოვდა და შეიყვარა მზის მო-
მღერალმა პოეტმა ეს მზიური მხა-
რე, რომელმაც თავის მხრივ დიდად
კეთილისმყოფელი გავლენა იქნია
მასზე და ბევრი ბრწყინვალე ლექსი-
სა და სტრიქონის შთაგონების წყა-
რო გახდა.

ოლივერ უორდოპთან ბაღმონ-
ტის შეხვედრისა და აქ შემთხვევით
„ვეფხისტყაოსნის“ გაცნობის დღი-
დან ლია ანდრულაძე თავის წიგნში
უქედაფებ მიძყვება პოეტის გზას.
გვაცნობს მის თითოეულ, თუნდ, ერ-
თი შეხვედრო, უმნიშვნელო გამო-
ნათქვამსა და ჩანაფიქრს, რამაც პო-
ეტს საქართველო განუსაზღვრელად
შეაყარა.

ჯერ კიდევ საქართველოში ჩა-
შოსლამდე უთქვამს ბალმონტს:
„რჩავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც
ტი, სადაც ხალხი პირველყოფილ
მდგრმარეობაშია, და საქართველო-
ში, რომელიც ასე ახლო არის და
რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და
მიყეარს, ჯერ არ გყოფილგარა. მგებ

რაღაც ძალა განვებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვინიერი დასასრული ყოფილიყო... ვერ წარმოიდგნოთ, როგორი ნეტარებით ველი იმწუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“ (პ. იაშვილი).

ლ. ანდოულაძე დაწვრილებით
(ზოგჯერ ზედმეტად დაწვრილები-
თაც) აღწერს ბალმინტის სტუმრო-
ბას საქართველოში. აღადგენს პოე-
ტის ქართველ მეგობრებთან ყოფნის
ყოველ დღეს, მიმზიდველად მოგვით-
ხრობს მის შეხვედრებზე, ლიტერა-
ტურულ საღამოებზე, კერძო საუბ-
რებზე. აქვე ვეცნობით, თუ რა შთა-
ბეჭდილება მოუხდენია პოეტზე ჩვენს
ჩვეყყანას, ჩვენს ხალხს, როგორ მიე-
სალმა მას პირველი სიტყვით მხცო-
ვანი აკაკი წერეთელი, როგორ იქცა
ეს საღამოები მეგობრობისა და პოე-
ზიის ზეიმად...

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგი-
ლი ეთმობა კ. ბალმონტის მოგზაუ-
რობებს რუსეთის სხვადასხვა ქალა-
ქებში, იქ გამართულ სალიტერატუ-
რო საღამოებს, რომლებზედაც პოე-
ტი კითხულობდა ლექციებს საქარ-
თველოსა და რუსთაველზე და
მსწრენელებს აწონდა „ვიზისტყაოს-

ნის“ საკუთარი თარგმანის ცალკეულ ადგილებს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, საქართველოს, ქართული პოეზიისა და კერძოდ კი რუსთაველისა და მისი პოემის პოპულარიზაციის საქმეში ბალმონტმა მართლაც უდიდესი როლი შეასრულა და ფასდაუდებელი წელილი შეიტანა ქართველი და რუსი ხალხების კულტურულ ურთიერთობაში.

ნაშრომში ასევე დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ოქმატიკას პ. ბალმონტის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, საქართველომ, მისმა ხალხმა, მისმა მშენიერმა ბუნებამ არაერთგზის შთაგონა პოეტი. პ. ბალმონტმა შექმნა მთელი წყება ლექსებისა, რომლებშიაც მისთვის ჩეული სინატიფით უმდერა საქართველოს, რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს. ამასთან ერთად, პოეტი საქართველოში რამდენჯერმე სტუმრობისას, ამ თუ იმ მოვლენით, რაიმე ფაქტით თუ შეხვედრით აღტაცებული, თაგის აღფრთვანებას პოეტური ექსპრომტებით გამოხატავდა. მონოგრაფიის ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მათგანს, საჭირო ზომიერი კომენტარებით გვაცნობს მათ, გვაცნობს მათ ადრესატებს და იმ კონკრეტულ სიტუაციას, როცა ესა თუ ის სტროფები იქმნებოდა.

მონოგრაფიის ავტორი არც იმას ტოვებს უყურადღებოდ, რომ კონ-

სტანტინ ბალმონტი თავიდანვე შეიყვარა ქართველმა საზოგადოებრიო-ბამ, როგორც კი გაიგო, რომ იგი რუსთაველის პოემის სათარგმნელად ემზადებოდა. ქართველებმა სიყვარულს ორმაგი სიყვარული შეაგებეს, ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ რუს მეგობარს მის დიდ, კეთილშობილურ საქმეში, აძლევდნენ რჩევა-დარიგებებს, აწვდიდნენ საჭირო მასალას და ა. შ. წიგნში მოთხოვობილია კ. ბალმონტის პირად მეგობრულ და ლიტერატურულ ურთიერთობაზე იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან (ალექსანდრე და თამარ ყანჩელები, გ. დიასამიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვალაკტიონ ტაბიძე, გ. გაფრინდაშვილი დ სხვ.) ავტორი გვაცნობს, როგორ შუქებოდა მაშინდელ ქართულ პრესაში კ. ბალმონტის მუშაობა რუსთაველის პოემის თარგმნაზე, როგორ ადგენებდა თვალს ქართველი საზოგადოება მის ყოველ გამოსვლას და ლიტერატურულ-შემოქმედებითს მოღვაწეობას, მის ჯანმრთელობას და ა. შ. ქართველი პოეტები თარგმნიდნენ ბალმონტის ნაწარმოებებს და საკუთარ ლექსებსაც უძღვიდნენ მას.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს იმ გარემოებასაც, რომ მიუხედავად ქართველი ხალხის დიდი სიყვარულისა, პატივისცემისა და რუსთაველის პოემის თარგმნით გამოწ-

ვეული აღფრთოგანებისა, ქართველი საზოგადოება თვალს არ ხუჭავდა იმ ნაკლშე, რაც ბალმონტისეულ თარ-გმანს ახლდა. ყოველ საჭირო შემ-თხვევაში საჯაროდ, პირადადაც და პრესაშიც მიუთითებდნენ ამა თუ იმ უზუსტობაზე, ცალკეულ ადგილთა თარგმანში გაფერმკრთალებაზე, დე-დნიდან დაშორებაზე, იმაზე, რომ კ ბალმონტს „ვეფჩისტყაოსანი“ უპირველესად სამიჯნურო პოემად მიაჩნდა და ა. შ.

მონოგრაფიაში ლაპარაკია ბალ-მონტისეული თარგმანის გამოცემებ-ზე, პოეტის სიცოცხლის მოლო წლე-ბზე და სხვ. დასასრულს ავტორი გვაცნობს, თუ როგორი ზეიმით ჩა-ტარდა კ. ბალმონტის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი დღეები როგორც საბჭოთა კავშირში ისე საქართველოს ქალაქებში, კერძოდ თბილისა და ქუთაისში. მონოგრა-ფიას დამატებად ერთვის კ. ბალმო-ნტის 1915-1917 წლების პირადი წერილები სხვადასხვა პირებისადმი,

რომლებშიაც საუბარია საქართვე-ლოზე და რუსთაველის პოემაზე.

ლია ანდრულაძის მრავალმხრივ საინტერესო მონოგრაფიაში ზოგჯერ გვხვდება ცალკეული უზუსტობანი. შეიძლება ავტორს ვუსაყვედუროთ, რომ იგი ზოგჯერ ზედმეტად უმნიშ-ვნელო წვრილმანს მისდევს, ან ცალკეულ მოვლენასა თუ ფაქტს, მთელი სიღრმით არ ხსნის და მხო-ლოდ გაკვრით აღნიშნავს. მაგრამ ყველაფერი ეს ისე უმნიშვნელოა, რომ სრულიად იკარგება მთელი წიგნის წაკითხვისაგან მიღებულ შთაბეჭდილებაში. წიგნის უპირვე-ლესი და უმთავრესი ღირსება კი ისაა, რომ მასში თავიდან ბოლომდე ნაჩვენებია ის დიდი ურთიერთსიყვა-რული და მეგობრობა, რაც ოდიოგა-ნვე აკავშირებდა ქრთველი და რუსი ხალხების საუკეთესო წარმომადგენ-ლებს და რომლის ერთი ნათელი ფურცელიც ჩვენი საუკუნის პირველ ორ ათეულ წელში კონსტანტინე ბა-ლმონტის მოღვაწეობაც იყო.

ପ୍ରକାଶନ

არაგვეულებრივი სავისებები და-
ბადებიდანვე დაპყვა დიდიმ დელია-
ძეს. ჯერ იყო და ხუთ წლამდე არა
თუ სიტყვა, სმა არ ამოკლია. იცინოდა
უხმოდ, ტიროდა უხმოდ და ისე ხომ
იყო და იყო უხმოდ. ძნელი წარმო-
საღენი არაა, რა დღეში იქნებოდ-
ნენ დიდიმის გულმოკლული მშობ-
ლები.

၂၃၃၈၁၃၀၈၀ၬ ၈၇၅

(ଉତ୍ତରପାନ୍ଦିତ୍ୟ)

მაგრამ მოხდა სასწაული!

ზუსტად იმ ღლეს, როცა ხუთი
წლის შესრულდა, ბავშვმა დილით
ჩვეულებრივად კი გაიღვიძა, მაგრამ
მოიფშვნიტა ნამძინარევი თვალები
და პირდაპირ ლოგინში არაჩვეუ-
ლებრივად იჭიქა:

დოქტორი მე გავზღი ხუთი წლის!

კმარა, მეცო დუმილი!

მსურს ლექსებით მოვიკლა

ამდენი ხნის წყურვილი!

ვის შეუძლია იმის გადმოცემა, თუ
რა დაემართებოდა ამის გამგონე
დედ-მამას.

ზურაბ რაჭიანი

▽ ▽



მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ. პა-
რდაპირ რუსთაველის ენით აბულ-
ბელებული სუპერუნდერკინდის
დღეობა იმ საღამოს სრულიად გან-
საკუთრებულად აღნიშნეს. სახელ-
დობრ, ხუთი წლის ბიჭის დღეობას
იუბილე დაარქვეს და დიდი ამბით
იქნიფლის.

ამის შემდეგ დიდიმის ყოველი მომდევნო დღეობა, იუბილედ მონათლული, სულ უფრო და უფრო მაღალ დონეზე აღინიშნებოდა ხოლმე, მაგრამ ჯერ მაინც მხოლოდ შინ. დიდიმ დელიაძე კი რაც იზრდებოდა, მით მეტად აშკარად ვრძნობდა, რომ მშობლიური სახლის კედლები ვერა და ვერ იტევდნენ მის გაუგონარ იუბილების.

აქ ურიგო არ იქნება, თუ მკით-
ხველს შევასხენებთ, რომ დროთა ვი-
თარებაში დ. დელიაძემ არნახული
შემოქმედებითი წვა გააჩაღა, შაგ-
რამ ის საშინელი წყურვილი ვერავი-
თარი ლექსებით ვერ მოიკლა. ამი-
ტომ თავისი შემოქმედებითი ინტე-
რესების სფერო უსაზღვროდ განა-
ვრცო და ყველა უანრში წარუშლელი
კვალი გაავლო.

და აი, ოცდახუთი შულისა რომ შეს-
რულდა, განაცხადა, საჯარო იუბილე
უნდა გადამიხსდოთ!

პირველი საჯარო იუბილე ყოფილი სანკულტუროს თეატრში, დაბადების

მეოთხედი საუკუნისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცნებლისთვის უკვდავსაყოფად!

ამის შემდეგ, მართალია, ოთხი
წლის მანძილზე ყოველ წლისთვის
ისევ სახლში იხდიდა იუბილეს (რის
გამო ახლაც ნანობს!), მაგრამ მეტული
წელს კი უჭირებად—თეატრში! ის-
იც მართალია, ამ იუბილეების გამო
ერთხელ ერთმა უგუნურმა რაღაცის
თქმა დააპირა, მაგრამ ხალხმა, ვი-
საც ასე უყვარს დიდი დიდიმი, ის
უგუნური ისე გაჩიტება, რომ ვერავინ
გაიგო, მაინც რისი თქმა უნდოდა იმ
საწყალს.

რადგან დიდი დიდიმის საჯარო იუ-
ბილების შესახებ ყველაფერი და-
წერილებით ცნობილია, და ვინაიდან
არაოფიციალური იუბილების შესა-
ხებ უკვე შეძლებისდაგვარად მოგა-
სხუნეთ, მე მხოლოდ მოკლედ ჩამოვ-
თვლი, თუ სად გაიმართა ეს დაკანო-
ნებული იუბილები.

პირველზე უკვე მოგახსენეთ, მეორე იუბილე გაიმართა ფილარმონიის ძეგლზე.

მესამე იუბილე — ვ. აბაშიძის სა-
ხელობის მუსკომედიის თეატრში!

მეოთხე იუბილე — კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

მექუთე იუბილე — შ. რუსთაველის
სახელობის თეატრში!

მეტვე — ზ. ფალიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში!

შესვიდე იუბილე — შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრში.

ମେରଙ୍ଗେ କୁହିଲ୍ଲେ—ଘରିଥିଲେଦିନୀରୁ ଶା-
ଖାନାରୁ କାହାରେ ପାରିବାକୁ ଆପଣିର ଅଧିକାରି!

მეცნიერება იუბილე—უცხოეთან კულ-
ტურული ურთიერთობის საზოგადო-
ებაში.

ეს, დიადი თაროლების, ასე
ვთქვათ, მშრალი ჩამოოვლაა. მაგრამ
ამ გარეგნული სიმშრალის იქით რა-
მდენი არა სიმშრალე იმაღლება!

თავი რომ დაგანებოთ რადიოს, ტელეს, პრესას და მისთანებს, ჯერ ერთი, გარდა ჩამოთვლილი თეატრებისა, თითქმის პარალელურად, ყველა იუბილე გაიმართა დიდიმ დელიაძის თვალწარმტაც მშობლიურ რაიონში; ჯერ რაიონულ ცენტრში, შემდეგ მშობლიურ სოფელში, მერე მშობლიური სოფლის კიდევ უფრო მშობლიურ კუთხში და, სულ ბოლოს, მთლად მამა-პაპურ ძველ სახლში.

სხვათა შორის, ასე იყო მეოთხე
იუბილემდე. შემდეგ კი დიდიმბა ის
ძველი მამაპატური სახლი დაანგრია
და აღალი, მშრომელი ხალხის სი-
ყვარულის ძალით ახალი სასახლე
ერთი ხელის დაკვრით ააგო. ამის
გამო დიდიმი მორიცდებით ამბობდა,

მათნც სახლ-მუზეუმის გახსნა მოგი-
შევთო!

რაც მართალია, მართალია, სასახლე ნამდვილად სამუშაუმო გამოვიდა!

მექუთე იუბილედან მოყოლებული
კი საზომო სხდომები უმაღლესი
დონიდან იწყებოდა, პიტალო კლდის
ჩანჩქერიეთ სულ გრიალ-გრიალით
გადმოპქუხდა ყოველ მომდევნო
ეტაპზე და სრულიად განსაკუთრებუ-
ლი ეშვით მთავრდებოდა მამაპაპური
ნასახლარის ადგილას აგებულ სა-
სახლოშვერშო სასახლეშ!

სულ ბოლოს იმასღა დაგვაძენ, რომ
ეს ჩვენი დიდიმ დელიაძე თაგვი ჩინე-
ბულად გრძნობს, აღსავსეა ახალგა-
ზრდული შემართებით და უეჭველია,
რომ კიდევ არა ერთი და ორი სახე-
ლოვანი იუბილებით გაგდებარგობს!

ამასთან, დაბეჭითებით ძნელია
თქმა, მაგრამ, რა ვწნა, გული მი-
გრძნობს, რომ ეს მომავალი გარდა-
უგალი იუბილეები ფართოდ გასცდე-
ბა თვით ჩვენი პატარა პლანეტის
საზღვრებს და ღირსეულად აღინა-
შენდა მთვარეზე, აღბათ ვენერაზე
და კიდევ ბევრ სხვა ციურ მნათო-
ბზეც, რომელთა სახელები, ჩემდა სა-
მარცხინოდ, არც კი ვიცი.

და ამას რაღა დიდი მტკიცება
სჭირდება, რომ ეს უკვე უსასრულო-
ბაა ანუ დიდი დიდიმის საყარელი
სიტყვით რომ ვთქვათ — უკვდავება!

ර ග ඔ ග බ ත ත

— ඡෙංජලෝදා?

— මින්දරිජාන්දිග, මින්දරිජාන්දිග, —
ගාම්පූලි උම්පූලියා මින්දරිජාන්දිග
සේලනාජුරුද්ඩ් තාරුගුලි මුදලි.

— සොයුනු මුදල ගාම්පූලි ගා-
රුද්ඩ් උම්පූලි මින්දරිජාන්දිග එය,
රුම් රුදාජ්‍රිමරියා තාරුගුලි ගාම්පූ-
ලියා ඇරු වේරාවියා මොයේස්ත්‍රිම.

— රුපුද්‍රියා මින්දරිජාන්දිග, — ගා-
වාම්පූලි මේ දා කිදුව ගුරුති නාඩි-
යා ගාදාවදගි ආත්.

— රුපුද්‍රියා, අරා? සුතිලි, ගු-
තිලි, — උපරි තාගිත්තියි, වි-
දුරු තිහුතියි ගාම්පූලි රුදාජ්‍රිම-
රියා. මුරු යුවා පාලිරා, සාකිදාන
දිම්පූලි අඟුරිනා, නාඩුක්දි ගාම්පූ-
ලිමාරුතා දා සාතාගුර් තුවාලි මාතරා-
භිගිත ගාදාජ්‍රිරා.

— ටුම්දෙ ඊටුතියා ජුම්දෙ ටුම්
තුවාලියා නාඩුවාද ටුම් මින්දරිජාන්දි-
යි ගිතක්දියා නිජානි මියුරුද්ඩා.

— තුවා අංශ්‍රි උජ්‍යිසිස්ත්‍රිරාඩ්
අර ඩරිජාන්දියි?

— දියාත්.

— තු අ වුද්‍යෙදී, තුවා රහු-
ලි උජ්‍යිසිස්ත්‍රි පුරුදුල් „බිත්තියා
ඹාජාරි“ තුවා, අරා?

— පෙන් තුවා.

— දා මුරු තුවා තුවා දා-
ත්‍රිම් රුම්, සාකුතාරි තුවා,

△ △

ත්‍රාතා කාපිතා මුදලි

▽ ▽

უფრო მეტიც, საკუთარი ხელით მოიტანოთ რეცენზია საკუთარ წიგნზე?

— რა ვქნა, გზას ვეძებ, ბატონო, გზას!

— თვითგანდიდების ჭია ამაზე შეტად ვეღარც გააწელება! არა, მაინც, რომელ გზას ეძებთ?

— ჭეშმარიტი ლიტერატურისკენ მიმავალს, ბატონო!

— საოცარია პირდაპირ, არ გეყოთ, რომ თქვენი წიგნი ლიტერატურულ მოვლენად მიიჩნია თითქმის ყველა უურნაღმა და გაზეთმა, არ დარჩა კრიტიკოსი თქვენი ლექსების საკუთხეველზე თითო სანთელი მაინც რომ არ აქნთო და მაინც..

რედაქტორმა მდივანი გოგონა მოიხმო, რეცენზია გაუწოდა, სახე თითებში ნერგიულად ჩარგო და ხმამაღლა წაიკითხეო, — სთხოვა.

„ცოდვა გამსელილი სჯობს, — დაიწყო კითხვა მდივანმა, — „ჩიტის ფაფარი“ სულაც ორა ის ჩჩეული წიგნი, რომელიც ან წიგნის თაროს, ანდა თუნდაც მკითხველის სულსა და გულს შეემატება. ეს არც „ლექსი-მეწყერია“ და მით უფრო არც „ლექსი-ულკანი“.“

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ჩჩეულის სახელწოდება პრეტენზიულად უდერს, იგი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ჩიტსაც (ჩიტი სადაური ფაფაროსანია) და ლომ-

საც (ცნობილია, რომ ჩიტს ლომი ფაფარზე ლექსშიც არ დაისვამს). ამ უხერხულობას ვერც ხსნის და ვერც ამართლებს სტრიქონები:

„ჩიტი გაფრინდა, როგორც

ფაფარი

ფიქრებს კა... ფიქრებს მუზა
წველიდა,

ჰე, გაზაფხულო, თეთრი ქამარი
შემოვიხსნი ზამთრის წელიდან“.

ავტორს, ალბათ, აქეს რაღაც სათქმელი, ალბათ ზოგ ლექსში კიდევაც ამბობს ამ „რაღაცას“, მაგრამ თერმოატომურ საუკუნეში განა რაღაცით ან ვიღაცით გააგვირვებ მკითხველს?

უხერხემლოა ერთი შეხედვით ყალიბში ჩამოსხმული სტრიქონი: „შავებით შავებს დაუხვდა ძიძა“, ხოლო წრეგადასულად ფილოსოფიურია:

„ბუხრის ცეცხლი ათამაშებს
ოხშივარს და ბუღს,

წუხელ, ღამით, ორთავ თვალი
დაუთხრია ბუს“.

ეს შენიშვნები ჩრდილაქს (დიახაც, რომ ჩრდილაც) წლების მანძილზე ხელოვნურად განათებულ ლექსისწერაძისეულ გზას პოეზიაში. გვესმის, რომ იოლი სათქმელი არ არის, მაგრამ მისი ბოლო წიგნი ე. წ. „ჩჩეული“ არ ბადგებს პოეტის მომდევნო წიგნების გამოსვლის

არც იმედს და არც სურვილს. როგორც ავტორს და როგორც კრიტიკოსს, ამის თქმა მე დაბეჯითებით შემიძლია“.

— გადამრევს ეს კაცი, — გაკვირვება ვერ დაპფარა რედაქტორმა, — კი მაგრამ ენა როგორ გიბრუნდებათ, როგორ ლანძღავთ საკუთარ ლექსებს, უფრო მეტიც რა უფლებით ლანძღავთ მათ! როგორ გიწერიათ — „მისი ბოლო წიგნი უ წ. „რჩეული“ არ ბალებს პოეტის მომდევნო წიგნების გამოსვლის არც იმედს და არც სურვილს“. საკუთარი ნებით, საკუთარი ხელით სჭრით პოეზიის იმ ტოტს, რომელზედაც ზიხართ? თქვენი მტერიც ვერ იტყოდა უფრო მწარედ. როგორ, განა თქვენი არ არის, თუნდაც ეს სტრიქონები:

„ხელაპყრობილი სიმაღლეს
 ვიპყრობ,
 სიმაღლე ფეხვეშ მიგია ნოხად“.

— ჩემია, ჩემი, მაგრამ ეს არა-ფერს, თითქმის არაფერს ცვლის-ამოვიდა, ბატონო, ყელში ეს გოზინაყივთ ტკბილი სიტყვები. ბოლოს და ბოლოს ვინმეს ხომ უნდა ყოფნოდა ვაჟვაცობა და ეთქვა თუნდაც ერთი მართალი სიტყვა ჩემს პოეზიაზე. რაკი ასეთი არ ვამოჩნდა, კეთილი ინებეთ და ასე, უცვლელად დაბეჭდეთ ეს წერილი.

— ვნახოთ, ვნახოთ, კრიტიკის განყოფილებაში ვერ დაგპირდებით, მაგრამ იუმორის კუთხში შეიძლება მართლა დავტეჭდოთ, — იმედის მცირეოდენი ნაპერწყალი მესროლა რედაქტორმა.

ბერძოლობა...

„პუბლიცისტიბა“. „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ქართველი სამოციანელების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის გიორგი წერეთლის ის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ავტორმა პეტერბურგის გაზეთ „გლობუსში“, როგორც მისმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ფრონტის ხაზზე.

კორესპონდენციები თანმიმდევრული სიზუსტით ასახავენ ფრონტის წინა ხაზის სურათებს, სიტუაციებს, ამბებს... წერილების ნაწილში ავტორი ქადაგებს სამხრეთ საქართველოს თურქეთისაგან განთავისუფლების იღეას; მას რუსეთი მიაჩნდა იმ ძალად, რომ მელსაც, ამ ომის დროს, შეეძლო განეხორციელებინა ეს ამოცანა.

წიგნში დაბეჭდილია არა მარტო „გლობუსში“ გამოქვეყნებული ორმოცამდე სტატია, არამედ

ისინიც, რომელთა გამოქვეყნებაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, „გლობუსში“ არ მოხერხდა.

დამატებაში მოთავსებულია ამავე ომთან დაკავშირებული სტატიები, რომლებიც ავტორმა „დროებაში“ გამოაქვეყნა.

კორესპონდენციები შეკრიბეს, თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ.

წიგნი ხელს შეეწყობს გ. წერეთლის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლას, მით უმეტეს, რომ გაზეთი „გლობუსი“ დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

„ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვები“ შოთა ძიძიგურის ეს წიგნი „მერანშა“ გამოსცა. წიგნი შედგება სამი თავისაგან: „მწერლის ენა“, „ქართული ენის თავგადასავალი“ და „ქართული ენისა და კულტურის მკვლევარნი“.



პირველ თავში განხილულია: შოთა რესთაველის, დავით გურაშიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას და ოღებანდრე ყაზბეგის ენის საკითხები. მეორე თავი მთლიანად შეეხება ქართული ენის წარმოშობასა და კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას, და მის კონტაქტს მსოფლიოს ხალხთა ენებთან. წიგნის მესამე თავში დაბეჭდილია ნიკო მარის, აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის პორტრეტები.

„ქართული სალიტერატუ-
რო ენის ისტორიიდან, მე-18-
19 სს“. ნ. კოტინოვის ეს
წიგნი „განათლებაში“ გამოსცა. ნა-
შრომში განაღინებულია მე-18-
19 საუკუნეთა მიჯნის ქართული
მხატვრული და მეცნიერული პზ-
როვნების თვალსაჩინო წარმო-
მადგენლოს — იოანე ბაგრატიო-
ნის ობზულებათა ენა; მისი გრა-
ფიკულ-ორთოგრაფიული, ფონე-
ტიკურ-გრამატიკული, ლექსი-
კურ-ფრაზებოლოგიური და სტი-
ლისტიკური თავისებურებები.
შედარებისათვის აგტორი იყე-
ნებს იოანეს თანამედროვე სხვა
ბაგრატიონების — დაგითის, ბაგ-
რატისა და თეიმურაზის შემოქმე-
დებათა ენის მონაცემებსაც; აგ-

რეთვე — იონა ხელაშვილის, ნ. ბაზლიძის, პ. ლაპაძის, ნ. დაღიანისა და ნ. ონიკოვის თხზულებებს.

ნაშრომში ხაზგასმულია თუ
მოცემულ ეტაბზე როგორ ასახა
საერთო ენობრივი ტენდენციები
ამ შრეტოს ენაში და რა შეად-
გენს მისი (იოანე ბაგრატიონის)
ენის ინდივიდუალობას, რით გან-
სხვავდება იგი თავისივე ეპოქის
თანამოგალოებთა მეტყველებისგან.

ნ. კოტინოვის წიგნი პირველი
ცდა არის ითანე ბაგრატიონის
თხზულებათა ენის შესახწავლად.

ვე მწერლებსა და საზოგადო მო-
ღვაწეებს.

„მშობლიური სახელები“ თემა-
ტურად მრავალფეროვანი წიგნია
და მკითხველთა ფართო მასები-
სათვის არის გათვალისწინებული.

„ქართველი მწერლები
იღია ჰავშავაძის შესახებ“. ამ სახელწოდებით გამოსცა „საბ-
ჭოთა საქართველომ“ იღო ბე-
როვილი მიერ შედგენილი
კრებული, რომელშიც შესულია
აწესდენებული ქართველი მწე-
რლების, მეცნიერებისა და საზო-
გადო მოღვაწეების მიერ გამო-
თქმული მოსაზრებები, მოგონე-
ბები, ლექსები, მიძღვნილი ილია
ჭავჭავაძისადმი. წიგნში შესულია
50-ზე მეტი ავტორის მასალა, აქ
არის: აკაკის, ვაჟას, გალაკტიო-
ნის, ტიციან ტაბიძის, ივანე ჯავა-
ხიშვილის, გიორგი ლეონიძის,
ეკატერინე გაბაშვილის, ვახტანგ
კოტეტიშვილის, იონა მეუნარგიას
და სხვათა მიერ გამოთქმული შე-
ხედულებები ილიაზე.

„ნარპვევები ქართული
ლიტერატურის ისტორიი-
დან“, ტომი II. თბილისის უნი-
ვერსიტეტის გამომცემლობამ გა-
მოსცა აპთლონ მახარაძის ნაშრომი — „ნარპვევები ქართუ-
ლი ლიტერატურის ისტორიიდან“.

წიგნში განხილულია ალექსანდ-
რე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას-
ცხოვრებისა და შემოქმედების-
ძირითადი საკითხები.

პირველი ნაწილი დათმობილი-
აქვს ალ. ყაზბეგს; მკვლევარი
გვაცნობს მწერლის ოჯახს, ბავ-
შვილასა და ყრმობას, უმაღლეს-
სასწავლებელში ყოფნის პერი-
ოდს, მის ურთიერთობას ხალხ-
თან, მის მოღვაწეობას 80-იან
წლებში; განხილული აქვს აგ-
რეთვე მწერლის დრამატურგია.
წიგნის მეორე ნახევარი მთლია-
ნად დათმობილი აქვს ვაჟა-ფშა-
ველას ცხოვრებასა და შემოქმე-
დებას.

„ლიტერატურის მცოდნეო-
ბით ტერმინთა ლექსიკონი“
„პროსვეშჩნიერ“ დაბეჭდია ლ-
ტი ი მ ო ფ ო ე ვ ი ს ა და ს. ტ უ რ ა-
ე ვ ი ს მიერ შედგენილი და რე-
დაქტირებული „ლიტერატურის-
მცოდნეობით ტერმინთა ლექსი-
კონი“ (რუსულ ენაზე). აქ გან-
მარტებულია ლიტერატურის მცო-
დნეობით მეცნიერებაში გამოსა-
ყენებელი ექვსასზე მეტი ტერმი-
ნი. ევროპულ ლიტერატურის-
მცოდნეობაში, სლავთამცოდნეო-
ბასა და საბჭოთა კავშირის ხალხ-
თა პოეტიკაში ხმარებული ტე-
რმინების გარდა, ლექსიკონში შე-
სულია ჩვენში აქმდე ნაკლებად

ცნობილი, აღმოსავლეთის ზოგი-
ურთ ქვეყანაში (იაპონია, ინდო-
ეთი, ჩინეთი, კორეა) მიღებული
ტერმინებიც. ისინი ცალკე, ერო-
ვნულ ჯგუფებადაა გამოყოფილი.
ეს წიგნი ერთდროულად ლექსი-
კონიცაა და ცნობარიც. იგი
300.000 ცალად გამოვიდა. ლექსი-
კონის რედაქტორი-ბიბლიოგრა-
ფია ჭ. მიხალოვა.

„პოეტური ტექსტის ანალი-
ზი“. გამომცემლობა „პროსემხე-
ნიეს“ ლენინგრადის განყოფილე-
ბამ გამოსცა ცნობილი მეცნიერ-
ლიტერატურისმცოდნის იური
ლოტმანის წიგნი „პოეტური
ტექსტის ანალიზი (ლექსის
სტრუქტურა)“. ეს წიგნი სტუ-
დენტთა სახელმძღვანელოდაა ჩა-
ფიქრებული. „ლიტერატურული
ნაწარმოები, — ნათქვამია წინა-
თქმაში, — თავს საზოგადოებ-
რივ ფუნქციას მხოლოდ იმდენად
ასრულებს, რომ იგი ხასიათდება
ტექსტის განსაკუთრებული შინა-
ვანი ორგანიზაციით. ამის კვლევა
შეიძლება სამი ასპექტით: გარ-
კვეულ ისტორიულ რეალობასთან
კავშირის თვალსაზრისით; სხვა
ლიტერატურულ ტექტებთან მი-
მართებით; მხატვრული მთელის
შინავანი ორგანიზაციის ანალიზის
პოზიციიდან. სწორედ ეს უკანას-
კნელი ასპექტი გვაძლევს საშუა-

ლებას დაგინახოთ მშვენიერება
მხატვრული ნაწარმოებისა და
განვსაზღვროთ ტექსტის ესთეტი-
კური ზემოქმედების მიზეზები“.

წიგნის პირველ თავში ჩამოყა-
ლიბებულია პოეტური ტექსტის
ანალიზის მეთოდიკის თეორიუ-
ლი პრინციპები, მეორეში — ეს
პრინციპები გამოყენებულია მე-
19-20 საუკუნეების კონკრეტული
პოეტური ნაწარმოებების კვლე-
ვისას.

წიგნი გათვალისწინებულია
უმაღლესი სასწავლებლების პრო-
ფესიონალური - მასწავლებლებისა და
სტუდენტებისათვის.

ი. ლოტმანის ამ ნაშრომის რე-
ცენზენტები არიან სსრკ მეცნიე-
რებათა აკადემიის წევრ-კორეს-
პონდენტი, პროფ. ლ. ტიმოფეე-
ვი და ფილოლოგიურ მეცნიერე-
ბათა დოქტორი ე. ეტკინდი.

„ადამიანის სამყარო“. „მო-
ლოდაია გვარდიამ“ გამოსცა მე-
სამე წიგნი „ადამიანის სამყაროს“
სერიისა. ამ კრებულში შეტანი-
ლია ღრმად მეცნიერული, ამავე
დროს, პოპულარული ენით დაწე-
რილი სტატიები, რომლებიც ფი-
ლოსოფიის, რელიგიის, ფიქო-
ლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფი-
ის, ლიტერატურის აქტუალურ

საკითხებს ეხება. კერძოდ, აქ შეგიძლიათ წაიკითხოთ ს. ცვაიგის „ერაზმ როტერდამელის ტრიუმფი და ტრაგედია“ და ო. ვინოგრადოვის „თეოდორე დოსტოევსკის იჭვების ბრძმედი“.

კრებულის შემდგენლები არიან ა. რომანოვი და ლ. ზილიპოვი.

„პროგრესი ხელოვნებაში“. ვიქტორ ვანს ლოვის ამ წიგნში განხილულია ხელოვნების ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი, გარკვეულია ხელოვნების დამოკიდებულება საზოგადოებრივი პროგრესისადმი. ავტორი აკრიტიკებს ესთეტიკურ თეორიებს, რომლებიც გამორიცხავენ პროგრესს ხელოვნებაში, და მათ, ვისაც ეს პროგრესი

დაპყავს ფორმალური საშუალებების ევოლუციამდე. წიგნში დახსიათებულია რომანტიზმის, კრიტიკული რეალიზმის, მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სხვადასხვა მიმართულების რუსული მხატვრობა, წარმოჩენილია სოციალისტური რეალიზმისა და მოდერნიზმის წინააღმდეგობრივი ბუნება. წიგნი შედგება სამი განყოფილებისგან: „საზოგადოებრივი და მხატვრული პროგრესის შინაარსი და კრიტერიუმები“; „საზოგადოებრივი და მხატვრული პროგრესის ურთიერთმიმართების შესახებ“; „თანამედროვეობის მხატვრული პროგრესის შესახებ“. წიგნი გამოსცა „ისკუსტვომ“.



თარღება ხელმოწერა „კრიტიკაზე“

1975 წლისათვის ტარდება ხელმოწერა უურნალის ტაპის აღმანაშ „კრიტიკაზე“ — საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოზე.

მოგეხსენებათ, რომ დღემდე უკვე გამოსულია აღმანაშ „კრიტიკის“ რეა ნომერი. ეს ნომრები გამოდიოდა დროულად, ზუსტად დადგენილ დროზე. ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, მკითხველებს ჰქონდა აქვთ შემუშავებული გარკვეული აზრი ჩვენი აღმანაშის ღირსება-ნაცონანებზე, რაც ერთგვარად აისახა საკავშირო ოუ რესპუბლიკურ სალიტერატურო პრესაში.

აღმანაშის რედაქცია პპირდება მკითხველებს, რომ „კრიტიკა“ უფრო აქტუალურად უფრო გაბედულად, მეტი შემართებით გამოეხმაურება მიმღინარე ლიტერატურულ პროცესებს და შესაძლებლობისდაგვარად, ყველა-ფერს გააკეთებს ჩვენი კრიტიკული აზრის მიზანსწრაფულად წარმართვისათვის.

ვფიქრობთ, აღმანას „კრიტიკაზე“ ხელისმოწერით ჩვენს მკითხველებს საშუალება მიეცემათ დროულად და თანმიმდევრულად წაიკითხონ ჩვენი ნომრები და უფრო მჭიდრო კონტაქტი იქონიონ აღმანაშის რედაქციასთან.

აღმანაში „კრიტიკა“ გამოვა წელიწადში ოთხჯერ.

ხელისმოწერის პირობები: ყოველი ნომრის ფასი 69 კაპიტი, 6 თვით — 1 მან. და 30 კაპ.; ერთი წლით — 2 მან. და 60 კაპ.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ „სოიუზპეჩატის“ სააგენტოებსა და განყოფილებებს.

„კრიტიკის“ რედაქცია.

СОДЕРЖАНИЕ АЛЬМАНАХА «КРИТИКА» № 8, 1974 г.

Нодар Думбадзе. Раздумья в Колонном зале. К 40-летию Первого съезда советских писателей.

Начало пути «Саундже». О выходе нового литературно-художественного альманаха переводной литературы.

Литература и жизнь. Кваничлашвили Т. Герои, пришедшие из жизни. О сборнике рассказов Константина Лордкипанидзе «Цабуния», (изд-во «Ганатлеба», 1973 г.), удостоенном государственной премии имени Ш. Руставели; Николайшвили А. Начало дороги. О первых сборниках стихотворений молодых поэтов — Гурама Петриашвили и Раула Чилачава; Бернашвили Б. Открытое письмо поэту. По поводу первого сборника стихотворений молодого поэта Вано Чхиквадзе — «Светает» (изд-во «Мерани», 1973 г.).

Диалог в нашей редакции. О творческом процессе и индивидуальности художника, о современном читателе, а также о других интересных проблемах беседуют писатель Гурам Панджикидзе и молодой критик Тамаз Цивциладзе.

Проблемы теории. Гогуадзе В. Критика и эстетика.

Раздумья о критике. Тевзадзе Д. Полемические заметки. О новых критических, литературоведческих работах грузинских писателей, критиков, литературоведов.

Мастерство и опыт. Сигуа С. Две новеллы Константина Гамсахурдия. О новеллах «Коса Гаху», «Большой Иосиф».

Критика и история. Минашвили Л. Казбеги и критика. Обзор дореволюционных критических отзывов о prose грузинского классика.

Роман и экран. Долидзе Г. «Десница великого мастера» — фильм. Критический анализ двухсерийного художественного фильма, экранизации одноименного романа Константина Гамсахурдия. (Производство киностудии «Грузия-фильм».)

Наше интервью. Так создавался роман «Бата Кекиа». Автор романа, известный грузинский писатель Демна Шенгелая беседует с соавторницей альманаха «Критика» Ахалкаци Н. об истории и мотивах создания «Бата Кекиа».

Беседа с читателем. Джигубути В. Писатель и его творчество. Ответ на письмо читателя.

Из записной книжки писателя. Чуев Ф. Слово об учителе. Воспоминания о Я. Смелякове.

Библиография. Обзоры. Рецензии. Кумсишвили Д. Краткий словарь по теории литературы, (изд-во «Накадули», 1972 г.); Георгадзе Э. Книга эссеиста. О новом сборнике статей критика Отии Пачкориа — «Время и имена», (изд-во «Мерани», 1973 г.); Патаридзе Р. «Мгновение, которое стоит запомнить!». О новом сборнике стихотворений поэта Какушадзе Т. (изд-во «Мерани», 1973 г.); Алания Н. Монография о переводчике «Витязя в тигровой шкуре» («Бальмонт и Грузия», изд-во «Сабчота Сакартвело», 1973 г.).

Юмор. Ратiani З. Путь к бессмертию; Кацнашвили З. Рецензия.

Вышли в свет. Короткие аннотации к новым книгам советских критиков, литературоведов.

۰۶۸۳۸۶۰

გამომცემლობის რედაქტორები —
შირა ინჯირველი, ნინო ეხალკაცი
ყდა — ითარ ჯიშვარიანისა
ტექნიკური — მამარ მამურიას

□ □ □

ტადაუცა ასაშუობად 12/IX-74 ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-74.
ქაღალდის ზომა $60 \times 841/16$ საბეჭდი № 1, ნაბეჭდი თაბაზი 10,46
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 8,24
შეკვ. № 4284. უე 00493. ტირაჟი 3000.

□ □ □

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина № 14.



අංශ මධ්‍ය 60 ජුනු.